


චානුවලේදා

රූපරූප

652
2000



11
2000



... და წავალ ქარში, როვორც მოცარტი...
გალოკვიონი

মুসলিম সরকার

ରେକରନ୍ଦ

ଡାକସମ୍ପଦ ପରିଷଦ 1958 ଫେବୃଆରୀ

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,

რა მოგავალი, პირველი გელით...

ქალაქი - ჩვენი ქვეყნის ვაჭარა

აზერსავლეთით და დაუავლეთით.

[Signature]

፳፻፲፭፻፭

— Տուշուլը, Խոյսի լուսնի ճայի, Ցա ամ Ծոց Խոյսի տանիստ Հյու Ծովածոցք, Հայո, մաս Նեցութեազգաւո Ցուց Խոյսի ուժ Խոյսից Ապդուց արցուտ լու Մացաւու Յոնին. Հյու և Համեմու Քաջական Համար 6 Պատմական Առաջնական Համար 11.

၆၂၁၁၈၂၁၅၀, №-11

2000

საქართველოს მწერალთა სამინისტრო-ეროვნული კავშირისა დ

၁၃၆၅။

ମତାଙ୍ଗାଳି ରେଲାଇଫ୍ଫରନ୍‌ ସାନ୍‌ଧରି ପାଇଁ

ସାରରେଲାଇଫ୍ଫରନ୍ ସାଧକାରୀ ଧୀରାଳ ପରିପଦିଲାମ୍ବା (ର୍ଯୁଦାକ୍ଷିଣୀ),
ଅନ୍ଧରା ପ୍ରଦୀପା (ଚାନ୍ଦୁଜୀଲ୍ଲାଙ୍କିଳ ଗାନ୍ଧୀ), ଧୀନରିହାତା ପ୍ରତିବିହାରୀ
(କାନ୍ଦିକାଳିଶ୍ଵରାଜ୍ୟର ମନୋବିଜ୍ଞାନୀ), ଖାତିର୍ମା ମହାନିମ୍ବା (ମହାତ୍ମାରୂପୀ ର୍ଯୁଦାକ୍ଷିଣୀ),

ସାମନ୍ଦରଶ୍ରଦ୍ଧାତାଙ୍କାରୀ ସାଧକାରୀ ବିଜେତା ଓ ଆବଲେଲିକାନୀ, ବୁନୀ
ପ୍ରେରନାମ୍ବା, ଶର୍ମିତା ପଣ୍ଡିତା, ଡାକ୍ତର ପରିପଦିଲାମ୍ବା, ପାଠୀ ପରିପଦିଲାମ୍ବା,
ଡାକ୍ତର ପାଠୀ ପରିପଦିଲାମ୍ବା, ପାଠୀ - ପାଠୀମାତ୍ର
ପାଠୀମାତ୍ର ପରିପଦିଲାମ୍ବା, ପାଠୀମାତ୍ର ପରିପଦିଲାମ୍ବା

ର୍ଯୁଦାକ୍ଷିଣୀରେ ମିଶନାର୍ଥିତା: ମେଲିକିଶ୍ଵରିଲୋକ୍ ଫ୍ଲେଟ୍ ନଂ 21
ତାରିଖ: 7-03-64

ସାରରେଲାଇଫ୍ଫରନ୍ ସାଧକାରୀ ଧୀରାଳ ପରିପଦିଲାମ୍ବା

୦୨୬୧୮୮

პროგრამა, პოლიტიკა

ჯემალ ჯაფელი



კავკასიის დამოს სახლები

მთავარ საბრძოლო აღგილას, გავმაგრდი ორ მთას შორის ულრანს ტუში. გუმანით მიცვდი, აქ გამოივლიდა მტერი. შესასვლელი ვიწროები ჩავხერგე და ამ ერთადერთი გასასვლელის იმედი მოვუსცე. შეხედე, რა ვიწრო გასასვლელია!

- ვხედავ, სულო ნათელო. პო, როდის იყო ესა?
- ათას ას ოცდა ერთი წლის თორმეტ მარიამბასა.
- დალოცოს ლმერთმა ეს დღე. ბრძოლა გაძნელდებოდა.

- მეტისშეტანი. ხერხი სჭობია ღონისაო, უთქვმით ჩვენს ძველებს. აი, იმ ვიწროებში ვუჰელთე. ხედავ?

- დიახ, ვხედავ, სულო ნათელო. სწორედ მოხერხებამ და ნიჭმა, ქვეწის სიყვარულმა და გამარჯვების წალილმა მოიგო ალბათ ეს ომი, - დასძნა აბიბომ და მოხერხებისა და ნიჭიერების ნეტარებით გაბრუებულმა თავის ფიქრებში თავი დაჭარა. გაიტრუნა. თითქოს მოგზაურობით დაიღლალაო, ჩაფიქრდა. როცა შემობრუნდა და პირი აღალო სიტყვის სათემოლად, ნათელი სული თავის საბრძანებში წაბრძანებულიყო.

- დიდება შენდა, სულო ნათელო! ამ შუა გზაზე რატომ მიმატოვე...

ცოტაც და ზრდის ურუანტელი იგრძნო. მოეჩვენა, საიდანლაც ასხლტა და ციცაბოდნ გადავარდა. სწორედ ამ მოულოდნელობის გამო საოცრად შეართა, თითქოს კუნთებში გაიშალა და... სწორედ ახლა მიხვდა, რომ რამდენადმე გაიზარდა აბიბო.

სად იყო და სად არა, იღუმალი ხმა ჩაესმა. აბიბოს ეგონა, რომ ეს იყო სული ნათელი. შეცდა. ეს იყო ხმა იღუმალი:

- აბიბო, იპოვე რასაც ექვებდი?
- აბა, რას ვეძებდი, თუ გახსოვს? - დაიბნა აბიბო.
- სიყვარულის ნიჭსა და... ნამცეცობიდან თავის დაღწევის გზას.
- მართალია. ვიპოვიდი შენი აზრით?
- ამბობენ, ეძიებდე და პიოვებდე.
- პირველს, სიყვარულის ნიჭს, მე ამ მოგზაურობისას ვერ მოვიპოვებ, ვიცი. იმას სხვადასხვაგარი მოგზაურობა სჭირდება. შემეწევა ღმერთი და მაგასაც ვიზამ... ჭერა დამიმთავრებით მოგზაურობა. მე იგი ახლახან დავიწყ.
- რაღამც სიტყვა „მაგასაც“ წარმოთქვი, რაღაცა გიპოვია, თუ არ ვცდები.
- მართალია, ხმაო იღუმალო, ნათელი სულის ხმას მაგონებს შენი ხმა: ვიპოვე, უფრო სწორედ გრაულობ გზებს ნამცეცობიდან თავის დაღწევისას. ჩემში ახლა რაღაცა ხდება, - სიამაყის გრძნობა მეუფლება. შეუძლებელია, იყო ამაყი და თავისთავი მდოგვის მარცვლისოდენად წარმოიდგინო. სიამაყის გრძნობა მომანიჭა იმ სიღიადეზ ჩვენი წინაპრებისმ, რომელთა შარავანდელი ყველა დროსა და ყველა ეს აში ერთნაირი

ძალით ბრწყინავს. იცი, რა გითხჩა? ...ჭო, სადა ხარ, ხმაზ იღუმალო. ალბათ შიხვდი, რომ ცალ მხარეზე ჩემი ასე ხანგრძლივად წოლა დამტკიცელია. განმერიდე, რომ მოვისვენო, არა? ო, ჯერ ვერ ავლგები, ფიქრი ნისლივით მეძალება. უნდა დაველოდონ ნათელ სულს. ჩვენ ჯერ ბევრი გვაძეს სამოგზაურო და სასაუბრო. მე კა აქვ ვარ და ფიქრებში სამოგზაუროდ ვემზადები. ბეღნიერი ვარ ამ მოგზაურობით.

... და მობრანდა იგი, - სული ნათელი.

- ბეღნიერი ვარ თქვენი წვევით, სულო ნათელო.

- მიხარია, რომ სასმენელნი და სახედველნი შენი მზად არიან გულით მიიღონ და გაიმუშმივონ ამაგნი იგი, რაც ქეს მამათა ანუ წინაპართა. აბა, მოემზადე წავიდეთ ანუ... ჩაფიქრდი და გონების თვალი გაადევნე სანახებს.

- წვევა თქვენი ცის გახსნასა ჰგავს, სულო ნათელო. მე მზადა ვარ, მომატარე, მომატარე ის ადგილები, სადაც განლილდა შენი სახელი.

- რაც იხსნება, იხურება კიდეცა... დროზე უნდა ჩაუთქა.

- ხომ არ გინდათ დამიტვირდეთ, განმერილოთ და გული მატკინოთ, სულო ნათელო? ხმაში მოწყვნას გამჩნევთ.

- არა, შეჭირვება შენი არაფრად მჭირდება. ერთი კია, უკვდავების წყალს რომ დალევ, ფიალა უნდა გადაღგა... იგი სხვასაც დასჭირდება მე ამ შეხვედრით ვამთავრებ შენთან ერთად მოგზაურობას. არ ვიცი, მერმედ როდის ინებებს უფალი და როდის მამცნობს შენი თეთრი სიზმარი მშვიდი ალიონისა, გეწვიო. ისე კი ვერძნობ, დროს ფიალა გადავდგათ...

- ანისი და შირვანი მომეზმანა წუხელ. უნდა მანახო.

- ანისი და შირვანი ერთ გაწევაზე მოვიგდე ჩემსკენ. ეს ათას ას ოცდაოთხი წელია. ანისი და შირვანი იყო ბოლო და გემრიელი ლუქმა, რომლის შემდეგაც ქვეყნა ჩემი ერთმთლიანვაკი საბედნიეროდ თაობათა. სხვა ამბავია, თუ როგორ მოუარეს ამ დიდებულ საქმეს, როგორ დაიცვეს. არასოდეს დამავიწყდება ანისი, მდინარე ართა - ჩას ანუ ახურიანის მარჯვენა პირი. ყარსი იხრებოდა მისკენ მეტწილად... აქ მერვე საუკუნეში დამთავრდა კა აკანების მფლობელობა. მერვე საუკუნიდან არაბთა ამირამ ხელპყა და თავისი სახალ ფატრში განამწესა. ვის ხელში არ გადასული ეს თვალმარგალიტი: აქეთ სომხებისაო, იქით ბაგრატ მეოთხისო, მესამედ - ბიზანტიიამ დამორჩილია. კვალად ამისა, სელჩუკებმა დაიწირეს და დაოხრეს. ათას ას ოცდაოთხ წელს ხელვაცყავი და ბეღნიერვაცყავი ანისი, იგი დავუზრუნე ჩემს ქვეყნას შირვანთან ერთად და საბოლოოდ გავაერთიანე სამშობლო. ხედავ, რა ლამაზი გასაშირებია, რა ლამაზი მხარეა. ჭო, რაც გითხარი, ეს ასე იც

მერმედ... ბევრი, ბევრი რამ მოვიმოქმედე.

მანამდე - ავაშენე გელათის აკადემია და ტაძარი.

სამოცი ლიდი ომი მოვიგე და, აქაც მინდა მორიდებით ვთქვა: ვერ დამძლია ვერცერთმა მტერმა, მომიგო ერთმა ძალამ, - სიკედილმა, მაგრამ ვერც ამან დაავრცე ჩემს ერს ჩემი საქმენი, - ტაძრად ჭაველ ეკოქაში შევა ქართველი. შესასულელში იგი... დამადგამს ფეხს გულზე. გავასენდები და შეკრთვა.

- სულო ნათელო, არ მიმატოვო. თორემ სადღაც დავიკარგები.

- ნუ გეშინა, შენს ქვეყნაში არსად არ დაიკარგები. მეჩქარება, მე ახლა უნდა მიგატოვო! შენ ცხვრების დიდი გზა გაქვს გასავლელი. უნდა იმორჩივო. უნდა იარო, იშრომო, იბრძოლო, აკეთო... კარგია მოგზაურობა თავისითავში. ახლა ადექი და თუკი მაინც იგრძნო სიმცირე შენი, დაელოდე ახალი ალიონის მაგიურ ხილვას,

ՀԵՄԱՀ ՀԱԿԵԼՈ

განფენილს თეთრ სიზმარში. იგი მოგვერის ნათელ სულს იმისას, ვისაც ინებებს უფალი. მშვიდობით!

- გმაღლობთ სულო ნათელო. აღბათ ესეც ლოთის ნება იყო, თორებ ჩემისთანა ბეღოვლათს როგორ გამოეცხადებოდი ესოდენ დიდის დიდებით, რუდუნებითა და შთაგონებით. ნეტა იცოდე რამდენი რამ გააკეთე საუკუნების იქით და კიდევ რამდენს გააკეთებ ამ უკიდეგანო მომავალში აქ დარჩენილი სახელით.

მიიღე ჩემი თაყვანი.

მიიღე ჩემი მადლობა, რომ განვალიდე. ულორსობილან ღირსებისკენ დასძარი სული ჩემი, სმენა ჩემი, სახელველნი ჩემი და არსება ჩემი.

- მაღლობთ!

აბიბო გადაბრუნდა. გაჭორეკილი ტახტის უცნაური ღრიჸვინი რომ მიწყდა, მისი დახუჭული ოვლების ნათელი უცემ შეიძინდა, გამუქდა, გაცუდდა, დაბნელდა და ამ სიბნელეში ცეკველისფრად ალანძული არსება მოელონდა. ეს არსება იყო ბანგვლებიანი, კულიანი, ყურებიანი, რქებიანი და... აბიბოს ჩაქსმა:

- გამარჯობა, აბიტო!

- ვინა ხარ? - შეეპასუხა შემკრთალი აბიბო.

- ८७ ३५६..

- 3м. 305?

- ვინც სანთელი აგინოო და ჩემს ნებას ისე დაემორჩილო, რომ კალაშნიკ ვერ ჩააჭრო. ახლა გასავაგინა გინკვა ვარ?

- ୬୫୫୫୮!

= ରାଜ୍ଯ, ରାଜ୍ୟ, ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କାରୀ, ବିଜୁପାତ୍ରୀ ଫର୍ମଙ୍କ ବାର.

- କୁଳ ବନ୍ଦିରେ ହୋଇଲାମି କାହାରେ?

- మిన్చా ఎవర్కో ఇచ్చి పుట్టండ్రి అంటాల్ని తప్ప మిషన్స్‌లోకి వచ్చి

- ნამდებ გრძილია კუს უცნობი, კუს დევი დადგ. 1888.
- ნათელ სულს, რომელმაც ოცნებით გასაოცარია აღგილები მომატარა და ნაშენელობითან იქნა გამზარდა და გამზარდა, ლაპის არის...

- ఇంకోన్టో అస్తి?

- ପାଦିତ୍ୟ, କାଳି

- ଶୁଣନ୍ତି, ପତ୍ରପତ୍ରକୁ.

- გაგარინი, ალექსანდრე სერგეევიჩი
- დიახ, ლიახ, სატანავ.
- ახტარი, რომ ამ წარმოების შოთარი აღალე ჩარ, არა?

- ශ්‍රීමත් මහතා ජාතියාල් සංග්‍රහක්‍රම සංඛ්‍යාව 31 නේ පිටුවෙන් අඩුවා ඇති මූල්‍ය ප්‍රමාණය මිලියන රුපුරුෂ මුදල තුළ පිළිබඳ යුතු වේ.

- ဒေသပိုက်တာဖို့ ၁၀၀၈ အာမ စွဲရှိခဲ့ပါ၊ ၁၀၀၈လျှပ် အာဖြစ်ပူ စွဲရှိခဲ့ပါ... ဇွန် ဇွန်အပြောင်း။
- ဘုရား၏?

- ၁၂၁ မြန်မာ

ძოილგიხე?

- ღონიას, სატახავ;
- იმავე ნაოელ სულთა ღირსებებშა გაგზარდა და გაგაამაყა, თავისთავზე უკეთესი

- არა, სატანავ. ალბათ სხვებსაც ეამაჟებათ თავისი ქვეყნის შვილობა. მე ჩემი
შემოსული იქნია სამართლის მიმართ.

იბოგინებდნენ. იმ ზღაპრულად დიდი რაღაცის მონახეთქია, იქედან აქვს წამოლებული ამხელა სიყვარულის და ამხელა სიძულვილის გრძნობა. იგი მთელ გალაქტიკას ეყრდნობა.

- რომელი უფრო მეტია სატანავ?
- თანაბარნი არიან. რამხელა სიყვარულიც სულუვეს შენს ქვეყანაში, იმხელა სიძულვილი ბოგინობს.
- იქნებ ამიხსნა მიზეზი სატანავ.
- რათ გინდა, გული გეტკნება, შენ ისედაც ტანჯვისათვის ხარ გაჩენილი.
- მანც გთხოვ, ამიხსნა.
- კარგი, რაღამც მასეა, გეტჯი. - ღმერთის წილხვედრად რომ თვლიან შენს ქვეყანას, ეს იმიტომ...
- მერე რა ამაში ცუდი სატანავ.
- ის, რომ ეგ ჩემთვის შეურაცხმყოფელია. მე ღმერთს ტოლს არაფრით ვუდებ, მეც მისოდენა ვარ - და რაღა მის წილხვედრად მიჩნევენ შენს ქვეყანას. ბარე ისიც თქვან, რომ იმავე ღმერთის თანაფარდ სატანას წილხვედრიაო. მე რითი ნაკლები ვარ მასზე?
- შემი შენს პირს, სატანავ, რა თქვი ეგ. თანაფარდიო, ღმერთის თანაფარდიო. ნუთუ არ გესმის, რომ ღმერთის თანაფარდი არა არსებობს რა ამ ტიალ ქვეყანაზე. ან რითი ხარ ღმერთის თანაფარდი სატანავ. იქნებ აღალო პირი და მაუწყო ან მომწყდე თავიდან და გამშორდე, სატანავ!
- ქვეყნად რამდენი აღმართიცაა, იმდენი დაღმართია, ხომ სწორია? იჭვი ხომ არ გეპარება?
- სწორია.
- ორი საწყისი არსებობს ქვეყნად, ორივე თანაბარია.
- რა არის ეს საწყისები, სატანავ?
- ბოროტი და კეთილი, ანუ... - სატანა ჩაფრინდა.
- აბიბომ ვეღარ მოითმინა და ნერვიულად ჰქონდა:
- ანუ?... რატომ გაჩუმდი?
- ანუ... ორმუზდი და არიმანი, ოსირისი და სეთი ანუ ტიფუნი, მარდუკი და ურჩხული, ბნელი და ნათელი. ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ მარადიულ შიტევებაში არიან, მე - სატანა და ხოშა ლერბეთი ანუ დიდი ღმერთი ერთმანეთს სულ ვებრძვით, მან ერთხელ მითხრა, მოსავალი გირჩევნია თუ მიწაო. მე. რა თქმა უნდა, მოსავალი აკირჩიე. მან მითხრა: შენია მოსავალი, საღაც გინდა, იქ წაიღე და წადი, შიწა ჩემია. მიწაზე ფეხი არ დააბიჭო და ჩემს ხალხს არაფერი დაუშაო. მე ისინი ჩემს ხატად შევქმენიო.
- მაგ ბრძოლაში დაუმარცხებიხარ ღმერთს. - შესძახა აბიბომ, - შენ თვითონ ხომ აირჩიე მოსავალი! მიწაზე რაღად ბოგინებ. აიკარი გუდა ნაბადი და წადი.
- მე მაშინ წავალ მიწიდან, როცა ღმერთის ხატი, აღამიანი წავა მიწიდან და აბრძანდება ცაში. დედამიწაზე ფეხი აღამიანი რომ აღესრულოს და ფეხი ერთად წავიღეს ღმერთთან, მე ამ მიწაზე ფეხს არ დავადგამ. წავალ... აღამიანთა წამების უნი მაქეს, რადგან ისინი ღმერთის ხატები არიან. აღამიანის მარცხენა მხარჩე ვზიგარ, ყოველ წამში შასთან ვარ და ის სულში მაფურთხებს. სანამ აღამიანი ბოგინობს მიწაზე, არ მოვშორდები. რაც მნდა, იმას ვუზემ: ფეხს მოვტეხ, კისერს მოვტეხ, ტანად დავამცრობ, განვადიდებ უფრო დიდი ტანჯვისათვის...

- განვეღ, სატანავ ჩემგან. მე ძალიან ბევრი საქმე მაჟეს. მე ახალი ხმები მიხმობენ, ახალი ბასიანი, დიდებორი... მიხმობს.

- თავად ხომ მიგაჩნია, რომ ნათელი სულების ღვწლის წინაშე მდოგვის შარცვლის ოდენა ხარ.

- დიახ,

- სულების ამაგით შთაგონებული უკვე გავიზარდეო, ხომ ამბობ?

- დიახ.

- რალიც ასე მიგაჩნია, დასტურ მუხლის სიმაღლეს გაუუთანაბრებ შენს სიმაღლეს. გაწყობს? ნამდვილ, ზომით სიმაღლეს.

- მე ეს - წარმოდგენებში... მხოლოდ წარმოდგენებში მაწყობს.

- მე სწორედ ისა ვარ, რომელიც წარმოდგენებს სინამდვილედ ვაქცევ, ვამართლებ! შენ მღვრიე ალიონის შემობრძანებისთანავე გახდები კრეტინის კრეტინი, ქონდრისკაცის ქონდრისკაცი, სულ რაღაც აღამიანის მუხლამდე სიმაღლისა. შენს საყვარელ გეას მხოლოდ მუხლებამდე მიწვდები.

- სატანავ, გეჭოფა ყედობა, განვეღ ჩემგან!

- მეცოდები, ღვთის ხატო, თორემ ახლავე მოგცილდები.

- ქონდრისკაცად გადაქცევას მიპირებ - არ გეცოდები და სხვა მხრივ როგორდა შეეცოდები?

- იგივე შეი ნათელი სულები დაგსჭიან, ცეცხლად გადაიქცევიან და დაგწვავენ.

- რატომ, სატანავ?

- იმიტომ, რომ შენ მხოლოდ წარმოდგენებში გრძნობ მათი ამაგის წინაშე თავს მდოგვის შარცვლის ოდენად. სიტყვა ერთია და საქმე მეორე. მთავარია საქმე. ცარიელი თანაგრძნობა არაფერია. ამიტომ დაისჭიბი.

- სიტყვა იყო პირველი, სატანავ.

- რა ქნა ამ „პირველმა“?

- სიტყვა იყო ღმერთი, სატანავ!

- ის, რაც ღმერთის სახელს უახლოვდება: სიტყვა, მისი ხატი, მაღლი, იმედი, მომავალი... ყველა ამათი დაუძინებელი მტერი ვარ. მე ვიბადები ადამიანის დაბადებასთან ერთად და ვრჩები მარადიულად... საკმარისია ყედობა, მღვრიე ალიონი ახლოვდება, მოემზადე.

- მოიცათ, სატანავ...

- რაღა მოცდისა არის, გათენდა. - თქვა, სატანური ქმედებით აბიბოზე ლამის მომაკვდინებლად იმოქმედა და წავიდა.

- აბიბომ საოცარი ფიზიკური ტკიფილები იგრძნო, გულის ტკიფილის მეტასთაზები ელვის უსწრაფესად გადაეცა ხელებს, ფეხებს, კუნთებს, უქრედებს, სხეულის ყველა ნაწილს და... გათენდა თუ არა, ნახა; რომ მართლაც დაპატარავებულა, ქონდრის კაცის ოდენა გამხდარა, დამცრობილა და დამცირებულა.

გათენდა, მაგრამ ვაი ასეთ გათენებას.

დასრულდა კაეშნის ეს ღამეც.

აბიბოს თვალებში აიმღვრა ალიონი და მთელი სამყარო. ყველა საგანს დაედო ერთი ფერი - მღვრიე ალიონის ფერი, ბაცი ფერი, უხილვადობა... აბიბო ქონდრის კაცად გადაიქცა...

აბსუს, ქონდრის კაცად გადაიქცა ეს ტანადი, ლამაზი ბიჭი... ქონდრის... ქონდრისკაცად გადაიქცა... ტანად დაპატარავდა, ღამიცრო...

აზიომე წამოდგომისას იგრძნო პირველი უბედურება, - საწოლიდან იატაკამდე ფახები ცერ ჩამოუწვდინა...

- რა შეგცოდე ასეთი, ღმერთო! - ჭარბორძევ და აქვითინდა. ტირილით გული რომ მოიჯერა, საწოლიდან ბავშვივით ჩამოხტა, გასწორდა, თავი დახარა და თავისთავს მზერა აღმა შეაყოლა. მხოლოდ ტანით დაპატარავდა, თავი დარჩა ისეთივე, როგორიც იყო. ფიქრში, აზროვნებაში, ოცნებაში ვერავითარ სხვაობას ვერ ხედავს, ერთია, რომ ტანად მეტად დამცირდა, დაპატარავდა, სასაცილო ქონდრისკაცად გადაიქცა. ტანსაცმელი ვერ მოიჩაო. შარვლის ტოტები გადახინა და ჩაიცა. თითქოს მთავარი საქმე გაკეთებულია, შარვალი აცვია, თუმცა კაცი არ არის, კაცუნაა. დიდხანს იტირა და.. იცინა. შეშლილივით იხარხარა! საოცარი სანახავი იყო, - ქონდრის კაცი ხარხარებს, თანაც სწრარედ იმავე ხშირ და ისევე, როგორც - მანამდე.

თავისი ფარლალალა სახლის სახელურს ვერ მიწვდა, ცერებზე აწერა და კარი გამოაღო. ყველაფერი თითქოს შეიცვალა: მოები, ხევები, მინდვრები, ჯავილები. ყველაფერს სხვა იერი ადევს. „შეიცვალა“ კარები, ფანჯრები, მავილა, სკამები... ყველაფერი თითქოს გიგანტებისთვის დაამზადეს, ტანად მალებისათვის. თვითონ კი მეტად, შეტად დაბალია. საღლაც აძოკითხული გაასენდა ან იქნებ ნათელი სულის მონათხრობი მოაგონდა - ოდესლაც მისი ჸვეყნა მეტად დამცრობილი, დაპატარავებული, შეძრულებული იყა. ჸვეყნა თუ ადამიანებითაა, მაშინ ადამიანები შეიძლება დაემსახუნონ ჸვეყნას ადამიანური ბედით. აბიბო ახლა დამცრობილია და არავითარი იმედი არა აქვს, რომ იგი ისევ გაიზრდება. იგი ახლა თავის ჸვეყნას გავს.

აბიბომ უნებურალ მწარევდ გაიცინა და თავისითვის იმედიანად თქვა.
- ქვეყნა ოდეს გაზრდილა და გალომგულებულა. თუკი ქვეყნა აღამიანებითაა, თუკი ქვეყნას თავისი ხელი და ავტობიოგრაფია ანუ ისტორია აქვს, აღამიანსაც უნდა ჰქონდეს იგი. ოდეს მეტისმეტად გაზრდილა ქვეყნა... მასაც იმედი ჩაისახა, - ოდესმე გაიზრდება. დღეს უნდა წასულიყო გეასთან და ეხარებინა მისთვის, რომ ყველაფერი რიგშეა, ის მხოლოდ თავის შეხედულ ქაში გრძნობდა თავს ნამცეცად წინაპართა საქმესთან შედარებით. ყველა საშუალოი უნდოდა მოემოქმედა ისე, რომ გეას მისკნ გამოეხედა, შემობრუნებულიყო, მთელი ბებიოს უწმინდესი სურვილი, მაგრამ, ყავლას, ახლა როგორლა ჭავა, როგორლა დაენტება გეას. ის ხომ ახლა მართლაც მცირებულ მცირება. მართალია, მდოგვის მარცვალზე გაცილებით დიდია, მაგრამ მანვე მცირება, ქონდრისკაცია.

...და ფარლალა სახლის ჭუჭრუტანიდან დაინახა გეა მისკენ მოღილეობა მოღილოდა, რომ ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო აბიბოს პიროვნებაში, - კიდევ აქვს უჩვენებები თუ სინამდვილეს უყვრების გააზრებით. დაინახა და შეკრთა. ვერას ცროს წარმოიდგნდა აბიბო, რომ გეა თავისი ინიციატივით მასთან შეხვედრას მოისურვებდა და... თვითონ კი დაიმარცხებოდა.

დიახ, როგორც კი გეა ფარლალალა სახლის კარებს მიუახლოვდა, აბიბო მეორე კოთაში გაიძურება და ჩაიკეტა.

ଶ୍ରୀମତୀ କୁମାରୀପାତ୍ରିଙ୍କ ଓ ୦୨୦୩୦୩୦୩୦୯

- შემობრუძანდთ. - მოისმა გეას საორავ; შორისან და დაელოდა კარის გაღებას.

შემოხვეოდა და კარებსაც. ოთქოს სახლში შეპარვას ცდილობსო. ორიოდე ლერწი ითახისაკენ წაპარულიყო, მაგრამ კარების გაღება-დახურვას ამ ლერწების ბუსუსოებიანი წვეროები მოეჭიჭეა და წაეწიოთა. ეს ფარლალალა სახლი ჰგავდა მწვანე უილბლო სავანეს.

გეა დგას კარებთან და ელოდება აბიბოს, - მოვა და გამიღებს კარსო, აბიბო კი მეორე ოთახში ჩაკეტილი და პირველი, მისაგალი კარების გაღებას არ აპირებს, რაღაც არ უნდა დაენახოს გეას.

ერთხელ კიდევ გაუტელავად დააკაკუნა გეამ და გაიფიქრა, თუ კარებს არ მოაფართქალდა აბიბო და არ გამიღო, წავალ და არც არასოდეს მოვიხედავ ამ სახლისაკენ.

- მობრძანდით! - შემოესმა გეას მშვენიერი, ხავერდოვანი ხმა. ეს იყო აბიბო, რომელიც ყლს ზემოთ სრულიად შეუცვლელი, ჭანსალი და კეთილად მოაზროვნე იყო. ყლს ქვევით კი - არსაცნობი. - მობრძანდით, მობრძანდით, კარები არაა დაკეტილი, შემოალეთ და შემოდით...

გეამ კარები გააღო, შევიღა და მიმოიხედა. ოთახში არავინ. იყო. ხმა შემოესმა:

- ძვირფასო გეა, მოხდა ისე, რომ მე აქ, მეორე ოთახში ჩავიკეტე, - იცრუა აბიბომ. - კარებს ვეღარ ვაღებ. აი, ქლიბი მიჭირავს ხელში, საკეტური უნდა გავჭლიბო, ამას მთელი დღე დასჭირდება. ღმერთმა მაღირსა შენი მოსვლა და... სატანამ ამიკრძალა შენთან შეხვედრა.

აბიბოს ხმა გაებზარა და გეა მიხვდა რომ იგი ატირდა. შეეცოდა და დაუაუავი:

- ნუ გეფიქრება. ხვალამდე გაჭრი მაგ საკეტურს.

ამის გაგონებაზე კიდევ უფრო ასლუკუნდა აბიბო, რაღაც მას გასაჭრელი არაფერი არა ჰქონდა, მას სხვა უბედურება სჭირდა. არ შეეძლო ჩვენებოდა გეას მისი ქონდრისკაცობის გამო, თორებ საკეტურის გაჭრა რა არის, მაგრამ, რომ ჩაკეტილი იყოს, რკინას კბილებით გაღრღნის, ოთახიდან ხელებგაშლილი გავარდება, გეას მიაფართქალდება და თავისთავს უბედინერეს ადამიანად ჩათვლის.

გეა შეურიგდა მდგომარეობას, რომ მას დღეს კარებს ვერ გაულებებ. აბიბო რომ ვერ დაინახა, ცოდვა გამხელილი სჯობია, - ეწყინა. არა და სულ ორჭოფობდა - მივიდე თუ არაო მასთან. ახლა კი ხმა რომ ესმის და პირადად მას რომ ვერ ხედავს, თავის ორჭოფობაზე გაეცინა. - კიდევ და კიდევ უფრო მოეძალა შეხვედრის სურვილი, რომ ბოლოსდაბოლოს კარგად გაიგოს, - აბიბო კიდევ ისე უცნაურად ფიქრობს, ისევ ისე ქონდრისკაცად მიაჩნია თავი წინაპართა ღვაწლის წინაშე, თუ ცოტა მაინც „გაიზარდა“.

- აბიბო, - შემოესმა გეას ხმა გულდამწვარ ბიჭს. - როგორა ხარ, აბიბო?

აბიბომ თავს ძალა დაატანა, ხმა ჩაისწორა, თვალებიდან ლაპა-ლუპით ჩამომდინარე ცრემლები შეიშრო და გაეპასუხა:

- კარგადა ვარ, გეა. შენმა მოსვლამ დამარწმუნა, თურმე ადამიანი თავის ფიქრებში ისე შეიძლება გაიზარდოს, რომ ცას ხელი მიუწვდინოს.

- ასე ფიქრობ ახლა შენ? - სიხარულისაგან ოდნავი მღელვარება შეპარა ხმაში.

- ვფიქრობ! - დაუდასტურა აბიბომ. - ვფიქრობ და ძალიანაც მიხარია, რომ ასე ვფიქრობ.

- აბიბო, შემოგვლე, მაშ შენ თავისთავს აღარ თვლის მდოგვის მარცვლის ოდნად, მაშ, შენ კარგად ფიქრობ, მაშ შენ ისეთი ბრძენი, ჭკვიანი, გულიანი, ტანადი აბიბო ხარ, როგორიც გაგიცანი და შეგიჯვარე? მაშ, შენ ქვეჭის ბედზე

ისეთივე გადაგებული, ახოვანი აბიბო ხარ?... ა? რატომ გაჩუმდი. აბიბო, ხმას რატომ არ მაძლევ, რატომ არაფერს მეუბნები?

სიტყვები „ტანადი“ და „ახოვანი“ რომ გაიგონა, აბიბო ისევ ატირდა. ოჭ, როგორ აუდულდა გული, როგორ ძლიერად იგრძნო ცეცხლის კიდება?!.

- აბიბო! - ისევ გაიგონა გეას ხმა.
- აქა ვარ, გეა.
- რა დაგემართა, ტირი?
- არა! - იცრუა აბიბომ.
- ხმა გაგებზარა და სლუკუნებ.
- არა, ასე გეჩვენება. ვწუხვარ, რომ შენ აქა ხარ და მე ვერ გხედავ, და ეს მაშინ, როცა სიზმრად გხედავლი, გელაციცებოლი და მეორე ღლეს შენით ვიყავი საესე, შენით ვიყავი გაჯერებული სულში და გონებაში... ღმერთმა ინება შენი მოსვლა და...
- როგორ თქვი წალან? ღმერთმა გალირსა ჩემი მოსვლა და... სატანამ აგიკრძალა ჩემი ნახვა? ასე არ თქვი განა?
- ჰო, ასე ვთქვი.
- რა შუაშია სატანა.

აბიბომ ძალიან კარგადაც იცოდა, რა შუაშიც იყო სატანა, მაგრამ ამაზე ხომ კრინტსაც ვერ დაძრავდა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ გემ დაინახოს ქონდრისკაცად გადაქცეული აბიბო. გულს ხომ სამუდამოდ აიყრის მასზე.

სიტყვა „სატანას“ ხსნება ახლა ისე არ უნდოდა აბიბოს, როგორც ზლარბის გადაყლაპვა, მაგრამ მანც მთრთოლვარე ბაგეებით წარმოსოდება:

- ესეც აღამიანური ბელია, უფრო - სატანური.
- გეამ ყველაფერი ისე გაიგო, როგორც შეიძლება გაიგოს თანამგრძნობმა აღამიანშა,
- თუმცა ვერ წარმოედგინა, რომ აბიბოს მიმართ სატანა რაიმე „შუაში“ იქნებოდა.
- ნახვამდის, აბიბო, მე ვატყობ, გაცდენ, გიყოვნებ თავისუფლებას. აქმდე ალბათ საკეტურს სანახევროდ გახეხვდი.
- მიდიხარ გეა? - თქვა გულის საოცარი ტკივილით და მიაყრადა გეას სიტყვებს:
- მივდივარ. ხვალ თუ ვერ მოვედი, არ გეწყინოს, მალე გეახლები, ზეგ მანც გნახავ...

- კარგი, კარგი, ხვალ ნუ მოხვალ! - და უნდოდა ეთქვა, - საერთოდ ნუ მოხვალ, ჭობია, ამ ჩემს დარღს ბოლომდე გადაყე, შენს სიყვარულში ამომძრეს სული, ვიდრე მნახო, შემიძლო, მიმატოვო... ჩემი ხელით გავითხარო საფლავი და შიგ ჩავწევ სულის განტევების მოლოდინში.

გეა წავიდა.

აბიბო გამოვიდა „ჩაკეტილი“ ოთახიდან, მივარდა იმ ოთახს, საიდანაც ელაპარაკებოდა გეა, მივარდა ფარლალალა კედლებს და ჭუჭრუტანიდან ჭურდულად გაიხედა, რომ თვალი მოეკრა მიმავალი გეასათვის.

დაინახა, მიდის გეა.

მიდის ტანმაღლი, ტანლამაზი, ალერსიანი, სანდომიანი გოგო და ტანის ნარნარ რხევაზე უკან გადაყრილ მაგისიმსხო წყვილ, გრძელ ნაწნავებს საოცარი მიმზიდველობით მოარხეს.

მიდის გეა.

მიდის.

აბიბო კედელს მოსცილდა, უკან გამოიწია და გაჭორკილ ტახტზე საწოლის ზურგით დაეცა.

ასე გაუნძრევლად იწვა აბიბო თვალდახუჭული და ტიროდა მის სიმცირეს, მის ქონდრისკაცობას, იმას, რომ ქნა ღმერთმა, გეამ მისით მოვიდა, მოინახულა და თვითონ კი დაემალა. ანდა როგორ უნდოდა შეხვედროდა?

ქვეყნებს თავისი ისტორიები აქვთ, ადამიანებს – საკუთარი ავტობიოგრაფიები. აბიბო ახლა გავდა მის იმ დროის ქვეყნას, რომლისთვისაც კაცს ფურთხიც კი არ გაემეტება. – დამცირებული, გაპარტახებული, უნიათო ქვეყნას...:

დალამდა.

აბიბოს კიდევ ერთი კაეშნის დამე დაუდგა. კიდევ ერთი კაეშნის ლამის სანთელი აუნთო სატანამ. „რაი არსო ნათელი, რომელსაც სიბრძელე სჭობსო“, – გაიფიქრა. გათენდა.

როგორც იქნა გათენდა!

ახლა სწორედ სატანასთანაა საჭირო მისვლა. ხვალამდე, ზეგამდე მაინც, უფრო სწორედ გეას მოსვლამდე ის თუ იმადვე არ გადაიქცა, რაც იყო, უბედურება დატრიალდება. ცოცხალი თავით არ დაენახვება გეას. მოისპობს სიცოცხლეს და ამით დამთავრდება ჟელაფერი. უნდა შეეხვეწოს სატანას, უნდა თხოვოს სატანას, უნდა ჟელაფერი გააკეთოს სატანასათვის, ოღონდ დაიბრუნოს თავისი ღირსება, ტანადობა, ახოვანება. დიახ, ჟელაფერი უნდა გააკეთოს, თუნდაც... ო, არა, სატანას სული არ უნდა მიყიდოს. უნდა დარჩეს ზრდილ, პატიოსან, უღალატო, ჰუმანურ კაცად. დიახ, უნდა დარჩეს! თუმცა... თუკი არ დაიბრუნა თავისი თვალ-ტანადობა, თუკი გეას ვეღარ დაენახვა, იგი დარჩა ისეთად, როგორიც არის, აუცილებლად საწამლავს დალევს და მორჩა!.. ვის რას არგებს ასეთი პატიოსნება, სატანაზე სულის მიუყიდაობა...

სატანა!..

სატანა შემოვიდა ფარლალალა სახლში და ტაბლასთან მდეგარ აბიბოს მიესალმა. აბიბოს მხოლოდ თვალები მოუჩანდა, მოელი ტანი ტაბლის უკან სიცარიელეში იყო „ჩაძირული და ჩაფინთული“.

– გამარჯვება, აბიბო!

– არგამარჯვება შენი, სატანავ! რა გამარჯვებისაა!..

სატანამ დემონურად გადაიხარხარა. ცოტა ხნის შემდეგ დამცინავად, ნიშნისმოგებით ჰკითხა აბიბოს:

– ბოლოსდაბოლოს სტუმარი ვარ. შემოვედი ოთახში და ვდგავარ. შენ კი ზიხარ და სკამს არ მთავაზობ. თეხზე ამდგარიყავი მაინც. ეს ზრდილობის



საქმეა.

- დამცინი ხომ?

- რატომ დაგცინი. მე - სტუმარი ვდგავარ, შენ მასპინძელი კი არხეინად ზიხარ და ასე შელაპარაკები.

- შენი აზრით, მე ახლა ფეხზე არ ვდგავარ?

- ჰო კარგი, კარგი, გეხუმრე, წუხელ გეა შესიზმრა...

- განვეღ, სატანავ. შენ რა უფლება გაქვს გეა დაგესიზმროს, ის ხომ მშვენიერების უკიდეგანო სივრცეა, სიყარული და სიცოცხლეა, შენ მხოლოდ სატანა ხარ. რა უფლება გაქვს მისი დასიზმრებისა?!

- დიახ, ის უკიდეგანო სივრცეა, - გამეორა სატანამ, - ეს სივრცე შენთვის მხოლოდ სიცარიელეა და მეტი არაფერი. მე კი... მე უკიდეგანო ვარ სულით, საქმით, ბუნებით. მე ტანადაც დიდი ვარ, ძალიან დიდი, სახელოვანი. მე ღმერთზე დიდი თუ არა, მისი ტოლი მაინც ვარ, ჩემთან არ შეიძლება ასე უთავბოლოდ ლაპარაკი. მე ყოვლისშემძლე ვარ!

- ასე გვინია, დიდი ხარ შენ, სატანავ?

- მგონია და ასეც არის.

- მასეთივე დიდი წარმოდგენა ქონდა თავისითავზე სიკვდილის მთავარ ანგელოზს, გაბრიელს, მაგრამ მას ღმერთმა სასტიკად დასცინა... გაამაყებულმა ღმერთს თხვეა, ერთხელ მაინც მომეცი უფლება დავინახო თავისითავი, ჩემი ახოვანებით, სიძლიერით, უტეხობით, სიმკაცრითა და სიღიღით დავტკბე! მე ხომ ისევე დიდი ვარ, როგორც ქვეყნა. ერთდროულად ამ ქვეყნაშიც ვასრულებ ჩემს მოვალეობას და სხვა ქვეყნაშიც. მსოფლიოში რომელ მხარეში ყოფნაც კი გულში გამივლის, იმწამს იქა ვარ. მეამაყება და... გთხოვ, ღმერთო, დამანახე ჩემი სიღიადე და სიღიღე.

- შერვე? - იყოთხა სატანამ. - რითი დასაჭავ?

- უთხრა, ამა და ამ ადგილას, ამა და ამ ქოხში ცხოვრობს ესა და ეს ადამიანი, მიღი მასთან და კითხე, რამოდენა ხარ. იგი გეტჭის და კიდეც დაგანახებს შენს სიღიღესო. მივიღა ამ ჩოფურა გლეხთან გაბრიელ მთავარანგელოზი და უთხრა, მე ღმერთმა შენთან გამომაგზავნა იმის გასაგებად, თუ ტანად რამოდენა ვარ.

- რა უთხრა გლეხმა?

- დაეთანხმა, - კი ბატონო, ოღონდ მაგი დედაჩემს უნდა კითხოთ, იგი გეტჭით, რამოდენა ხართო.

- სად არის შენი დედა? - კითხა გაბრიელ მთავარანგელოზმა.

- აქვეა, ბატონო, ამავე ოთახში... აბა გაიხედე იმ კედლისაკენ, იქ რომ კალათაა ჩამოკიდებული, ხედავ?

- კი, - ბატონო გეტჭავ.

- დედაჩემი ისე პატარა ქალია, რომ სკაშე ვერ გდება, ვერ ისვენებს და კალათში ჩასვი. იქ ვაჭმევ ჩემი ხელით და იქ ვასმევ წყალს, იქ ვუვლო.

- მეტად პატარა ყოფილა შენი დედა.

- დიახ, პატარაა, მაგრამ იგი ისე დიდია, როგორც დედ!

- რა ქვია?

- იმას ქვია დედა. მას სხვა სახელი არა აქვს. კითხე, რაც გინდა და იგი გეტჭის. გაბრაზებული მთავარანგელოზი კედელს მიუახლოვდა და ქალს კითხა:

- ჰეი, შენ, მითხარი, რამოდენა ვარ მე!

ქალმა ხმა არ გასცა. მთავარანგელოზმა კითხვა გაუმეორა.

- ჰეი, ქალო, ღმერთის გამოგზავნილი ვარ, მითხარი, რამხელა ვარ, - გაბრიელ მთავარანგელოზი ვარ მე!..

ქალმა არა უპასუხა რა. გაბრაზებულმა მთავარანგელოზმა კითხვა ისევ და ისევ გაუშეორა, ოლონდ მიმართვის ფორმა შეცვალა:

- დედავ, რამხელა ვარ მე?

ქალმა ხმა ამოიღო:

- იცი რა? მე სმენანაკლული ვარ, მოდი აქ, აი, აქ, ჩემი ყურის ბიბილოზე ჩამოჭექი და მითხარი, რა გინდა, რომ იქნებ გავიგონო ის, რასაც მეკითხები.

- სად ჩამოვჭდე? - გაცეცებით შეეკითხა გაბრიელ მთავარანგელოზი და სმენად იქცა.

- აი, აგრე, ჩემი ყურის ბიბილოზე.

- რა ვქნაო, რა თქვი?

- მოდი და ყურზე ჩამომიჭექი, რომ გამაგონო, რა გინდა, რისთვის მოსულხარ.

გაბრიელ მთავარანგელოზი მიხვდა, რომ ღმერთმა მას ძალიან დასცინა, ამ ჰერცი და დედა ძალიან დიდია და თვითონ კი ღმერთის წინაშე არარაობაა, ნამცეცაა.

გლოხის ქოხს გასცილდა გულდაკოდილი, სიამაყუ მომძლავრებული და შერტვენილი. ამის შემდეგ მას თავისთავის სიღიადეზე, სიამაყუსა და სიღიდეზე აღარ უფიქრია. მთავარანგელოზმა კარგად გაიგო, რატომ მოაჩვენა ქალი ესოდენ პატარა! - სატანამ უსმინა, უსმინა, უსმინა და წასვლა დააპირა. წასვლისას ყასიდად კითხა:

- რისი თქმა გინდა მაგ არაკით?

- ჰერ ერთი, ეს არაკი არ არის, მეორეც, მე ტაბლის უკან ვიდექი. შენ იცოდი, რომ მე არა თუ ვიჭექი, არამედ ვიდექი. შენ დასცინე ჩემს სიმცირეს და თქვი, - ადექი ფეხზე, სტუმარი მოვედიო. მე მვონი ამით თავისთავს უფრო დასცინე. შენ გარდამაქციე ქონდრისკაცად და შენვე დამცინე. ეს იმას გავს, ოსტატმა თოჭინა გააკეთოს და დასცინოს, ვაი, ეს რა მცირე ხარ, ნამცეცა ხარო.

სატანას ხასიათი გაუფუჭდა, მიხვდა, რომ იგი ამ ქონდრისკაცმა კაი მაგრად დასაჭა იმ გაბრიელ მთავარანგელოზის შაგალითოთაც და ამ ბოლო სიტყვითაც. მეტი რაღა გზა ქონდა, გადაწყვიტა იქაურობას უსიტყვოდ გასცლოდა, წასვლა დააპირა.

- მოიცა, სატანავ! შენთან საქმე მაქეს. ხვალ ან ზეგ ჩემთან უნდა მოვიდეს გეა. შე თუ ის ამ მდგომარეობაში დამინახვეს, ჰერ ერთი, მას გული გაუსკდება და მოკვდება, მეორეც, მე ნამდვილად მოვიკლავ თავს. ყველაფერი უნდა იღონო, გადაგვარჩინო.

- რატომ, რა დამსახურების გამო?

- იცი, სატანავ, აქ ორი ადამიანის სიცოცხლეზეა ლაპარაკი. სიცოცხლის ხელყაფა შენი საქმე არაა, იგი გაბრიელ მთავარანგელოზის მოვალეობაა. შენი მოვალეობაა ადამიანის დაცინვა, სწორი გზიდან აცდენა, მასხად აგდება. შენ შენი საქმე უნდა აკეთო, გაბრიელ მთავარანგელოზმა კი - თავისი. დღესვე, აი, ახლავე უნდა გარდამჭმნა იმადვე, რაც ვიყავი, გთხოვ.

- სამაგიერო?

- რასაც ინებებ.

- გამიხდები მოკავშირედ.

- ეს რას ნიშნავს.

- რასაც დაგვალებ, იმას გააკეთებ.

- რას დამავალებ?

- ადამიანის ჩაშვებას... დაცინვას, მასხრად აგლებას...
- ეს რას ნიშნავს, სატანავ?
- უდანაშაულოს, მართალს, სპეტაკს აცდუნებ, ვთქვათ, ჭიბეში ისეთ რასმეს ჩაუდობ, რაც კანონით იკრძალება, მერე დაბეჭდებ, მასა და მას ჭიბეში ესე და ეს უძევსო. მოვლენ, აღმოუჩენენ, დაიჭერენ, დაცინებენ, დააშინებენ, ჩასვამენ, რაც უნდათ, იმას უზამენ... იგი დაიწყებს იდაჭების ქნევას და მტკიცებას, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. მაგრამ „გიუტ ფაქტს“ ვერსად გაექცევა. ადამიანი უნდა გასწირო ბოლომდე, აი, ესაა საქმე. რატომ ჩაფიქრდი. რაა აქ ჩასაფიქრებელი ან გასაკვირი. ესაა ცხოვრება. ასეთი ცხოვრებით იცხოვრა ათასი წლის წინ მევეუმ და ძალისნებმა, ასეთი ცხოვრებით იცხოვრეს შენი ჰევჭის ფელა დიდმცყრობელმა თუ მცირე მოხელემ, შენმა პაპამ და იმ შენი პაპის მეათასე პაპამ, მემილიონე პაპამ. შენ რაღა გამონაკლისი ხარ? ადექი, მართალი კაცი გასწირე, ამალლდი, წელში გასწორდი, დაიბრუნე შენი ახოვანება და მშენიერება, მკვლავზე გაიგორე შენი გეა, ჭერ შორფერე, მერე ჩაიხუტე, მერე - აკოცე, მერე - შენი მხურვალე სუნთქვა ფულფულა მეერდზე მოუნიავე, მუხლებსა და მოსაქანში აკეცე - ჩამოკეცე და მერე „პლანეტა ვენერას ბორცვად“ წოდებულ ადგილის ქვემოთ შენი გენების მხურვალება მიაცხუნე, იხილე მისი ჯადოსნური სილრმე. ხელებით ჩაჭიდე მიწისძვრასავით გადაბრუნებულ-გაბმობრუნებულ ფულფულა მკერდს და...
- გაჩუმდი, სატანავ! შე წჟულო! მე საკოცნელადაც არ მემტება გეა.
- რა ცეცხლი გიკიდია ახლა შენ, რა გაყვირებს, ის რომ ოცნების სინამდვილედ გადაქცევა შეუძლებელია და აქ ამაო ფელაფერი თუ ის ფელაფერი ახლო რეალობაა და ოცნების გეას შენი ფიზიკური მდგომარეობის გამოვერც ხვდები. აგრე შენ, აგრე მე. დამპირდი, რომ ჩემი თანამზრაველი იქნები, მომყიდი შენს მოსიყარულე სულს და... ოცნების სინამდვილედ გადაქცევა: ფელაფერს თავის სახელს დაარქმევ. რად გინდა ხავერდოვანი, მოსიყარულე, მართალი სული, თუკი იგი ქონდრისკაცის სხეულში იქნება ჩაბუდებული, არავის არ გამოადგება, არც - შენ. პირიქით, იგი გაგინადგურებს ფელა ოცნებას, დაგიმსხვერებს ბედნიერებას! ბევრი ფიქრი არაა საჭირო, პო... მომყიდე შენი სული, გარდმოისახე, ხვალ შეხვდი შენს გეას და როგორც გითხარი, ისე გააყეოთ, ოლონდ იცოდე, ქალისთვის ფელაზე მთავარია ნდობის დამსახურება, ალერსი და კიდევ ის...
- კიდევ რა? კიდევ რას მოიგონებ? რაა საჭირო?
- თავში - ჭეულა, შარვლის იქეთ-აქეთა ჭიბებში ოქრო, ხოლო ჭიბებს შორის - „რკინა“. პა, გადაწყვიტე. საბრალო ხარ შენ, აბიბო, გადაწყვეტილების შიღება არ შეგიძლია და კაცი ვარო, ამზობ... კარგი, რაღამც ასეა, ხვალისთვის გადადევით ეს საქმე, ხვალ მომყიდე სული. ამედამ მოიფიქრე. რაც შენთვის სჯობდეს, ისა ქენი.
- სატანამ ჭიბიდან ამოილო პატარა ნიუარა და უთხრა, -
- აი, ეს ნიუარა ამ ქვეჭად ფელაზე უფროსია. იგი ბეგერაზეც უფროსია, სიტყვაზეც, ცეცხლზეც, ამ მთებზეც, აღამიანებზეც. ეს ნიუარა გაჩნდა ადამიანის გაჩენამდე, წყლისა და წყლის ბინადართა გაჩენისას. შენ თუ მოისურვებ სულის მოყიდვას, ამ ნიუარაში ჩავაწვეთებ შვიდი ნაკიანი წყლის შვიდი სახლის სახურავის შვიდ წვეთს, დაგალევინებ და... მორჩა! რა თქმა უნდა, ფელაფერი ისე ადვილად არ წავა, როგორც გგონია. - ჭერ შვიდჭერ შეგაურულებს. შვიდჭერ გაგთენთავს, შვიდჭერ ელვისკვეთების ურუანტელს მომგვრის, შვიდჭერ იგრძობ შინაგან ტკივილებს, შეკრთები და... დაიბრუნებ პირვენდელ მდგომარეობას, ეს ქვეჭანაც შენი იქნება და გეაც. ვერავინ

ვერ მიგითითებს - შეხედეთ, ქონდრისკაცი მოდისო, ვერავინ ვერ დაგცინებს. გეას მოკიდებ ხელს, მკელავზე გაიგორებ, მოეფერები, აყოცებ და... იხილავ იმ სიღრმეს, რომელიც იხილა ენჭიდუმ, შამხათის მეშვეობით და ეს ტყური ლომქაცი ადამიანურ ცხოვრებას დაუბრუნა. ჰო... გადაწყვიტა. რათ უნდა ამდენი გვემა ტვინის! გეყოფა ამდენი დუშმილი. ნერვები მეძაბება. ჰა, ჰა.. კარგი, ხვალ. ი, ხვალ მოვალ. შენი კარის ზღურბლთან თუ დავინახე - მოკლული გველი აგდია, დავრწმუნდები, რომ ღმერთმა ინება შენი თანხმობა ანუ შენ თანახმა ხარ მოყიდო სული. ასეთ შემთხვევაში უმალვ ტანად კაცად გაძლიერდა და წავალ. ჩემი მოსამსახურე კი იქნები მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ამასთანავე ბელნიერი იქნები გეას სულის სისუფთავით და ხორცის მხურვალებით. სიტყვა სიტყვაა. წავედი...

სატანა წავიდა.

აბიბო თავისთავთან მარტო დარჩა...

რას იზამს აბიბო, სატანას მიპყდის სულს?

* * *

დაღამდა.

აინთო კაეშნის ღამის სანთელი.

აბიბო თავისთავს ისე განიცდის, როგორც არასოდეს. ის თავისთავში თითქმის მთლიანად გაქრა, აღარ არსებობს. არსებობს მხოლოდ მოგონება თავისთავზე: - დღილით როგორ არხენიად წამოღვებოდა, ვარჯიშით კუნთებს გაიხალისებდა, წვერს გაიპარსავდა, პირს დაიხანდა, გახამებულ თეთრსაყულოიან პერანგს ჩაიცვამდა, ამ ქვეყანაზე თავმოწონებით გაივლიდა.

ნეტავი ეს ყველაფერი მისი ოცნება იყო თუ იგი მართლაც ასე იქცეოდა? ქვეყანა? კი, მაგრამ სად ქონდა ქვეყანა? ის, რაც მას ქონდა, სამშობლო იყო? ის თუ სამშობლო იყო, სამშობლოს შეილები ერთმანეთს რატომ კლავდენ, ყველაფერს რატომ ყდდდენ: სინდისს, ნამუსს, პატიოსნებს, ზრდილობას, ტრადიციებს, სიყვარულს, ქალს რატომ ამეძავებდნენ და მეძავეობით მიღებული კეთილდღეობით რატომ ქეიფბრენენ ან თავს რატომ იწონებდნენ, - შეხედეთ, რა ხელგაშლილი მოქეიფე, რა დამრტყმელი, რა მკვლელი, რა ჩამშვები და დამშინებელი ვარო? „ო, არა, ექ რაღაცაში არის საქმე. ეს ყველაფერი დღევანდელობაა, მე კი წარსულში ვცხოვროდი. არა და... წარსულშიც იყო ასეთები ანუ უზარმაზარი სიძულვილი და უზარმაზარი სიყვარული ერთ პატარა ქვეყანაში, მაგრამ, არა! მაშინ ბასიანის ომს იგებდნენ, დიდგორის ომს იგებდნენ, რაღაცას აშენებდნენ... დიდი სიძულვილის და დიდი სიყვარულის ერთმანეთზე მიტევებაში დიდი დანაყარგის ხარჯზე დიდი სიყვარული იმარჯვებდა. დღეს მხოლოდ დიდი სიძულვილი იმარჯვებს ყველასა და ყველაფერზე. წამალივით საჭიროა სიყვარულის ნიჭის მოპოვება, წამალივით, რომ მომაკვდავ ადამიანივით სარეცელს მიზარვული მომაკვდავი ქვეყანა მორჩეს. სიყვარულის ნიჭი! ო, სად ხარ სიყვარულის ნიჭი“, - მწარედ გაიფიქრა აბიბომ და საწოლში გასწორდა, თავი ოღნავ წამოსწია და სანთლის გულგრილ შუქზე თავისი საწოლის ბოლოსავენ თვალი ჩააბარა, - რამოდენა ვარო - ინტერესით გაიფიქრა. რაღაც ნახევარი აღლის სიმაღლეზე იყო საბანი ამობურცული, იქვედნ საწოლის ბოლომდე კი სულ „ცარიელი მინდორ“ იყო. შესძულდა ლოგინიც, საბანიც, თავისთავიც და თვალი ცივად მოლაცლაცე სანთლისკენ გაეჭრა. იმ სანთელს ცივი და მღვრივ ალიონი მოჰყვდა, ბურუსით მოცული დილა მოჰყვდა. კაეშანს კაეშანი ემატებოდა, სანთლის პატრუჭი

კითხვის ნიშანივით მოხრილი იყო და იწვოდა, იწვოდა აბიბოს გული. ვერრა მოეფიქრებინა, ვერაფერი გადაწყიტა, არ იცოდა რა ექნა, სატანისთვის სული მიეყიდა თუ არა. მართლაც და რად უნდა სუფთა, ლამაზი, ხავერდოვანი სული, თუკი ამით ბეღნიერი არ იქნება. რად უნდა გამოიყენოს ის? მთავარია გეა გვერდით ყავდეს და ჯანდაბას სხვისი ბეღნიერება. მეტად ადვილია ადამიანის ჩაშვება, დაცინვა, განადგურება. ამისათვის ბევრი არაფერი არაა საჭირო, უბრალოდ უნდა იდგა, მიხეიდე სატანასთან და უნდა უთხრა, ეს კაცი ზეღმეტია ამ ქვეყნაზე. მორჩა! იგი თუნდაც ძალიან საჭირო იყოს. ამხელა ქვეყნაზე ერთის კი არა ათასი კარგი კაცის ჩაშვება, თუ გნებავთ, აღსრულება, არაფერს არ შეცვლის. შენ კი იცხოვრებ ბეღნიერად!...

იმ ღამეს ალბათ მეასეჭერ მოიცვალა მხარი აბიბომ. მეასეჭერ გადაბრუნდა და გადმობრუნდა. თვალს რული არ მიკარებია. ეს ღმენები იყო მეტად მძიმე კაეშნის ღამე. ამ ღამის სანთელი იყო მეტად ცივი, ამაზრზენი და დამცინავი.

„მოდი, ღილავ ჩქარა! მოდი, ოღონდ მალე მოდი და მარგუნე რაც გინდა ის. მომშეზრდა ამ უბედური კაეშნის ღამის სანთელზე მზერა. გათენდი, მალე გათენდი, და მალე გადამარჩინე ამ არააღამიანური გვემისაგან. სული ამტკივდა, სული,“ - წარმოთქვა და კედლისაყენ გადაბრუნდა, რომ ცივი ნათელი კაეშნის ღამის სანთლისა თვალებს დამკინავად არ დასდებოდა. გადაბრუნდა და... დაქანცულს ჩასთვლიმა.

ჩასთვლიმა აბიბოს და... გაიგონა იღუმალი ხმა:

„აბიბო, სატანაზე სულმინაყიდი იგივე სატანაა. ხილული, ამქვეყნიური სატანა. გეა სიცოცხლეა, როგორც მიწის გარეშე არ შეიძლება ცხოვრება, ასევე გეას გარეშე შენი სიცოცხლე წარმოუდგენელია. გადი ეზოში, ქუჩაში, ხალხში. შენი შესაფერისი საქმე აკეთე. დაგცინავენ? ერთხანს გაუძელ. მერე ჩვენ ისევ შეეხვდებით, დამიჯრე, ასეა საჭირო. მე სხვა არა ვარ, მე შენი ხმა, შენი გუმანი, შენი სულის თვისება ვარ!...“

აბიბო შეკრთა და წამოდგა.

ფანჯრას მობრჭენოდა მღვრიე ალიონი.

შორს ბურუსიანი მთები ჩანდნენ.

ისინი მიწას დარდის კუზებად დასდგომოდნენ.

მიწა ადამიინივით დარდიანია.

მთა მიწის დარდის მოუცილებელი კუზია.

საღა ხარ, მზეო.

„მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა.“

გორა მიწის დარდის კუზია.

მიწის დარდს ნუ ეფარები. მზეო. ადამიანს მიუნათე.

მიწას დაადექი დედასავით, გული გაუთბე და გაუნათე, მზეო. შენ ხომ ჟელა და ჟელაფერს ერთნაირად ათბობ და ანათებ.

* * *

აბიბომ გადაწყიტა საშველად ისევ იმ ნათელი სულის ხმებს მიაშუროს, რომლებმაც ის ჯერ „დასცეს“ და დააკინეს, შემდეგ კი შინაგანად აღაზევეს და გაამაჭეს. მიაშუროს, მიაკითხოს და უთხრას, რომ ახლა სრულიად სხვა, განსხვავებული დროა, განსხვავებული შეხედულებებია სამშობლოს ბედსა და მდგომარეობაზე, თავდადებასა და მამულიშვილობაზე. სულ სხვა! ეს ის დროა, რომლის „შარვალი“ არ მოერგება სხვა

დროს. ნათელი სულების დროის „ანაფორა“ არაფრით არ მოერგება ახალ დროს. ვინც „ანაფორის“ მორგებას შეეცდება, დაისჭება ისე, როგორც დაისაჭა თვითონ აბიბო. წინაპართა საქმეების წინაშე თავისი დამსახურება ნამცეცის ოდენად რომ წარმოიდგინა, ხალხმა და, ასე განსაჯეთ, მისმა ღმერთივით ამაღლებულმა სიყარულმაც კი დასცინა და ამით დასაჭა. ამავე საქმეებით რომ გაამაყდა, სატანაშ დასაჭა და იგი მართლაც დამცრო. ტანად დამცრო, ქონდრისკაც გაუტოლა და თვალნათლივ ხალხის დასაცინა გახდა.

აბიბომ ვერაფერი უშველა მმ შეუსაბამობას, აუტანელ სიჯიუტეს თავისი დროის სინამდვილისას და ისევ და ისევ ნათელი სულების ღმერთს მიაშურა.

აბიბომ იმ მაგიურ ქვას მიწა გადააცილა, ხელის თრთოლვით გადაწმინდა, ფრთხილად გაღმოაბრუნა და მარადისობის უკვდავ სიგრცეს მიაყურადა, გულის ფრცქალით დაელოდა ნათელ, ხავერდოვან ხმას. მისთვის სულ ერთი იქნებოდა, რომელი ხმა გაეპასუხებოდა, პირველი კაცი, მეორე, თუ მესამე...

უცემ ჩაღაცამ ჩეამი მოძღო და აბიბომ სუნთქვა გაემინდა, დუშილი ჩამოწვა. მეტად ამაღლებებელი იყო ეს დუშილი.

აბიბომ იგრძნო, ჰა და ჰა, გაიგონებდა ხმას...

და შემოესმა: - რაი არს სიკუდილ, ყარიბო?

- სიკვდილი, სოფლისაგან, საკუთარი ხალხისაგან გაქცევა, მისგან დამალვა, სულო ნათელო. სიკვდილზე უფრო მეტია, როცა ხალხი არ მიგილებს, დაგცინებს.

- მე არა ვარ სული ნათელი. მე ნათელ სულთა საბრძანისის გამრივე ვარ, ვით არის წესრიგგამრიგე. რაზე გარჯილხარ ყურიბო?

- ნათელ სულთა უნაპირო ლირსებამ ჯერ დამამცრო, მერე გამაამაყა. ორივე შემთხვევამ გამაუტედურა. ნუთუ არ მაქვს უფლება დიდთა საქმეთა წინაშე თავისთვი ვიკრძნო მცირედ. ამასთანავე შინაგანად ავმაღლდე, რომ მე იმ ქვეწისა და იმ წინაპრების შვილი ვარ, რომელთა სახელი დიდისდიდებით მოიხსენიება.

- სამცირე და სიდიადე ორი დიდი უკიდურესობა. შენ ახლა გჭირს ამ ორი უკიდურესობის სენი. ეს სენი არის სასჭელლი შენი სულისა. შენ უნდა მიეცი კავშანს. სხვა გამოსავალი არა გაქვს.

ხალხს ვემალები, ასე დამცირებული რომ ვარ. სიყარულს ვემაღები ასე დამცირებული და შეურაცხყოფლი რომ ვარ.

- ნათელ სულთა მაგალითი ზღაპრულად ლამაზი პანორამა. მას ყველა თავისებურად ხედავს და განიცდის. ზოგი ცდილობს მიბაძოს, ზოგი თავითავში ვერ პოულობს ძალას და გაურბის. როცა სიყარული და რწმენა ძლიერია, აღაშიანი ყელაფერს იტანს: დაცინვას, დამცირებას, შეურაცხყოფას, ტანის დამახინჯებას, ჟელაფერს... შენ შეგიძლია უგულებელყო ნათელ სულთა ამაგი და იცხორო არხენიად, შეგიძლია არ უგულებელყო და მიეცი მარადიულ გვემას. ჩვენი მარადიული სიმშევიდის სამყარო ვერც ერთს დაგვალებს და ვერც მეორეს. ამ ორი გზიდან ერთერთი ყელამ თავისი შეხედულებებით უნდა აირჩიოს.

- მაღლობთ მარადიული სიმშევიდის სამყაროება, მაღლობთ, ნათელ სულთა საუფლოს წესრიგგამრიგე წამებას მივეცემი თუ ნეტარებას, თვითონ გადავწევეტ, რაკი ასეა საქმე, მართალი ბრძანდებით. საკმარისია, სატანას სული მიციდო და... გავხვდები ბედნიერი. მაღლობთ... მაღლობთ... მაღლობთ! - წარმოოჭვა, მძიმე, მაგიური შემწეობის ლამაზი ქვა თავის ადგილას დადო, კვლავინდებურად მიწა წააყარა წამოდგა.

საბრალო იყო აბიბო.

შესაცოდებელი იყო აბიბო.

მისა შემწეობა სჭირდებოდა აბიბოს.

ჩარძალა სჭირდებოდა აბიბოს.

ესინ იმედი სჭირდებოდა აბიბოს.

შემწეობაც, ძალაც და იმედიც თავისთავში უნდა მოეძებნა აბიბოს.

ჩაფიქრდა აბიბო.

შეეშინდა, აქ არავინ დამინახოსო და თავისი ფარლალალა სახლისაკენ წავიდა საკმაოდ გაუგებარი დიდი კითხვის ნიშნის წინამძღოლობით, მწარე ლიმილით და ტკივილაინი მოგონებებით...

სიყვარული თუ თხოულობს ხარჯს, მზადაა აბიბო.

სიყვარული თუ თხოულობს შესაწირს, მზადაა აბიბო.

ოღონდ ერთია, - ღმერთს ძლიერისაგან ურჩევნია შესაწირი, რაც არ უნდა იყოს იგი.

რათ უნდა ღმერთს უძლურის, გლახის შესაწირი.

რათ უნდა ღმერთს უიმედოს შესაწირი.

რათ უნდა ღმერთ ქონდრისკაცის შესაწირი.

ღმერთი!

რა დაგიშავე, ღმერთო.

ჩაგონე სატანას, ერთხელ მაინც ქნას სიკეთე, გარდმომაქციოს, მქმნას იმადვე, რაც ვიყვი, რომ მომეცეს ქმედების, სიკეთის ქმნას ძალა, რომ ღმერთმა ინებოს ჩემი შესაწირი, რომ... რომ.. და რომ დამიბრუნდეს ადამიანური სიამაყის გრძნობა!

აბიბო, სახლისაკენ უნუგეშოდ მიმავალი აბიბო ასე რომ თვითისიტუაცია აბიბო, ვერ წარმოედგინა, რომ მას ამჯერად უჩინარი სატანა უკან მისდევდა, ყველაფერი ესმოდა და გუნებაში იცინოდა: „ვაი, შე ბრიყვა აბიბო, როდის იყო, რომ სატანა სიკეთეს ქმნიდა. ღმერთს, ჩემს მოპირისპირესა და წინააღმდეგს, ჩემთვის მიუღებელ ღმერთს ეველრები, „ღმერთო, ჩაგონე სატანა, ერთხელ მაინც ქმნას სიკეთე, გარდმომაქციოს, მქმნას იმადვე, რაც ვიყვი“. რატომ ვერ ხვდები ბრიყვო აბიბო, რომ მე შენ იმადვე თუ გაქცევ, რაც იყავი, განადიდებ შენს წარსულს, გამწყაზრებულს ნათელი სულების არნახულად დიდი სიბეჭითით. ისევე გამწყაზრებ შენს დღევანდელობას და ამით შემაძრტუნებელ, სატანათა სამრავანისში ჩემი საქმიანობა, ჩემი პირდაპირი მოვალეობა არარაობად ჩაითვლება, ვეღარ გავამართოლებ ჩემს არსებობას ამ ქვეყნად. ჩემი მოწოდება, საქმე და მოვალეობა ისაა, რომ სიკეთის ეტლს გაციბრუტებულ ბორბალში უჩინარი კეტი გავუყარო და მისი წაღმა სვლა შევანელო უკან დაქანების მიზნით. შევანელო და შევაჩერო! მხოლოდ წაღმა მავალი შეიძლება შედგეს და დაქანდეს. ზემოდან ქვემოთ ვარღნილი არასოდეს არ შეჩერდება, სანამ იგი მიწაზე არ დაეცემა. დიახ, აღმავალი შეიძლება შედგეს, დაღმავალი კი არასოდეს. ეს მისია თუ ვერ შევასრულე, ჩემს არსებობას არავითარი გამართლება აღარ მიეცემა. შენ ერთდროულად ორ ცოდვას ჩადიხარ, აბიბო; ჭერ ერთი, ჩემს მოწინააღმდეგეს ევედრები, მეორეც - ჩემგან სიკეთეს ითხოვ. ეს ჩემთვის მეტად შეურაცხმულელია და მე შეი ამას არ გაპატიებ“.

სატანამ თავისთვის ეს სიტყვები ჩაათავა თუ არა, აბიბოც თავის ფარლალალა სახლში მივიდა, მიმოიხედა, ხომ არავინ მხედავსო ასე დამკრობილს, და კარგი შეაღ.

სატანამ იცოდა, რომ იმ დღეს აბიბოს უნდა სწვეოდა გეა. იცოდა და... მეტად

ჯემალ ჯაფელი

მზაკვრული ოინი ჩაიფიქრა ბიჭის უფრო სათრევად და დასაცინად. ეს კი იმის გამო, რომ არ იქნა და ვერ გადაათქმევინა ნათელ სულთა სიყვარული, მათი ნაამაგარით გაოცება და ნატვრა, - იმოქმედოს ისე, როგორც ეს მოეთხოვება ჰქოშმარიტ მამულიშვილს.

მაინც რა ჩაიფიქრა სატანამ?

* * *

იმედგაცრუებული აბიბო საწოლზე ჩამოჩიდა. ფანჯარას ღამის ბინძი მოსწოლოდა. აბიბო დაწვა... ვრსკვლავის დანახვა რა დიღი სანატრცებელია. მაგრამ არსალ ვარსკვლავი არ ჩანდა. ვერ დაინახა და ცუდად ენიშნა.

ტაბლისაკენ გაექცა თვალი.

ის დასაწვავი სანთელი თავისით აანთო.

„ვიცი, ვის ემსახურები შენ, სანთელო, მაგრამ მაინც მაღლობელი ვარ შენი. უშენოდ ალბათ თავს ისე ვიგრძნობდი, როგორც საფლავში - ცოცხალი კაცი.

მაინც მაღლობა შენ, სანთელო! - წაიბუტიბუტი აბიბომ და ტანთგაუზდელად დაწვა.

მეტად გრძელი, ეკლიანი და იუტანელი აღმოჩნდა კაეშნის ეს დამეც.

როდის, როდის...

როდის გათენდა, ალარ ახსოებს.

თითქოს ერთი გაუთენებელი წილია, რაც წევს.

კი, ასე მოეჩვენა აბიბოს.

არა, მაინც რა ოინი ჩაიფიქრა სატანამ აბიბოს წინააღმდეგ, რომელსაც ამ დილიანად გააკეთებს?...

* * *

სატანამ წინააღმდით დაინახა, აბიბოს ეზოში მოკლული გველი არ აგდია. გამოდის, რომ აბიბო სატანაზე სულის მიყდვას არ აპირებს.

გაჭავრდა სატანა.

ერთი გაჭავრება ახლაც გაჭავრდა: - როგორ გაბედო აბიბომ ღმერთზე შევეღრება, სატანამ სიკეთე მიყოსო. როგორ გაბედა!

და... სატანა თავისი მაგიური მაქტიობით გადაიქცა... ვეად. დიახ, მთლიანად, სულ-ხორციანად, თვალუანალობით გადაიქცა გვად. გადაიქცა და... ეწვია აბიბოს, ეწვია და საკმაოდ ჭიქურად, გაბედულად, დაუკითხვად შეაღო ფართალიალა სახლის კარები და მოულოდნელად თავს წაადგა დასვედიანებულ აბიბოს.

დიახ, დაუძახებლად, გაუფრთხილებლად და მოულოდნელად, რომ აბიბო სირცხვილისაგან კვლავინდებურად მეორე ოთახში არ “ჩაეტილიყო”.

- გამარჯვება, აბიბო! - თქვა გვად გადაქცეულმა სატანამ, - შესახედად სრულქმნილმა გვაძ.

- გამარჯობა, სულო ჩემო! - თრთოლვით წარმოთქვა აბიბომ და გაფითრდა. თავისითავს ტერთებამდე ჩააყოლა დაფეთებული, მწუხრით მოცული მზერა და ისევ დამწუხრდა, ისეთი შთაბეჭდილება ქონდა, თითქოს უსაშეველო დანაშა უზე წაასწრეს. - ელოდენ სრულქმნილი სიმაღლისა და ახვანი გარეგნობის აბიბოს და ხელში შერჩათ ქონდრიყაცი, რომელიც გვას მუხლებამდე თუ წვდებოდა.

შეწუხდა და შეძრულდა აბიბო.

გეო - სატანა გუნებაში იცინოდა.

აბიბოს თვალებში ცრემლები ჩაუდგა:

- მაპატიე, გეო! - თქვა ამ ქონდრისკაცმა და ქვემოდან „დამწვარი“ თვალებით ამოხედა ტანაშოლტილ, ულამაზეს „გეას“.

- აბიბო...

- გისმენს შენი უბედური აბიბო.

- რამ გაგაუბედურა ასერიგად?

- ორმა უბედურებამ... მაგრამ არა უშავს რა. ის, რამაც გამაუბედურა, ღირს

მისთვის გაუბედურება, თავის დადება.

- რა არის ეს, აბიბო?

- გარდასულ თაობათა ღვაწლი. მისი დაფასებისა და სიყვარულისათვის ღირს გაუბედურება...

- ჩემს სიყვარულს რაღას ეუბნები, აბიბო.

- თავისთავს მირჩევნიხარ, გეო, ჩემს საკუთარ სიცოცხლესა და თვალებს, ყველაფერს მირჩევნიხარ.

- მაშ, რატომ არ გარდმოიქცევი?

- ოხერი სატანა მიშლის. სული მომყიდე და გარდმოიქცევიო, ასე მეუბნება. სული როგორ მიყყიდო სატანას?!

- რას გულისხმობ სულის მიყყიდვაში, აბიბო?

- შენს სიძულვილს, გარდასულ დროთა ღირებულებებისა და ფასეულობების სიძულვილს. ყველაფრის, რაც ერთიანობით არის ლამაზი, იმის დაშლას, დაქუცმაცებას, გულგრილობას.

- მერ, შენ რა?

- არ შემიძლია.

- არც ჩემი ხითრით, ჩემი სიყვარულით მაინც - არ შეგიძლია სული მიჰყიდო და კვლავაც გარდმოიქცევი?

- ხომ გითხარით, სიცოცხლეს მირჩევნიხართ ქეთქი.

- მეფონა შენ მეხუმრებოდი, როცა მიმტკიცებდი, რომ პატარა ვარ, მდოგვის მარცვლის ოდენა ვარო...

- ასე წარმოვიდგენდი თავს.

- ტანადაც რომ დამცირებულხარ?

- აკი გითხარი, სატანამ დამატრო მეთქი, რადგან სული არ მიეყიდე.

- აიღე და მიყიდე სული. რათ გინდა ისეთი სული, რომელიც გაგაუბედურებს. გააკეთე ისე, როგორც გეუბნება სატანა და მორჩი. შენც გაბედნიერდი და მეც გამაბედნიერე. დაფიქრდი, დაფიქრდი! თუმცა აქ დასაფიქრებელი არაფერია. თუ თავი გიყვარს, ისე უნდა ქნა, როგორც გეუბნებიან, თუ გეა გიყვარს, მხარი უნდა გაუსწორო.

აბიბო ძალიან შეწუხდა.

დაიბნა.

თვალი ფანჯრისაკენ გავჭირა.

ღია ფანჯრას შორით მოსდგომოდა მიწაზე გართხმული, უფრო სწორად, მიწიდან მუხლებში მოუწეველი აგავა, რომელიც მოელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელ აყვავილდება და... ხმება. თითქოსდა ისჭება, რატომ აყვავილდიო... მის გვერდით იდგა ალვის ხე და ამაყად შრიალებდა. აგავა და ალვა დგანან ერთად. ერთს „მუხლები“

მიწიდან ვერ წამოუშევია, მეორეს ტანი აუყრია და ლაუგარდებს ელაციცება. აგავაძ
მაინც სხვანაირად გაეკრძლა გულში. – ერთხელ იგრძნო ბედნიერება, ერთხელ აფავდა.
და... მისი სულის თვისებიდან გამომდინარე, გახმა. რა ახმობს მას, ალვის სიმაღლე
თუ ბედი? ერთიც და მეორეც, ალბათ!

ამ შედარებამ გული ატყინა აბიბოს და იქაურობას საჩქაროდ თვალი მოაცილა, გაიხედა სადღაც შორს, შორს, რომ მსგავს გაუწონასწორებელ ხილვადობას გაქცეოდა, მაყრამ ამაოდ. შორეული ჰორიზონტის ხაზი გაერლვია და მწვერვალით ლაჟვარდოვან ცას მისწვდენოდა მთა ოეთრობი. მის წინ ამ წერწეტა და ამაყ მწვერვალის წინ მიღებული იყო პატარა ბორცვი, რომელიც „ოეთრობს“ შუქლებამდეც ვერ წვდებოდა და მისი მშვენიერებით დატკბობის მიზნით ჭვემლან შესციცინებდა.

ამ საოცარ გასამზირალსაც თვალი უკრანურად მოსწყობული აპიბომ და უნებურად გეას ახედა. გეად გადაქცეული სატანა გუნებაში იცინოდა. ერთიც მოხდა ისე, რომ მიღიონ სატანურ ნაპერწყალში ერთი სიბრალულის ნაპერწყალი აინთო აპიბოს მიმართ, მაგრამ... სატანა აბა რისი სატანაა, ამ თანაგრძნობის ნაპერწყალს წამში თუ არ ჩაქრობდა. დის, ჩაქრო და გუნებაში აპიბოს მიმართ სატანურად ჩაიქირებილა. ერთიც ცერად გაღმოხედა საბრალო ქონდრისყაცს და განვეტ უთხრა:

- కేంద్ర సిక్యూరిటీలు, గ్రూప్ ల అంతర్జాతీయ గాంపెనీలు. ఈట్, నొండ అన ఫిలండ్ గాంపెనీల్యో? అబిందు శ్రీమత్తీశ్వరుడు.

„ଗୀବି“ ଲାକ୍ଷ୍ମୀଶ୍ଵରା:

- ვხედავ, არა სარ გუნდებაზე და ამიტომ გითხარი. წამო, ცოტა გავიარ-გამოვიაროთ, გავისეირნოთ. გულს გადააყოლებ.

აბიბო გეასთან ერთად ჭოჭოხეთშიც სიამოვნებით წაყიდოდა. მაგრამ... როგორ გაისეირნოს ამ ტანაშოლტილ გოგონასთან ერთად ამ ქონდრისკაცმა. ამ გასეირნებით ხომ კიდევ უფრო გაამახვილებს მისდამი ხალხის ყურადღებას, გამოიწვევს არაერთობისაუკან აუნაზრწობებს. შეიარაღავმოსალის თანამდებობას, მაგრამ მრავალთაგან

ტუ ჭრელი კაბის შარიშურით გადწვდის მიწვევას,
და ბჟოლის ძირას დაქანცული თვლემს მეტოვე.

ველარ აღვაღგენ გზას სოფლის სკოლის
ეზოდან ჩემი სახლის კარამდე?
ოთახს, გაქსელილს იდუმალებით?
საწერ მაგიდას, სკამებს, კარალებს?
დედას - სიკეთის ნიშანს, მოლოდინს
ყოველ საგანთან ზეზე რომ თვლემდა?
სამკუთხა მტრედებს - მამის ბარათებს?
ჩემს ჩუმს კამათს და... თანხმობას თემთან?
გზა კი... ებრძოდა ქარსა და ყინვას
და გაზაფხულზე კანსაც იცვლიდა

දා පාස ඩේස්ට්‍රික්ටූමය දා එකාර්ප්‍රාලෝධය දා
දෙපොලිසුයාන මුද්‍රණය මුළුයි සිපිලතාන.

ශානාපු - සළංචිනා නිවැරදි තුළුරු තුළුරු

ශ්‍රේෂ්ඨයේදා මුරුගේ දා ජ්‍රිභාලෝධය දා

ලාමිත ප්‍රේන්ස්මය දා ග්‍රෑට්‍රාභ්‍රේදය දා

ඡ්‍රීඩුඩ්‍රාඩ්ස් නිවැරදි මුද්‍රණය තුළුරු

ස්ට්‍රේන්ඩ් තුළුරු තුළුරු තුළුරු තුළුරු තුළුරු

වුනේබිස් ගාර්ඩ්මෝ නාශේන්ඩ් තාර්... යුලුසියා,

ඇඟ ඒඹුදා දා ඇවු යුනුනිස් ම්‍යාවරුදෙබා ආර්සි.

අර්සිත ම්‍යාවුදෙලා තියෝ සුළුවිස්, මුළුස් ගාර්ලය, අර්සිත

මිස්ට්‍රේව්‍යේලා දා ජ්‍රිභාලින්යේ තුළුරු මුද්‍රණය තුළුරු

ප්‍රාසා දා මිථ්‍යා මුළුර්හිත තැන්ත්‍රිස් මේ දා මුළු මාර්ටි,

සාම්පාර්ලු මුළුලිය තියෝ සුළුවිස්, මුළුවිස්, සාම්පාර්ලු

මුළු - තියෝ දා තියෝ ග්‍රෑට්‍රාභ්‍රේදය දා තියෝ මුළුලිය,

රාස් ගේද තුළුරු?! තුළුරු තුළුරු අර්සි මාර්ටි.

මුළු දා මිථ්‍යා මුළුර්හිත තැන්ත්‍රිස් මේ දා මුළු මාර්ටි

මුළු... දාවුදේද සියාරියුදෙස්,

රාමලියා නාකිර්ණීය තියෝ අඛ්‍යා මිත්‍රාක්නෑදයේ තැන්ත්‍රි.

කුදාලු මුළුර්හිත මිත්‍රාක්නෑද තැග්‍ර දාවුදේදාරියා

මියාම්මාඟේදා දා මියාම්මාඟේදා.

දා ගාන්ඩ්‍රාභ්‍රේදාස්, උංක්‍රාභ්‍රේදා, රාම ගියේදා,

මිවිලුදේදා රාමග්‍රාභ්‍රා මුළුලිය ගාම්ප්‍රාදා,

දා තියුරේදා තියුරේදා තියුරේදා තියුරේදා,

ගුලුදුරුදාලිය යාමියා තුළුවාස් රාම ගාංච්‍රාභ්‍රාදා.

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත තැන්ත්‍රි, රා මුද්‍රණයාලා

දා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

ෂුජ්‍යා මුළුර්හිත ප්‍රේන්ස්මය තියුරේදා තියුරේදා,

රාස් ගාංච්‍රාභ්‍රාදා මුළුලිය තියුරේදා,

მის მოკამკამე ვარჩის შაღრევანს,
ფეხებს მოირთხამს მის წვერზე მთვარე,
და მოუსვენრობს, და იბადრება...
და ლვთისმიერი სრულებრივი ხალისი
მით უფრო გვიბლავს, რომ ვედარ ვწვდებით, -
როს გვხვეწს და გვაწრობს და გვაფაქიზებს,
- სად მიიქცევა ჩემს სულში წლები?...

მე თხუთმეტიდან ერთისაკენ მივიღები შვებით, -
ამდენი დარჩა, დროის წიაღ გიხილავ სანამ;
გუმანი მშეიდი სიხარულით აღიქამს სამანს,
ახალ დასაწყისს იაკროსის თუ გრძნობენ ფრთები.
წრულ რომანტიკას ციფრის სიბრძნე ხიბლს მატებს კიდეც:
მე ამ ორ კვირას, - ვიტერბობ გულში, - მილიონ წამად
რომ ვაქუცმაცებ, სულსწრაფობის ვიგონებ წამალს!...
და ვით აფიშას - მზის ოვალზე შენს სახელს ვაიდე.

შენ შენი სინამდვილე გწვავს - მხოლოდ შენია იგი,
და სიამაყით იხურავ მზის მოკაშაშე გვირგვინს,
ვარსკვლავებს ხელისგულებზე დაიყრი - ოქროს ხორბალს, -
და ყოფნასავით კონკრეტულს - ცეცხლს მოგაგებებს ხორგა.
აქ, რცხილის ჭირკზე, ჭარგვალში, თავები ეწყო ჭვრებად
თხმელის ხმელ შეშას, კუთხეში, წითელი ხარი ება...
შუალებელს გაღმა-გამოლმა შემოსხდომოდნენ მშვიდად
და წინაპარი /ცოლ-ქმარი/ ოქროსფერ სიმინდს ფშვნიდა.

ლვთისანაბარა დარჩენილთ, ყვავილებივით მართალთ,
მარადის დაუნახველი სამყაროს სული გვმართავს:
გულზე გადაგვდის დგაფუნით, გით ნუგბარი წყალი
და ფიქრის დოლაბს აბრუნებს ქმნადობის მძაფრი ძალით.
და „ძაფი ნერვის არ არის“ ჩვენში მფეთქავი უქმად,
გააკაშაშა ვრცებული სული სურგილის შუქმა.
და, ბუნებაზე დანდობილთ, მზით გვიცახცახებს მხრებინ,
პირს დაგვთამაშებს ლიმილი: თითქოს რაღაცას ვხვდებით.

ფეხზე გკიდია სანამ სიკვდილი,
სანამ სიკვდილსაც ფეხზე ჰყიდიხარ,
ყინჩიობ, არყოფნას ეთამაშები -
სიცოცხლესავით მიამიტი ხარ.

მაგრამ თანდათან ქრება ღიმილი, მისრიც ცხინვლის ძან
ხოლო ის დღე-დღე უმატებს ქირქილს, მნიშვნილობ პრეცე
შენც, უნებლივდ, ფეხს აჭერ მუხრუშს; და მორმდებულობ თე
დრო კი... დრო მაინც მიჰქოის და მიჰქოის.

უსლუბილი ინტერიერით მართვის და მწერის მარ

ბეღდიერება, როგორც მირაჟი, ინტერიერი თე მიუცი დეპნიინ ფა -

ხელებს გაუწვდენ თუ არა, ქრება,

თუმცი... სიხარულის ყოველი წამი

ჩიუზე ყრია უცნაურ ქვებად

და კოცნის ტალღა - ზღვის მძაფრი ვნება - იმურია იმურია

მათ გადარჩენას და მშვიდ სიმყარეს, იმის იუინი იმისცემ

და მეჩვენება - ჩემს ნამყოს, აგრე, მარტივი მსუმავი უძა

ქაფის სანთლები გამორიყავენ.

სამყაროს სულის უსაზღვრო ტევრში

ჩემიც შრიალებს წყვილი ფოთოლი, ცურცელების ცურცელები

მათი მშფოთვარე სიზმარ-ცხადიდან

ხისტად მომძახის სიტყვა: - ფოთელი!

და ოოლია ყოფნის შეგრძნება: -

აქ სუფევს ჩემი გენი და ფესვი, ცურცელების იმური მერი

საუკუნეთა სიღრმეებიდან ცურცელების იმურია თე

კოლხური ცულის კაკუნი მესმის

კოლხური ცულის კაკუნი მესმის - კოლხური ცულის კაკუნი მესმის

კოლხური ცულის კაკუნი მესმის - კოლხური ცულის კაკუნი მესმის

არ შეგიძლია: სხვებივით დათმო? იცნო, როცა უნდა ტიროდე?

ყულსმობრუნენილი ბოლმის გარეშე უს წო ცრუთა გაბმულ

ტირ. წს?

არ შეაგებო სიტყვის თამაში - თამაში სოლომონ ისაკიჩების?

არ გადაკოცნო ბირჟავიკები: ტ. ჭანტურიას ყინჩი ბიჭები?

მოკლედ, ჯელაფერს ისე აკეთებ, როგორც შეშვენის გულმართალ

პოეტს?

მაშინ წინასწარ უნდა იცოდე - სულის სიმშვიდეს ველარსალ პოვებ.

როს დაიგულებ ახლოს დიდ მიზანს და გულს იმედის ადგას არილი,

არ გაგივირდეს, თუ მან გიგანა სწორებ, ვისგანაც ღალატს არ ელი...

* * *

ათასწერ უფრო სამი ხარ, როცა ვიგონებ,

და ახლა ვწვდები: ღვთის იდეას პასუხობს თურმე.

გადაიტარებ მკრეხელ გულზე ჭრიალა ურემს

და მზეს აკითხებ ზედ ბორბლებით ნაწერ სტრიქონებს.

და მოვარის რბილი გარინდებით მუხტავ მოლოდინს.

ამ ტერფთა დამღა ვერ წაშალა ქარმა და წვემამ.

და ჩემი სულის ჰერალდიკად შენს მკერდზე ბრწყინავს... ეს

ამოუხსნელი დარჩი ჩემთვის მაინც ბოლომდის...

ახალი სიუვარული

ცენტრული კულტურული და საზოგადო ცენტრები

გამოშიფანე დალლილი „მე“-დან,
 თუმც სად მიგჭავრ, არ იცი თავად,
 და ჩირის ფასიც არა აქვს ჩემთვის,
 რასაც აქმდე ვეძხდი - „მთავარს“
 და ველტვი ახალ განზომილებებს,
 რომელთაც ძნელად თუ ვეთვისები,
 მხოლოდ იმიტომ, რომ თვალებს მჭრიან
 სხვა ელგარებით და სხვა ღირსებით.
 შენ კი იცინი /აზრზე არა ხარ!/ -
 თამამი, ლალი და ბუნებრივი,
 და თას მავიწყებ და მე ვიბნევი.
 და დრო მიცურავს აისბერგივით,
 ვიცი, რაც წყალჭვეშ დაფარულია,
 ხილულს ათასჯერ აღემატება -
 და მსურს ოცნების თვალი ვუწვდინო
 არ შემდგარ ფერთა უცხო ნათებას,
 მაგრამ ამაო არის ყოველი -
 დღეს შენი ნიშნით ბრუნავს ცამყარი
 და კიბორჩხალა მზის გულს მიელტვის
 და ვერეს პირას ღუს მაყვალი.
 და მიწიერი და ღვთაებრივი
 წინასწორდება შენი თანხმობით:
 მწვანე დაბლობი ღურჩ შედს ასცემერის
 და მდინარეზე ჩარბის შალლობი.
 ფრთებჭვეშ მოიმწუდევს სიგრცეს არწივი
 და ნიავს კვალში მისდევს წიწკანა,
 ფიქრში - ვით წყალში ფოტო - მუღავნდება
 ფერადი კითხვა: - ცა ვარ? მიწა ვარ?
 აღზევებულა ახლად სიცოცხლის
 თავბრულამხვევი სრბოლა-კორიდა
 და სამყაროულ ქროლა-ქაოსებს
 შენ სატრუოს თვალით ზვერავ შორიდან,
 და ფრთებს აიძნევ და წაიგრძელებ კისერს -
 მოაპობ ჰაერს გედივით
 და შენს სრულყოფილ ფორმას შეივილით
 გარს უვლის უამი მარადმედინი.
 ციმციმებს შვილი - მეშვიდე თვეა.
 მზე ხურს კირჩხიბის ზოდიაქოში
 და დღეს ცის ბანზე გამოეგება
 და მობარბაცებს მთვარე ზორხოში.
 და ციბრუტივით დატრიალებულ
 რვიანს არილი აღგას ტრფიალის
 და აფროდიტე იისფერ ნათელს
 გვაპკურებს ციდან მთვარის ფიალით.

საქვარელი პოეტის სურათი

ტარიელ ჭანტურიას

პაწაწინა კაბინეტი...
ბოლთა... ფიქრი... ერთიც ვნახოთ,
სულ შემთხვევით შეგხედეთ და მუსიცები დებ
სურათიდან ლექსს მყარნახობთ
და ჭიგიანი თვალებიდან
იმნაირი ღველფი ცვივა,
სანამ სურათს შეგხედავდი,
მციოდა და - ალარ მცივა...
თამაზ წივწივაპეს

არ მინდოდა დამეწერა ლექსი,
მსურდა ისე, სულ უბრალოდ მეთქვა:
ვთამამდები, თქვენი ხმა რომ მესმის,
აშაც ვარ შეგობრობით თქვენთან!

თუმცა მაინც დაიწერა ლექსი,
ბენებრივი, როგორც გულის თქვებ, თე არ
თამამი ვარ, თქვენი ხმა რომ მის, თე არ
მიხარია სიახლოვე თქვენთან,

მიხარია გამოწვდილი ხელი,
საეშმაკოდ მოჭუტული მზერა, კუთხია მის მოვე.
ხუმრობაა ფელა სიტყვა თქვენი, თე არ
მე კი თქვენი ხუმრობისაც მჩერა.

როგორც გხელავთ, გხატავთ სწორედ ისე,
ვისაც ნებაეს, ჩამითვალოს ხარკად
(სანამ ხარკი არ მივართვა ვისმე,
მეც ვიყო და თქვენც მეფოლეთ კარგად!).

საწუხარი გქონდეთ რაგინდ ბევრი,
სხვისას მაინც არ მიიღებთ უცხოდ,
თქვენი ცეცხლით, თქვენი სულის ბერვით
რა რამდენ ობოლს კვერი გამოუცხა!

არც მეფის და არც არავის კარად
არ მისულხართ მიწისქვეშა ხერელით,
უთვალავ დარღს დაატარებთ დარღად
კეთილ გულზე დადებული ხელით...

P.S. ისეთი ხართ, თქვენ არ იყოთ თითქოს,
კალმის წვერით, ზოგს რომ ათრევთ წვერით.

ერთველ კარლაშვილთარებს - ზოგიერთის გარდა

(კინოფილმ „ჭვევრის“ თემაზე)

ღადავისთვის ღრო და შუქიც თუ,
ვაკვირდები ეკრანსა და ეთერს -
ქრისტესა და სამჭუაშვილს შუა
რა ძალიან დაემსგავსეთ ერთ-ერთს!

შინაომი

ჩემს სახლში შინაომია
მრისხანე ფეოდალების,
მე მეშინია მათი ხმის,
მათი ბრიალა თვალების,
მათი პატაწა ბუშტების,
და ვარდისფერი ტუჩების,
ფეოდალების - კუშტების,
ფეოდალების - ურჩების.
ომი ძველ ვერ გაუჟიათ
ალმასები და ლალები,
ვერც სამფლობელოს იყოფენ
ბობოლა ფეოდალები,
ეს ნალი მესაკუთრენი,
ეს ნალი ფეოდალები,
ლამაზი ფეოდალები,
სიცოცხლე - ფეოდალები!

რა უძლერა ევამ ადამს

ჩემს საკუთარ სახელზე
უფრო მეტად ჩემი ხარ,
ყველა ტკივილისაგან
ჩემი გადამრჩენი ხარ,
საბოლოო, უცვლელი,
მტკიცე განაჩენი ხარ,

თავი არ მავიწყდება, ასა ცის თუ მიფენ ცის
 რაღან თავს მიჩრევნიხარ, აძლევდებოდა უდაბენია
 სხვას ჰგონია, სხვისი ხარ, თუ მუსთ გაუდილ
 მე ვიცი, რომ ჩემი ხარ,
 ბედისწერის ნება ხარ,
 განა ასაჩრევი ხარ, რომ ითვი 3.9
 ავდარი ხარ, ავდარში ქვით თიპეც ქანი
 საიმელო ჭერი ხარ,

უდაბნო ხარ და იქვე ავტომობილის მიმოხილვა

თაზისის ჩერო ხარ.

ასეთია სიმართლე:

სამწუხაროდ, ჩემი ხარ, მიგოძინდეთ
 ჩემი ჭრელი ნატვრის ხის
 ძირში გადამჭრელი ხარ, თუ ძეტისობრ
 დიდი არამზადა და
 ნალდად დასაჭერი ხარ,
 შენი სახე წინ მოდის -

ჩემს ლექსებში წერიხარ.

ძარღვში რომ მაქვს, იმ სისხლზე

უფრო მეტად ჩემი ხარ! იუსტიცია ენცი
 წამწამისოთვის მძიმე ხარ,
 შიგ გულში ჩამრჩენიხარ, წერძინები ენ
 ამერიკა რა არის,
 ჩემი აღმომჩენი ხარ, არწივი ითან
 უთვალავი ქალიდან,
 ჩემი ამომრჩევი ხარ. - ქინდუთოც

მე ასე მსურს! ამიტომ:

სიკვდილამდე ჩემი ხარ, ადამიანი ინო
 თუმცა გარეული ხარ თუ იწესინუ
 თუმცა მოსაჩვევი ხარ,

ლვთის წყალობა კი არა -

უფრო ლვთის სასჯელი ხარ, იუსტიცი
 მაინც სასურველი ხარ,
 მაინც თავს მიჩრევნიხარ.

შენ რომ ოვალი დამადგი, ლეტონის

იმწუთიდან ჩემი ხარ, სწორეთ ისე.

ჩემი დარღის მიზეზი

და ცრემლების მდენი ხარ,

ლამაზი ხარ, გონჯი ხარ -

უჭიუო ხარ, ბრძენი ხარ -

რას გავაწყობ, თუ გმჩენს

ჩემთვის გაუჩენიხარ.

მკერდში რომ მაქვს, იმ გულზე

უფრო მეტად ჩემი ხარ,

ჰიტლერი ხარ, საღი ხარ,

მუსოლინზე მეტი ხარ,
 ნაღდი აგაზაყი და
 ნაღდი დასახვრეტი ხარ,
 დანიელი ჰამლეტი,
 კოლხი აიეტი ხარ,
 ხან რომ გრაფი დრაკულა
 და რომ სისხლის მსმელი ხარ,
 ხან ჰქეუზე შემშლელი
 ხელის გადამსმელი ხარ,
 ყანულივით ცივი ხარ,
 ხანძარივით მწველი ხარ,
 შენგან დაცვა მჭირდება
 და პირადი მცველი ხარ!
 ვერასოდეს აგიხსნი,
 რა ძალიან ჩემი ხარ -
 (ა),) თვალში რომ მაქს, იმ ჩინზე
 უფრო მეტად ჩემი ხარ,
 ჩემს საკუთარ სახელზე
 უფრო მეტად ჩემი ხარ,
 სამწუხაროდ, ჩემი ხარ!
 მადლობა ღმერთს, - ჩემი ხარ!

ეთოეთის მიერ მოსიპლულ მააკაცე

იუმორუსება

ეს ბანოვანი, თვალებს რომ ნაბავს,
 რომ გარტყმევინებს ნაფასზზე ნაფაზს,
 შენ თუ ვერ ხვდები, გეტყვი: ნადირობს - (მი)
 თუ უკვე არ ხარ დაბმული - გაბამს.
 ნუ გაებმები, გთხოვ მისი ტანი და კაბა,
 ნუ გხიბლავს მისი ტანი და კაბა,
 თუ დაბმული ხარ, სცადე, აეშვი! -
 არ გირჩევნია, მე რომ დაგაბა?

* * *

დასდევს მსუბუქად დასხლეტილ კაბას
 მზერა - ხან ცეცხლი, ხანაც - ყანული
 და როგორც ტჯით - სამიზნე დაფა,
 შენი თვალებით ვარ დაცხრილული

და როგორც - ტჯია სამიზნე დაფას,
 შენი თვალებიც ვერაფერს მაკლებს,
 გაკლივარ, როგორც სიმართლე - ზღაპარს -
 გაკლივარ, როგორც მაკლები - საკლებს...

სიყვარულის ახსნა

არც იფიქრო, რომ სიყვარულს გიხსნი,
ან მსურს, მომცე ერთგულების ფიცი,
ვიდრე ძარღვში - საკუთარი სისხლია
შენთვის უფრო საჭირო ვარ, ვიცი!

გიცნობ მარტივ მამრავლებად დაშლილს,
ვიცი, მეტრფი უცნობსა და თამამს
და აღმერთებ ამ მშვენიერ კავშირს,
მშვენიერს და უსაშველოდ მთავარს!

ლომი

ვარ გადაცმული დიასახლისად - წ თბილი
ვდიასახლისობ: ვრეცხავ, ვამზადებ,
ვაუთოებ და ვკეცვ ფაქიზად,
თან გემუქრები: ცოტა მაცადე!

შენ რომ გვინივარ რამის მაქნისი,
ეს - თავს გაჩვენებს რამის მაქნისად,
რისი და რომელი დიასახლისი! -
გადაცმული ვარ, დიასახლისად!

გადაცმული ვარ, როგორც წყერთელი
(ის: ქალი - ლომად, მე: ლომი - ქალად.), მე
მოხეტიალე და მუშკეტერი
მუშკეტს ჭინსაფრის კალთის ქვეშ ვმალავდ

ცოტა მაცადე! თუ დასრულება
ამ უცხო როლის ღმერთმა მალირსა!
არ გავჩენილვარ მე ამ როლისთვის -
ღროებით შეგრჩი დიასახლისად!

სამწევარო განაჩენი

ვისმენ ცხოვრების განაჩენს
(მსაჭული ჩაქუჩის ურტყამს):
- ორში ძლიერი ის არის, უროგორ ღდეოუსაზ
ვისაც ნაკლებად უყვარს!

ახსოვდეს ყოველ სულიერს,
შეყვარებული თუ ჰყავს, -
ორში ძლიერი ის არის,
ვისაც ნაკლებად უყარს!

დაუკროვებებები მავნეგლობა

მოწყვნილობა გადადე გვერდზე -
ვიწყებ საძირკვლის თხრას,
ოღონდ, არ ვიცი,
ოღონდ, არ ვიცი,
ზედ ავაშენებ რას.

უნდა შეგუდე დაბეჭიოებით
ქვისა და ღორლის ყრას,
ოღონდ, არ ვიცი,
ამ საძირკვლზე
სახლს ავაგებ თუ - რას:
იქნება, - ტაძარს, იქნება, - ციხეს,
იქნებ, - სასახლეს სრას,
მართლა არ ვიცი,
ამ საძირკვლზე
ბოლოს ავაგებ რას.

მიღიან დღენი, ვაგრძელებ ჩემთვის
ბეჭითად ოფლის ღვრას,
თუმცა, არ ვიცი,
რას შევდგომივარ -
რისი საძირკვლის თხრას.

რისკა და აზარტს ვერ ჰეტკი უარს,
ვერც - მოულოდნელ სვლას,
მიტომ არ ვიცი,
ამ საძირკვლზე
ბოლოს ვიხილავ რას.

ქრისტიან. აუგუსტისტიკა



გრიგოლ რობაქიძე

ვასილი როზანოვი

ჭვებანას,
საცა
უსამართ სტეპანში
გაისძის
აპოვალივსის ჰუნეთა
შორეული გუგუნი -
რუსეთს -
ქართველი პოეტი
სიყარულით უძღვნის
ამ ნაზრს.

„სახე წითელი, კანი რაღაცნაირი უსიამოვნო, ლაპლაპა (არა მშრალი). თმები პირდაპირ ცეცხლისფერი (გიმნაზისტის) და აშვერილი, მაგრამ არა კეთილშობილი „ზღარბის“ წყალობით (მამაკაცური ხასიათი), არამედ რაღაც აღმავალი ტალღისა, სრულიად უაზროდ, და რაც სხვაზე არ მინახავს. საცხით ვაოხე ისინი, მაგრამ რა, - არ ლაგლება. მერქ შინ მიგალ და კვლავ სარეკე (პატარა, ხელისა): „ამა ვინ შეიცვარებს ასეთ საზიზღარს“. პირდაპირ ვიზაფრებოდი“ („განმარტოებული“). ამას როზანოვი თავისთავზე ყვება. და შემდეგ: „თვალებგადმოკარგლული და ტუჩებლოკია - ეს ვარ მე“ („ჩამოცვენილი ფოთლები“). გარეგანი პორტრეტი თითქმის მოხაზულია. „მამაკაცისა თქვენში მხოლოდ - შარგალია“, - ეუბნება მას 17 წლის საკუთარი ქალიშვილი. ხოლო თვითონ უმატებს: „ე. ი. ტანსაცმლის გარდა - ნუთუ ჟელაფერი ქალისაა? მაგრამ მე არასოდეს მოვწონდი ქალებს (გარდა „მეგობრისა“) - და ეს ხსნის ჩემდამი ქალების ანტიპათიას, რის გამოც მე ჭაველთვის (გიმნაზიის დროიდან) ამდენს ვერამებოდი“ („განმ“).

ავტოპორტრეტი აგრძელებს: „მე რაღაც ვაფეტიშებ წვრილმანებს. „წვრილმანები“ ჩემი „ღმერთებია“. და მეც მუდამ მათთან ვთამაშობ მზისით. და როცა ისინი არ არიან, უდაბნოა. და მე მეშინია მისი (უდაბნოსი)“, და შემდეგ: „სული ჩემი რაღაც ხლართია, რომლიდანაც არ ძალმის ფეხი გამოვათრიო“ („ჩ. ფ.“). მის სულში თითქმის - ჟელაფერია: „ჩემი სული დაწინულია ჭუჭყით, სინაზით და სევდით“ („განმ“). მასში მხოლოდ სასურველია „დემონური“: „მე ქავილი მაქვს მწიკვლთა და ზაღთა, და არა სწრაფვა მათღამი, არა ძალი მათი“; და კიდევ: „მე მთლად ფესვებში ვარ, ფესვთა შორის. „ხის მწვერვალი“ - ჩემთვის სრულიად გაუგებარია (გაუგებარია ეს „სიტუაცია“); და ბოლოს: „ლიტერატურას ვგრძნობ, როგორც შარგალს“ („ჩ. ფ.“).

კრისტიან. აუგუსტისტიკა დასრულებულია. ეს - რომელილაც პერედონვია, - მაგრამ რაღაც განსაკუთრებულით. ფრიდრიხ შლეგელმა თქვა თავის თავზე: „სულელი სულისკვეთებითურთ“. როზანოვს შეუძლია თქვას თავის თავზე: პერედონვი გენიალობითურთ: ეს ვარ მე: უსმინეთ: „მე ვემიჯნურები მთელ სამყაროს: აი, საიდანაა ჩემი მღელვარება. - აბრ (აამი) ემიჯნურებოდა იაჲ (ვეს), ხოლო მე - ბუნებას. სხვაობა სულ ესაა. მე ვიცი ჭაველივე, რაც შისთვის დახშული არ ჭავილა“ (ibid) დიახ:

მისთვის გახსნილია ბევრი რამ და მაინც იცის ბევრი რამ: „მე ხანდახან მგონია, იმდენად ვავიგე მთელი ისტორია, თითქოს ის „ხელში მჭეროდეს“, თითქოს ისტორია თავად მე შემექმნას, - ასეთის გრძნობით მახლობლობისა და სრული წვდომისა“ (ibid) სრულგრძნობა ყოვლისა ერთიან-ერთბაშად ისტორიული ვითარების წიაღში - აი, სადაც პათოსი როზანოვის შემოქმედი ნატურისა. ერთიან-განცდა „ახანგრძლივებს“ სულს: „მე გაჭიანურება მჭირს სულისა: „ამბავთ“ ვიცხოვრებ - და ღრმად, როგოც ცოტა თუ ვინმე - სამი წლის შემდეგ, რამდენიმე თვის შემდეგ, რაც მე ის ვნახე. ხოლო როცა ვნახე - გადაჭრით არაფერი მიფიქრია მასზე. არამედ ვფიქრობდი (ვნებინად და მგზნებარედ) იმის შესახებ, თუ რა იყო სამი წლის უკან. მე ეს მჭირს მუდამ, სიყმაწვილიდან, ბავშვობიდან“ („განმ.“). მრავალმნიშვნელოვანი შტრიხი: ხედავს - და არ ფიქრობს; ფიქრობს - ხოლო ნანახი შორსაა (წარსულშია). უჩვეულოდ ჩაძირულია საკუთარ თავში: აქედან - მისი სუბიექტურობა რეალობის გრძნობის დაკარგვამდე. მუდამ მხოლოდ თავისთავს უშენს: - და არ ძალუს უსმინოს მხოლოდ სხვებს (- ზეპირი დამოწმება ნ. ა. ბერდიავეისა); მუდამ მხოლოდ თავის თავს „კითხულობს“: - და არ ძალუს იკითხოს სხვები (სიტყიერი მოწმობა ნ. ა. ბერდიავეისა); ანდა: წაიკითხავს ნაწარმოების დასაწყისს, განიხილავს ზოგიერთ ნაწყვეტს, „ქოსავს“: - ქოსვა აქვს მახვილი და ძლიერ განვითარებული (ზეპირი დამოწმება ნ. ა. ბერდიავეისა და წერილობითი განცხადება თავადვე როზანოვისა) და გასაგებია: - „დაბადებული მე ნაჯებად ვარ, თითქოს კვლავ ვწევარ (გუნდასავით) დედის საშოში (უსასრულოდ მიყვარს იგი, ე. ი. გარდაცვლილი დედილ) და „ეუსმენ სამოთხის ჰანგებს“ (მუდამ მუსიკა მესმის თითქოს - ჩემი თავისებურება). და ძალიანაც კარგი! ჩინებულია! რა ჯანდაბად მინდა „საინტერესო ფიზიონომია“ ან კიდევ „ახალი სამოსი“, როცა მე თვითონ (ჩემსავე თავში, „გუნდაში“) ვარ უსასრულოდ საინტერესო, ხოლო სულით - უსასრულოდ მოხუცებული, გამოცდილი, 1000 წლისა ნამდვილად; და თანვე - ყრმა, როგორც სრულქმნილი ბავშვი“ (ibid) განსაციფრებელი ფენომენი - ცხოვრიბს დედის წიაღში, თითქო არც გამოსულა დედის საშოდან: - აქედან ჩაძირვა საკუთარ თავში, მუდმივი ვნება მარად სიყმაწვილეში. გაბუნდოვნება უსახურისა „უ-სახოში“, სიმხიარულე, ირონია ყველაფრისადმი, - საკუთარ თავის მიმართაც ჭი.

აქ ჩვენ ძლიერ ახლოს მივედით „როზანოვის ფენომენის“ ამოცნობასთან (- არის ასეთი ფენომენი!). ვეინინგერის ფორმულით, გენია - უმაღლესი ინდივიდუალობა: სხვებს რომ არა ჰგავს; ის ასევე - უმაღლესი უნივერსალობა: მას შეუძლია იქნეს პოტენციურად „ესეც“ და „სხვაც“ - „ყველა“ (- იდიოტობის საპირისპირო პოლუსი). როზანოვი - ისევ „მუცულადაა“, ის „ჩერ არ დაბადებულა“, ცხოვრიბს ის დედური წიაღის მდინარებაში, - ემპირიულად ის უსახურია, მეტაფიზიკურად იგი უბრალოდ „უ-სახოა“: უსახიერო: მასში არ არის ინდივიდუალობა. და მიუხედავად ამისა, ანდა შესაძლოა ამის წყალობით, მას ეძლევა გენიალური სრულგრძნობა ყოვლისა, შემოქმედური წვდომა უკლებლივ ყველაფრისა: მას ესმის, „ესეც და სხვაც“, - ვინაიდან ის „ესეცა“ და „სხვაც“. ახლა ჩვენთვის გასაგებია „ნახლართ-ნაბურდობა“ მისი სულისა, საცა „ჭუჭყი“ „სინაზეს“ ეთვისება და „სინაზე“, „სევდას“. ცნობილია, რომ ის წერდა „მემარჯვენე“ (Hob. Br) გამოცემაშიც და „მემარცხენეშიც“, (Pyc. Cl) ვ. ვ. ვარვარინის ფენევლონიმით: (ცოლი - ვარია). მხილებული იქნა. და რა, მერე? „მართალია, მე ერთდღიურად ვწერდი „შვა“ და ეს-ერულ სტატიებს. და ორივეში ვიყავი დარწმუნებული. ნუთუ არ არის ჭეშმარიტების ერთი მეასედი რევოლუციაში? და ერთი მეასედი შავრაზმელობაში? (ჩ. ფ.). და ასე - ყველგან: ის უპიროვნოა

ადამიანურად, მაგრამ სამაგიეროდ - არა-ადამიანურად საყოველთაო. ამაშია - მისი საიდუმლო. ამითვე აიხსნება მისი არა-ადამიანური ანდა ახლო-ადამიანური სიშიშვლე (ერთი მწვავე პრობლემათაგანი ნიცაში): მან გააჩვინე ჭოველივე „ინტიმური“, „გატიტივლდა“, იწყო სიარული „დედიშობილა“ („განმარტოებული“ და „ჩამოცვენილი ფოთლები“). და ეს მისთვის არაჩვეულებრივ იოლია: არსით ის უპიროვნოა, - და რა სახეც არ უნდა აჩვენოს მან, ეს მაინც არ იწევბა „ის“, - „თვითონა“ (სადღაც - „საშოში“ გუნდა“) ქირქილებს და დემონურ-ირონულია.

როზანოვის ფენომენი „მუცლადყოფნის“ მდინარებაში. აქედან: რიტმი მისი არსისა - სკესი: სქესში და სქესთ ნათელყოფს თვეის თავს, - გნაიდან სქესი თავად - მდინარი უპიროვნობაა. პათოსი მისი - გრძნობა მოდგმისა; ტონუსი მისი - ყრმათშობა: აქ როზანოვი - სრულიად „თვითონაა“, ერთადერთი განუშეორებელი მთელ მსოფლიო ისტორიაში. აქედან - მისი ძლიერი სიყვარული ბიბლიისა: „ბიბლია შიგდაშივ პირდაპირ შობათა გამოთვლა, თვალუწიველი გენეალოგია, განშტოება და განშტოება კაცთა. ეს რაღაც „მუხაა მამბრესი“, - და გინდა შესაძორო, „მუხნარი მამბრესი“, - და მასში მოშარიშურე ღოთიური ქარი. ინდივიდუმი იქ ყოველთვის აღებულია წერტილში შტოსთან შერთვისა, რომელზედაც ზის; და მთელი ყურადღება შეჩერებულია იმ ახალ შესაძლო „შერთვათა“ წერტილზე, საიდანაც გამოსულია ან შეიძლებოდა გამოსულიყო ახალი ფოთოლი“ („აღმოსავლური მოტივებიდან“). ავხორცულის ტკბობით მოჰყავს მას (*ibid*) წინასწარმეტველ იეზეკიელის სიტყვები (თ.16), საიდანაც, როზანოვის აზრით, მტკიცდება უფლის საქორწინო ურთიერთობა იზრაელთან: „მე (უფალმან) გვერდით ჩაგიარე და გხილე შენ (იზრაელი) - და, აპა, უმი შენი დამდგარიყო, უამი სიყვარულისაი. და შეიქმნე შენ საკუირლად შუენიერ - აგელერა მეტერდი და თმები დაგერვარა. „და განვითროთენ ფრთხი ჩემი შენზედა“ და დავფარე სიშიშვლე შენი; და შეგვეზიცე შენ და შეგვავშირე, - ამბობს ადონაი უფარლი, - და ჩემი გახდი... მაგრამ შენ, მოსავი შენი მშვენებისა და შენი დიდების მოსარგებლე, - მიეც განცხრომას და... ვაჟებთან ეგვიპტისა... ვაჟებთან ასურისა... ქანანის მიწიდან, ქალდეამდე“. პატივს მიაგებდნენ უფალს, მაგრამ ეთაყვანებოდნენ ასტარტეს - აი, როზანოვის აზრით მსოფლგრძნობა ჰებრაელებისა; და თუ „ასტარტეს“ მათთან ჰქვია „სისაძაგლე“, - ეს მხოლოდ „ისე“, „სახელად“, - ეს მხოლოდ წყრომის სიტყვაა ეჭვიანობისა „უცხოთა მიმართ“ (არა ჰებრაელებისადმი), ხოლო თავისიანებს შორის მისით სუნთქვას მთელი იზრაელი. მაგრამ ასეთი მისტიური კავშირი სწორედ შობს სიწმინდეს ნამდვილს. „აღმოსავლეთი განვითარდა“ „თესლოვნობით“ წმინდანობის შეგრძნებამდე და, ბოლოს პირდაპირ ზეციურობის, თესტურობის შეგრძნებამდე თვით „ადამიანის სახის“ შექმნის აქტში (*ibid*).

როზანოვი ხელსახებ კონკრეტულობამდეა შეყვარებული იუდაიზმზე მისი პათეისტური ეროვნობის გამო: „რომ იუდაიზმი არის რელიგია თესლისა - და არაფერი მეტი, თესლისა - და მხოლოდ, თესლისა - და არა სხვა-რიგ. რომ ყველაფერი, რასაც ის „აკეთებს“, მიცვები და სხვა - ყველაფერი, რასაც ის წარმოთქვამს, ლოცვები და სხვა - ყველაფერი მხოლოდ გარეედება და იცავს „13 წლისთვის მომწიფებულ ყმაწვილის თესლს“, და რომ ის (თესლი) არ ყოფილიყო - ისინიც არ იქნებოდნენ, და ვინაიდან ის არი ს, მწიფდება თვითეულში და ყალიბს იძნეს ყოველში, და ამიტომ ჭალარა და ბრძნება ებრაელებმა, მოსედან, აბრაამიდან, არსებითად ჯერ კიდევ ეგვიპტიდან და ეგვიპტეში პირველად - შექმნეს ყველა ეს მიცვა, - ესენი ან ამათი მსგავსი, და საერთოდ, სულ ერთია, როგორც გინდა... იმას, რასაც ჩვენთან

ევროპაში, ერთ საუკუნეში ერქვა „გოთიკა“ და „რაინდობა“, და მომდევნო საუკუნეში - „ჰუმანიზმი“, ხოლო ახლა ჰქვია „სკოლა“ და კონსტიტუცია“, მას იუდაიზმში, მეფისა და ბაბილონიდან, ვილნისა და ბელასტოკამდე, უცვლელად ერთი სახელი ეწოდება: „ყმაწვილი 13 წლის“, - და მთელი იზრაელი იწყებს მართლაც ყიფის მის გვერდით, როგოს, ხტუნვას, ლენას, - შლეგობს, შმაგობს, იხურავს ფესკას და იხდის ფესკას, რაღაცას ლულლულებს; ხოლო ლულლულისთვის რომ ყური მიგვეგდო, გავიგონებდით: „ასეთი ბიჭებისთვისაა ქვეყანა შექმნილი სწორედ“... ჰეშმარიტად - ესაა ანისი და წელი მისი გამეფებისა“ (ibid) თვით წინადაცვეთა იღებს როზანოვთან ანთროპოლოგიურ (მისტიურის აზრით) მნიშვნელობას: ის - ნამდვილი ნიშნობაა (-სეფორას კივილი: „სისხლის საქმრო ჩემი წინადაცვეთი!). რაც ჩვენთვის არის - „ცხვირი“, ისაა ჰებრაელთათვის - „წინადაცვეთა“. აქედან: „არიელები ტომია ლოგიკური გამოხატულებისა; ვთქვათ სრულად: ისინი გამოხატავენ ისტორიაში აღამიანის მეორე სახეს, - ასარებულს, მოგარის ბუნებისას“ (ibid) - ფელგან წესრიგი „სიტყვისა“, და არა სიცოცხლე ყოფის წყაროსი. აქედან: სისუსტე არიელთა და მარადიულობა ქმიტ-სემიტთა. უკანასკნელი, დაცემის პერიოდშიც კი, - „არ ატარებენ არიული რასისთვის ტიპიურ სიკვდილს, ხრწანს, სუნს გვამისა: არავითარი ნაოჭები სიბერისა, ან დაღლილი კუნთები; არც (Weetschmeh) „მსოფლიო სევდა“, არც „სოციალური ანარქია“. სიცოცხლის შემქმნელებმა, „მარადიული, დიადი კანონების თანახმად“, მათ თვით ძარღვში ყოფისა გამორიცხეს იდეა სიკვდილისა, - „არ იღებენ არყოფის იდეებს“, როგორც „ფელგონში“ გამოთქვა აზრი პლატონმა სულის უკვდავების შესახებ. პირიქით, არიელებს შეტანილი აქვთ უარყოფის ნეტარი თვით წყაროში ყოფისა, და ეს „დამნესტრავი უარყოფა“ ფერტვას მათ ძარღვებში. არიელები ცხოვრობენ სიკვდილში და თაყანს სცემენ ტაგრუცს (ibid).

ასეთია მისტიური კონცეფცია როზანოვისა. აქედან - მისი დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი: „ქრისტეში სამყარო დამძალდა“ (Pyc. M. 1908, №1: სტატია „უტებილესი იესოს და სამყაროს მწარე ნაყოფთა შესახებ“). ამ აუკრიზმში გრიალურ უბრალოდ არის გამოხატული საშინელი აზრი როზანოვისა. და ტყუილად როდი გამოთქვა შიში დ. ს. მერევკონკიმ: ქრისტიანობისთვის როზანოვი ნიცშეზე მეტად კი საშიშია. ვინაიდნ, - თუ კი სამყარო დამძალდა ქრისტეში, - ხოლო თვით ქვეყანა თვის „ყრამათშობაში“ მშვენიერი და ჯადოსნურია, - (საინტერესოა, რომ, როზანოვის აზრით, ძველ აღმაში არ არის იმქვეყნიური ცხოვრების იდეა, - ვინაიდან სიცოცხლე ნამდვილია ამქვეყნად), - მაშინ აქედან წარმართული ნაბიჭია ქრისტეს უარყოფამდე. მაგრამ ეს განსაკუთრებული თხრობის საგანია.


თავისი კონცეფციით როზანოვი გადაჭრით ხსნის ფელაფერს. ავიღოთ თუნდაც საგანგებოდ საინტერესო „გოგოლის პრობლემა“. როზანოვი ამტკიცებს, რომ გოგოლის არ გააჩნდა ფიზიოლოგიური მიღრებილება ქალებისადმი. და რა, მერე? „საყვირელი სიმკვეთრე ყალმისა ფელგან, საცა ის ლაპარაკობს „გარდაცვლილებზე“. „ლამაზმანი (ჯადოქარი) კუბონში“ - თითქოს ცხადლივ გეხილოს. „ცხედრები, საფლავიდან წამომდგარნი“, რომელთაც ხედავენ ბურულბაში და კატერინა, ნავით რომ გვერდით ჩაუვლიან სასაფლაოს, - გასაოცარნია, ასევე - დამხრჩვალი ჰანნა“. და, მთავარი: გოგოლთან ცოცხლები - თოჭინებია, მანქიერებათა სქემები, ხოლო გარდასულნი მშვენიერნი არიან: „ინდივიდუალურად საინტერესონი“. ეს „უკვე სობაკევიჩი არაა, ბატონი“. და კიდევ უფრო მთავარი: მას არა ჰყავს მიცვალებული მამაკაცები: პირიქით: „მან გამოიყანა მთელი პანსიონი გარდაცვლილი ქალებისა, - და არა

ბებრუხანების (არცერთი), არამედ სულ ახალგაზრდებისა და მშვენიერების": აქედან: სქესის საიდუმლო ვოგოლისა - „მშვენიერ განსასვენებელ სამყაროში“ („ჩ. ფ.“) - ასკვნის როზანოვი. და ასე - გადაჭრით ფელაფერზე.

„სტილი - სული საგნების“, წერს ის. შესაძლოა, არცერთი საგანი არ იყოს გამოხატული არცერთ , „სტილში“ ისე სულსრულად, როგორც როზანოვის საგნები - მის „სტილში“, ეს - რაღაც საშინლად საინტერესოა. როზანოვი აზროვნებს სქესით - და როზანოვის სტილი ნამდვილი ნაყოფია სქესის: აქ არ არის არც მარმარილოს ნაკვთები, არც ბრინჯაოს ქანდაკებები: აქ მხოლოდ სხეულია თავის გრძნობად კონკრეტულობაში. სქესი - „მოწაღოებული ტქ“ (როზანოვის აზრით): და სტილი როზანოვისა - ჯადო-ხიბლები ტყის: ფელა ეს „უკუმხედვანი“, „გარემოდებანი“, „მანჭნი“, „ზედღაჭერანი“, „აზრთა კურსივები“, „ჩალაპარაკებათა ფრჩხილები“, „ჩართულთა ტირე“, „ნართაულნი“ - „სულ ოდნავ“, „დაძაბულობის პერიოდი“, და მრავალი-მრავალი სხვა - ფელაფერი ეს მოწმობს როზანოვის არაჩვეულებრივ სამწერლო ტალანტს.

როზანოვის სტილი ელის თავის შევლევას. „გამოთქმის“ ძალით, „გამოსახვის“ ტონუსით, „გადმოცემის“ ტემპერამენტით - როზანოვს რუსულ ლიტერატურაში ტოლი არ მოეძებნა. და კიდევ მეტად გასაოცარია ტევაღობა მისი სიტყვიერი ფორმებისა, რომლებშიდაც სიმსუბუქით გადაედინება ფელაფერი ის „იდუმალი“, „გადმოუცემელი“, „გამოუთქმელი“, „ინტიმური“, რის სხენებასაც მინიშნებითაც არ ვარისკავლენ სხვები. ჭეშმარიტად ისევე ფენომენურია სტილი როზანოვისა, ვითარ თვით როზანოვი.

რესულიდან თარგმნა დინარა კასრაძემ.





გრიგორი ჩატელაშვილი - ბატონი

საიდეალო და არაორიენტული წიგნი

ადამიანის თვითშეხახის „საიდეალოს გასაღების“ შესახებ

წიგნის ანალიზზე ვიდრე ვადავიდოდეთ, პრემიმბულის სახით მკითხველს უნდა ვუამბო, რატომ დავნორერესდი ამ ნაშრომით. უკვე ერთი წელია, რაც საქართველოს ულამაზეს კუთხეში – აჭარაში მიწვეული ვარ ბათუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც ჰაითხულობ ბასყური ენისა და ისტორიის კურსს. ვთანამშრომლობ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. ვფერობთ ბასყურ-ქართველური ენისა და კულტურის ტრადიციების შემსწავლელი საპრობლემო ჯგუფის ჩამოყალიბებაზე, რომლის ინიციატორები არიან რესტიტუტის დირექტორი პროფ. იური ბიბილეიშვილი, აგრეთვე პროფესორები ნუგზარ მგელაძე და გურამ ჩაგანაგა. ეს უკანასკნელი ცნობილი ფსიქოლოგია (არა მხოლოდ საქართველოში). სწორედ მისი რედაქტორობით დაუბრუნდას გამომცემლობა „აჭარას“ ნუგზარ წულუკიძის წიგნი „საიდუმლოს გასაღები“. ნუ მიწვნებ წიგნის ავტორი, თუ ვიტყოთ, რომ მისი გვარი არაფრის მოქმედი იყო ჩემთვის, ვიდრე არ გავეცანი ამ ნაშრომს, რომელსაც ერთობ პრეტენზიული და დამაინტრიგებელი სათაური აქვს.

უპირველეს ყოვლისა გავეცანი ბატონ გურამ ჩაგანაგას წინათქმას, რომელმაც შემიყოლია და უამრავი სამუშაო გვერდზე ვადამაღებინა.

ბატონი გურამი მკითხველს წინათქმაში წარმოუდგენს წიგნის ავტორს – ნუგზარ წულუკიძეს, რომელსაც სრულიად სამართლიანად უშოდებს შემოქმედ შეცვლევას. ბ-ნი გურამის აზრით, ნაშრომი არაორიდნალური უნრისაა, „იგი ერთდროულად მხატვრული ნაწარმოებიც არის და მეცნიერული გამოკვლევაც. ავტორი თავს არ იზღუდას დადგენილი, საჭირო თაოდ მიღებული შეცნიერული სტილით, რაც ნაშრომს სასარგებლოსთან ერთად საინტერესოს ხდის, მსგავს თემებზე შექმნილ უმრავლეს გამოკვლევათაგან განსხვავებით. მოწყვეტილი არ არის თანამედროვეობის პრობლემატიკას... კაცობრიობას ევოლუციის დახვეულ ბილიკებზე მუდამ არასტინდარტულად მოაზროვნე შემოქმედებითი ინდივიდები უკვლევდნენ გზას. სწორედ ისინი, რომლებიც თავიანთი უწვეულო აზროვნებით, შეხედულებებით, ცხოვრების წესით ვერ თავსდებიან კანსერვატორული უმრავლესობის შეხედულებათა ჩარჩოებში, არღვევნ ბარიერს. ფსიქოლოგი გ. ჩაგანავა სვამს კითხვას – რა განაპირობებს მათ გამორჩეულობას, რაშია ფენომენალურობის საიდუმლო? და იქვე აღნიშნავს, რომ ნ. წულუკიძის ნაშრომში განხილული ეს თემა პოულობს კავშირს თანამედროვე მეცნიერთა მოსაზრებებსა და უძველეს რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებს შორის.

ბატონ გურამ ჩაგანავას წინათქმის გაცნობის შემდგომ მკითხველს უფრო მეტი ინტერესი უჩნდება გაეცნოს ნაშრომს, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებები და საკუთრივ ავტორისეული მოკრძალებული (ზოგჯერ თამამიც)

მოსაზრებები.

რადგან ნ. წულუკიძის ნაშრომი ძალზე არა ღინალურია უანრობრივი თვალსაზრისით, გამიჩნდა სურვილი ამ წიგნს გასცნობობდა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მომესმინა და გამეგო მთი აზრი პირველ რიგში წიგნის წაკითხვა და მისი აზრის გამოთქმა ვთხოვე ჩემს უპირველეს მრჩეველსა და კონსულტანტს, ფილოსოფიური ანთროპოლოგის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, ფილოსოფიური ინსტიტუტის წამყანა მეცნიერ თანამშრომელს ჩემს მეუღლეს - არჩილ ბაქრაძეს. მივმართე აგრეთვე ცნობილ ფოლკლორისტს, ფილ მეცნ. კანდიდატონ ქეთევან სიხარულიძეს, რადგანაც ნაშრომში ფოლკლორის საკითხებზე არის ღიღი მსჯელობა. ჩემი საქმიანობის სფეროც მეტ-ნაკლებად განკუთვნება ეთნო-ლინგვისტურულყოლორულ სამყაროს, ამიტომ ქალბატონ ქეთევანთან ერთად ქვემოთ წარმოვიდგენ ჩემის მოსაზრებას ნ. წულუკიძის წიგნზე „საიდუმლოს გასაღები“.

დაინტერესებული მკითხველი ბატონ გურამ ჩაგანავას შეხედულებებს უფრო ვრცელად გაეცნობა ნ. წულუკიძის წიგნის წინათქმაში.

(გრეტა ჩანტლაძე - ბაქრაძე, აშშ საინფორმაციო მეცნიერებათა აკადემიის და ქართული ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ეთნოლინგვისტი, ფსიქოლოგი).

ამგრად გთავაზობთ ცნობილი ფილოსოფოსის ბატონ არჩილ ბაქრაძისა და ოთარ გაბიძაშვილის მოსაზრებებს:

„წებისმიერი სახის პროგრესი რეაქციულია, თუკი ირლვევა ადამიანი“ - არ შეიძლება არ დავთანხმოთ პოეტ ა. ვოზნესენსკის ამ ბრძნულ გამონათქვას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაფეტიშებამ, გულუბრჩყილო რწმენამ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საშუალებებით შესაძლებელია თანამედროვე ადამიანის ყველა მწვავე და მტკიცნეული პრობლემების მოვარება, კრახი განიცადა.

თანამედროვე ადამიანმა - მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემოქმედმა, კონტროლი დაკარგა თავის ნახელავზე და ველარ ახერხებს იმ უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზაციას, რაც არსებით კავშირშია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაფეტიშებასთან. თანამედროვე ადამიანების ზნეობ კრიზის, ადამიანის გაუცხოებას ადამიანისა და ბუნებისაგან, ეკოლოგიური კატასტ ფების მომრავლებას, ატომური ომის სასიკვდილო საფრთხის რეალურ შესაძლებლობას თანამედროვეობის მრავალი ცნობილი ხელოვანი და მოსაზროვნე კაცობრიობის რელიგიური ცნობების შესუსტებას უკავშირებს. ჩენი აზრით, ნ. წულუკიძის ნაშრომი „საიდუმლოს გასაღები“ მიზნად ისახავს წარმოაჩინოს რელიგიის გადამწყვეტი მნიშვნელობა აანამედროვე ადამიანის თვითშემეცნებისა და თვითსრულყოფის პროცესში. რელიგია, ცულიგიური სიბრძნის ათვისება, რელიგიური მსოფლმხედველობის გამომუშავება, წარმოადგენს, ნაშრომის ავტორის აზრით, ადამიანის ყოფიერების სრულებრივი აუცილებელ წინამძღვანი. შთამბეჭდავი და შემცნებითი ინტერესის აღმდეგელია რელიგიური სიბრძნის ნათელყოფასთან დაკავშირებული აგტორისეული ძიებანი, რაც ნაშრომში განსხვავებული რელიგიების (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, იუდეიზმი, დაიუზმი, დაოზმი და სხვა) შედარებით ანალიზს უკავშირებდა. ავტორი ცდილობს აღმოაჩინოს განსხვავებულ რელიგიების ის საერთო, რაც საშუალებას აძლევს მთ გააფართოონ ადამიანის თვითშემეცნების პორიზონტი, ხელი შეუწყონ ადამიანში ჩამალული უსაზღვრო შემოქმედებითი ძალების რეალიზაციას. უფრო მეტიც, ავტორის თვალთახედვა არ შემოიფარგლება მხოლოდ რელიგიით, ადამიანის სიღრმისეული ფაქტორების წარმოსაჩენად იგი ფართოდ გამოიყენებს ეზოთერიკოსთა მისტიკურ

გამოცდილებას, პარაფსიქოლოგიის, თეოსოფიის, სპირიტიზმის, მაგიისა და ოკულტიზმის მონაცემებს. ყოველივე ეს, ავტორის აზრით, აღმინის იმ მიძინებული უნარის გამოღვიძებას იწვევს, რომლის საშუალებითაც იგი ეზიარება ზეტუნებრივ იმპერიუმ სინამდვილეს, მოიპოვებს მათ შესახებ ცოდნას, რაც აღამინის სრულქმნის ხელშემწყობი ფაქტორია.

ნაშრომში ნაცადია თანამედროვე ბუნებათმეცნიერების უხლესი მიღწევების და ათასწლეულების სიღრმიდან მომდინარე ჩელიგიური სიბრძნის, მისტიკური, მაგიური და ოკულტური გამოცდილების შეჯერება, რაც კიდევ უფრო აცხოველებს ამ საინტერესო ნაშრომისადმი სულიერების მწვავე დეფიციტის პირობებით შებოჭილი თანამედროვე მკითხველის ინტერესს. ის პრინციპი, რომელსაც ეფუძნება აფტორის მიღომა განსხვავებული ჩელიგიური და ჩელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციების შეჯერებისა და ანალიზის პროცესში ჯერ კიდევ ლაიბნიცმა გამოთქვა, რომელიც ფილოსოფიისათვის უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ლაიბნიცი თვლილა, რომ ესა თუ ის მოძღვრება ჯელაზე უფრო სუსტი თვალის იმ ნაწილშია, სადაც იგი პირწმინდად უარყოფს სხვა მოძღვრებების ყოველგვარ ლირებულებას, ვერაფერ პოზიტიურს ვერ ხელავს მათში. კვლევა მით უფრო ნაყოფიერია, თუ პონენტების კრიტიკა არ შემოისაზღვრება მხოლოდ უაღმოფითი გამოკვლევით, არამედ ეძებს და ითვისებს ყოველივე ლირებულს მათი ნააზრუებიდან და სათანადო ადგილს მიუჩენს მას საკუთარ მსოფლმხედველობაში. ასეთი უნივერსალური მიღვიმის საფუძველზე ნაშრომში განხილულია აღამიანის ყოფიერების სიდუმლეობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა: ცნობიერისა და არაცნობიერის ადგილი აღამიანის სტრუქტურაში, უხილავ, ზებუნებრივ სამყაროსთან დამაკავშირებელი გზებისა და უნარების პრობლემა, სიზმრის, ლეთარგიული ძილის, ინტუიციის როლი ზებუნებრივ სამყაროსთან სულიერი კავშირის დამყარების პროცესში და ა. შ. ამ პრობლემათა კვლევისას ნაშრომის ავტორი არ შემოიფარგლება მხოლოდ ცნობილი თვალსაზრისებით, იგი გვთავაზობს პრობლემათა უაღრესად საკამათო, თუმცა ხშირად საინტერესო და საკმაოდ ორიგინალურ გადაწყვეტას. ნაშრომში ურთულესი ჩელიგიურ-ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საკითხები მკითხველთა ფართო წრისათვის გასაგები ენით არის წარმოდგენილი, რაც შესაძლებლობას უქმნის თანამედროვე მკითხველს, დაფიქრდეს სამყაროსა და აღამიანის ყოფიერების საზრისშე, გაიკეთილშობილს ცხოვრება, ხელი შეუწყოს სიკეთისა და მშვენიერების დამკაიღრებას.

ზემოაღნიშნულ ღირსებებთან ერთად, ნაშრომს, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ნაკლოვნებაც ახასიათებს, რაც უკმარისობის გრძნობას აღძრავს კვალიფიციურ მკითხველში: აღმოსავლური მოძღვრებებით მომეტებული გატაცების ფონზე, ნაშრომში ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი ქრისტიანობას, აღნიშნული რელიგიებისაგან ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირეული განსხვავების ჩვენებას, ახალი უნიკალური მონაცოვრის ხაზგასმას, რაც ქრისტიანობის თავისებურებას, მის უნიკალურობას აფუნქცის. პიროვნების უნიკალურობას, ღმერთის მიერ შექმნილი სიცოცხლის მრავალფეროვნების ღირებულების დადასტურებას, ინდოეთის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებებისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის ხსნას სიცოცხლის როგორც ტანგვასთან არსებითად დაკავშირებული ილუზიისაგან თავის დაღწევას ნიჩვანას ან ბრაჟმანის წიაღში უშანთო გაქრობას უკავშირებენ, ქრისტიანობა ადამიანის ხსნას ხედავს ცოდვის კლანჭებისაგან გამოხსნილი სიცოცხლის უსულიერება-განმრთელებაში, განსხვავებულ, უნიკალურ პიროვნებათა ერთიანობაში, რომელიც

ღვთაებრივი სიცარულის საფუძველზე იმგვარად ხორციელდება, რომ არ იყარგება მრავალფეროვნება, პიროვნებათა უნიკალურობა და თვითშემუცეს მრავალფეროვნება.

ახლა წარმოვიდგენთ ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ უთვალსაჩინოები წარმომადგენლის, ქ-ნი ქსენია სიხარულის აღზრდილის, ასევე ცნობილი ფოლკლორისტის ფილ. ძველ. კანდიდატის ქ-ნ ქთევან სიხარულისმა და ამ სტატის ავტორის ეთნო-ლინგვისტის გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძის რჩევების.

კაცობრიობის იტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამავე დროს ტრაგიკული პერიოდი მაშინ დაიწყო, როცა მეცნიერული აზროვნება განსაკუთრებით გააქტიურდა და უდიდესი აღმოჩენები გაკეთდა. სწორედ ამ დროს მკვეთრად გაიმიჯნა რელიგია და მეცნიერება, ისინი ორ სხვადასხვა პოლუსზე აღმოჩნდნენ, როგორც დაპირისპირებულნი და ურთიერთგამორიცხველნი. წინააღმდევობათა გამწვავებას ორივე მხარეშ შეუწყო ხელი. რელიგიის მსახური მეცნიერებაში ხედავდნენ ღვთისმეგმობთ. ხელმძღვანელობდნენ რა ტერტიულიანეს მცდარად გაგებული გამოთქმით - მწამს, რადგან აბსურდულია, - ისინი სდევნილენ შემეცნებით პროცესს და თავისუფალი აზრის ყოველ გამოვლინებას აგიზგიზებულ კოცონზე წვავდნენ. თავის მხრივ, კაცობრიობის განმანათლებლობის სურვილით შეპყრობილ სწავლულთა ნაწილი მატერიის კანონზომიერებების ყოველ აღმოჩენას ღრმერთის რწმენაზე იერიშის მისატანად იყვნებდა. ასე, რომ ღვთისმსახურების წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობას აღამიანის რელიგიური გრძნობაც გადააყოლეს. შედეგად მივიღეთ მაღალგანვითარებული ტექნოცივილზაცია, რომელიც ეკოლოგიურ კატასტროფას გვიქადის და სულიერად გამოფიტული საზოგადოება, რომელიც დედამიწის მძიმე სენად იქცა.

კარგახანია, რელიგიისა და მეცნიერების დაპირისპირება შენელდა და დასასრულს უახლოვდება. ადამიანები მიხვდნენ, რომ სამყაროს მეცნიერული კვლევა ღვთაებრივი ქმნილების აღქმის ერთ-ერთი საშუალებაა, რასაც ეხმიანება ბიბლიური ცნებები: „გული გონიერი“ და „სულიერი გონება“.

მეცნიერებისა და რელიგიის შეთანხმების, ურთიერთგამსჭვალვის არაერთი მაგალითია ნუგზარ წულუკიძის წიგნში „საიდუმლო გასაღებები“, მაგრამ მისი მთავარი ვიზანი არ არის ამ ორი ფენომენის შერიგება. ჰელა მაგალითი მოხმობილია თანამედროვე ურწმუნო თომას გამოსაფხილებლად, რომელსაც ზოგჯერ ხილული სასწაულისაც აღარ სჭერა, მაგრამ აღმართ სასოწარკვეთილ და მარტოსულ აღამიანში ღვთის ხატი საზოლოოდ არ გამჭრალა და ჭერ კიდევ შესაძლებელია მთები სულიერი აღდგომა. ამ იმედმა მისცა სტიმული წიგნის ავტორს, რომელიც ცდილობის, დააფიქროს შეითხველი ღვთაებრივ სამყაროში მის კუთვნილ აღილზე. აღამიანისათვის ლმერთი ღვლებაც არის „უცნაური და უთქმელი“, მაგრამ ჩვენი გარემოცვა ეჭვემდებარება შემეცნებას, ეს კი შეიძლება გახდეს საკუთარი თავის შეცნობის საშუალება. „შეიცან თავი შენი“, - დელფოს სამისნოზე წარწერილი ეს უფელესი და უღრმესი შეგონება ისტორიის ყოველ შემობრუნებაზე უღერდა, მაგრამ ილუზორულ ყოფიერებაში დანთვეულ საზოგადოებას იგი არ ესმოდა და მხოლოდ ერთეულების კონისყურს სწვლებოდა. რთულ და წინააღმდეგობებით აღსახეს ჩვენს შინაგან სამყაროში შეღწევა თითქმის გადაუჭრელ პრობლემად გვიჩერა. ნ. წულუკიძის წიგნი კიდევ ერთი მცდელობაა, დააფიქროს მკითხველი ამ საკითხზე.

დასაწყისში ავტორს მივყავართ საიქიოს კარიბჭესთან და გვაცნობს იმას, რაც იხილეს კლინიკური სიკვდილის შემდევ მობრუნებულება და ლეთარგიული ძილისაგან გამორკვეულება. მათ მონათხოვანს ბევრი აქვს საერთო, როგორც ერთმანეთთან,

ისე ხალხურ წარმოდგენებთან საიქიო ცხოვრებაზე, რაც ზრდის სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის გაგრძელების აღბათობას. ამით სურს დააინტერესოს მკითხველი და გაულვივოს რწმენა იმქვეყნიურ არსებობაზე. აქევ ურიგო არ იქნებოდა იმის ხსენება, რომ ქართულმა ხალხურმა მეტჯელებამ იცის საიქიოს მეორე სახელი - სულეთი, ე. ი. სულთა სამყოფი, სავანე, აქედან ლოგიკურად გამომდინარე „გარდაცვალება“ (ყოფიერების შეცვლა და არა შეწყვეტა), რაც ქართული მსოფლალქმის სილრმეზე მიუთითებს.

სიკვდილის თემით თხრობის დაწყება არ არის შემთხვევითი, ეს ის მოვლენაა, რომელიც ყოველთის აღძრავდა ადამიანში შიშნარევ ცნობისწადილს. საკუთარ არსებობაზე ფიქრი და სულეთის სამყაროს წარმოსახვა გახდა რელიგიური აზროვნების სათავე. ნ. წულუკიძეც ამ მიმართულებას იჩჩევს: ჭრა აღძრავს მკითხველში ინტერესს იმქვეყნიურ არსებობაზე და მერე თანდათან, საფეხურეობრივად აქცვს იმ სიმაღლემდე, საიდანაც ადამიანს დამოუკიდებლად შეეძლება საკუთარი გზის არჩევა.

საიქიოს თემა ლეიტმოტივად გასდევს მთელ წიგნს, რადგან იმქვეყნიურ, ნატიფ სამყაროს ნ. წულუკიძე მკითხველს მხოლოდ ამ სახელით აცნობს. ეს გამართლებულიცაა, რადგან თანამედროვე, საზოგადოება ზოგჯერ ვერ აღიქვამს უფრო რთულ სტრუქტურას. თუმცა ქართული სიბრძნისმეტჯელებისთვის ადრე იგი ცნობილი იყო, ამაზე მიუთითებს ფიცის ურარმულა, რომელსაც შოთა რუსთაველი ნესტანს ათქმევინებს: „გეცრუო, ღმერთმან მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!“

„ყოველ კეთილ იდეას უდგება გაფურჩქნის დრო“ - წერს ნუგზარ წულუკიძე, როგორც ჩანს, თვლის, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილი მაინც მომზადებულია ამ იდეის მისაღებად. იმ პირობებში, როცა დახლები წალეკა ოკულტიზმით გაელენთილმა ლიტერატურამ, ნუგზარ წულუკიძის წიგნშა შეიძლება ერთგვარი გზამგლევის როლიც შეასრულოს დაინტერესებული მკითხველისათვის. ავტორი ვესაუბრება იმ ცოდნაზე, რომელსაც ერთ დროს ვფლობდით, მაგრამ შემდეგ მან ცნობიერების სილრმეში გადაინაცვლა და დროდადრო მკრთალი ნაპერწყლებით თუ გამოანათებს. ძალიან მაღალი რანგის ცოდნა დაითვარა ადამიანებისთვის, რადგან მის არასწორად გამოყენებას გლობალური კატასტროფა მოჰყება. ამის ხსოვნას ინახავს ატლანტიდის დაღუპვის მითი.

რაც შეეხება ცნობიერების სილრმეში შენახულ ინფორმაციას, ნ. წულუკიძე, სხვათა შეგაძასდ, „კეცუნობიერს“ უწოდებს, რაშიც კატეგორიულად ვერ დავვთანხმებით. ენა ზუსტად ახდენს მიმართულებისა და პოზიციის დიფერენციაციას და ამ ტერმინის ხმარებით ძალაუნებურად ჰყედა სფეროზე ვუთითებთ. მსოფლიო საინფორმაციო ველიდან ინფორმაცია სხვადასხვა არსით შემოდის, სხვათაშორის, მისანთა და წინასწარმეტჯელთა კატეგორიები ამ არხებითაც განისაზღვრება. საესებით ვიზიარებთ რენე გენონის იმ თვალსაზრისს, რომ, სადაც საუბარია ღვთაებრივი სფეროდან მოწვდილ ინფორმაციაზე, ტერმინი „ზეცნობიერი“ ვიმართო. „კეცუნობიერის“ და „არაცნობიერის“ დიფერენციაციის თავად ნ. წულუკიძეც (გვ. 33-34) ახდენს, მაგრამ ზემოთ ნათევების გამო მის მსჯელობას ვერ დავვთანხმებით. ადამიანმა რომ სრულყოფას მიაღწიოს (წიგნიც ხომ ამ პათოსით არის დაწერილი), სწორედ ჰყეცნობიერი უნდა დათორებულოს თავის თავში და ზეცნობიერი ნაკადის მისაღებად გაათავისუფლოს არხები. ადამიანს დიდი შესაძლებლობები აქვს და მას მიწიერ ყოფიერებაშიც შეუძლია სრულყოფილების მიღწევა, ამისათვის კი საჭიროა, აღიაროს ღვთაებრ. ანუ სულიერი სამყაროს არსებობა, აღიქვას თავი ამ სამყაროს ნაწილად და ეწიაროს მას, მაგრამ

მხოლოდ გონიერით აწონილი ვერ გისცდება მციას - ილუზორულ მატერიას და ვერ გადალახავს ზღუდეს, რათა ეზიაროს სამყაროულ სივრცე („მას ერთსა მიწნურობისა ჰკვიპინი ვერ მიხვდებია“).

ნუგზარ წულუკიძე აღნიშნავს, რომ კომპიუტერულმა ტექნიკამ, ინტერნეტის ქსელმა საკმაო ინფორმაციით აღჭურვა ადამიანი, მაგრამ ეს მის სულიერებას არაფრეს მატებს. ამიტომ იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რელიგიის როლს პიროვნების ჩამოყალიბებაში, მის ზნეობრივ განწმენდაში. თუ ცოდნა სულიერებით არა არის გამართლებული გაჭერებული, იგი მიწიერებასთან დარჩება მიზანული. ამით არის გამართლებული ავტორის კიდევ ერთი მცდელობა, გამოაფიზლოს დაბაზული საზოგადოება. ყავლდოება მატულობს იმ შემთხვევების რიცხვი, როცა მიღმიერი სამყაროს არსებები კავშირს ამყარებენ ადამიანებთან. ეს ხდება როგორც ცხადში, ისე სიზმარში. ავტორი მრავლად ასახელებს ამგვარ მაგალითებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძილს, როგორც სიკვდილთან მიახლოებულ მდგომარეობას, როცა ენერგეტიკული ორეული ტოვებს სხეულს და გადის კოსმიურ სივრცეში. საიჭიოს სურათის შეცნობის პროცესზე საუბრისას ნ. წულუკიძე მიზარდად სიზმრისეულ ხილვებს უწყლობა, მაგრამ მიმართა, რომ გადაჭირებებულად აფასებს მათ მნიშვნელობას. ჭერ ერთი, არავინ იცის, კონკრეტული სიზმრისეული ხილვა არამდენად შეესაბამისება ჭეშმარიტებას, შეიძლება იგი სავსეზო ილუზორულიც იყოს. ამის გარდა, სიზმარი სპინტანური ხილვა და არ არის დამოკიდებული ჩვენს ნებაზე. ამ დროს ადამიანი პასიურია და მისი როლი მხოლოდ ინფორმაციის მიღებით განისაზღვრება. სულ სხვა პროცესია შეგნებული სწრაფვა ჭეშმარიტების შესაცნობად. ამ მიზნით იქმნებოდა მისტიკური სკოლები, სადაც ადეპტები იღებდნენ ზიარებას, მაგრამ ჭერ საგულდაგულოდ გამოიცდებოდნენ ნების, ფსიქიკის, გამძლეობის თვალსაზრისით და, რაც მთავარია, პასუხი უნდა გამცემოდა კითხვებს რასთვის სჭირდება ეს კონვა. საუკუნეების მანძილზე გამოიწყვიავდა საიდუმლო მისტერიების პროცედურები (რომელთაგან ერთი დეტალის აღწერას საკმაოდ გამარტივებულად ცდილობს ნ. წულუკიძე). და მათ საგულდაგულოდ იცავდნენ სახალხომბისაგან. ნათელებული ადეპტი დუმის იცავდა, რადგან ვინც ფარდა გადასწევდა, იმ ფარდის მიღმა უნდა დარჩენილ ცოდნა ადეპტს პასუხისმგებლობას აკისრებდა და შესაძლებლობათა მიხედვით გარკვეულ მისიასაც გულისხმობდა. არსებობდა ზიარებულთა ხარისხები (საიდუმლოს წიარებული, კეთილშობილი მისტები და გამრწყვნებული, ლვოვგაბრძნობილი). თითოეულ ადეპტს იმ დოზით მიეწოდებოდა ცოდნა, რამდენის აღმაც შეეძლო („ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომცა დატარების“).

უბრალო ცნობის წადილი დაუშვებელია, რადგან იგი საზიანოდ შემობრუნდება, თუ მსურველი არ არის სათანადო მომზადებული. ძლიერმა ფსიქიურმა ზემოქმედებაშ შეიძლება ადამიანი სამუდამოდ გამოიყენონ ნორმალური მდგომარეობიდნ. ამიტომაც კრძალავს ქრისტიანობა სულეთთან კავშირს. ეს არის ბეჭვის ხიდზე სიარული. ამჟენად ვერ დავთეთანხმებით ავტორს, რომ ზიარების გზა მოკლეა, რასაც იგი არაერთგზის იმეორებს. მოკლე და ადვილი რომ ყოფილიყო, ამდენი შეგვ... ჩაც არ იქნებოდა საჭირო.

ნ. წულუკიძე სიზმრისეულ ხილვებს მიღმიერი სამყაროს წარმოსახენად იყნებს, მაგრამ არ მაღავს, რომ სურათი არ არის მთლიანი. დაძინებულები თავად ამბობენ, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ რასაც ავტორი გვაცნობს, ისიც საკმარისია, რომ დავფიქრდეთ ჩვენი გარემომცველი და მიღმიერი სამყაროს ურთიერთობაზე,

იმაზე, თუ რა ადგილი გვიჭირავს და რა შესაძლებლობები გაგვაჩნია. ამიტომ იყი აქცენტს აკეთებს ზნეობრივად ამაღლებული ადამიანის შეგნებულ სვლაზე თვითშემეცნებისაკენ, ამავე დროს აფრთხილებს, რომ გზიდან ცდომილებას სავალალო შედეგი მოჰყვება, მაგრამ ეს გაფრთხილებები ყოველთვის არ ახლავს კონკრეტულ თემას, ისინი გაფანტულია სხვადასხვა ადგილას. ამის გამო შეიძლება მკიონხველმა ვერ მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია.

ყოველივე ამის წარმოსაჩენად ნ. წულუკიძემ თავი მოუყრა სხვადასხვა მოძღვრებაში გამნეულ ჭეშმარიტების მარცვლებს და მოზაკის სახით შესთავაზა თავის მკითხველს. რაზეც ის გვესაუბრება, ძალიან ჭველი ჭეშმარიტებაა, არაერთგზის გამინანებული დედამიწაზე. მას არც აქვს პირველმოქმედის პრეტენზია და მიუთითებს ყოველ წყაროს, რომლითაც უსარგებლია. აქ თავმოყრილია და თემატურად დალაგებულია ფრაგმენტები სხვადასხვა მოძღვრებიდან და რელიგიური წიგნებიდან, მოხმობილია ფილოსოფიოსთა, თეოლოგთა და ანთროპოლოგთა გამონათქვამები და ისეა შეთანხმებული, რომ ისინი ერთიან აზრს გამოხატავენ. კაცობრიული გამოცდილება დიდია, სხვადასხვა მოძღვრებაში იგი სხვადასხვა სახით გადმოიცა, მაგრამ დაკირვებული მკითხველისათვის საცნაური ხდება, რომ განსხვავებული რელიგიები ძირითად დეტულებებში ერთიან აზრს გამოხატავენ. ამასთან, ნ. წულუკიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ქრისტიანობაში შეუიტანა საყოველთაო სიყარულისა და მონანიების ცნებები, რომელთა აღქმა და შესისხლხორცება აკეთილშობილებს ადამიანს და ეხმარება სწეული სულის განკურნებაში.

ყოველ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აფტორი თვალსაჩინოებისათვის მიმართავს შესაბამის ადგილებს სახარებაში, ლაონძისა და აღმოსავლურ თეოლოგიურ მოძღვრებებში და თავის კომენტარს ურთავს. ამ ანალოგიების წარმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საკალური ცოდნა, ღვთაებრივი სიბრძნე ერთია და იგი არ ისაზღვრება ეთნიკური და კონკრეტული რელიგიის ჩარჩოებით. ნ. წულუკიძე კარგად იცნობს ყველა ამ მოძღვრებას, მაგრამ ამ ცოდნით კი არ ეპელუცება მკითხველს, არამედ „შინაგანი კაცის“ კარნატით თავისი ფიქრების მონაწილედ ხდის, უზიარებს ზოგიერთი ეზოოთერული ადვილის მისეულ განმარტებას. თანაც სადა და გასაგები ენით საუბრობს ინტუიციაზე, წინათვრმნობასა და განჭვრეტის უნარზე. ამის საილუსტრაციოდ თანამედროვე შეცნიერულ გამოყვლევებსაც იშველიებს. ყველაფერი ეს კი იმ მიზანს ემსახურება, რომ ადამიანმა მოინდომოს საკუთარი თავის შეცნობა და შეიგნოს; რომ საიდუმლოს ერთ-ერთი გასაღები თავად მასშია. ამ შერიც შეტაც საინტერესო და დამაზიქრებელია ბორჯლალის სემანტიკის ავტორისეული ინტერპრეტაცია, რაც წიგნის გარეკანზეც არის გამოხატული.

წიგნში ხშირად გვხვდება ერთი და იგივე აზრის ან გამონათქვამის გამეორება, რასაც ფარგვეულ შემოხვევებში თავისი მიზანდასახულება აქვს. აფტორი თანდათან აფართოებს მკითხველის ცოდნას და ყოველი დამატებითი ინფორმაციის შემდეგ უბრუნდება ადრე ნათქვამს. ამდენად, ეს გარემოებები უკვე სხვადასხვა ოქტავაში უღერს. ამის პარალელურად იგრძნობა ჭარბისიტუაცია, ადრე ნათქვამის გაუმართლებელი გამეორება, რის გამოც ტექსტი გადატვირთულია, მთავარი სათქმელი კი იუანტება და ფერმქრთალდება. ამიტომ ტექსტის შეკუმშვა სასიკეთოდ წაადგებოდა წიგნს.

ნ. წულუკიძე ერთნაირ მოვლენებად წარმოგვიდგენს ქურუმების ს გამოწვეულ ხილვებს და შემოქმედებითი შთაგონების წუთს, მაგრამ ეს გაიგივება არ არის

გამართლებული. პირველ შემთხვევაში საჭირო მექანიზმის ჩართვით ხელოვნურად ხდება ნატიფ სამყაროსთან მიახლოება, შემოქმედებითი ოროცესი კი სპონტანურია და უფრო ხშირად გაუცნობიერებელი.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მითოლოგიისა და ზეპირსიტყვიერების მიუკერძოებელმა შესწავლამ შესაძლოა მიგვიყვანოს მოულოდნელ აღმოჩენებთან (ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნები იმ თვალსაზრისით განიხილავდნენ მითებს). ამიტომ ბუნებრივია ხშირად მოცყავს მაგალითები მითოლოგიიდან. ნაშრომის ზოლის კი საუბრობს ქართულ მითოსზე. ამასთან დაკავშირებით ავტორის მიმართ სერიოზული პრეტენზიები გვაქვს. მისი ყურადღების ცენტრში მხოლოდ ამირანი და მინდია მოექცა, ასევე ხალხური ლექსის პატარა ფრაგმენტი. ქართული მითოლოგია, განსაკუთრებით საკულტო სიტყვიერება მართლაც ინახავს ძველი საკრალური ცოდნის მარცვლებს და რადგან ავტორმა საჭიროდ ჩათვალი ამაზე საუბარი, მაშინ უფრო ფართოდ შეეძლო ამის წარმოჩენა. მარტო ის რად ლირს, რომ ღმერთის მიერ მიწაზე წარმოგზავნილი ღვთისშვილები საღიღებლებში „დევ-კერძთა გადამსხვავებლებად“ იხსენიებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი მისია სიავის გარდაქმნაში, სიკეთედ გადაქცევაში მდგომარეობდა. ესაა ბოროტების გადასხვავება ანუ მისი არსის შეცვლა. ავტორი ბევრს საუბრობს ზეობრივ სრულყოფაზე, ადამიანის მიერ თავისი შინაგანი სამყაროს გარდაქმნაზე და ქართული მითოლოგიდან შეეძლო ამ მაგალითის მოშველიება. ქართული მითოსი მიგვანიშნებს, რა სიმაღლეებს სწვდებოდნენ ჩვენი წინაპრები. მათი ცოდნა შეფარული, კოდირებული სახითაა გადმოცემული მითოსურ და სარიტუალო ტექსტებში. დაცვის მექანიზმი დღესაც მოქმედებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჭვართვენის სახით. ესაა საკრალური შეტყვლება, რომელიც მხოლოდ ზიარებულთ ესმით.

ავტორი არაერთგზის ახსნებს აიეტის კოლხეთში დაუნჯებულ სიბრძნეს, რომლის გამოხატულებად ოქროს მარცვლები (საწმისის სიმბოლო) მიაჩნია, ბერძნული მითის მთავარი ინფორმაცია კი ყურადღების მიღმა დარჩეა. თავის ქვეყნაში სამეფო ტახტს რომ დაეუფლოს, ხელმწიფობაშე რომ ამაღლდა, კენტავრის გაზრდილი იასონი ინიციაციას კოლხეთში გადის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ცნება „ხელ-მხარის განათვლა“, მაგრამ სახეცვლილში რიტუალმა გადაუარა მისი თავდაპირველი სემანტიკა. ავტორი საუბრობს ელინურ მითებში მოხსენიებულ სტიქსის მდინარეზე, რომელიც საიქოს და სააქაოს საზღვაოს წარმოადგენს და აცხადებს, რომ ქართულ მითოლოგიაში მსგავსი არაფრიდია (გვ. 67). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის იცის სიმურის წყალი, რომელიც ორი სამყაროს გამყოფია და მასში შესული გარდაისახება, გარდაიცვლება. ამაზე თავად ღვთისშვილი კოპალა მოგვითხრობს:

„წყლის პირზე ამოვდომდი, ირეში ვიქენ რქიანი...“

სიმურში გადავიჩქიფე, რქისწვერთ გაიღეს ძგრიალი“.

სხვათაშორის, არც „ენერგეტიკული ორეულია“ უცნობი ქართული მითოსისთვის, ქაჭავთის დასალაშერად მიმავალმა ღვთისშვილებში შეაღრეს-გათუა მეგოლაურს სული ამოარიდეს და თან წაიყვანეს მოწმედ. მისი სხეული კი ხის ძირში დატოვეს.

ფშავ-ხევსურეთში არის ტერმინი „გამიშრივება“, რაც ხორცუ, დემონურ სამყაროსთან ზიარებას ნიშნავს.

ვეთანხმები ავტორს, რომ „ხალხური ადათებისა და წეს-ჩვეულებების ფესვები სცილდება მიწიერ ფარგლებს“, მაგრამ შემდეგ იგი ცალმხრივად აკონკრეტებს

მიმართულებას, როცა აცხადებს, რომ ეს ფესვები სულეთში ჩადის. ჯერ ერთი, იგივე ხალხური წარმოდგენებით, სულეთის მდებარეობა მარტო ქვედა სფეროთი არ განისაზღვრება. მეორეც: რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების სათავეები სხვადასხვა მიმართულებით არის საძიებელი.

რაც შეეხება ქართული ეპოსის გმირს ამირანს, მასზე განსაკუთრებით გვინდა შეგერედეთ: 6. წულუკიძე იმეორებს ზოგიერთი მეცნიერის შეცდომას და ამირანს წარმოგვიდგენს ცეცხლის ჩამომტან გმირად, რასაც ის ამ პერსონაჟზე გვეუბნება (გვ. 350), საესებით შეესაბამება პრომეთეს და არა ქართული ეპოსის გმირს. თქმულების არცერთ ვარიანტში არ არის საუბარი ზეციური ცეცხლის მოტანაზე. ამირანის თქმულებას იმდენად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, რომ ზედმეტი დამსახურების მიწრა არაფერში სჭირდება. ამირანის სახე სწორედ ზიარებულის მისის თვალსაზრისით არის საინტერესო. ღვთისნათლულობა იგივეა, რაც ღვთისშვილობა და ეს ამირანს გარკვეულ მისიას აკისრებდა: მას ავსულებისაგან უნდა გაეწმინდა მიწიერი საუფლო, მაგრამ ღმერთისაგან ძალამიცემულმა „თვი გაიღიდა“ და უფლის მიერ შექმნილი სამყაროს განადგურება მოინდომა. ამირანი ცდომილია, რომელმაც საშინელი მკრებელობის ფასად მიიღო მარადიული სასჯელი. ხალხურმა სიბრძნემ ამირანის თქმულებას ჰქუის სასწავლებელი ფუნქცია დააკისრა. ყოველმა აღამიანმა უნდა ალიაროს ღვთიური ძალის უსასრულობა, რომელსაც ვრავინ აღუდება წინ. ღვთაებრივ არსთან ზიარებას პირველ რიგში შინაგანი მზადყოფნა სჭირდება, რაღან ეს ძალიან მძიმე ტვირთია და ვინც მას მოეჭიდება, ბოლომდე ლირსეულად უნდა ატაროს. როცა მჭედლები უროს დარტყმით ამაგრებენ ჯაჭვს, მარტო დამაშვის სასჯელს კი არ ახანგრძლივებენ, არამედ საკუთარ თავში ამირანულ თავაშვებულობას ბორკავენ, იმ ქვეცნობიერს არ აძლევენ აწყვეტის საშუალებას, რომელიც მათ პიროვნებასაც დაანგრევს და სამყაროულ პარმონისაც დაემუქრება. ამიტომ ვერ დავთანხმები ავტორს, რომ ჰეშმარიტი ცოდნის ალორძინებას სხვებთან ერთად ამირანმაც უნდა შეუწყოს ხელი. რა მოხდება, თუ აღამიანები ცდომილის გზას გაიმეორებენ? სხვათაშორის, ამ თვალსაზრისით ამირანს მინდიაც ენათესავება: იგი აჲყად ცდუნებას და ვერ შეინარჩუნა სასწავლებრივი უნარი.

ბატონ ნუგზარის მიმართ გვაძეს კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც ეხება სიტყვა „სამოთხის“ მისეულ ეტიმოლოგიას. მოვიტანთ ერთ ადგილს წიგნიდან: „ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობას ქრისტიანობაში ქართულად „სამოთხე“ ეწოდება, ხოლო აღმოსავლურ რელიგიაში – „სამადჰი“... ბატონი ნუგზარი ამ ორ ლექსებს შორის პოულობს ფონეტიკურ სიახლოეს და ასკვის: „დადგა დრო, ისიც ვთქვათ, რომ ეს ორი სიტყვა ქართული „სამოთხე“ და სანსკრიტის „სამადჰი“ ძალიან ჰგავს ერთმანეთს ფონეტიკურად და შინაარსობრივად. თუ უფრო თამამები ვიქნებით, ვიტყვით, რომ ისინი ინდონტურები არიან“.

ბატონ ნუგზარს კარგად მოეხსენება, რომ ენას თავისი კანონები აქვს და ბეგერობრივმა დამთხვევამ შეცდომაში არ უნდა შეგვიფაროს. პროფესორ ნ. ხაზარაძეს სამოთხის შესახებ გამოთქმული აქვს ვარაუდი, ნაშრომში „ლექსება სამოთხის ეტიმოლოგიისათვის“ (დაბეჭდილია ახალციხის კონფერენციის თემისებში 1994 წ. გვ. 61-62), იგი იმოწმებს „იოანეს გამოცხადებას“ (21,13) და ზეციურ იერუსალიმს უწოდებს ოთხი კუთხით სამ კარიბჭიან ქალაქ-სამოთხეს. ამ აზრს იზიარებს პროფესორი მ. ჩხარტიშვილიც. ლინგვისტის პოზიცია აქ ასეთი იქნება: ძველ ქართულში „ოთხვა“ ნიშნავდა „სეირნობას“, „წალკოტში დასვენებას“, სა-მ-ოთხვე-ე, ადგილს სადაც

ისვერებდნენ (წალკოტში). სა-ე დანიშნულების აფიქსებია, ხოლო „მ“ გაჩენილია ორ ხმოვანს შორის, რაც არც თუ იშვიათია ქართულ ფონეტიკაში. (ზერმანულშიც „პარალისოს“ – სამოთხის ალმინიშვილი სიტყვაა, ნიშნავს „დასვენებას“, „სეირნობას“).

ეს ყველაფერი უთუოდ გასათვალისწინებელია, ჩიტომეტეს, რომ 6. წულუკიძე
საქმაოდ სერიოზულ საკითხებზე ესაუბრება მკითხველს. ყველა მის შეგონებას და
დარიგებას ხანდაზმული ასაკი აქვს: ჩელიგიური მოძღვრებები და ლვთისმსახურინი
საუკუნეების მანძილზე ურჩევდნენ ამას ადამიანებს. ეს წიგნი იმათვესაა განკუთვნილი,
ვინც ჯერ არ დაფიქრებულა ნატიფი სამყაროს არსებობასა და საკუთარ
შესაძლებლობებზე, მაგრამ ეს არ არის ზნეობისა და სრულყოფის სახელმძღვანელო.
ასეთი მიზანი არც პქონია ავტორს. ჩელიგიურები აქ გამოუსაღებარია. თითოეულმა
ადამიანმა თავად უნდა აირჩიოს ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზა, თვითონ უნდა
ჩასწვდეს თავის შინაგან სამყაროს და გააღვიძოს საკუთარი მიძინებული
შესაძლებლობები. 6. წულუკიძის სიტყვებით ჩიტომ ვთქვათ: „იქნებ მართლაც დაღვა
დრო, დავიწყოთ მიხვდრა...“

ასეთი განვლავთ ფსიქოლოგის, ფილოსოფოსის, ფოლკლორისტისა და ეთნოლოგინისტის მოსაზრება ნუგზარ წულუკიძის ერთობ არაორგინალურსა და საინტერესო წიგნზე „საიდუმლოს გასაღები“, რომელსაც დაინტერესებული მკითხველი კეთილად მიიღებს.





କ୍ରମାଙ୍କ ପ୍ରକଳ୍ପିତ

იუნეს ზეირებს პასუხს პირველ
რიგში თურქი ხალხი მოსთხოვს

(Անգլիական ազգային պատմության տղարկույթ էրցեսան)

მოხერხებულმა გეოგრაფიულმა და სტრატეგიულმა
მდებარეობამ საქართველოს ბევრ სიკეთესთან ერთად მრავალი
მტრიც გაუჩინა. მის ირგვლივ არსებული იმპერიები, რუსეთი
და ოსმალეთი, ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ პატარა ქვეყნის დაშლა-დაჭურვაცებასა
და დაპყრობაში. ამით სარგებლობლნენ სხვა მეზობელი ქვეყნებიც და იტაცებლნენ
მის განაპირა პროვინციებს.

საქართველო შეძლებისდაგვარად იგერიებდა მომზღვრთა აგრძესიებს. ამ პატარა ერთა არაერთი შემოსული მტერი ჟურნალი, მაგრამ ჩრდილოელ „მეგობრების“ მზაყრულმა პოლიტიკამ ქვეყნა იძულა ჯერ მეგობრობის ტრაქტატზე მოწერა ხელი, შემდეგ კი დახმარებისათვის რუსთის ჯარიც შემოყვანა. ეს „დახმარება“ 1801 წლი, შემდეგ კი დახმარებისათვის რუსთის ჯარიც შემოყვანა. ეს „დახმარება“ 1801 წლის ცარიზმის ახესრიპტით დასრულდა, რომლის ძალითაც საქართველოს სამეფო გაუქმდა და ქვეყნა ორ რუსულ გუბერნიად გაიყო. 117 წელს გაგრძელდა ქვეწის ოკუპაცია. პატრიოტული ძალების არაერთი შეთქმულება და აჭანყება სისხლში იქნა ჩატარდილი.

ქართულმა დემოკრატიულმა ძალებმა მოხერხებულად ისარგებლეს ცარიშის დამხობით, რუსეთში შექმნილი ქაოსით და 1918 წლის 26 მაისს ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საქართველოს დამოუკიდებლობა მსოფლიოს მრავალმა ქვეყნამ აღიარა. ასც მთავარია, იგი სცნო მაშინდელმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, ერთა ლიგამ. ამ უკანასკნელმა დააზუსტა საქართველოს ისტორიული საზოგადოები და დააღინა, რომ მეზობელ ქვეყნებს მიტაცებული ჰქონდათ საქართველოს საქმიანდ დიდი ტერიტორია.

საქართველოს მთავრობა იმთავითვე შეუდგა ამ საზღვრების დაზუსტებისათვის მზადებას, ალბათ მეზობელ ქვეყნებთანაც გამოინახებოდა საზღვრების კომპრომისული გამოსავალი, მაგრამ ეს არ მოხერხდა, ამგრად წითელი არმიის მიერ განხორციელებული აგრესიისა და ქვეწის ოკუპაციის გამო. თავისუფლება და დამოუკიდებლობა კვლავ დაიკარგა, საქართველოს ახალი მმართველები მოვლინენ, ამიტომ საზღვრების მოწესრიგისა მას არარავინ ეკითხებოდა.

რუსეთს მიუკრთა (მასალა მოგვაწოდა ნოდარ ცეცხლაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ).

ამგვარად საქართველომ 1921-1925 წწ. დაკარგა 18200 კვემ ტერიტორია, 294336 მცხოვრებით. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას 1921 წლიდან, როცა მოსახლეობის რიცხვი 2410500-ს უდრიდა, 2000 წლისათვის, დაკარგულ ტერიტორიებთან ერთად საქართველოს დაკლდა დახლოებით 991578 ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს ამ პატარა ქვეყნის მოსახლეობის რიცხვი 6,704,578, უნდა ყოფილიყო.

1990 წლს ეროვნულმა მოძრაობამ კვლავ იმძლავრა. საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო მასში შემავალმა რესპუბლიკებმა, მათ შორის საქართველომაც, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ქვეყანა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დადგა, მაგრამ ნება-ნება მაინც დაიწყო ახალი წყობილების მშენებლობა. 10 წლის მანძილზე ქვეყანამ წარმატებებსაც მიაღწია, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში. პირველ რიგში მოაწესრიგა ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან: თურქეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან და სომხეთთან, ამასთან ერთად მან ძალაში დატოვა ძველი შეთანხმებები და არცერთ მეზობელ ქვეყნასთან არ გამოუთქმამს ტერიტორიული პრეტენზიები. პირიქით, ყოველმხრივ ცდილობს ახალ-ახალი პროგრამებით და პროექტებით კიდევ უფრო შეუწყოს ხელი კეთილმეზობლური ურთიერთობების განამტკიცებას და ხალხების დაახლოებას, რისთვისაც აქტიურად იყნებს კულტურის, განათლების, მწერლობის, მეცნიერების, სპორტის და მრეწველობის ბერკეტებს. ამის მაგალითად მარტო ბაქო-თბილისი-ჯევანის პროექტიც საკმარისია, არაფერს ვამზობთ მრავალ ერთობლივ სასწავლებლებზე, ანსამბლების გაცვლაზე, მეცნიერულ შეხვედრებზე, სპორტულ შეჯიბრებებზე და ა.შ.

* * *

სახელმწიფობრივის არსებობის 3000 წლის მანძილზე საქართველო არასოდეს ყოფილა აგრძოსორი, არავისათვის არ წაურთმევია ტერიტორია, ამიტომ ძალზე დასანანია, რომ მეგობარ ქვეყანაში, თურქეთის რესპუბლიკაში აღმოჩნდნენ პიროვნებები, რომლებმაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე ეჭვის ქვეშ დააყნეს საქართველოს ისტორია, მისი სახელმწიფობრივი, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და ა.შ. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ ძირფესიანად მცდარ, გამოგონილ მასალებს თურქეთის რესპუბლიკის საკმარიდ პოპულარულმა პრესამაც დაუთმო თავისი ფურცლები.

საქართველოს მიერ ასეთი მტრული გამოხდომები აღრეც იყო. მათ საკადრისი პასუხი გასცეს, ამიტომ ძველზე აღარ შეგჩერდები, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე, იუნის ზეირექზე მოგითხოვთ, რომელმაც თავისი სტატიებით უურნალ-გაზეთებში აღვირასნილი კამპანია გააჩალა, რაც კარგს არ უქადის ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობას. (ქ. „თურქ იურდუ“, №11, 1999 წ. „თარიჯ თოფლუმ“).

პირველი მიზანი, რაც დაუსახავს ბატონ ზეირექს ის არის, რომ აჭარლები გამოაცხადოს არაქართველებად, ხოლო აჭარა არა საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნის კუთვნილებად. ამ მიზნის მისაღწევად ავტორი ყველაფერს კადრულობს; მისი მსჯელობები სცილდება მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, რაც საქართველოს მოსახლეობის დიდ აღშფოთებას იწვევს.

ზეირექი კმაყოფილია იმით, რომ თურქე „თბილისსა და მის შემოგარენში მცხოვრები ხალხი თავს ქართველს უწოდებს... სიტყვა გურჯი არ ესმის და არც ხმარობს მას“. საინტერესოა როგორ უნდა იხმაროს ქართველმა უცხო სიტყვა „გურჯი“, როცა მას თავისი ეროვნების გამოსახატავად აქვს მრავალი ტერმინი, ქართველი, იბერი, ივერი, კოლხი, და ა.შ.

მაგრამ ეს ავტორს სხვა მიზნით სჭირდება. კერძოდ დაუმტკიცოს მკითხველს, რომ გურჯი მხოლოდ აჭარელის აღმნიშვნელია და ამით ეს ეთნიკური ჯგუფი ჩამოაშოროს საერთო ქართულ ოჯახს.

ამის შემდეგ ბატონი ინუსი პირდაპირ გადატის შეტევაზე და აკეთებს „მეცნიერულ დასკვნას“: „არის მცდელობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა, რომელიც თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობს (ცენტრით ქალაქ ბათუმში), გაიგივებული იქნას თბილისის ხალხთან“, ბრძოლების დროს აჭარის ხალხი თურქების გვერდით იდგაო და ა.შ.

ბატონი ზეირექი აჭარის ისტორიას ან საერთოდ არ იცნობს, ან თავს შეგნებულად უვიცად აცხადებს. თუ ისტორიუმისა, არაფერი შეუშლიდა ხელს წაეკითხა არა ჩვენს დროში დაწერილი „ისტორიის ნარკვევები“, რომელსაც ალბათ არ ენდობა, არამედ 600-800 წლის წინათ დაწერილი „ქართლის ცხოვრება“, სადაც ნახავდა უამრავ მაგალითებს, როცა აჭარის მოსახლეობა, საქართველოს სხვა კუთხებთან ერთად, როგორ იბრძოდა ქვეყნის ერთიანობისათვის, მომხდურთა და მოთარეშეთა განსაღევნად. რათემა უნდა, მხარის დაპყრობის შემდეგ მოსახლეობა ოსმალეთის სამსახურში ჩადგა, მაგრამ მას ქართველობა, ეროვნული თვითშეგნება და ენა არასოდეს დაუკარგავს და მთელი 3-4 წლის მანძილზე ცდილობდა დედა-სამშობლოს დაბრუნებოდა.

საქართველოს საზღვრების დაფენისათვის ბატონი ზეირექი „ქართლის ცხოვრებას“ და ვახუშტის გეოგრაფიას არ ენდობა, მაგრამ ეტყობა არაქართველ მწერალ-ისტორიუმების უძველესი თხზულებები, კერძოდ სტრაბონის „გეოგრაფია“, პლინიუსის „ბუნების ისტორია“, პაიანეს „მითრიდატეს ომები“, „ანაბაზისი“, პალგრევის „მოგზაურობის დღიურები“ და ა.შ. არ წაუკითხავს.

* * *

თავის წერილებში ბატონი ზეირექი ხშირად ეხება მუჭაჭირობას და სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს პროცესი მრავალმა მიზეზმა განაპირობაო. დიახ, ეს მართლაც ასე იყო და ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი გახლდათ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გამეფებული ქაოსის დროს ოსმალო ემისრების და აღგილობრივი ორთოდოქტო მუსლიმანების აგიტაცია - რუსები მოვლენ, რწმენას წაგვართვამენ, ოჯახებს წაგიბილწავენო და ა.შ. საერთო ქაოსით თავგზაბნეული მოსახლეობა აღვილად ეგებოდა ამ ანკესზე და ცრემლითა და ვაი-ვიშით ტოვებდა მშობლიურ აღგილებს. თუმცა დიდი ნაწილი, მოტყუებული და შეცდენილი, კვლავ დაბრუნდა სამშობლოში, ამის მაგალითები ისტორიაში მრავალია, მაგრამ ამაზე ბატონი იუნუსი დუმილს ამჯობინებს.

აჭარელს თურქები გურჯუ-ს ეძახიანო, აცხადებს ავტორი და სირცხვილი სულ არ აწუხებს. საყველთაოდ ცნობილია, რომ გურჯუ ფელვნ და ფაფელთვის ქართველს ნიშნავდა. რაც შეეხება „აჭარელი“ საქართველოს ერთ-ერთი პროგინციის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების აღმნიშვნელია (გურულის, იმერელის, კახელის და სხვათა

მსგავსად), ხოლო ტერმინი გურჯუ, გურჯი, როგორც ჩვენში მიღებულია, ქართველის საერთო სახელწოდებაა. თურმე ქართველს ეს ტერმინი იმისათვის სჭირდება, რომ თურქეთის დაქუცმაცებას შეუწყოს ხელი. ცდებით ზეირექს ქართველს და საქართველოს 3000 წლის მანძილზე არცერთი ქვეყნის დაქუცმაცება და მითვისება არ უცდის. ამაში რომ დარწმუნდეთ ისტორიაში ცოტა უფრო ღრმად უნდა ჩაიხდოთ.

ბატონი ინუსი ამ აბრააგადაბრაში იმ სარგებელს ხედავს, რომ ჯერ დაადასტუროს აჭარლების არაქართველობა, ხოლო შემდეგ აჭარიდან ოსმალეთში გადასახლებული მუჰამადირებიც თურქებად გამოაცხადოს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ეს მას მართლაც დაუჭირეს. მაშინ რაღა ვთქვათ იმ მუჰამადირებზე, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან, კახეთიდან გადასახლდნენ? ამჟამად პასპორტში მათაც თურქი უწერიათ და თავს გურჯებად აცხადებენ. ისინიც თურქული წარმომავლობის არიან? მე ვიცნობდი ერთ ჩვენებურს, რომელიც იზმითის მახლობლად დიდი ქაღალდებობინატის მფლობელი იყო, წარმოშობით ქრისტიანი გურული, ე. ი. მუსლიმანი ქართველი. თურქეთში მე ვიცნობ ერთ შესანიშნავ მწერალს, რომელსაც მეგვარები და ნათესავები გურიასა და კახეთში ჰყავს. მათ გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ, რათა არ გაიზიარონ ჩვენი თანამემამულებისადმი განხორციელებული ტერორი და ძალმომრეობა.

* * *

ბატონი ინუსი მიწასთან ასწორებს ახმედ მელაშვილის მიერ დაარსებულ უურნალ „ჩვენებურის“ საქმიანობას, მის მესვეურთ ღალატს სწამებს და დანაშაულად უთვლის, რომ მათ მიზნად დაისახეს დავიწყებული ქართული კულტურის აღორძინება. ჩემთვის გაუგებარია, ავტორი, რა საშიშროებას ხედავს კულტურის აღორძინებაში, ან ახმედის ვაჟში, რომელიც ტერორისტთაგან მამის მკლელობის დროს მძიმედ დაიჭრა და სასწაულებრივად გადარჩა და, ზეირექსისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „რომელსაც სახელად საქართველოს ბერძნული სახელი იბერია აურჩევია“. ხომ ხედავთ „იბერიაც“ არაქართული ყოფილა. სხვათაშორის ზეირექს შევასხენებთ, რომ იბერია ერქვა აღმოსავლეთ საქართველოს და ესპანეთისაც. ამ დამთხვევამ დააინტერესა ორივე ქვეყნის მეცნიერები, განსაკუთრებით ბასკები; მათ ქართველებთან ერთად შეისწავლეს ეს საკითხი. საოცარი შედეგები მიიღეს, ქართულ (კოლხურ) და ბასკურ მეტყველებაში რამდენიმე ათეული სიტყვის პარალელს მიაკვლიეს, გარდა ამისა დაადგინეს, რომ ზოგი სიტყვა პირდაპირ უცვლელად მეორდება. ორივე ქვეყნის მეცნიერებმა წამოაყნეს პიპოთეზა: ესპანეთის იბერიაში ქართველები, ან პირიქით, ესპანელებისა საქართველოში მიგრაციის თაობაზე. ამ გამოკვლევებმა სისტემური ხასიათი მიიღო და დღითიდლე ღრმავდება. როგორ გვინათ, ზატონო იუნუს, ბასკები განაცხადებენ პრეტენზიას საქართველოზე, თუ ქართველები ესპანეთზე? თქვენი ლოგიკით, ან ერთი მოხდება ან მეორე, მაგრამ საბედნიეროდ ეს ას არ არის. ეს გამოკვლევები ნათელს მოჰყვნს უფელეს ისტორიას და ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის დაახლოება-დამეგობრებას.

* * *

იუნუს ზეირექს ხმარებაში შემოაქვს სულ უცხო ტერმინი თურანის კოლხები (კულხი). ჩვენთვის გასაგებია, რისთვის უკავშირებს ის კოლხებს თურანს. იმისათვის, რომ დაასაბუთოს, ჭოროხის მიდამოები, ძველი კოლხეთი, საქართველოსი კი არ არის, „სინამდვილეში ოლუზური წარმოშობის ქრისტიანი ბაგრატიონი მეფებისა

და ყიგჩალი ქრისტიანი ათაბაგების მმართველობის ქვეშ 800 წლის მანძილზე იმყოფებოდათ“.

ეს ფრაზა ისტორიკოსებში (მათ შორის თურქეთშიც), ღიმილს გამოიწვევს და მის, როგორც აბსურდის გაკრიტიკებას საჭიროდაც არ ჩათვლიან; ისტორიაში ჩახდული ადამიანები კი აღშფოთდებიან და უპასუხოდ არ დატოვებენ, ხოლო ჩვეულებრივმა მკითხველმა შესაძლოა დროებით, სანამ სინამდვილეს გაიგებდეს, ირწმუნოს კიდეც.

მანც ვინ არიან კოლხები და ვინ ოღუზები? დაგიწყოთ კოლხებით. კოლხი და კოლხეთი უძველესი საქართველოს დასავლეთი ნაწილია, შავიზლვისპირეთი. ქართულმა წერილობითმა წყაროებმა არ შემოგვინახა ამ ტერმინის წარმომავლობა. ფიქრობენ, რომ ის მტკვრის ზედაწელის მხარის, კოლა-ს სახელს უკავშირდება. ძველი წ. ა. მე-8 საუკუნის ბერძენი პოეტი-ეპიკოსი ევმელიოს კორინთელი პირველად ახსენებს „კოლხეთის მიწას“, ამ ქვეყანას და მღინარე ფასის ვხვდებით კორინთელის თანამედროვის ჰესიოდეს ნაწერებშიც. კოლხა, კოლხეთი ურარტულ წყაროებში კულა-დაც იხსენიება. აქ კერძოდ ნათქვამია, როგორ ილაშქრა ურარტუს სასტიკმა მეფემ სარდურ მეორებ კულხა-ში.

უფრო აღრე ძვ. წ. ა. მე-12-11 საუკუნეებში ასირიის მეფე ტიგლაპალასარ I წერდა: „ნაირის (სომხეთის) ქვეყნები, კოლხის (საქართველოს) ქვეყნები დიდ ზღვამდე დავიმორჩილეო“.

ამის შემდეგ დალაშქრეს კოლხეთი არგონაგტებმა. ამ ქვეყნის არსებობის უძველეს წყაროებზე საუბარს აღია გაგარქელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ტროას ომაძლე (დაახლ. ძვ. წ. ა. 1225-1235 წწ.) კოლხებს თავისი დამწერლობაც ჰქონიათ, რის შესახებაც გვაუწყებს: აპოლონიოს როდიოსელი (ძვ. წ. ა. 195 წ. დაბალებულა): მისი ცნობით: „კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ფელა გზა და საზღვარი“. (ქსე. ტ.5. 1980. გვ. 596). ეს ქართველთა უძველეს კულტურასა და სახელმწიფოებრიობაზე მეტყველებს.

ბერძენი ფილოსოფოსის ოემისტიონის (317-388 წწ.), ცნობით მან და მისმა მამამ ევგენიოსმა რიტორიკული განათლება მიიღეს კოლხეთის (ფასისის, ახლანდელი ფოთის) უმაღლესი საფეხურის სასწავლებელში. რიტორიკის გარდა აქ ასწავლიდნენ ლიტერატურას, ასტრონომიას, მუსიკას, ფილოსოფიას, სამართალს და სხვ. (იქვე, გვ. 597).

ეგრისის სახელმწიფო ჩამოყალიბდა I-II საუკუნის მიზნაზე. რომელმაც მე-4 საუკუნეში გააერთიანა მთელი ჩრდილოეთ კოლხეთი, ე.ი. დასავლეთ საქართველო. (იქვე).

გაცილებით აღრე ძვ. წ. ა. მე-6-4 საუკუნეებში კოლხეთში მოჭრეს ვირცხლის ფული, რომელსაც კოლხური თეთრი ერქვა. მათი ათეულობით ეგზემპლარი საქართველოს მუზეუმში ინახება.

გველი ისტორიკოსები კოლხეთს ლაზთა ქვეყნასაც უწოდებდნენ (ქსე, ტ. 22. 1953, სტრ. 71, 72“, ქსე ტ. 5, 1980, გვ.)

ბერლინის მუზეუმში ინახება ათონში ნაპოვნი ჰიდრა, რომელსაც აქვს წარწერა: „კოლხმა მე გამაკეთა“. ეს საგანი ძვ. წ. ა. 540 წლით თარიღდება. ათონში ნაპოვნია აგრეთვე იმავე პერიოდის ამფორა, წარწერით: „ექსითეოსმა გამაკეთა, კოლხმა მოხატა“ (ალ. წერეთელი. ქველი საბერძნეთი, ტ. I, თბილისი, 1958).

ამგვარად კოლხეთის სახელმწიფო ბრიობა, დამწერლობა და კულტურა 3000 წელზე მეტს ითვლის.

რაც შეეხება ოღუზებს, უზებსაც ეძახინ, თანამედროვე თურქენთა წინაპრები არიან, რომლებიც აგრე მე-10 საუკუნეში მომთაბარეობდნენ არალისპირეთში. ძველ მატიანებში ისინი თურქებადაც იხსენიებიან. მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში ოღუზთა ნაწილმა ისლამი აღიარა და თურქენად იწოდა. მე-11 საუკუნის დასაწყისში სელჩუკების წინამძღვრლობით ისინი შეიქრენენ შუა აზიასა და ხორასანში და საფუძველი ჩაუყარეს სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობას.

ბატონო იუნუ! უმაღლესი მათებატიკის ცოდნა არაა საჭირო იმისათვის, რომ განესაზღვროთ რამდენი საუკუნითა დაშორებული ერთმანეთთან კოლხთა სამეფოს არსებობა და თურანთა (თურქენთა) სახელმწიფოს წარმოქმნა. მათ შორის თითქმის ოცი საუკუნეა და როგორლა შეიძლება ვიზმაროთ თქვენი ტერმინი „თურანის კოლხები“? კომენტარები თქვენი სინდისისათვის მიგვინდგია.

თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ სელჩუკები (ოღუზები) წორობის მიღამოებში, ე. ი. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მე11 საუკუნეში დასახლდნენ. ბაგრატიოვანი მეფეები (აშოტ დიდი, ადარნასე, ბაგრატი კურაპალატები) კი აქ პირველად მე-9 საუკუნეში გამოჩნდნენ. გვკითხები, თუ ტაო-კლარჯეთს ჰყვდა ბაგრატიოვანი მეფეები, ქრისტიანი ქართველები, ორასი წლის შემდეგ, აქ სელჩუკების მოსვლისას, როგორლა გაზღებოდნენ ისინი გენეტიკურად „ოღუზური წარმოშობის“ მეფეებად? ეს რბილად რომ ვთქვათ, სისულელეა, რაზეც ქართველებს მრავალი ანდაზა გვაქს, დარწმუნებული ვარ თურქ ბრძენკაცებსაც ექნებათ ამაზე ძველი გამონათქმები.

ახლა რაც შეეხება ტერმინ ათაბეგის ეტიმოლოგიას („ყველაყვანი ქრისტიანი ათაბაგები“). ათაბეგი (ათაბაგი) თურქული სიტყვაა და ქართულად მამა-ბატონს ნიშნავს. სელჩუქთა სახელმწიფოში თანამდებობის პირი იყო. მას ევალებოდა სულთანის მემკვიდრის აღზრდა და მეურვეობა. ამ სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ათაბაგი დამოუკიდებელი სამთავროს მეთაურის წოდებად იქცა. ეგვიპტეში მხედარმთავარსაც ნიშნავდა (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I. თბ. 1975. გვ. 222).

საქართველოში ათაბაგი იყო მეფის ერთ-ერთი ვეზირი. მას ევალებოდა ტახტის მემკვიდრის აღზრდა, ე. ი. ეს იყო სამეფო კარის მაღალი თანამდებობა. 1212 წელს ეს ტიტული პირველად ებოძა ივანე მხარგრძელს, ამ თანამდებობას მომდევნო წლებში ამირასპარსალარობაც უთავსდებოდა. 1334 წელს გიორგი მე-5-მ ათაბაგობა თავის ბიძას სამცხის მთავარს სარგის ჭავლს უბოძა. საქართველოს პოლიტიკური დანაწილების შემდეგ მეფის კარის ათაბაგობა-ვეზირობა მოისპო და ეს წოდება სამცხის მთავართა ტიტულად იქცა, მაგრამ არც მხარგრძელები და არც ჭავლები არ ყოფილან წარმომავლობით ყველაფი.

ათაბაგების ტიტულს სამცხის ჭავლები ატარებდნენ შანამ, სანამ ისინი ქრისტიანები იყნენ, ე. ი. 1628 წლამდე, როცა ბექა ჭავლი გამუსლიმანდა და საფარ-ფაშად იწოდა. ამის შემდეგ სამცხის მთავრებმა ათაბაგის მაგივრად ფაშების ტიტული მიიღეს.

ცოტა არა თვით ყივჩაჭაბზეც უნდა ვთქვათ. ადამიანს აღბათ რაღაც ზებუნებრივი ფართაზია უნდა ამოძრავებდეს, რომ უძველესი კულტურის მქონე ერი, რომელსაც 3000 წლის წინ გაჩნდა თავისი სახელმწიფოებრიობა, დამწერლობა, კულტურა და მეცნიერება, მე-11 საუკუნეში ვოლგისპირეთისიდან შავიზღვისპირეთში გადასახლებულ მომთაბარე ყივჩაჭაბის

ნაშეირად მიიჩნიო. იმ ყოვჩაყებისა, რომლებიც მაშინ იურტებში ცხოვრობდნენ, წარმართულ სარწმუნოებას მისდევდნენ და პირველყოფილი თემური წყობილება ქონდათ (ქვე. ტ. 10. 1986, გვ. 641-642).

1118 წელს საქართველოს ძლევამოსილმა მეფემ დავით აღმაშენებელმა სელჩუკებისაგან გაანთავისუფლა კახეთი, ლორე, გიში, რუსთავი და სამშეილდე, მაგრამ მათი განდევნა თბილისიდან, დმანისიდან და რამდენიმე ციხე-სიმაგრიდან გაძნელდა. ამ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში იდგნენ კიევის მთავრის ვლადიმერ მონომახის მიერ დამარცხებული ყოვჩაყები, რომელთა მთავრის ასული დაგითს ცოლად ჰყავდა. მეფე თავად ჩავიდა მათთან, ოსებთან შეარიგა და 40 000 ოჯახი საქართველოში გამოიყარა. ყველა ოჯახიდან საშუალოდ თითო მებრძოლი თავის ლაშქაში ჩარიცხა და ქვეწის საზღვრების დაცვა დაავალა. მომდევნო წლებში ყველა დიდი ნაწილი გაქრისტიანდა და გაქართველდა, ნაწილი კი მე-13 საუკუნეში შემოჭრილ მონღოლთა ლაშქარს შეერია. (იქვე).

* * *

მაინც რაში სჭირდება იუნუს ზეირექს ამდენი სიყალბეების რომვა? მთავარი მიზანია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული ძეგლები და, რა თქმა უნდა ტერიტორიებიც გამოცხადდეს არაქართულად, გეოგრაფიული სახელები კი სიცრუედ. როგორც ბოლო დღეების პრესა იუწყება, ამ ისტორიულ ძეგლებზე თურმე სომხებიც აცხადებენ პრეტენზიას. თუ ზეირექის ნაწერებში ლრმად ჩავიხედვთ, დავრწმუნდებით, რომ ის მათ უჭერს მხარს, ქართველ მეცნიერებს კი მედოლეებს და მეზურნეებს უწოდებს. ღმერთმა მისი სიმართლის მიხედვით მოუმართოს ხელი.

ბატონო იუნუს! ჩვენ დაგვანებე თავი და შავშეთის ან იმერხევის რომელიმე სოფლის მცხოვრებს ჰყითხე, ჭორობზე და შავშეთის წყალზე თაღიან ხილებს რა ჰქვია. ყველა გიპასუხებს - თამარის ხილიან და ეს აზრი 800 წელია გონებიდან არავის ამოსვლია, არც მტერსა და არც მოყვარეს.

თბილისში რომ მოხვდებით, ხელოვნების მუზეუმში შეიარეთ. აქ გაჩვენებენ შუა საუკუნეების შედევრებს, რომლებიც ქართველი ოსტატების, ბექა და ბეშენ ოპიზარების ნახელავია. ისინი კი მოღვაწეობდნენ ლივანას ერთ ლამაზ სოფელში, რომელსაც დღესაც ოპიზა ჰქვია.

ამ მხარის შეილი იყო დიდი ქართველი მეცნიერი მწერალი გიორგი მერჩულე-კიდევ მეტი, შუა საუკუნეების ერთმა დიდმა ქართველმა, თამარის კარის პოეტმა და მთარგმნელმა თავის თავს ითანე შავშეთელი-შავთელი უწყოდა. სწორედ მან შეასხა ხოტბა „აბდულმესიას“. მასვე ეკუთვნის „გალობანი ვარძის ღვთისშობლისანი“, რომელიც ბასიანში (აზრუმთან ახლოს) 1203 წელს სელჩუკების 400 000 კაციან არმიასთან ბრძოლაში თამარ მეფის ძლევამოსილ გამარჯვებას მიუძღვნა. ახლა ამტკიცეთ თქვენ, თაღიანი ხილები რომელმა სომხება ააშენა, ოპიზარებიც ოღუზები იყვნენ, შავთელი ყველია და ა. შ.

თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებს ბევრი მტერი ჰყავს. ზოგი მის მითოგისებას, ჩემი აშენებულიაო, აპირებს. ზოგს კი მისი ამშენებლის, პატრონის ვინაობა აშინებს და მზადაა შუა საუკუნეების ეს უძვირფასესი ძეგლები მიწასთან გაასწოროს. ასე ააფეთქეს ტბეთის ღიღებული ტაძარი, რომელსაც 918 წელს ჩაუყარა საფუძველი ქართველმა მეფემ აშოტ კურაპალატმა. კიოხულობ იუნუს ზეირექის „შედევრებს“ და ძრწოლა გიპარობს, ხომ არ ემუქრება ასეთივე საფრთხე

ბანას, ოპიზას, ოშეს, პარხალს, იშხანს... ეჭვი არ მეპარება, რომ მას და მისთანებს კანონის ეშინიათ, თორებ ხელი არ აუკანკალღებათ პირისაგან მიწისა აღვანონ ყველა ისტორიული ძეგლი. ქართველ ხალხს იმედი აქვს მეგობარი თურქი ხალხი და დემოკრატიული წყობილების მშენებელი მისი მთავრობა ჩვენს საუკუნეში არ დაუშვებს ამ ბარბაროსობას.

რაღა ისტორიული საქართველო, ბატონი იუნუსი ერთმანეთში ურევს კამის და ვოლგისპირეთის ბულგარელებს დღევანდელ ბულგარეთან, საცეცებს წალმა-უკურმა აქნებს და საღაცაა ამ ქვეყანასაც თავის ტერიტორიად გამოაცხადებს: „ბულგარელების თურქული წარმოშობა ცნობილი ჰქომარიტებაა“ - ო, აცხადებს და არაფრად დაგიდევს რომ თანამედროვე ბულგარელთა წინაპრები ბულგარელები შეერიცნენ სარმატებსა და ალანებს, მოვგანინებით მომთაბარე თურქებს და მე-10 საუკუნეში შექმნეს ფეოდალური სახელმწიფო. ჯერ ისინი ხაზარებს ემორჩილებოდნენ, ამათი განადგურების შემდეგ კი კიევის თავადმა სვიატოსლავმა მათ 965 წ. დამოუკიდებლობა უბოძა. რაც შეეხება საკუთრივ ქვეყნის პროტო - ბულგარელებს, ისინი მე-6-მე-7 საუკუნეებში სლავიანთა ეთნოსის ერთ-ერთი დამფუძნებელი არიან. (ქს. ტ. 2, 1947, გვ. 559-566). სპარსულენოვანი სარმატების მემკვიდრეები ირანელები და ალანების შთამომავალი ოსები (ქართველთა მონათესავენი) არავითარ პრეტეზიას არ გამოთვამენ ბულგარეთზე. აი, ბატონი იუნუსი კი სლავი ხალხის ამ ნაწილს თავის კუთხით იღებად თვლის.

* * *

ბატონ ზეირექს ძალზე აწუხებს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ტოპონიმები. მისი აზრით ბორხა-ბორჩაა, ჭოროხი-ჩორუჭი, ოლთისი-ოლთუ, ფოცხვი-ფოსოფი, თავუსექრი-ტაბაწყურისა და ა. შ. საბედნიეროდ ამ „მეცნიერმა“ ართვინსა და არტანუჯს ვერ მოუნახა მისთვის სასურველი სახელები. ვერც სხვა აშკარად ქართულ ტოპონიმებზე დაძრა სიტყვა. ამიტომ ამ თემაზე კომენტარებისაგან თავს შევიკავებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ არც ფოცხვი და არც ფოსოფი არაა პირვანდელი სახელი. დასაწყისში იყო ბოცოს ხევი (ბოცო ერთ-ერთი წარჩინებული ჯაჭვლი იყო), შემდეგ სიტყვამ ტრანსფორმაცია განიცადა და მიგიღეთ ფოცხვი, ხოლო მოგვიანებით მას ფოსოფი უწოდეს, რაც შეეხება თავუსექრს ის ტაბაწყურს კი არ ნიშანს (ეს ტაბა შუაგულ ჯავახეთში მდებარეობს ბორჯომისა და ახალქალაქის საზღვარზე), აქაც ვირეშმაკობს ზეირექი. შესაძლოა მან ძალიან კარგად იცის, რომ ტაოსკარი თურქეთის ტერიტორიაზეა, შაგრამ სინამდვილე ხელს არ აძლევს. თანაც ურჩევნია დამაზინჯებული სახელი, თავუსექრი, ერვას არა ისტორიულ ტაოსკარს, არამედ შუაგულ საქართველოში მდებარე ტბას, რათა დროთა მსვლელობაში იმასაც წაეპოტინოს.

ბატონი ზეირექი იმოწმებს ერთ-ერთ გაზეთს, (რომელს არ ასახელებს) და მოაქვს ციტატა: „აჭარლების ქართველებად მიჩნევა არც ისტორიის შექსაბამება და არც სოციოლოგიას. აჭარელი შუპაჭირებისათვის ხალხისა და ბევრი უვიცი პოლიტიკოსის მიერ „გურჯუს“ წოდება ისეთი შეცდომაა, რომლის აღმაც გონებას არ შეუძლია“. ჯერ ერთი, ბატონი იუნუს, გვითხარი რომელი გაზეთია, რომ მის ჩედაქტორისა და ამ სიტყვების ავტორს ზურგზე სულ ბდლვირი ვაღინო, ვუჩივლო სასამართლოში ჩემი და ჩემი ნათესავების, მთელი აჭარის მოსახლეობის შეურაცხყოფისათვის. ამას მე გეუბნები, რამაზ სურმანიძე, უძველესი ქართველი,

აჭარის მკვიდრი, აღრე ქრისტიანი, შემდეგ მუსლიმანი ქართველი, მაგრამ მუდამ ქართულად მოლაპარაკე, თურქეთში აუარებელი ნათესავის, მათ შორის სურმანიძეების პატრიანი. ვინ მისცა ამ გაზეოს, ანდა თქვენ, ბატონო ზეირექ, მე და ჩემს ნათესავებს დაგვიმახინჯოთ ისტორია, შეგვიცვალოთ წარმომავლობა და ჩემი ჭიში და ჭილაგი ჩემთვის სრულიად უცხო ტომს მიაჟუთვნოთ?

როგორც ვიცი, ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს დაახლოებით ორ მილიონამდე თურქეთის მოქალაქე (მათ შორის ბევრი ჩემი ნათესავი). მართალია ისინი მუჭ აჭირები არ არიან, მაგრამ ამათგან დიდად არ განსხვავდებიან, რადგანაც ისინი სოციალურმა ფაქტორებმა გაფანტა სხვადასხვა ქვეყნაში და ბევრმა იმ ქვეწის მოქალაქეებაც მიიღო. საინტერესოა, რა ხსიათზე დადგებით თქვენ, ბატონო ზეირექ, ერთ დღეს გერმანიამ ისინი გერმანელებად რომ გამოაცხადოს? შესაძლოა ომს არ დაიწყებთ, მაგრამ ამას თქვენს ქვეყნაში დიდი არეულობა რომ მოჰყება, ამაში საეჭვო არაფერია.

თქვენ აგრძელებთ ციტატას (ალბათ იმავე ანონიმ გაზირდან): „მამა 1980 წელს მოკლეს, „ჩვენებური“ შვილმა იტვირთა“ და აკეთებთ სამრთლან დასკვნას: „თურქეთში ქართული უმცირესობა ცხოვრობს. ესაა 500 სოფელი, 2,5-3 მილიონი მოსახლეობით. ამჯერად პოლიტიკურ აგტონომიას არ ითხოვენ, მაგრამ დედა-ენაზე განათლების მიღების უფლება და თავიანთი დამცირებული ენისათვის თავისუფლება უნდათ. გარდა ამისა თურქმე ქართული კულტურის ცენტრებიც უნდა გაიხსნას“ – ამზობთ და თქვენივე დასკვნა შეიშის ზარს გცემთ. რა ამაში ცუდი? თუ ადამიანი თავისი დედაენის აღდგენას, ეროვნული სკოლის გახსნას, მეზობელ ქვეყნებთან და თავის ნათესავებთან ახალი კულტურული ურთიერთობის დამყარებას ცდილობს, რომელიც არავითარ ვნებას თურქეთის რესპუბლიკას არ მოუტანს (პირიქით, დემოკრატიის გზაზე მდგომ ქვეყნას დიდ პოლიტიკურ სარგებელს მისცემს), რას ხელავთ ამაში ცუდს?

ამისათვის ქართულ მაგალითებს გაფაცნობთ, რომელმაც იქნებ ცოტაოდენი განათლება შეიტანოს თქვენს გონიერაში. საქართველო პატარა ქვეყნაა (5,5 მილიონამდე მოსახლეობით). აქ ცხოვრობენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები, ოსები, აფხაზები და სხვ. მათი რიცხვი ქვეყნის მოსახლეობის მესამედს შეადგენს. ყველა კომპაქტურად დასახლებულ ხალხს აქვს თავის ეროვნულ ენაზე მომუშავე სკოლები, კლუბები, სამკითხველოები, რადიო და ტელეგადაცემები, საკუთარი პრესა, ეროვნული ფოლკლორული ანსამბლები, მძღვარი სათვისტომოები, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან. ყველგან ნახავთ მათ სალოცავებს, ეკლესიებს, მეჩეთებს, სინაგოგას. ამით ქართველი ხალხი ამაყობს და ყოველმხრივ უწყობს ხელს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის აღმავლობას.

თქვენ რა გემართებათ? ნუთუ 65 მილიონიან ქვეყნას ასე გაშინებთ სამი მილიონი თქვენივე მოქალაქეების (რომელთა პასპორტში ეროვნებად თურქი უწერიათ) თხოვნა, ისწავლონ თავიანთ ისტორიულ ენაზე? არა მვონია ეს მთელი თურქი ხალხის აზრი იყოს. ეს თქვენი და თქვენისთან ერთი მუჭა შოვინისტების აზრია, მეტი არაფერი.

თურქე საქარიას სოფელ ერქენში გინახავთ გლეხები, რომლებსაც უთქვამთ „ქრისტიან ქართველებთან საერთო არაფერი გვაჭვსო“ და ა. შ. ლიერთმა ხელში მოუმართოთ, არავინ აძლებს, მაგრამ ვისაც ეს სურს, თქვენ რატომ ელობებით?

ესაა თქვენი დემოკრატია და ადამიანის თავისუფლება? ასე გინდათ ევროპის გაერთიანებებში შესვლა?

* * *

ქართველი სადაც არ უნდა მოხვდეს, ყოველთვის სიამაყის იტყვის ქართველი ვარო, რადგანაც იცის, რომ მისი ქვეყნა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. იმ ქვეწის შეიღებმა დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობიდან ერთ-ერთი სწორედ ქართულია. უფრო მეტიც, ქართველს აქვს დამწერლობის სამი სახე: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. სხვათა შორის ოსმალთა მმართველობის დროს, როცა „შეწყდა ქართული წერა-კითხვის შესწავლა, აჭარელმა ქალებმა შემოინახეს ქართული დამწერლობის ნიმუში. ასოებს უკეთებლენენ პატარა ნიშნებს, რითაც ის განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მხედრულისაგან. ეს ფორმა „დედაბრულის“ სახელითაა ცნობილი და ზოგ შეცნიერს დამწერლობის მეოთხე სახედ მიაჩნია.

ქართველი ამაყობს იმით, რომ მისი ქვეწის ტერიტორია საესეა უძველესი მატერიალური ძეგლებით, ხილებით, ციხე-სიმაგრეებითა და ეკლესია-მონასტრებით. ახლახან დმანისში 1 მილიონ 700 ათასი წლის წინანდელი ევროპელი ადამიანის თავის ქალა აღმოაჩინეს, რამაც ნამდვილი გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში. ამაზე ფრანგმა მეცნიერმა ანრი დე ლუბლეიმ თქვა: საქართველო აერთიანებს შავს და კასპიის ზღვებს, ჩრდილოეთით დიდას და სამხრეთით მცირე კავკასიონს, როგორც გზაჯვრედინი ახლო აღმოსავლეთის გავლით აფრიკას, აზიასა და ევროპას შორის, ასიათასობით წლის მანძილზე იყო ფაუნებისა და ადამიანების ურთიერთშერჩევის ადგილი“ (გ. საქ. ჩესპ. №276,17) 10.2000 გვ. 3). ასეთი ქვეწის და ერის შვილობა მართლაც საამაყოა და ვერავინ შეუშლის ხელს, ნურც გაუკვირდებათ, თუ უცხოეთში მხოვრები ქართველიც გას შენატროდეს.

მე სულაც არ მიკვირს ევრენელი გლეხების ნათქვამი. რაც ტერორისტებისაგან ოზეანების ოჯახს გადახდა, როცა ახმედი მხეცურად მოკლეს, ხოლო მისი შეიღი იბერია შძიმედ დაჭრეს (რაზეც თქვენ ერთ სიტყვასაც არ ამბობთ), ყველა ვერ გაბედავს საქართველოზე კარგის თქმას, ან კიდევ იმას, რომ ის წარმოშობით ქართველია და მისი მშობლიური ენაც ქართულია. თქვენს წერილში იმდენჯერ და ისეთ კონტექსტში მოიხსენიებთ იბერიას, რომ აშკარად სჩანს თქვენი თანავრძნობა ტერორისტებისადმი, რომლებმაც დიდი მოლგაწე სიტყვის თავისუფლებისათვის გასწირეს. ამ ჰკუთ შორს ვერ წახვალთ, რადგანაც თანამედროვე მსოფლიოში ტერორის დიდი გზა არა აქვს. თქვენ მოგყვათ ახმედ ოზეანის თითქოსდა მოსანანიერები წერილის ტექსტი. მე სულაც არ მიკვირს, რომ ის ამ წერილს დაწერადა. წარმოდგენილი მაქვს, სანამ მოკლავლენენ, რამდენჯერ დაემუქრებოდნენ, ტელეფონებით დაურეკავლენენ და დააშანტაუებდნენ. ეს წერილი ალბათ ასეთი იძულებით დაიწერა.


მე არც ის მიკვირს, როცა საქართველოში ჩამოსულმა მუჰამედირამა ქალმა თქვა: „ქართველი არ ვარ, მუსლიმანი ვარო“. ნებისმიერი ადამიანი მიხვდება, რომ „ქართველის“ მცნებაში ის ქრისტიანს გულისხმობს და ამიტომ ამბობს, მუსლიმანი ვარო. აბა ერთი ცოტა შეუბრუნე კიფხვა ქართულად რატომ ლაპარაკობო, მაშინვე მოგიგებს: გურაჯი ვარ, აჭარელი ვარო. ეს კი იგივე ქართველობს ნიშნავს. თუმცა ამ ქალბატონის რა უნდა გაგივირდეს, როცა იუნის ზეირექი, რომელსაც თავი შეცნიერად მოაქვს, მიაჩნია, რომ „ქართველობა ქრისტიანობის აღსანიშნავად გამოიყენება და სინამდვილეც ეს არისო“.

ზეირექს თბილისში შოთა რუსთაველის წიგნები უნახავს და ამ სულმანათის შემოქმედებას მისი ავყიაობაც შეხებია. ქართველი და უცხო რუსთველოლოგებისაგან განსხვავებით ახალი რამ აღმოჩენია: პოემაში პროლოგის ერთი ნაწილი რატომ არ არის წარმოდგენილი. „იმიტომ, რომ პოეტი იქ წერს: ნიზამი განჯევი ჩემი მასწავლებელია“ - ასკენის თავადვე და ხელს იბერია მელაშვილისაკენ იშვერს: როგორ ახსნი ამასო. ბატონი იბერია მართლაც როგორ ახსნის, არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში საკმაოდ ჩახედული კაცი, ვერაფრით ვერ ავხსნი, რადგანაც ასეთი რამ უზრალოდ არ არსებობს, არსად არ წამიგითხავს, არც „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერებში და არც სხვა ავტორების კომენტარებში. თუ ბატონ ზეირექს ამის დამადასტურებელი საბუთები აქვს (სხვათაშორის, პოემის ერთი უძველესი ხელნაწერი შავშეთში, ართვინში აღმოაჩინეს და მისი საბოლაო ბედი უცნობია), ქართველები დიდ მაღლობას შევწირავთ რუსთველოლოგიაში შეტანილი წვლილისათვის, მაგრამ ვა რომ მას ეს იმედი გაუცრუვდება. ასეთი რამ არც რუსთაველსა და არც ნეტარხსენიერულ ნიზამს არ უთქვამთ. ისე კაცმა რომ თქვას, რაა იმაში ცუდი, თუ ერთი გენიოსი პოეტი მეორე, მასზე ასაკით ოდნავ უფროსი გენიოსი პოეტის მოწაფე იყოს? ეს ქართველებს ისევე გაუხარებათ, როგორც ჩვენი მოძმე და კარის მეზობელი აზერბაიჯანელები იამაყბენ, თუ მათს ცნობილ აღამიანს ეყოლება ქართველი მასწავლებელი, თუმცა იმასაც გეტივით, რომ პოეზიაში მასწავლებლობა, თანაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შორის, გამორიცხულია. პოეტი, მით უმეტეს გენიოსი, თვითნაბადი ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოობული.

მე მგონი კარგი იქნებოდა ბატონ ზეირექს ამ ყურით მოთხოვლი ამბებისათვის კი არ მიექცა ყურადღება, არამედ კარგად წაეკითხა ნიზამი განჯევისა და შოთა რუსთაველის შემოქმედება, რომლითაც დიდი პოეტი - ჰუმანისტები უძღვიან სამშობლოს, თავიანთ ერს, თესავნ ჭეშმარიტი სიყარულის, გმირობისა და რაინდობის მარცვალს, იბრძვიან დაჩაგრული ადამიანის უფლებების დაცვის, უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. მაშინ შესაძლოა იუნუს ზეირექს დაკარგოდა სურვილი ეწერა ამდენი სიყალტი, ენთხია ამორინი ბორმა და სიძულვებილი.

აზერბაიჯანი ვაჭსენე და ძალაუნებურად ამ ქვეყნის ერთი პროვინცია, ისტორიული საინგილო გამახსენდა. აქ სამ რაიონში ეთნიკური ქართველები, ინგილოები ცხოვრობენ. აზერბაიჯანის ხელისუფლების დახმარებით მათ აქვთ ქართული სკოლები, ქართული თეატრი, ეუფლებიან ქართულ კულტურას და მეცნიერებას, მაგრამ არც მათ და არც საქართველოს მოსახლეობას აზრადაც არ მოსვლია რაიმე პრეტენზიები წაეყნებინა მეზობელი ქვეყნისათვის. პირიქით, ყოველმხრივ უწყაბენ ხელს იქ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების დაცვას. აი ასეთ მაგალითებზე უნდა ვიცხოვროთ, ბატონო ზეირექ, ასეთ მაგალითებზე უნდა ვზრდიდეთ მომავალ თაობებს, თორემ ისეთ ცოდვებს გაგიხსენებენ, მთელ მსოფლიოში მოგეჭრებათ თავი.

(დასასრული იქნება)



მზიანი იაროგლიფები

პოეტი სანდრო ბერიძე გაცილებით გვიან გავიცანი, ვიღრე მისი ლექსები. ეს ნაცნობობა პირად ურთიერთობებში გადაიზარდა, როცა ორივემ სავალდებულო სამხედრო ბეგარა მოვიხადეთ და სტუდენტები გავხდით: ჩვენს მეგობრობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ორივე ზომაზე მეტად გულწრფელები ვიყავით, როგორც საკუთარ თავთან, ასევე მეგობრებთან, შეიძლება ამას ამ შემთხვევაში არ ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ პოეტისათვის ს თვისება ბუნებრივი ნიჭივით აუცილებელი იყო და არის.

ბათუმის ზღვისპირა პარქში, კავიანისა და დანდალოს სიძეველეთა სანახებში გატაცებით ვუყებოდით ერთმანეთს მშობლიური კუთხის ავტედით წარსულზე, იმ ღროის მიმღინარე ლიტერატურული ცხოვრების სიახლეებზე და სხვა საკითხებზე. ვწუხდით ტაციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა ტრაგიულ ხელოზე, რომელიც ერთგვარ სინაულს იწვევდა ჩვენში.

გაღიოდა წლები. საუკუნის მიწურულში განვითარებულმა ეპოქალურმა მოვლენებმა საგრძნობლად შეცვალა ჩვენი საქმიანობის შინაარსი, მაგრამ ქართული სიტყვისადმი ერთგულება და სიყვარული უფრო გაგვიმდათრა.

მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება მეგობარი პოეტის საზოგადოებრივ და შემოქმედებითს საქმიანობაზე. თუ ისე შევძლი ყველაფრის დანახვა, როგორც რეალურადაა, ამით ერთი დაუსრულებელი შტრიხი შეემატება პოეტის პორტრეტს.

* * *

სანდრო ბერიძე ქადის რაიონის ულამაზეს სოფელ ჭალაშვილებში დაიბადა და გაიზარდა. მისთვის ყველაზე ძირითასი მშობლიურ გარემოში გატარებული წლებია. მთის სოფელში ეზიარა პოეზიასა და ქართული სიტყვის სიღიადეს. მაშინ გულში არ გავლია რაოდენ ძნელსა და საპასუხისმგებლო საქმიანობას მოჰკიდა ხელი. მერე ქალაქის ხმაურიანი ქუჩები ნახა, ორი წელი მეზობელ მონღოლეობის სახალხო რესპუბლიკაში დაჭყო მისდა უნებლიერ.

ისე ვითარცა ოლრიალის ფერდობიდან ჩამომდინარე ნაკადულები დიდ მდინარედ ქცეული ზღვის ტალღებს უერთდებიან, ასე შეერწყა სანდრო ბერიძე ქალაქურ ცხოვრებას, ახლა დადის ბათუმის ქუჩებში უზომო სევდითა და სიხარულით გულანთებული პოეტი, რომელსაც საზოგადოება იცნობს როგორც 80-იან წლებში მოსული თაობის ერთ-ერთ ნიჭიერ წარმომადგენელს.

* * *

სანდრო ბერიძეს ალფრედ დე მიუსესავით არ უთქვამს: „ჩემი გულის ცეცხლის ალში იშვა ჩემი გენია“, მაგრამ ეს სიტყვები ზედგამოჭრილად მიესადაგება პოეტის განვლილი ცხოვრების გზასა და შემოქმედებას.

პოეტის ადრე გამოქვეყნებულ ლექსებში გაიღვებს ტერენტი გრანელისეული ემოციები. ამაში სათაკილო არაფერია. სიცხადისათვის გავხსენოთ ისაკ ნიუტონი: „შორს იმიტომ ვიხედებოდი, რომ ბუმბერაზების მხრებზე ვიდექი“. დღეს ბევრს მოუწევს თავისი დიდი მასწავლებლის აღიარება.

სანდრო ბერიძესაც ჰქონდა შეხების წერტილები თავისი ღროის სინამდვილესთან. ბოლოდროინდელმა გარდატეხებმა პედაგოგი და უურნალისტი წმინდა პროფესიული საქმიანობიდან იქ მიიყავანა ახალი საქართველოს აღმშენებლობის პირველი წლები, მოითხოვდა თითოეული ქართველისაგან. არ ვიცი, როგორ გაართვა თავი მისთვის უცხო და ძნელ საქმეს. ის კი მჯერა, რომ პოეტის გულითა და თვალით ხედავდა ყველაფერს, მერე წერდა გრძნობის კარნახით სასურველი თუ უსიამოვნო განწყობილებით ნაკარნახევ სტრიქონებს და ესპანელი ასკეტი ფანატიკოსით იგნატი ლოიოლოსაგით არ უყირია: „ყველაზე უფრო საშიში მტრის უყოლობა მტრებისა“. მე კი ვიტყოდი პოეტისათვის განწყობილების, გულზე ცეცხლის მომდები სიტუაციების არ ქონაა ყველაზე დიდი მტრი. სანდრო ბერიძეს ერთიც აქვს და მეორეც.

სანდრო ბერიძე საკუთარი ხასიათისა და თავისებურების ნებით თუ უნებლიერ ყოველთვის გრძნობდა სიტუაციას. ცდილობდა არ აჩქარებულიყო, არ დაეშვა შეცდომა. ელოდებოდა საშური კლიმატის დადგომას. ამით იყო განპირობებული ალბათ საქმაოდ, რომ დაგვიანდა მისი პირველი წიგნის მზის სინათლეზე გამოსვლა.

ერთხელ გამომცემლებს პირველი წიგნის დაბეჭვდის სურვილი რომ გაანდო, ეს იყო და ეს. ზოგიერთი თანატოლივით არ შეუძრავს ცა და ხმელეთი. 1989 წელს ავტორთა ჯგუფისაგან შედგენილ კრებულში „ძოწისფერი გვირილები“ დაიბეჭდა პოეტის რვა ლექსი. *

* * *

ხუთი წლის შესვენების შემდეგ სანდრო ბერიძე დაუბრუნდა საზოგადოებრივ სარგებლილან აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას. ამ ხანძოკლე შესვენების შემდეგ გამოდის პოეტის საქმაოდ მოზრდილი წიგნები: „ოთხრი ქორწილი“, (გამომცემლობა „აჭარა“, 1993 წელი), „სიკვდილ-სიცოცხლის სიმღერები“ (სს „გამომცემლობა აჭარა“ 1997 წელი) პირველი წიგნის ანოტაცია გვაუწყბდს: „ოთორმეტი წლის წინ დაიბეჭდა ს. ბერიძის პირველი ლექსი. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ამჯერად პოეტმა თავი მოუყარა ქართულ უურნალ-გაზეთებში გაბნეულ თავის ლექსებს, ერთ წიგნად აკინძა და მკითხველს მორიდებით შესთავაზა“: (რედაქტორი ზ. ფირცხალაიშვილი), მეორე წიგნის ანოტაციაში კი ნათევამია: „სანდრო ბერიძე შეშმარიტი ნიჭით მირონ ცხებული პოეტია. მისი „მაესტრო“ ხან სევდიან ჰანგზე ქვითინებს და ხანაც უფერულ დღეებს სიცოცხლის ტებილი ნექტარით ასაზრდოებს. გუნდუკის მკლევლებს სასტიკად კიცხავს, მადლფენილი პოეტი სტრიქონებით აღიდებს სამშობლოსა და მამული შევილებს.“

განსაკუთრებული ლირიზმითა და უშუალობით გვხიბლავს სატრატიალო ლირიკა. ბევრი რამ შეიძლება ითქვას კრებულში თავმოყრილ ლექსების შესახებ (რედაქტორი გულნარა ფალავა).

დაგვიანებაცა და მორიდებაც, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ ასეთი მოკრაბლებული შეხვედრა მკითხველთან შეიძლება ითქვას ორივე შემთხვევაში ფრიად სასიამოვნო მოვლენა გახლავთ.

* * *

ნაგვიანევი ჟელაფერი როდია ცუდი, ახლა როცა პოეტის ლექსებს ვითხულობ, ვფიქრობ, გაუმართლა ავტორს, იმიტომ, რომ გზადაგზა გაითავისუფლა თავი ამ აღრინდელი სავარჩიშოებისაგან, რომელთაგან თვითდამკიდრების პროცესში ბევრს უჭირს გათავისუფლება იმისაგან, ძვალრბილში რომ აქვს გამჭდარი, სახსრებს ამტვრეს და სულს უფორიაქებს:

„ახლა ნაძვებთან სულ სხვა მგზავრი ვდგავარ დალლილი,
აქეთ ხევია, იქეთ კიდევ კლდე და ტინია,
ტყურ ლელიანს აღარ ესმის ჩემი ძახილი,
სადაც ბავშვობს სამუდამოდ დაუძინა“.

ახლა ახლა სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. ადვილი არ არის იმ ხილვებთან გამოთხოვება, რომელსაც ბავშვობასთან ერთად დაუძინა. ამგვარ შეგრძნებას გარდამავალ ასაკში ჟელა განიცდის პოეტიცა და არაპოეტიც.

რაგინდ უზრუნველი ცხო; ავრება არ უნდა ჟონდეს ადამიანს, ჰლომისოფის სულ ერთი არ არის ჟელაფერი. თუ ერთ შემთხვევაში წამი ბედნიერად მოგეჩვნა, იგი სხვა შემთხვევაში შეიძლება დიდი უბედურების მომტანი გახდეს. ამიტომ გვაფრთხილებს ლირიკული გმირი:

„არ დაბინავდე უცხო ტაძარში,
გავკვალე შენიო გზა უნაპრალო
და თუ იმ გზაზე სიკვდილს გადარჩი
შემთხვევითობას არ დააბრალო“.

ამ ოთხიოდე სტრიქონში ბევრი რამაა ნათქვამი, მაგრამ თუ ჩავუფიქრდებია იოლად ავხსნით: პოეტმა მიგვანიშნა და შეგვახსენა ადამიანის იმ დანაშაულობაზე რომელიც კარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

ამაშია პოეტის ბედნიერება, თუ სტრიქონი ერთ შემთხვევაში გაზაფხულზე გზისპირებიდან მორცვი ენძელასავით გილიმის სუსს გამორიდებული, მეორე შემთხვევაში ედელვაისივით მიიტყუებს ცივ და მიუსაფარ გარემოში შეხრას, რომ დენივით ტანში დაგიაროს, შეგაძრნებულს, სიმშვიდე დაგაკარგინოს.

ასეთი სიმძაფრის ლექსების შექმნა ხელეწიფება სანდრო ბერიძეს, რაც განპირობებულია იმით, რომ მისი სულიერი სამყარო გაცილებულია იმ ჩვეულებრივ ჩარჩოებს, რომლისაგან განთავისუფლება ზოგიერთს უჭირს. შეიძლება ამგვარი შეფასება ვინმერ გადაჭარბებულად ჩამითვალოს, მაგრამ ამის თქმის საშუალებას მაძლევს ლექსები: „საკუთარ სახლში უფლებო იყავ სტუმარი“, „მომსკდარი გრძნობა დასახრჩობად გიჭერს არტახებს“, „სულს დღემდე მოჰყავა არ ყოფილი გრძნობის სამყარო“, „რა მწუხარებაც განვიცადე უწყის არავინ“, „ზაფხული - 1984“, „მონლოლური ციკლიდან“, „ტერენტი გრანელი“, „ტიციანი“, „რეანიში“, „ქანდაკება“, „ჩემი სალამი, მოთმენის ნიჭო“, „მე ვუბრუნდები ცისფერ გობელინს“, „ლანდები ნელა მისდევენ მთვარეს“. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია შთაბეჭდილებისათვის გადავლოს თვალი და დამერაწმუნება მერე მათ არა აქვთ ასაკი, დრო, არც შელავათის გაწევა ჭირდება, რადგან მათში იმედთან ერთად იმდენი სევდა და ფიქრია პოეტისა, რომ მისი ტარება ორ ადამიანს გაუჭირდება.

პოეტის შეორე „მე-ს“ სულ აფორიაქებული მლოცველივით შევყავართ იდუმალებათა ლაბირინთებში, რათა ახლოდან დავინახოთ ის რეალობა, რომელიც ძალიან ახლოსაა ადამიანურობასთან, სულიერებასთან. ამას ახერხებს უმთავრესად

კრძობისა და ფიქრის სინთეზის შერწყმით.

შემპარავად უყურებს უხილავ სივრცეს, იმიტომ რომ მათ მიღმა დგას ორი ქრონიკული დაპირისპირებული ტანდემი: სიკვდილი და სიცოცხლე. სირთულეებში ფილოსოფიური წვდომით ცდილობს გაარკვიოს, რომელია - პირველი, რომელია - ბოლო.

საყვედლურსაც ამბობს ერთგან ცხოვრებისეული წვრილმანებით აფორიაქტებული და ჩუმად გვაახლოვებს ბედის ირონიას, ვიდრე ლექსებზე თვალის სწრაფი გადავლებით:

„ამავება უდღეურ თვალებს ნელ-ნელა იქრობს, მდარე პალიტრა ხუნდება და ხდება უფერო...“

„უფერულ დღეებს არ უნახავს ცრემლი კა ჩვეულ მოლოდინს ელოდება სხვა საესავი“.

დასასრულივით დასაწყისიც წაჲყა დაისებს
უფნას, არ ყოფნა ჩახვევია ცტიქერ დომილად,
იღლაცა მღერის: - ჩა დრო იყო, რა სიხალისე...
ე კი ვტირივარ: - არაფერიც სულ არ ყოფილა“.

Արևմլեծիս Եվոմեծս մոյլօան ցհճնօթատ կազմի՞ւ”.

სამყაროს ზურგზე ცეცხლოვანთა პულსი დავარდა,
ითქმის (კოტა) და გულგრილობა დათვლის სამაში

ରାତ୍ରି ପ୍ରମାଣ ଗୁଣଶିଳନ, ରାତ୍ରି ପ୍ରମାଣ ଫିନାନ୍ସିଙ୍କ ଅଧିକାରୀଙ୍କ ମନ୍ଦଗାନ୍ଧିଭଗ୍ନଙ୍କ ହିଂଦୁରାଜା ଲୁକ୍ଷଣୀୟ”.

სიცოცხლე მღერის: - „დავრჩე ეგება“...მდგრა იმუნიტეტიც თორხუცებ წოლ ძლიერდა ის დელერის სიკვდილი: „რა დროს ეგარი“...მ აუ ლათუც ქატურ ლუს იმუნიტეტიპ იმუნიკვდარ ცოცხალს ერთად მიერევება აუცილებელ დაცულებას სი იმდე შესძებ არ აძრულა ამი მყაფრი და დაუდევარი“:

რაგინდ ტკბილი ან მწარე იყოს სიცოცხლე აღამიანს აქვს გამომუშავებული ცეკვებისა და მუდმივი ერთგულების შეგრძნების სინდრომი. პოეტისათვის ეს მშობლიური ცეკვანაა. თუ ერთ შემთხვევაში დანდალოს ხიდთან გაზრდილ მეოცნებეს წარსულის ცხელითი სუსტი უწვავს სახეს, აქეთ ახალი ქვეყნის სინამდგილე გასაფრენ ფრთიებს ასამს. ამ მოტივით გამხედლილ ჰანგებში („ორი ქართველი“, „პავიანის ციხე“, „თბილისი

-1992“, „საქართველოში“, „ბათუმი - 1921“, „სამყარო - ციხე“, „სიცოცხლისათვის“). სევდიანია პოეტის „მაქსტრო“ იმდენად სევდიანი, ლამის შიში გიპტორის: „ჩამოიფრა ცამ პირზე ბაცი,
მზეა ხილული, მზე უხილავი,
საქართველოში არ დარჩა კაცი
შარით და შურით გაუკიდავი“.

შემზარავია ასეთი ყოფა. აბათ ამ გარემოებამ მოაჩვენა სამყარო ციხედ ერთმხრივ პოეტს, როდესაც ჭინთა მოთმენის აბორგლა ღვარი:
„გაჩენის დღიდან რბილი და მკაცრი,
გაჩენის დღიდან, ბედზე მღურავი,
თავისუფლება! ყვიროდა კაცი
და ხარხარებდა სადღაც უფალი“

მოეუსმინოთ ცნობილ ქართველ მწერალსა და კრიტიკოსს ჯანსულ ღვინჯილიას; „რატომ არის აუცილებელი ჭერ დამოუკიდებლობის მოპოვება, რომ გახდეთავისუფლების ლირისი.“

როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვაკვირდებით, არ მოგვწონს ერთმანეთი. მე თქვენ არ მოგწონვართ, არც მე მომწონხართ თქვენ“.

თავისუფლებისათვის ბრძოლა მარტო „ძახილი“ არ არი! მას მოპოვება სჭირდება. ხომ ხედავთ გაგვაფრთხილა კიდეც ცნობილმა მწერალმა. ავერ პოეტმაც მიგვინიშნა არ შეიძლება დიდი მონაპოვრის მიღწევა ცალსახად.

წვეტვეთობით გულიდან სისხლის გაღებით, 9 მარტით, 9 აპრილით, მოვიდა ის სანატრელი ჟამი:
„ახლა როდესაც ვარდების თოვლი,
ასე ლამაზად ფრიალებს სულში, მე ატეხილი ჭალების მოვლით, მერმისში მიმაქვს სიცოცხლის ნუში“.

„სიცოცხლის ნუში“ გადარჩენილი, განთავისუფლებული საშობლოს ბედნიერების მაუწყებელი სიმბოლოა. მსგავსი პოეტური მუხტის მატარებელი სტრიქონები ბევრია პოეტის სხვა ლექსებში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიჭანს.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, უფლება არა აქვს არავის, მით უმეტეს პოეტს იცხოვროს გულგრილობით. სანდრო ბერიძემაც ვერ აუარა გვერდი ამ თემას. არ შეიძლება მდარე ემოციით წავიკითხოთ მეღიტაციური ლექსები: „მანოლავ“, „ძახილი მთებილან“, „შენ ცაში დაგრჩა კაბა დედოფლის“, „რჭ, ეს მოგონება“, „მე შენ გვლოდი“, „მშვიდობით აწი მე აღარ მოვალ“, „მაახლოებება წლები ჩემი სევდიან სადგურს“, „წასულო დროო“, „ქუჩებო, ჩემი სევდის ქუჩებო“, „შენ დაგავიწყდა სანაპირო“, „მე შენმა სიყარულმა“ და სხვა. ეს ის ლექსებია შეხერ ტალღასავით ცაში ატაცება, რომ შეუძლია ნებისმიერი საგნის და მერე სიღრმეში ჩათრევა. აი, ასეთი ანდამატური ძალა პოეტის გულითა და სულითაა მინიჭებული მათზე.

უფლება არა გვაქვს ხაზი არ გავუსვათ სამოქალაქო საერო, სამაშულო, ეროვნული პატიოსით დაწერილ ლექსებს, მონღოლური შთაბეჭდილებების ციკლს, ძირძღველი კოლხური ფოლკლორის ვარიაციულ ნიმუშებს. ისინი მთლიანობაში ისე აღიქმებიან, როგორც პოეტის „“, ცალკ-ცალკე კი ვითარცა ქვიშაში გაბნეული მარგალიტები. ხვალ და ზეგ მას ცალი თვალით წაიკითხავენ პროფესიონალები და სრულყოფილ შეფასებებსაც გააკეთებენ.



სანდრო ბერიძე ერთგულია ლექსის ტრადიციული ფორმის, მაგრამ იჩენს სიახლეებისადმი ერთგულებას. მისთვის უცხო არ არის ოეთორი ლექსი, ვერლიბრი. ამ მხრივ საყურადღებოა: „ომარ ხაიამ“, „ნულარ მიმტკიცებთ“, „მე“, „მე და ჩემს სურვილ“, „სადა ხარ“, „მომეწყნა“, „საშემოდგომო“ და დასხვა ჭველა ესენი გაწაფული ხელითაა დაწერილი და არცერთ შემთხვევაში შეღავათს არ საჭიროებენ.

აღარ შევურიგდებით საინტერესო სახეების და მეტაფორული აზროვნების ნიმუშების მოტანას „ისინი უამრავადაა წიგნებში დაბეჭდილი 400-ზე მეტ ლექსში: ერთ შერივ კი ვშიშობ, შეიძლება მოვიტონ რამდენიმე ამონარილი, მაგრამ მათზე უკეთესი იქნებ გამომრჩეს. ამის გამო გული დაწყდება ავტორსაც და მკითხველსაც..

სანდრო ბერიძე შორს დგას ტრაფარეტისაგან ე. ი. გვერდს უვლის ინდივიდუალურ ხასიათს მოკლებულ შემოქმედებით წარმოსახვას, მოძევებული შხატგრული სახეებისა და ხერხების, დიდი ხანია დამკვიდრებულისა და სხვების მიერ გადამლერებულის გაფორმებას.

იშვიათია და არც სანდრო ბერიძე გამონაკლისი არ ჰქონდეს სუსტი ლექსი, სუსტი სტრიქინი, მათზე საუბარი ჩემი თვითმიზანი არ არის. ჯერ ერთი, ისინი პოეტის ადრინდელ ლექსებს მიკუთხვებიან და ახლის ჩრდილებებზე აფარებენ თავს.

პოეტი ლექსების აპალელურად წერს და ბეჭდავს მეტად საინტერესო ნარკვებს დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებაზე და სხვა საკითხებზე. ისინი ცალკე განხილვას და ანალიზს იმსახურებენ.

ბევრი რამ არ მითქვას იმაზე რაც ალამაზებს პოეტის ცხოვრებას. ეს ხვალისთვის შემოვიტოვე, რამეთუ პოეტი დღითიდლე უახლოვდება თავისი ცხოვრების შუადღეს ახალი სათქმელითა და გაუმხელელი ფიქრებით, რომლებიც მზიანი იეროგლიფებივით გამოანათებენ პოეტის ახალ ქმნილებებში. ჩემს მხრივ კი მეტი სიხარულის მიზეზი და კრაფუტილების გამოხატვის საბაზი მექნება.



განათლება

ნაცი გუგუნავა

ახალი სასწავლო წელი-სიახლეთა
მიჯნაზე



 ჩვენ ორი უდიდესი საუკუნის გასაყარზე ვდგავართ. ძველი საუკუნის დასასრული და ახლის დასაწყისი ყოველთვის აღინიშნება განსაკუთრებული სულიერი ძვრებით. ახალი საუკუნე იმ თაობას ელოდება ახალი ათასწლეულის საძირკველი ჩომ უნდა აშენოს, განათლებით, კულტურით და ზნეობით შეღულაბებული. ასეთი თაობის აღზრდა, სიფრთხილესა და მოთმინებასთან ერთად, ღრმა ცოდნას, პროფესიონალიზმს, მოძველებული კონცეფციების მსხვრევას, ახალ მუხტისა და შემართებას მოითხოვს.

ჩვენს საუკუნეს, ქართული ეროვნული სკოლა იყობ გოგებაშვილისა და დიდი ილიას საგანმანათლებლო იდეებით შეხვდა. შემდგომ იყო ხანგრძლივი საბჭოთა პერიოდის საგანმანათლებლო სიგრცე. რომელმაც შექმნა რეუიმის შესაბამისი მონოვარიანტული განათლების სისტემა, მკაცრად პოლიტიზირებული და რეგლამენტირებული. მას გააჩნდა როგორც დადგებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ბოლო ათწლეულში ჩვენს ქვეყნას კვლავ მიეკა შანსი დამოკიდებული სახელმწიფოს მშენებლობისა და შესაბამისად, ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებისა. სწორედ ამით არის თავისებური საუკუნის მიწურულის ყველა სასწავლო წელი, რომლისთვისაც მთავარია ის, თუ რა გაკეთდა განათლების რეფორმის განხორციელების გზაზე, რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართებით.

განვლილი სასწავლო წლისათვის ნიშანდობლივი გახდა განათლების რეფორმისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც საფუძვლად დაედო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1999 წლის 27 მაისის №105 დადგენილება „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების რეფორმის მიმღინარეობის შესახებ“. უზენაესმა საბჭომ დამტკიცა ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების განვითარებისა და სრულყოფის პროგრამა, განსაზღვრა რეფორმის შემდგომი ეტაპის პარამეტრები, სტრუქტურული რეორგანიზაციების მონახები. აქედან გამომდინარე, პრიორიტეტული გახდა სკოლებში უცხო ენების სწავლება. ქალაქისა და რაიონების სკოლების ერთ ნაწილში უცხო ენების შესწავლა მე-2 კლასიდან იწყება. ტრადიციულად ერთ უცხო ენასთან დაიწყო სკოლებში ორი და სამი უხო ენის შესწავლა, ამასთან ერთად შეისწავლება იტალიური, ესპანური, ბერძნული და ა. შ., რითაც გათართოვდა მომავალი თაობის მიერ უცხო ენების შესწავლის სპეციური. სამომავლოდ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უცხო ენების სწავლებას ჰქონდეს მტკიცე პედაგოგიური, მეთოდური და მატერიალური სათუბაველი. მისასალმებელია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის (პროფ. ნ. ვერაძე) დამოკიდებულება უცხო ენების მასწავლებელთა მომზადების საკითხებისადმი. აქ გასული წლის ოქტომბრიდან ფუნქციონირებს 25 კაცანი

მოსახზადებელი კურსები იმ სოფლის ახალგაზრდობის უნივერსიტეტში ჩასარიცხად, სადაც უცხო ენა არ ისწავლება. ბათუმის უმაღლესმა პედაგოგიურმა კოლეჯმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მთის რეგიონიდან უცხო ენის სპეციალობაზე 72 აბითურიენტი ჩაირიცხა. უცხო ენების სწავლება თვითმიზანი არ არის, ეს დროის მოთხოვნაა. ენობრივი ბარიერის მოშლის გარეშე შეუძლებელია მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში თავისუფალი არჩევანის გაკეთება. ამ მიზნის შესრულებას ემსახურება ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისური ენის პრაქტიკის გასავლელად მოსწავლეთა მივლინება, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან განათლების სამინისტროს მიერ დამყარებული ურთიერთობებით ხორციელდება. ბოლო ერთი წლის გამავლობაში ერთწლიანი და თითო თვითანი პრაქტიკა 20-ზე მეტმა მოსწავლეებ გაიარა. ასეთ კონკურსებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა მიგვანიშნებს ენის შესწავლისადმი მათ დაინტერესებაზე.

შესაბამისად დაინერეგება სიახლეები, რომელთა მიზანია სამოქალაქო განათლების სრულყოფა, პანევროპული იდეების ინტეგრაცია თანამედროვე სააღმზრდელო მოდელში, ბავშვთა და აღამიანის უფლებების ფართოდ გავრცელება, ეკოლოგიური განათლების სრულყოფა. ამ გზით ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სფერო ევროპული განათლების არეალში ჩაერთვება.

შუშავდება პროგრამა დამატებითი საგანმანათლებლო კომპონენტის შესაქმნელად. საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეუწიმებელით აჭარის განათლების სისტემის სასწავლებლებში შემოვიდეთ „აბუსერისე ტებლის ცხოვრება და მოღვაწეობა“ და „მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობა“-ის შესწავლა. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ პედაგოგიკის ისტორიის კურსში ამ საკითხმა უკვე ჰქოვა ასახვა. დღემდე საფუძვლიანად არ არის შესწავლილი აჭარის ისტორია. აღნიშნულ ხარვეზს შეავსებს აჭარის ისტორიის ოთხტომეული, რომლის დამუშავება დასასაჩულს უახლოვდება. მისი გამოცემის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებში სათანადო ადგილს დაიკავებს საგანი „აჭარის ისტორია“. ამის უფლებასა და საშუალებას მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა იძლევა.

ესპერიმენტის სახით აკადემიურ გიმაზიაში შემოღებულმა ახალმა საგნებმა „მჭერმეტჯველობამ“, „ხელოვნების ისტორიამ“ დადებითი შედეგები მოგვცა, დამუშავების პროცესშია პროგრამა „ურთიერთობის ხელოვნების“ შესწავლისათვის, მისი დამკვიდრება კომუნიკაციურს გახდის ჩვენს მომავალ საზოგადოებას.

ეროვნული განათლების განვითარებას საფუძვლად უდევს არაქართული სკოლების სასწავლო პროცესის კვლევა-ანალიზი. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გასულ სასწავლო წელს დაგაბალანსეთ აჭარის სკოლებში ქართული ენა-ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლების მდგომარეობა, რომელთაც გაცილებით ნაკლები საათები ეთმობდათ, ვიდრე მათთვის მშობლიური ენის შესწავლას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გეგმაზომიერად ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის. ეტაპობრივად მიმდინარეობს განათლების რეფორმა. განხორციელდა პირველი და მეორე ეტაპის ღონისძიებანი მასწავლებელთა დატვირთვის ნორმატივების მოსაწესრიგებლად, პედაგოგთა ატესტაციის ჩასატარებლად. ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკის საგანმანათლებლო სივრცეში თვისებრივად ახალი ეტაპი ხორციელდება, რომელიც დაძაბულ შრომასა და ენერგიის მაქსიმალურ კონკრეტრიჩირებას მოითხოვს. იგი გულისხმობს განათლების შინაარსის სრულყოფას, განათლების ხარისხის

დიაგნოსტიკის მექანიზმის დახვეწას, განათლების მართვის დემოკრატიზაციას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციას, მის საგანმანათლებლო ბაზრის კონიუნქტურასთან შესაბამისობაში მოყვანას, ცალკეული საგნების გაღრმავებული სწავლების სტიმულირებას, ახალი სასწავლო დისციპლინების შეეტანას საწავლო გეგმებში, სხვა ნოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ექსპერტიზისა და დიაგნოსტირების მოდელის შემუშავებას.

დღევანდელი დღის მოთხოვნაა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფსიქოლოგიური სამსახურის აღდგენა-გაძლიერება, სკოლებში პრაქტიკული გამოყენებითი ფსიქოლოგიის მოწერების დანერგვა, ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრება, მძიმე მდგომარეობაში მჭოფი ბავშვებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გასაწევად რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება და ა. შ.

აჭარის განათლების სამინისტრომ დამტკიცა ბათუმის სკოლების რეორგანიზაციის (ოპტიმიზაციის) მოქლევადიანი პროგრამა და 2000-2001 სასწავლო წელს განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა. ჩვენ უკვე შევუდებით მის პრაქტიკულ რეალიზაციას. ბათუმის №1 საშუალო სკოლა გარდაქმნა კლასიკურ გიმნაზია, პროფესიულ გიმნაზია - აკადემიურ გიმნაზიად, ბათუმის №2 საშუალო სკოლის ახალ კორპუსში გაიხსნა დაწებითი (ელემენტარული) სკოლა, №7 რუსული საშუალო სკოლა გადაკეთდა რუსულ - ქართულ საშუალო სკოლად. №11 საშუალო სკოლა - უცხო ენების ლიცეუმად, №3 საშუალო სკოლა-რუსულ გიმნაზიად, №16 საშუალო სკოლა სკოლა - ძირითად სკოლად ინგლისური ენის გაღრმავებული საწავლებით. №10, 28 სკოლებისა და №21 საბაზო ბალის ბაზაზე გათვალისწინებულია ერთანი სასწავლო-სააღმზრდელო კომპლექსის გახსნა.

თითოეული ამ გადაწევეტილებების უკან იღვა მეტად სერიოზული მუშაობა, ღრმა ანალიზი, არგუმენტაცია, რომლის შედეგადაც იცვლება ამა თუ იმ სკოლის ტიპი. მაგალითად, ბათუმის პროფესიულ გიმნაზია თავის ღროზე გაიხსნა ათწლიანი პროგრამით. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა განსაზღვრული დამოკიდებულება გიმნაზიის მიმართ. ამჟამად არსებული ნორმატიული ბაზა პროფესიული გიმნაზიის სახეობას არ ითვალისწინებს. თავისი შინაარსით პროფესიული გიმნაზია აკადემიური გიმნაზიის სტატუსს პასუხობს. ასე, რომ ამ შემთხვევაში, იგი რეფორმის პროგრამით გათვალისწინებულ მოდელს შეესაბამება.

ასევე სერიოზული განსგა გვქონდა ბათუმის კლასიკური გიმნაზიის სტატუსი, როგორც აჭარაში იღია ჭავჭავაძისა და მეგედ აბაშიძის მამის იბრამი აბაშიძის მერ დაარსებულ პიროვნეულ ქართულ სკოლას.

ელემენტარული (დაწებითი) განათლება საზოგადოდ განათლების საფუძველთა საფუძველია. ამიტომაც ბათუმის №2 საშუალო სკოლის ახალ კორპუსში ჩამოყალიბდა ელემენტარული სკოლა, რომელიც დაწებითი (ელემენტარული) განათლების საექსპერიმენტო მოედანი, გამოცდილების, პედაგოგიურ სიახლეთა ძიების პოლიგონი უნდა გახდეს.

შემთხვევითი არც ბათუმის №7 რუსული საშუალო სკოლის რუსულ-ქართულ სკოლად გაღაკეთება გახლავთ. აღნიშნულის საფუძველზე მოხდება ქალაქის ცენტრალურ უბანში ზედმეტად გადატერიტული სკოლების გამოთავისუფლება, ამავე ღროს №7 სკოლის ბაზა რაციონალურად იქნება გამოყენებული.

სრულებით ახლებური მიღვომა ყალიბდება ბათუმის მე-10 და 28-ე სკოლების მიმართ. ამ სკოლებისა და იქვე მდებარე 21-ე საბაზო ბალის ბაზაზე შეიქმნება

ერთიანი სასწავლო-სააღმზრდელო კომპლექსი, სკოლამდელი აღზრდიდან საშუალო სკოლის უწყვეტი ციკლით, მრავალპროფილური მიმართებით, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა უნარის, შესაძლებლობებისა და მიღრეკილებების მაქსიმალურად გამოვლენასა და განვითარებას.

პარალელურად განხორციელდა ისეთი ცვლილებები, რომელიც ზედმეტი ფინანსური ხარჯებისაგან განტვირთავს ბიუჯეტს. საკითხი ეხება ბათუმის შრომითი პროფილის სკოლას, რომელიც ლიკვიდირებულია და შეერწყა 24-ე სკოლას. ამავე სკოლის განყოფილება გახდა სალამოს სკოლა, რომელიც ფუნქციონირებდა როგორც დამოუკიდებელი ერთეული. გაუქმდა მცირე კონტინგენტის მქონე №19 ჩუსულისაშუალო სკოლა და რუსული სეტორის სახით შეუერთდა ბათუმის №9 საშუალო სკოლას, რომლის ბაზაზეც იგი მუშაობდა.

სკოლების რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის პროცესს თან ახლავს ახლებური დამოკიდებულება ხელმძღვანელი კადრების შერჩევა-დანიშვნაში. ყველა ახალი ტიპის, რეორგანიზებული სკოლის ხელმძღვანელის შერჩევა მოხდება კონკურსის შედეგად. საამისოდ განათლების სამინისტროში შექმნილია საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი კადრების საკონკურსო შერჩევის კომისია. ნიშანდობლივია ის, რომ საკონკურსო კომისიის წევრები არიან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლები, ინტელიგენტიის წარმომადგენლები, ახალგაზრდული დეპარტამენტებისა და არასამთავრობო ორგანიზეციების მუშაკები, რომლებიც პირუთვნელი იქნებიან კონკურსის ჩატარებასა და კადრების შერჩევაში. ვფიქრობთ ამგვარი მიღომა შეესაბამება დემოკრატიის მოთხოვნებსაც და ამავდროულად მისცემს პიროვნებას თვითგამოვლენის შესაძლებლობას.

ბათუმის მაგალითზე სკოლების ოპტიმიზაციის პროგრამა განსაზღვრავს სარეფორმო მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სკოლების მრავალგარიანტულობას, პროფილურ მიმართულებებს, ტიპებს, რაც ახალგაზრდობას თავისი მიღრეკილებებით განათლების მიღების ფართო შესაძლებლობებს მისცემს.

რეფორმის განხორციელების კვალობაზე დასახვეჭია პროფილური სწავლების მდგომარეობა. გასულ სასწავლო წელს 16 სკოლაში იყო შემოღებული პროფილური სწავლება: 6 - ჰუმანიტარული, 4 - ფიზიკა-მათემატიკური და 6 - ქიმია-ბიოლოგიური. საგანმანათლებლო ბაზარი კი მოითხოვს მოსწავლეთა ცოდნით შეიარაღებას ეკონომიკაში, მენეჯერსა და მენეჯმენტში, იურიდიულ დისციპლინებში, სოციოლოგიაში, ეკოლოგიაში და ა. შ. მომავალი სარეფორმო პროგრამა სწორედ შესაბამის სპეციალობაზე ორიენტირებულ, დიფერენცირებულ სწავლებასა და სასკოლო დაწესებულებების შექმნას ითვალისწინებს, რაც განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების ძირითად სამოქმედო ორიენტირად უნდა იქცეს.

აჭარის მინისტრთა საბჭოსთან ერთად განათლების სამინისტროში შეიმუშავა ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამა და ნიჭიერ ბავშვთა პანსიონის - „მცირე აკადემიის“ კონცეფციის პროექტი, აგრძონომიური რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლების მხარდაჭერის კვალობაზე ამ მიმართულებით მუშაობას უახლოეს მომავალში მტკიცე საფუძველი შეექნება.

მოსწავლე-ახალგაზრდობის კომპიუტერული ცოდნით შეიარაღების საქმეში კარგი შედეგები მოგვცა ინფორმატიკულ-კომპიუტერული რესპუბლიკური სასწავლო ცენტრის გახსნამ, სადაც 200-მდე მოსწავლე ეფუზლება კომპიუტერულ ცოდნას.

კიდევ ერთი შეტად საინტერესო სიახლით შეხვდება აჭარა ახალ სასწავლო

წელს. ფუნქციონირებას დაიწყებს სრულებით ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულება - ქობულეთის კადეტთა სკოლა, რომელიც აღრეული ასაკიდან ხელს შეუწყობს მოზარდებში სამხედრო ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივებას, მხედრული უნარჩვევებით მათ აღზრდას, სახელმწიფო მოხელეთა მომზადებას. სკოლის მატერიალური ბაზა, მისი გარემო ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის - პირადად ბატონ ასლან აბაშიძის ძალისმევით თანამედროვე სტანდარტების დონეზე არის კეთილმოწყობილი. ვიმედოვნებთ, რომ ამ სასკოლო დაწესებულებაში მაღალი აკადემიური შინაარსის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა უნდა გაიშალოს. ახალი სასწავლო წლის ნიმუში განვითარება რესტავრირებული და კეთილმოწყობილი პორტის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აღჭურვილი სკოლამდელთა ცენტრი, რომელიც უშუალოდ ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ბატონ ასლან აბაშიძის მეთაურობითა და ინტენსიური კონტროლით კეთილეწყობოდა. ცენტრის კომუნიკაციები დიდი სინატიფით, ბავშვებისადმი უდიდესი მზრუნველობისა და სიუფარულის ძალით არის შესრულებული.

90-იანი წლების დასაწყისში განათლების სფეროში დაისაღებურა ერთგვარშა აპათიამ, უიმედობამ და გულგრილობამ. მიუხედავად ამისა განათლების სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით ყველაფერს აკეთებდა პედაგოგის პროფესიისადმი პატივისცემის გარემოს შესაქმნელად, მათი სოციალური დაცვის გაუმჯობესებისათვის. პედაგოგთა სოციალურ დაცვას ემსახურებოდა გარკვეული შეღავათები საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაში, ერთგულად დახმარებები სურსათით მომარაგებაში, საახალწლო საჩუქრები და სხვა.

პედაგოგის პროფესია უმძიმესი და უკეთილშობილესი ტვირთია ერის მომავლის წინაშე. მან ხომ ღირსეულად ზიდა მთელი სიცოცხლის მანძილზე ეს საპატიო ტვირთი, იღვაწა და იხარჯა ამ შრომაში. უანგაროდ, ერთგულად აღზარდა თაობები, კაცომუფარეობა, მამულის დიდი სიუფარული დანათლა მათ. ბოლოს პენსიონერი პედაგოგი შძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაღლობას უზრდით მაგული გოგიტიძე-აბაშიძეს გულისხმიერებისათვის, რომელიც ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებს პედაგოგებს, დროა პენსიონერთა სატკივარი გახდეს საქართველოს პარლამენტის შეჯელობის საგანი და ღროულად გაითავისოს იგი საქართველოს მთავრობაში.

სწავლის მოტივაციისათვის საჭირო საფუძვლისა და ინტერესების გაძლიერებას ემსახურება სწავლაში განსაკუთრებულად გამორჩეული მოსწავლეებისათვის მემედ აბაშიძის სახელობის სტიპენდიის დაწესება. გასულ სასწავლო წელს ამ სტიპენდიას ავტონომიური რესპუბლიკის 20 წარჩინებული მოსწავლე ფლობდა. სწავლის მოტივაციას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ფრიადოსან კურსდამთავრებულთა მიღებამ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ ასლან აბაშიძესთან, რომელიც შესანიშნავ ტრადიციად დამკვიდრდა. პედაგოგთა შრომის აღიარებას, პედაგოგიური კოლექტივების მაღალაყოფილერი საქმიანობის დაფასებას ემსახურება განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული კონკურსები: „წლის საუკეთესო მასწავლებელი“, „წლის საუკეთესო სასწავლო დაწესებულება“, „განათლების განკოფილება“ და ა. შ. სასწავლო წლის ბოლოს კომისიურად შეჯამდა კონკურსის შედეგები დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. გასული სასწავლო წლის შედეგების მიხედვით წლის საუკეთესო განათლების განყოფილებლად მეორეჯერ მიჩნეული იქნა შუახევის რაიონის

განათლების განყოფილება (გამგე ო. დავითაძე). წლის საუკეთესო სასწავლო დაწესებულებლად ქობულეთის №1 საშუალო სკოლა (დირექტორი ნ. რომანაძე), წლის საუკეთესო მასწავლებლად კი ბათუმის №7 საშუალო სკოლების მასწავლებლები - ნინო სურმანიძე, მაღონა ტაბატაძე, ნარგიზ ბალოშვილი, ხოლო 17 მასწავლებელს მიენიჭა ლაურეატი მასწავლებლის წოდება.

მსგავსმა ღონისძიებებმა, აგრეთვე ჩატარებულმა ატესტაციებმა ხელი შეუწყო პედაგოგთა გააქტიურებას. ყოველწლიურად იზრდება პედაგოგიურ კითხვებში მონაწილე მასწავლებელთა რაოდენობა, გამრავალფეროვნდა წარმოდგენილი თემატიკა და დამუშავებული საკითხების აკადემიური ღონის. გაიზარდა საგნობრივ ოლიმპიადებში, შემოქმედებით კონფერენციებში, კონკურსებში, ესთეტიკურ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა. წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებში მიღწეული წარმატებებისათვის აჭარის განათლების სამინისტროს სიგელებითა და დიპლომებით 750 მოსწავლე დაჯილდოვდა. სასწავლო წლის ბოლოს შეფასებული 64.808 მოსწავლიდან 5497 ფრიალოსანია, 13970 - კარგოსანი, საშუალო სკოლა ფრიად ზე დამთავრა 127-მა მოსწავლე.

სწავლებაში კვლავ აღორძინდა და შემგომი განვითარება ჰპოვა აღმზრდელობითი მუშაობის ტრადიციულმა ფორმებმა, რომლის მეთოდური და სარეკომენდაციო საფუძველი გახდა აჭარის განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული და სტამბური წესით დამზადებული დებულება „მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ფორმებისა და შინაარსის შესახებ“.

სკოლებში მაღალ დონეზე აღინიშნა სხვადასხვა ღირსშესანიშნავი საიუბილეო თარიღი, ჩატარდა წიგნის, მუსიკალური, სამართლებრივი აღზრდის, პოეზიის კვირეული, მოსწავლე-ახალგაზრდობის დღეები, მოეწყო კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება, ჩატარდა სკოლების თვითმოქმედი კოლექტივების რაიონული (საქალაქო) დათვალიერებები, სპორტული შეჯიბრებები და ა. შ.

საინტერესო აღმზრდელობითი და შემეცნებითი მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, რომელიც მნიშვნელოვანი წარმატებებით ეგებება დაარსების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. აღსანიშნავია ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა საღურების, ჭიდაობის, ტანგარიშის, ფეხბურთის სპორტული სკოლების ნაყოფიერი საქმიანობა. წარმატებები გააჩნია ახალგახსნილ აღმოსავლური ორთაბრძოლების (კარატეს) სპორტულ სკოლას.

დიდია ავტონომიურ რესპუბლიკაში მხარდაჭერა და თანადგომა განათლების დარგის მიშართ. მხედველობაშია დამოკიდებულება, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება იჩენს მოსწავლეთა და მასწავლებელთა სოციალური დაცვის გასაუმჯობესებლად. გასული სასწავლო წლიდან სწავლების მესამე საფეხურზე სწავლება უფასო გახდა. ბატონ ასლან აბაშიძის მითითებით მმართველობის ადგილობრივ ორგანოებმა მოსწავლეები გაათავისუფლა სწავლის საფასურისგან. უზენაესი საბჭოს დავალებით მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება 1998 წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეკვეცილი 220 საშტატო ერთეულის აღდგენის შესახებ.

მიღებული გადაწყვეტილება სენებულ შტატებთან დაკავშირებით, ჯერ ერთი, არის აჭარის ა. რ. ხელისუფლების კეთილი ნების გამოხატულება, მეორეც, ზრუნვა ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ პედაგოგებისათვის, მათი დასაქმების საკითხებსა

და რაც მთავარია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრიონობისა და აღზრდის ნორმალური პირობების უზრუნველყოფისათვის. განათლების მესვეურებმა კარგად უნდა გაგაცნობიეროთ ისიც, რომ ჩვენს სინამდვილეში ფეხი ვერ მოიკიდა ისეთმა ტერმინოლოგიამ, როგორიც არის ხელფასის გაყინვა, აულებელი ხელფასი, ნაწილობრივი ანაწლაურება და სხვა.

საბიუჭეტო დეფიციტის პირობებში მაქსიმალური კეთდება და გადეთდა საიმისოდ, რომ ნორმალურ ვითარებაში დაგვეწყო ახალი სასწავლო წელი. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ, დამტკიცა ლონისძიებათა პროგრამა, ქალაქის მერიისა და რაიონების გამგეობებს მიეცათ დავალებები, რომლებიც განათლების ორგანოებთან ერთად სასწავლო წლისათვის მზადების მთავარი ორგანიზაციორები გახდნენ.

ბათუმის მერია ყოველდღიურად აკონტროლებდა სამზადისის მიმღინარეობას, მის მიერ მიჩენილი სპონსორების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. ფაქტურად არ დარჩენილა ქალაქში სკოლა, რომელშიც არ ჩატარებულა სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები. მერიის წყალობით ახალმოსახლეობა იზერძა ბათუმის №17 სკოლამ, რომელიც ხანძრის შედეგად თითქმის მოლინად იყო განადგურებული.

ტრადიციას არ ღალატობს შუახევის რაიონი, სადაც სასკოლო მშენებლობის მასშტაბები ბოლო წლებში ნამდგილად გაოცებას იწვევს. დამდევ სასწავლო წელსაც განახლებულ შენობებში დაიწყებენ მუშაობას ამ რაიონის სოფლების: ცეკვას, თერნალის, კვირიაულის დაწყებითი სკოლები. მიმღინარეობს სოფ. ჭალისა და კარაპეტის არასრული საშუალო სკოლების მშენებლობა.

საშუალო-სპეციალური განათლების მოდელში მოისაზრება ბათუმის უმაღლესი პედაგოგიური კოლეგი, ინდუსტრიულ-პედაგოგიური კოლეგი, ბათუმის სახელმწიფო მრავალდარგობრივი კოლეგი, რომლებშიც ასეულობით ახალგაზრდა ეუფლება თანამედროვე პროგრამების შესაბამის განათლებას.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე ჩამოყალიბდა თანამედროვე ტიპის სასწავლებლები მრავალდარგობრივი სპეციალობებით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის ბათუმში გაიხსნა პროფესიული ორიენტაციის ცანტრი, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული განათლების საჭირო მოდელის პრაქტიკულ რეალიზაციას.

სიტუაციას ამძიმებს უმაღლესი კოლეგების, პროფესიული განათლების სასწავლებლების დაფინანსების არსებული მფორმარეობა. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტი, უკვე მთელი წელია რაც ვერ ახერხებს დაცული მუხლების მიხედვით მათ პერიოდულ ფინანსირებას. შექმნილია მეტად რთული სიტუაცია. ეს საკითხი აწუხებთ პირველ რიგში პედაგოგებს, განათლების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ინფორმირებული არიან ცენტრალური სტრუქტურები, მაგრამ ვითარება უცვლელია.

დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობამ, ავტონომიური რესპუბლიკის ევროპულ სახელმწიფოთა სივრცეებთან დაკავშირებამ დღის წესრიგში დააჭნა ადამიანთა უფლებების, მათ შორის ბავშვთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების საკითხები. გასულ წელს განათლების სამინისტროსთვის ბათუმში უფლებების დაცვის ცენტრი ჩამოვალიბეთ, 1999-2000 სასწავლო წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოვაცხადეთ, ამ მიმართებით გარკვეული ნაბიჯები გადავდგით. ბავშვთა

უფლებების დაცვის სფეროში დაგროვილი ჩვენი გამოცდილება საერთაშორისო კონგრესზე იქნა მოსმენილი, რომელიც ბათუმში გაიმართა. „აღაშიანის უფლებათა დექლარაციის“ სწავლების ახალი პროგრამა შემუშავდა. ივნისს ბოლოს ნორვეგის ლტოლვილთა საბჭოს პროგრამის „აღაშიანის უფლებათა სწავლება საქართველოში“ ეგიდით ბათუმში კლასიურ გამნაზიაში თრეინინგი გაიმართა, მისი ძირითადი მიზანი იყო სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და ახალი ტექნოლოგიების დაუფლება. ბავშვთა უფლებების დაცვის, განათლებისა და მისი გარანტიების შექმნის ძირითადი რეოლი სკოლაა. ზოგიერთ სკოლაში ფეხმოკიდებულ ნეგატიურ პრცესს სწორედ ბავშვთა უფლებების შელახვად შევიჩნევთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების სწავლებას განათლების ამერიკული სისტემის გამოცდილების მიხედვით ბავშვთა ასეთი კონტინგენტის სწავლებისათვის დამატებითი დაფინანსება იყოფა, რომელიც მათ ტრანსპორტირებას, კვებას და დამატებით, სპეციალურ განათლებას ხმარდება. ვფიქრობთ ახალი სასწავლო წლიდან ჩადიკალურად უნდა შეიცვალოს გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების სწავლებისადმი დამკიდებულება.

განათლების სამინისტროში გასულ წელს შეიქმნა პედაგოგიურ სიახლეთა (ინოვაციის) ცენტრი. მისი მიზანია სიახლეების მოძიება, დანერგვა, განზოგადება და ა. შ. ცენტრი კარგად შეუძლა შუშაობას.

ინოვაციური მუშაობა არ არის თვითმიზანი. იცვლება სასწავლო პროგრამები, იცვლება სახელმძღვანელოები, ჩნდება განსხვავებული მიღვომა სწავლების მეთოდიები, აღმზრდელობით საქმიანობაში, საერთოდ მუშაობის ორგანიზაციაში. თუკი ასეთ დროს მსგავსი რეოლები ადგილზე არ ამჟავდნენ, გვექნება თვითდინებაზე მიშებული სასწავლო პროცესი, რუტინია, თავისუფალი ჭაველგვარი სიახლისა და სრულყოფისაგან.

სკოლებში თანდათანობით ინერგება ტესტურის შემოწმების გზით ცოდნის შეფასების მეთოდიკა. ამავე ფორმაზე გადავიდენ უმაღლესი სასწავლებლები მისაღები გამოცდების დროს. როგორც სკოლების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლების ღიღი ნაწილი თაგა არიდებს ცოდნის შემოწმებას ტესტური გამოკითხვით, არ ატარებენ საკონტროლო წერებსა და მცირე გამოცდებს ტესტების საშუალებით, არ აჩვევენ მოსწავლეებს ტესტებთან მუშაობას. განათლების განყოფილებებმა და სამინისტროს სპეციალისტებმა დამდეგი სასწავლო წლის განმავლობაში ამ მხრივ მუშაობა კიდევაც უნდა გააქონტროლონ და მეთოდურადაც უზრუნველყონ.

გასული სასწავლო წლის შედეგების შეჯამებასთან ერთად განათლების საბჭოს სხდომაშ განიხილა და დაამტკიცა „აგტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 2000-2001 სასწავლო წლის ძირითადი მიმართულებები“. აღნიშნული დოკუმენტი დამდეგი სასწავლო წლის განმავლობაში იქნება მუშაობის მთავარი ორიენტირი, რომლის მიხედვითაც სამინისტრო, განათლების რაიონული (საქალაქო) ორგანოები, სკოლები ყურადღებას გაამახვილებენ და მუშაობას წარმართავენ დასახული მიმართულებებით.

მთავარი საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურული გარდაქმნისათვის საჭირო საფუძვლის მომზადება, რაც ითვალისწინებს სასწავლო დაწესებულების დისლოგაციის ახალი მოდელის სრულყოფას საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ გარდაქმნისათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადებას და

ა. შ.

ძირითადი ამოცანაა სწავლების შინაარსის განახლება, მისი ხარისხის ამაღლება, რომლის უმთავრესი მიზანია ავტონომიური რესპუბლიკის საგანმანათლებლო არეალში სწავლის მოტივაციის ამაღლება. ამ მხრივ, როგორც აღვნიშნე, მუშაობა კარგა ხანია დაწყებულია, მაგრამ იგი კიდევ უნდა გამრავალფეროვნდეს, განსაკუთრების რაიონული დანაყოფებისა და კონკრეტული სკოლის ჭრილში.

აქვე განსახორციელებელია ღონისძიებები ნიჭიერ და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებთან მუშაობის პროგრამის სარეალიზაციოლ. უფრო აქტიურად ვიზრუნოთ თანამედროვე დისციპლინების სწავლებაში დასაწერგად (მუერმეტყველება, ხელოვნების ისტორია, ურთიერთობათა ხელოვნება, ეკოლოგია, სოციოლოგია, მენეჯმენტი, და ა. შ.).

დამდევ სასწავლო წელს მტკიცე საფუძველს შევუძნით ინფორმატიკის სწავლების პროგრამულ უზრუნველყოფას. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობოთ მოსწავლეთა ცოდნის განმსაზღვრელი მექანიზმის სრულყოფას, ტესტური მეთოდით ცოდნის შემოწმების დამკვიდრებას, ბავშვთა უფლებების დაცვას, „განთესილ“ და მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობას და ა. შ.

საჭიროა არაქართულ სკოლებში ერთიანი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის დაცვა. ბათუმის მრავალეროვანი მოსახლეობის ეთნოკულტურული საგანმანათლებლო მოთხოვნილებების მხარდაჭერა.

აქარაში ამ თვალსაზრისით არასოდეს ყოფილა პრობლემა და არც სამომავლოდ უნდა ჰქონდეს მას ადგილი. ჩვენ ჯელა თანაქალექელს - რუსი იქნება, სომები, ბერძენი თუ სხვა ერის წარმომადგენელი, უნდა ჰქონდეს თანაბარი საგანმანათლებლო მომსახურება. ჩვენს მიერ შემუშავებული ღოკუმენტები საამისოდ ითვალისწინებს მჭიდრო ურთიერთობებს ნაციონალურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა-რეალიზაციას.

ვაპირებთ სკოლამდელი აღზრდის სისტემის აღდგენა-განათლებისათვის მიზნობრივი ღონისძიებების გატარებას, სკოლამდელი აღზრდის აღტერნატული ქსელის საქმიანობის შესწავლას, ერთფეროვანი ტრადიციული მოდელის მრავალსახეობრივ სისტემაზე გადაყვანას. სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი განათლების შემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას.

ყურადღებას დავუთმობთ სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის დიაგნოსტირების მოდელის დამკვიდრებას, მუშაობას გიმნაზიური და სალიცეუმო განათლების კონცეპტუალური საკითხების დასამუშავებლად.

ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც პრიორიტეტულად უნდა იქცეს ჩვენს საქმიანობაში დამდეგი სასწავლო წლისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემის მრავალათასიან მრევლში ცოდნის დიდი პოტენციალია ჩადებული, რომელიც თავის ასახვას განათლებული, კულტურული, ზეობრივი და სულიერად ამაღლებული ახალგაზრდობის ჩიმოყალიბებაში ჰქონდებს. გადამწყვეტი ფაქტორი კი მასწავლებლის პროფესიონალიზმი და კომპეტენციაა. მთავარია, უღალატოდ და მოზარდთა სიჯარულით ვაკეთოთ ჩვენი დიდი საქმე განათლების სისტემის მეტად რთული და საპატიო მისიის შესარულებლად.



၈။ ဂိုလ်နာမျိုး

მთის სოფელი



d. ხვიტია

მეცნიერებლები აკა

ପାତ୍ରକଳୀ

ესენ ლავითაძე

კიდევ ურთა რამ ელის ციხე-პასტიონებს

„... ასე ღიად და უღასკვნოდ ვტოვებ ამ უცრობ-უცნაურ ციხეზე თხრობას და ოჭვენთან ერთად ვუცდი ჟამს, ოდეს მეტის თქმის გზა რამ გაჩნდება“ - მეოქი... ასე შევწყიტე თხრობა ადრე, როცა სოფელ ჭახათის თავზე მბრძანებლად წამომდგარ ელიას ციხეზე ვფეხბოლი „სოფლის აღმაშენებლის“ პირველ წიგნში.

არსაიდან არ გაჩნდა ეს გზა და შე არ მარგებდა შემდგომი დაცდაც, ისე როგორც ზარმაცს „ნეტაფი მოწყდეს“ მწიფე ნაყოფზე ნატვრით ნერწყმომდგარი მაღლა ცქერა. ამიტომ ამ ზაფხულს გალავწყიტე კიდევ ერთხელ გაძამედო თავი და როგორმე ციხეზე ისევ ავსულიყავ... თანაც აუცილებელი იყო სანუკვარი დარი მდგარიყო, რომ გამუდმებით ლრუბელ-ნისლებში გახვეული მთა და ზედ მდგარი „ნისლების დედოფალი“ ნისლის სპურველისაგან ოდნავ მაინც თავისუფალი ყოფილიყო და თუ სხვა რამე ვერა, გადალება მაინც მოშენებებინა მისი.

1990 წლის 30 ივნისი იქცა ასეთ დღედ. შეღგა მცირე „ექსპედიცია“ ფოტოგრაფ ბალრი ბაკურიძის, მეგზურ თასი (ხუსი) ბაჟუნაიშვილის, ჩემი უფროსი შვილების თამილა და ვახტანგ ლავითაძეების და თვითონ ჩემი შემადგრონლობით.

დღის ცხრა საათი იქნებოლა, სოფელ ჭახათის ცენტრს რომ ვეწვიოთ, თუმცა ადრე იყა, სოფლის შუაგულში მრავალ იქაურს მოყარა თავი. მისულები მაშინათვე ყურადღების ცენტრში მოვაჭრით როგორც „უცხოები“, მისვლის მიზეზი ვუთხარით, მეგზურადაც სწორედ აქედან შემოგვიერთდა მგლისმუხლა მთიელი ბიჭი, 22 წლის თასი. მანქანა სოფლის თავში გავაჩერეთ, ზურგჩანთები წამოვიდეთ და სიმაღლისაკენ მიმავალ გზას, ზურო სწორად უგზოობას შევეძით.

საქართველოს ბეჭრ ციხე-კოშკზე გყოფილგარ, ერთი - ორი უცხო ძველის
სიმაღლე „ამილია“, მაგრამ ის რაც სოფელ ჭახათის მხრიდან ელიას მთა-ციხეა
მისასვლელად, მსგავსი არაური მინახავს. უკანასკნელად შვიდი წლის წინ მისულიყო
იქ კაცი, ისიც დაბლა, მხოლოდ „ეგარცხლტეკამდე“, თვითონ ციხეზე კი შვიდი
წელია კაცთაგან არავის დაედგა ფეხი. ეს ცნობა უტყუარი იყო, რადგან ელიას
მთაზე ჯელა ამსვლელთა გრინაობა ორივე მხარეზე, როგორც ქაქეთის, ისე ჭახათის
მცვიდრებმა ზეპირად იციან. იციან ჭერ ერთი იმიტომ, რომ ამსვლელი ცოტანი
არიან, მეორეც იმიტომ, რომ ორივე სოფელში წესადა აქვთ „ელიას მომნახულებელი“
უთუოდ კინტრიშის ზურგდაწინწელული კალმახით და იქაური ღვინით უნდა
„მოინათლოს“, როგორც მშობლიური მიწა-წყლის დამფასებელი. ასერიგად, ნებისმიერი
მოლაშქრისა და მოექსკურსის სახელიც ორივე სოფელს სახსოვრად ჩეხბა - ხოლმე.
ასე მითხრეს სხვა ამსვლელთა გვარების გვერდით თვითონ ჩემი გვარ-სახელიც,
თუმცა სულ ცოტა ხუთი წლის წინანდელი იყო ჩემი იქ ყოფნის აბავი... და არც ის
იცოდნენ, რომ მათოა ამ გვარ-სახელის პატრიონი იყო და მეორედ გადაედო თავი
მწვერვალზე ასასვლელად, მაგრამ მაინც მიიწევს ზევით, მთი! ნ. სანუკვარი

* օձլէջօցօս մղմուլոյօտ.

შწვერვალისაკენ. აღარსად სჩანდა ერთ ღროს არსებული და სოფლელთაგან „შეპირებული“ ბილიკი, არც ერთ-ერთი იქაურის ნაშავლები ხერხი გამოდგა მისალები - მთიდან ჩამომავალი ნაკადულის ხევ-ხევ იარეთო, რომ ვირჩია. ტყის სველ მიწაზე ფეხი ციგასავით სრიალებდა, მაგრამ წყალს მიწა გამოერეცხა და სიპი კლდელა ჩანდა, რომელზეც ასვლა ახლა არავის ძალუს კაცთაგან. ასე, მთის ხან იქით, ხან კიდევ ჰქო, ზიგზაგური „სეირნობით“ მივაბოტებდით, მივთორთხავდით, მივცოცავ, მივძერებოდით წინ.

ორსათნახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა გზასავალი, ბოლოს, როგორც იქნა მთას ზედ „კინჩხზე“ მოვჭეულით, მაგრამ, როგორც იტყიან, „კინკრიხომდე“ ჯერ კიდევ შორი იყო. ახლა უკვე მთის აღმამიმავალ მეღზე უნდა გვევლო, კიდევ უფრო მომძლავრებულ შექრანლისა და კაცზე ბევრად მაღალ ბარდეკლებში ძვრომით. ერთმანეთი რომ არ დაგვეკარგა, ეშირად ერთურთს გავახალით და ვაგულიანებდით ხოლმე. ერთგან დათვის კარგამოზრდილ ბუნაგსაც გადავეყარეთ, რომელსაც ჩვენმა მეგზურმა დათვის „ფოჭი“ უწოდა. ცალკ-ცალკე კულას გულში ცოტა არ იყოს შიშმაც გაგვრა და გაგვენწლა. თოფი კი გვეონდა ბარე ორლულიანიც, ფალასკაშიც კარგა ბლომად ვაზნები გვეწყო, თოფთან ერთად ჩემმა უფროსმა მამა რომ გამოგვატანა, ერთ-ერთს რომელილაცას წალდიც გვეპყრა ხელთ, ვიღაცას კიდევ სანალირო დანაც თან წამოელო, მაგრამ, რომელი დათვის მომკვლელ-მომგერიებელი ჩვენ ვიყავით ამ თავის კულის ვერმოსაქეველ შექრ-ბარღნალში?! ისე, შიშით მთლად რომ არ წავმხდარიყვით და მეტადრე, ბავშვებს რომ არ შეშინებოდათ, მაინც ვხუმრობდით, ვანგლობდით, ვიციონდით. ასე ვითომ ხუმრობა-ხუმრობაში გავიარეთ და გავცდით სადათვე ბუნაგს, თვალით ვუავდი, პირველი ვის შეეტყობოდა შიში, ვინ მიუხედავდა უკან „ფოჭისკენ“, გამქარდა, რომ არ მიუხედავს ჩემს პატარა ბიჭს, ვახტანგს და გოგოს, თამილას, შიში არა და ბავშვური თუ დიდბავშვეური გამბედაობა წინ, მწვერვალისკენ მიუხმობდა მათ.

ჩვენ სამსათანი ტრჩვა-ჯახირის შემდეგ ერთს მთის, უფრო სწორად ელიას მთაზედ შემდგარი მთა-წვერის ძირთან ვიყავით. ასე ციხემდე ასიოდ მეტრილა თუ იქნება, ოლონდ, მწვერვალი ერთბაშად ცისკენ ავარ ნილ უზარმაზარ კლდე-კაბანზე დგას და იქ ასვლა ახლა აქამდე მომარჯვებული ფორთხვით აღარ მოხერხდებოდა, ციხეზე რომ მიგველწია, კლდე უნდა ავგველო, ზედ ან სახელდახელოდ გაძ თლილ-გამოხროენილი ათამდე მეტრის კიბე-ნინები რამ უნდა მიგვეყუდებინა, ან ბაზარი ქამანდური სროლით რამეზე მოგველო და ბაზარსვე ავყოლილით ზეცით. მცირე „თათბირის“ შემდეგ ისედაც დაგვიანებულებმა მეორე ხერხი ავირჩიეთ.

თოკზე პირველი ვახტანგი ავიდა, ვახტანგს თამილა მიჰყა, თამილას მე, ჩემს უკან ბალრი დაიძრა, ხოლო სულ ბოლოს, როგორც მასპინძლობის წესს შეეფერება ხოლმე, თოკ-ბილიკის თასი ბაჟუნაიშვილი „შემოუყავა“. თოკ-ბილიკის“ შემდეგ ხავს-ლაქაშებზე და ბუჩქებზე მობლაუჭებულებმა ავათავეთ როგორც იქნა თავეცვე საზარლად გამომოსახედი კლდე-ფლატე და... აპა, კელლებიც, კელლები ელიას ლეგენდური ციხე-სიმაგრისა. მისასვლელი მხრიდან არი, ერთმანეთზე კუთხით მიბჯენილი კედელი, სიმაღლეზე კუთხით დაჭრებულ გამლილი წიგნივით რომ გამოჩენდა ჩვენს თვალწინ და ჩვენ, აქ მოსულებს როგორმე ეს „წიგნი“ წაგვეითხა „ა-დან, „პატე“-დაც! შეეძლებდით კი ამას? ცხადია, ვერა, ვერ შევძლებდით! და ეს აქ მოსვლამდე ვიცოდი მე, ვიცოდი იმიტომ, რომ არც საამისო დრო გვეონდა, არც საშუალება, არც ცოდნა და არც გამოცდილება. და ბოლოს, კაცმა რომ თქვას, ამგვარი რამ არც მიზნად გვეონია.

ელიას ციხეზე ჩვენი ამოსვლის მიზანი უპირველესად მისი მონახულება იყო,

ხოლო შემდგომ ამისა, მისი სახელდახელო აზომვა, თვალით ხილული ობიექტების აღწერა და თუ თავზე ქორივით დამტკრალი ნისლი იღნავ მაინც ამის საშუალებას მოგვცემდა, ციხის კედლების ფოტოგადალება იყო, რაც, არ ვიტყვი არ სურდათ მეთქი, მაგრამ ალბათ ისევ და ისევ ნისლის მიზეზით ჯერ აქმომდე ჯერ არავის არ ეჭნა.

ციხის ძღებარეობა, ფორმა, დანაშეულება ციხე აგებულია: ელიას მთის მწვერვალზე, ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე. ციხე მდგბარეობს ქობულეთის რაიონში, სოფელ ჭახათისა და სოფელ ქაქუთის გამყოფი ქედის ყოლებით ელიას მთაზე. მთის ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით სოფელი ქაქუთია, მთის დასავლეთით თუ სამხრეთ-დასავლეთით სოფელი ჭახათი. ჭახათიდან ციხე ოთხ შევულ კილომეტრზე, ქაქუთიდან კი შედარებით ახლოს, სამ შევულ კილომეტრზე. ბუნებრივი მდგბარეობისა და განსაკუთრებული მეტეოროლოგიური პირობების გამო მთა და ზედ წამომართული ციხე თითქმის მუდმივად ნისლის საფარველში არიან გახვეულნი. ციხე ზედ მწვერვალზე, ასი მეტრის შევული სიმაღლის ბუნებრივ კლდე-ზღუდის თავზეა.

ციხის მხასჭლელი ციხის თავდაპირველი მისასვლელი დასავლეთიდან, უფრო ზუსტად, სამხრეთ-დასავლეთიდან ივარაუდება. მისმავლელი ციხეს მხოლოდ ამავე მხრიდან მიაღება დღესაც. თხუთმეტ მეტრიანი ციცაბოს, კიბის ან თოვის საშუალებით გადალახვის შემდეგ აღმასვლით ჯერ შემოულის მთას თანდათან სამხრეთისაკენ და მიაღება ციხის მარნის თუ საკანის, და თუ კიდევ ალაყაფისმაგარ ნაგებობების ორ შემორჩენილ კედელს. მანამდე, თუ მაღლა მის მიერ მიღგმულ კიბეს აჰყრის და ზემოთ აიტანს, დაბლიდან ერთხაშად მიუწვდომლად შეიქმნება. საერთოდ, ელიას მთაზე და ციხეზე ასვლა შეიძლება როგორც სოფელ ჭახათის, ისე სოფელ ქაქუთის მხრიდან.

ციხის აღწერილობა, კედლების ნაშთები ელიას ციხე ფლეთილი ქვით ნაგები, ოვალური ფორმის თავდაცვითი შნიშვნელობის ნაგებობაა. მისი საერთო სიგრძე აღმოსავლეთის კედლიდან დასავლეთის კედლამდე 16 გამართული ნაბიჯია, ხოლო ჩრდილოეთიდან - სამხრეთამდე 27 გამართული ნაბიჯი. ციხე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შეზღეული ოვალს მოგვაგონებს. ციხის თავდაპირველი ნაგებობიდან დღეს შემორჩენილია მხოლოდ ფლეთილი ქვისაგან ნაგები ძირი თუ საძირკველი, რომლის სიმაღლე და შენახულობა სხვადასხვა ალაგის სხვადასხვანაირია:

1. სამხრეთ-დასავლეთ ანუ მისასვლელი მხარე. გადარჩენილია ორი, ერთმანეთთან მართი კუთხით შეერთებული კედელი, რომელთა ზომებია: I კედელი - სიგრძე 396 სმ; სიმაღლე 220 სმ. II კედელი - სიგრძე 352 სმ; სიმაღლე 154 სმ. ორივე კედელზე, ზედა ნაწილში დატანებულია ორ-ორი მოზრდილი ნიში, ამ ორი კედლის შესატყვისი საპირისპირო კედლები დანგრეულია, რომელთაგან ერთზე დატანებული უნდა ყოფილყო ციხის მთავარი შესასვლელი კარი.

ჩამოქცეული კედლების ნაკლულობა აღმოჩენილია ციხის გარშემოწერილობას, მაგრამ ამ მხარეზე ციხის საერთო ოვალი ფერდებამონგრეულად აღიმება. ამ ორი ნარჩენი კედლის სიმაღლე, შიგნით ჩაქცეული ჩამონაშალის გამო შემცირებულად ჩანს.

2. აღმოსავლეთ კედელი. სიგრძე 1034 სმ; სიმაღლე: მაქსიმუმი 264 სმ; მინიმუმი 22 სმ.

3. დასავლეთის მხრიდან ციხე ბუნებრივად მიუღალი ციცაბო კლოთაა დაცული. ჩანს კედლის ორიოდ ნარჩენიც განსაკუთრებით იქ, სადაც საჭირო გა დარა ციხის ბუნებრივი დაცულობის კიდევ უფრო გაუკეთესება. I ნარჩენი - სიგრძე 264 სმ; სიმაღლე 220 სმ; II ნარჩენი - სიგრძე 770 სმ; სიმაღლე 308 სმ.

4. ჩრდილოეთიდან ციხის კედელ-ბურჯები შედარებით ცუდადაა შენახული, ზოგან იმდენად უმნიშვნელოა, აღარც ამიზომავს. იგი წალტილ-წევტილია, სიმაღლე დაახლოებით 80 სმ. ამ მხარეს შედარებით სრულად გადარჩენილა კედლის ერთი ნაწყვეტი. სიგრძე 286 სმ; სიმაღლე 264 სმ.

ყველა აქ ჩამოთვლილი კედელ-ნაშენი და ნაშთი მე ავზომე ციხის გარეთა მხრიდან და არა შიგნიდან იმ მიზეზის გამო, რომ ციხის მთელი შიგნითა ტურ არია ამოვებულია ჩამოქცეული კედლებით და მიწაყრილით, რის გამოც კედლების ასომვა ციხის გათხრის გარეშე შიგნითა მხრიდან პრაქტიკულად შეუძლებელია. ვიტყვი იმასაც, რომ თუ ციხის შიგნითა მიწაყრილს ამ ციხის თავდაპირველ „იატაპაღ“ ჩავთვლით და არა ჩამონაშალად (რაც მე პირადად ნაკლებად მფერა), მაშინ ჩემს მიერ გარედან აზომილი ნაშენი, ციხის ბუნებრივი ზღუდის ჩამატებები ყოფილა მაშასადამე, საძირკველი, ბალაგარი, და არა კედლები, როგორადაც ვთვლი მე მას დღეს. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ნაშენს არსადა აქვს დატანებული სათოფურები, რაც ამგვარი ტიპის ქართული ციხისათვის მუდაზ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ამგვარად, სახეზე გვაქვს ციხის საძირკველი ბუნებრივი და ხელოვნური ბურჯებით, რომელზეც მდგარა ციხის კედლები და დროთა ვითარებაში ჩაქცეულა ნაწილი შიგნით, ნაწილიც კიდევ ალბათ გადაქცეულა გარეთ.

აზომილი საძირკველისა თუ კედელ-ბურჯების სისქე მერყეობს, იგი ზოგან 132 სანტიმეტრზე მეტია, ზოგან ამაზე ნაკლები.

ციხის შიგნითა სიგრძე დღეს დაფარულია უბირველესად თხილს ბუჩქებით, ნაწილიც წაბლით და ლევითაც. აქვე წამოზრდილია ერთი-ორი ნორჩი წიწვოვანიც.

ამ ყველაფერი ის, რის ოქმაც შეიძლებოდა დღესდღომით თვალით ნახულის შესახებ. ხეალ კი... უთუოლ საჭირო და აუცილებელი იქნება ციხის შიდა ტერიტორიის გასუფთავება, გაწმენდა, გათხრა და როგორც არქეოლოგები იტუან ხოლმე, აქ დაზევრვითი, ხოლო შემდეგ საგულდაგულო არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება. ამ ციხის გული, ჩემი ღრმა აწმენით, ჩვენთვის ძერად საინტერესო საიდუმლოს უნდა ინახავდეს, რომლის მიგნება და ამოცნობა - ეს ითხვა აუ ჩვენ ვერ მოვასწრებოდ და მოვახერხებოთ, ანდერძად ვუტოვებოთ ჩვენს მოს უებს.

ახლა ერთი ზოგადის სახის შენიშვნაც: ასჯერ გაგონილს ერთხელ დანახული სჭობს, უთქვამს ხალხს. ელიას ხილვამ სულ სხვანაირად მომართა. ჩემი წარმოდგენა ამ ციხეზე. საქმე ის გახლავთ, რომ ვისაც კი ვეკითხებოდი მასზე, ყველა ამბობდა, ჩედ არავითარი ნაგებ-ნაშენი არ არისო... როგორც უტყუბა გზის სირთულის გამო მასზე სპეციალისტები ვერ აღიოდნენ, ერთი-ორი მოყვარული იღიათ ცენტრი შესახებ სხვისი მონათხრობის ჩაწერით კმაყიფოლდებოდა, ზოგმაც მონათხრობი თვალით დანახულად გაასაღა და ასე როგად, ციხის შესახებ არასრული და არასწორი ცნობა გაავრცელა.

ციხეზე ყოფნის მთელი ორი საათის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ და ისიც ზედად და სანმოკლედ, რაღაც ოციოდე წუთით ინებეს ელიას მთამ თა ციხემ განუქრელი ნისლის „ლეჩაქის“ შემოხსნა და ჩვენ, დადარაჯებულებს ესეც სკმარისი დაგვირჩა, გადაღების საქმეც მოგვეწესრიგებინა. ორი წუთილი ფოტო კამერა უმაღ დაგვშილიერი მიაცხრ-მოაცხრა ციხის კედელ-ბურჯებს. და როგორც წუთში მთამ და ციხემაც ნისლის საბურველი ისევ საგულდაგულოლ აიხ-აიკოშეს, ყველაფერი მაინც რიგზე დარჩა: ელიას ზეიადი და უმორჩილო ციხე ჩვენ უვე იაძონური ტიპის პატარა აპარატში გვავდა ჩამწყდეული და დატყვევებული... თანაც, დიდ ქადილად

ნუ ჩავთვლით, ეს პირველი ფოტოსახე იქნებოდა ამ ციხისა. ყოველ შემთხვევაში მე ჯერ აქამომდე იგი ფოტოზე არ მინახავს.

გადმოცემები კითხს ორგველი და შესახებ. ელიას მთის იქით და აქეთ მცხოვრებნი, ჭახათელები და ქაქუთელები ამ ციხის „ისტორიას“ მეტად მწირი ფერებით გვიხატავენ. ის კი არა და მას აგრე ახლა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აგებულად თვლიან. თანაც სასაცილოდ ამცირებენ მის დანიშნულებს: ოსმალობის დროს ტუე-გასასყიდი და მოტაცებული გოგო-ბიჭების სამაღლავდ ააგესო. ასახელებენ ვინმე „ილიას“, „ილიასას“, „ელიას“, „ელიასას“ და ამბობენ იმან ააგოო, ციხესაც „ელია“ იმიტომ ჰქვიაო. სამაგიეროდ ძველ და ძველისძველ აგებულად თვლიან მდინარე კანტრიშის შეყოლებაზე თაღოვან ჭის ხიდებსა თუ ხინოშმინდის ეკლესის, ამათზე ზოგჯერ იმასაც ამბობენ, თამარ მეფის აგებულიაო, ხოლო არცერთ იმათვანს აზრადაც არ მოსდით, რომ ელიას ციხეც შეიძლება სწორედ იმათი ხნისანი იყოს, რომ იგი მთის ორივე მხრიდან ხინოსკენ მიმავალი გზისა და ხეობის მაკონტროლებლად იყოს აგებული! ხოლო ციხისა და მთის სახელის განსაზღვრისას საერთოდ არც კი ახსენებენ ამინდის წარმართულ ღვთაება „ელიას“, ვის „ნათლულადაც“ ერთი ვარაუდო ჩემ პირველ წიგნში მე ეს მთა და მისი სახელი „ელია“ მივიჩნიე. იმასაც ამბობენ, ეს ციხე ერთ დროს სოფელ ჭახათ-წინაკაცს, ვინმე თამაზაშვილს, კაცს ბრძენს და ძლიერს, გამრჯეს და ძველმოშედს ეკუთვნოდაო, რომელსაც კინტრიშზე თაღოვანი ხიდებიც აუგიაო. ეს კაცი კიდვ ერთი ხიდის აგებას აპირებდა ჭახათ-ეკვეითის ღელეზე, მაგრამ კეჭიერლებმა იუკაღრისეს ჭახათელის ესოდენ განდიდება და მიუვანილი და საქმეზე დაყრებული ხელოსნები უკან გააქციეს....

ამ მთაზე ორი ყაჩაღი ძმა ცხოვრობდა, ილიე და დათო. თავს ამ ციხეს აფარებდნენ, ყაჩაღი ძმები მთავრობამ დახოცა, ციხეზე ვერანად დარჩენილი იმათი ორთვალი ვინმე სკენდერ ცეცხლაძემ დაანგრია, დაბლა, სოფლის ვანაპირას ჩამოზიდა და საველე სახლი ააგო. ძმები დახოცა, სახლი დაიკცა, მაგრამ მთას და ციხეს იმ ერთ-ერთი ძმის სახელი შემორჩაო....

ეს და სხვა ამგვარი რამ ციხის „ახალი“ ან „უახლეს“ ისტორიაა და მეტო არაფრი. უფრო სწორი კი ის უნდა იყოს, რომ კინტრიშის მარჯვენა მხარეს ელიას მთაზე მდგარ ელიას ციხეს მის მოპირდაპირედ, კინტრიშის მარცხენა მხარეს მდგარ „კატის ციხესთან“ (I) ერთად ხინოს ხეობის დაცვა და კინტროლი ევალებოდათ. დღეს ელიას ციხის ნანგრევ-ნაფუძარი მაინც დგას, „კატის ციხისა“ კი მხოლოდ სახელილა შემორჩენილა და თუ არა ბედნიერი შემთხვევა, ბედად რომ არ წავწყდომოდი ამ სახელს, თვით მისი სახელიც სამუდმოდ დაგვეკრგებოდა. მაშ „კატის ციხე“ - კიდევ ერთი ჭართული ციხე, რომელიც უნდა ვძებნოთ და ვიპოვოთ აქ, კინტრიშის ხეობაში. მანამდე კი მისი ერთგვარი სიშბოლურად შერქმეული ეს სახელიც მაინც შევუტოლოთ მამულს ერთგულებაში თავშეწირულ ჭართულ ციხეთა ოჯახს!

„უკველესი“ ისტორიაც იციან აქაურებმა ელიას მთასა და მის შემოგარენზე: ელიას - კლდე-უფსკრულის სამხრეთ კედელზე მსხვილი ჭაჭვი იყო გადმოკიდული. გემების საბმელად იყო იგი აღრე, აქაურობა ზღვით როცა იყო დაუარულიო. მაგრამ მე იქ ჭაჭვის მაგვარი ვერაფერი ვწახე. გამახსენდა ხულოელები და მათი მონათხრობი, არგინეთის მთაზე ჩამობმული ჭაჭვის, თაღო-კარათის მთასა და იქ არსებულ ჭაჭვის შესახებ; ისე კი, როგორც ეტყობა, კლდეზე ჩამობმული ჭაჭვის აუზვი მოარული ხასიათისაა აქარაში და ვინ იცის, იქნებ აქებს კიდეც რაიმე აზრი საფუძველი ამგვარ თქმა-გაღმოცემებს.

აღმესანდრე ჩხაიძე

კიბევის ერთხელ მუჰაჯირობის შესახებ

მუჰაჯირობა ჩვენი ისტორიული ყაფის სამწუხარო თავფურცელია. მასზე საკმაოდ დიდი და სოლიდური მასალა არსებობს.

მდგომარეობის ტრაგიულობა ქართველებისათის თვით ტერმინშია, მუჰაჯირობა ნიშავს არა ძალაციობით, არამედ ნებაყოფლობით, უკანმოუბრუნებლად უცხოეთში გადახვეწას. ამ საბედისწერო გზასაც დაადგა ათასობით ქართველი. მუსლიმანურ სამყაროში, ტრადიციის მიხედვით, პირველი მუჰაჯირობა (არაბულად - გადასახლება) მოახდინეს წინასწარმეტყველ მაჰმადის მიმღევრებმა 622 წელს. ჩვენთან, კავკასიაში, მან ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX საუკუნეში, რაც გამოწვეული იყო იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამო.

მას შემდეგ, რაც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი დაუბრუნდა სამშობლოს, ის რამდენადმე გაუცხოებულად გამოიყურებოდა ამის შესახებ მემედ აბაშიძე ამბობდა: „ყავილი რომ მოსწყდება ლეროს, დასჭირება, გაყითლდება... მიიკარით იგი გულზე, დაიჭით ხელში, ეალერსეთ და იქნება იგი ფავილი, რაც რომ იყო... აჭარა ბეღმა მოსწყიტა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიყვირთ, თუ გეუცნაურებათ, თუ დღეს საქმაოდ ვერ უცვნიხართ, მოპკიდეთ ხელი და ისევ თქვენთან იქნება“ (თ. კომახიძე, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1993 წ. გვ. 94). ეს სიტყვები ითქვა 1916 წელს, ხოლო მანამდე, ორმოცი წლით ადრე, მდგომარეობა უფრო რთული იყო. განთავისუფლების შემდეგ შეგნებულად გაუკულმართებული პოლიტიკის გამო მუჰაჯირობა მოჰყვა.

საქართველოს ფარგლებში მოსახლეობის აჭარიდან გასახლებისა და აჭარაში ჩამოსახლების თურქთა ბატონობის დროსაც პერიოდი აღილი. არსებობს წერილობითი ცნობები აჭარელთა გურიაში ჩასახლების თაობაზე (ვ. მგელაძე, ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973 წ. გვ. 61). XVIII-XIX საუკუნეებში ისლამმა მყარად მოიკიდა ფეხი, რაღაცანაც ისლამი ფორმალურად უაყოფს ბატონყმობას. მოხდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ყმათა აჭარაში ჩასახლება და მათი მაჰმადიანურ რელიგიაზე გადასვლა (იქვე, გვ. 67). როცა ისმალეთის იმპერიაში მიმდინარეობდა თანზიმათი ანუ რეფორმები, მისგან შევიწროებული აჭარის მოსახლეობის ნაწილი დაიძრა გურიაში გადასასვლელად (ამ საკითხზე მასალები არის ა. სურგულაძის წიგნში „განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში“, ბათუმი, 1978). აღმოსავლეთის საკითხის თანდათან რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ გადაჭრამ და მისმა სამხრეთისკენ ექსპანსიის გამოიწვია ჩრდილო კავკასიელთა გარკვეული ნაწილის მუჰაჯირობა. მათ შორის, აფხაზ და ჩერქეზ მუჰაჯირთა ნაწილი დაასახლეს ბათუმსა და მის მიდამოებში. აქ ამას დამპტორებელი გარკვეული პოლიტიკური მიზნით აკეთებდა, დაძაბულ სიტუაციაში სასაზღვრო ზოლში ერთგული ხალხი ეყოლებოდა.

მაშინდელი გაზეთების „დროება“, „გოლოსი“, „ობზორი“ და ა. შ. ფურცლებზე გვდებით საყურადღებო მონაცემებსა და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სტატიებს ამ საკითხზე. ასევე საინტერესო ზ. ჭიჭინაძის ნაშრომი „ქართველ მაჰმადინთა გასახლება ისმალეთში“ (1912 წ.), ა. ფრენკელის „ნარკვეები ჩურუქ-სუს და ბათუმის

შესახებ” (რუსულ ენაზე, 1879 წ.), ვ. ლისოვსკის „ჭოროხის მხარე” (რუსულ ენაზე, 1887 წ.). ამავე თემაზე საინტერესო გამოკვლევები გააკეთეს ხ. ახვლედიანმა, ვ. სიჭინავამ, შ. მეგრელიძემ და სხვებმა.

ჩვენი აზრით, მუჭაჭირობა შემდეგმა მიზეზებმა განაპირობა:

1. ომამდეც და ომის შემდეგაც არსებული ცუდი ეკონომიკური პირობები;
2. რელიგიის ფაქტორი, საყველთაო გაუნათლებლობის პირობებში მოსახლეობაზე ხოჭებისა და მოლების გავლენა;
3. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, ცარიზმის მოხელეთა და არეუმის უარყოფითი როლი, რითაც სარგებლობდნენ თურქოფილები და ეწეოდნენ მუჭაჭირობის სასარგებლო აგიტაციას;
4. ოსმალთა და მათ აგნენტთა პროვოკაციები;
5. პორტო-ფრანგოს რეჟიმი;
6. მიწათმფლობელობის საკითხი;
7. აუტანელი დაბეგვრა;
8. სათანადოდ ვერ გადაიჭრა სასამართლო ორგანოების საკითხი;
9. საჭირო იყო უფრო მეტი ყურადღება გამოეჩინა ქართველ საზოგადოებრიობას ახლადშემოერთებული მეტისადმი;
10. ტყის მცველების შემოღება;
11. სამხედრო ბეგარის საკითხი;
12. მალაკენების ჩამოსახლება;
13. მთავრობისაგან ხალხის მოწყვეტილობა;
14. გავლენიან პირთა თურქოფილური პოზიცია;
15. შიში რუსთა, მართლმადიდებლური რელიგიის და საერთოდ, მოულოდნელობის გაურკვევლობის წინაშე. ამ სის გაგრძელება კიდევ შეიძლება მთელი რიგი უმნიშვნელო ფაქტორებით. საკითხი დიდია და მის ცალკეულ მიზეზებზე გამოდევნება შორს წაგიფუანს. ადვილი არაა მათ შორის მთავარის გამოყოფა. აქ ყურადღებას ვამახვილებთ ძირითად მომენტებზე.

თუ კი აჭარელთა ერთი ნაწილი თანაუგრძნობდა რუს-ქართველთა ჯარს და ბრძოლაშიც ეხმარებოდნენ, იუნენ საპირისპირო აზრის მქონენიც. 1878 წლის 30 აპრილს სვიატოპოლსკ-მირსკი დეპეშაში წერდა: „აჭარაში დიდი მღელვარებაა შერიფი (მხედველობაშია შერიფ ხიმშიაშვილი - ა. ჩ.) თავისი ოჯახით ჩვენთან გადმოვიდა. მისი სახლ-კარი გაიადგურეს აჭარლებმა“ (ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956 წ. გვ. 131). 1878-1879 წლების მიწაზე კი მღელვარებას პქონდა ადგილი ზემო აჭარაში გადასახადის გამო. როგორც ეტყობა, ამ მოვლენას ეხება თ. სახოკია თუმცა იგი ოთხმოციან წლებს მიუთითებს (თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 293). იყო სხვა მომენტებიც, რომლებიც ადასტურებს, რომ უკმაყოფილებას თავიდანვე ჰქონდა ადგილი.

რაც შეეხება მუჭაჭირობის ვადებს, როგორც სან-სტეფანოს ხელშექრულება, ისე ბერლინის კონგრესი (ორთავე 1878 წ.), ითვალისწინებდა რუსეთის მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის ნებაყოფლობით გასახლების უფლებას ოსმალეთში 3 წლის მანძილზე. ეს საკითხი დაკონკრეტდა 1879 წლის 27 იანვარს, რითაც 1879 წლის 8 თებერვლიდან - ხელშექრულების რატიფიკაციის დღიდან. 1882 წლის 8 თებერვლიდე მუჭაჭირობის თავისუფლება გამოცხადდა.

ჩერ კიდევ განთავისუფლებამდე აჭარის მოსახლეობა დუხშირ ეკონომიკურ ყოფაში უწევდა არსებობა. ომშა იგი კიდევ უფრო გააუსარესა. ასეთ მდგომარეობას დაემატა ისიც, რომ განთავისუფლების შემდგომ ორი წელიწადი მოუსავლიანი გამოდგა. მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ მატერიალური დამარების ხელი გაუწიოდა აჭარას. თუმცა, ეს საემარისი არ იყო. თვით ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, დამშეული მხარისათვის 20 ათასი მანეთის სესხად გამოყოფის შესახებ, მაგრამ ამასთან, გადასახადების საკითხში მოსახლეობას შეღავათი არ გაუწია.

მკვლევართა დიდი ნაწილი მუჭაჯირობის ლოკომოტივად რელიგიას მიიჩნევს. რელიგიური დოგმები საქართველოს ფედერაციული იუსტიციის მისამართის 1877-1878 წლების ომამდე ხოჯა-მოლები შემდეგნაირ აგიტაციას ეწეოდნენ: „რუსნი ურჯულონი არიან, მოვლენ აქ, სჯულს წაგვიპილწამენ, სალდათსაც გამოგვართმევენ, მერე ჩვენც გაგვაქრისტიანებენ, ამიტომ, ვისაც შეგიძლიათ, მოშორდით ამ ქვეყნასო,, (ზ. ჭიჭინაძე ჭაროველ მაჰმადიანთა დიდი გასახლება ოსმალეთში, თფილისი, 1912, გვ. 34).

1881 წელს კინტრიშის მაზრის უფროსი იყო ვინძე კაპიტანი ზაქარია ზაქარიას-ძე ბაშბეუქ-მელიქოვი. ის უხეშად და თვითნებურად ექცეოდა მოსახლეობას. ერთხელ მან ბზის ძვირფასი ხე მოინდომა, ხე მოჭრეს და სახლში მიუტანეს. ეხლა მან ხალხს უბრძანა ხე მხარზე გაიდეთ და თხუთმეტი ვერსის მანძილზე წაიღოთ, უარის მიღების შემდეგ მუხთარს ჭოხით სცემის. ასეთი მოქმედებები ხალხს მუჭაჯირობისაკენ უბიძგებდა. სწორედ ეს დასდო ბრალად მას ქობულეთის მოსახლეობამ ბათუმის გუბერნატორ სმეუალოვთან. რის გამოც ამ უკანასკნელმა კინტრიშის მაზრის უფროსი შეცვალა.

მუჭაჯირობისაგან გამონთავისუფლებულ ადგილებში არაჭართველი კოლონისტები სახლდებოდნენ, რასაც ხელს უწყობდნენ რუსი ჩინონვრები. ამ ანტიერობის პროცესის წინააღმდეგ გაიღაშქრა გაზეთ „დროების“ რედაქტორმა ს. მესხმა.

ზემოთ აღინიშნა ტყის მცველობის შემოღების შესახებ, რამაც საგონებელში ჩააგდო ტყზე ძლიერ დამოკიდებული მცხოვრებლები. ი. ჯაიანი წერს, რომ ჭარში გაზვევა შეცვალეს ფულადი გადასახადით, ხალხს პირველი ერჩია. ეს კი მუჭაჯირობას უწყობდა ხელს (ი. ჯაიანი, წერილები შავშეთიდან, თბილისი 1991, გვ. 26). აღმოჩნდნენ რა ოსმალეთში, მათთვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე, მუჭაჯირთა უმრავლესობას დაპირებული პირობების გამო იმდი გაუცრუვდათ და უკან დაბრუნება მოინდომეს, მაგრამ მთელ რიგ წინააღმდეგობებს წააწყდნენ.

მაჭახლის უბნის უფროსი 1878-1881 წლებში აკაკი წერეთლის უფროსი ძმა შტაბის კაპიტანი დაიკავა წერეთული იყო. იგი მ ჭრიობის მიზეზებად ასახელებს შემდეგს: 1. სასულიერო წოდების აგიტაცია, 2. აღმოჩნდა ბეგებისა და აღების მხრივ ხალხის შევიწროება, 3. რელიგიური ფანატი ა, 4. პორტო-ფრანკოს რეეიმი (გაზეთი „დროება“, 1879 წ. 5 თებერვალი, №35).

მუჭაჯირობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ბევრი მკვლევარი პორტო-ფრანკოს ასახელებს, მათ შორის უცხოელებიც, მაგალითად ნიკოლოზ ლენდერი, რომელსაც პორტო-ფრანკო მიაჩნდა აჭარლების ეკონომიკური შევიწროების უმთავრეს მიზეზად (ი. ბექირიშვილი, აჭარა მეგობრების თვალით, ბათუმი, 1975 გვ. 66).

კონსტანტინებილის ტრაქტატის (1879 წ. 27 იანვარი) რატიფიკაციიდან 1879 წ. თებერვალიდან - 1882 წ. 8 თებერვალმდე ე. ი. სამი წლის განმავლობაში ქართველ მუსლიმანებს უფლება ეძლეოდათ ნებაყოფლობით გადასულიფნენ ასმალეთში. მოვინანებით ეს ვადა 1884 წ. 1 იანვარმდე გადასწიეს. ღლეისათვის რთულია დავადგინოთ ზუსტი არალენობა ადამიანებისა, რომლებმაც ისარგებლება ამ უფლებით და ატოვებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ან ძალით იქნენ გარეკილი. იაკობ გოგებაშვილის აზრით: „საუბედუროდ, ჩვენი ახლად შემოერთებული ძმები რუსეთის ქვევერდომობას ვრ შეურიკდნენ, აყრა ამგობინეს და ნახევრამდე ასმალეთში გადასახლდნენ“ (ა. გობრონიძე, გოგებაშვილი და აჭარა, ბათუმი 1970, გვ. 13). ზაქარია ჭიჭინაძის, მოსე ჭანაშვილის მონაცემებით სამხრეთ საქართველოდან გასახლდა ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი. ეს მონაცემია დასახლებული აგრეთვე გაზეთ „პრავდის“ 1936 წ. 8

ალექსანდრე ჩხაიძე

მარტის ნომერში, აქვე მხოლოდ აჭარისათვის, მუჟამშირობის ოფიციალური ვადის მომენტისათვის დასახელებულია ციფრი: 30 000-ზე მეტი. აღნიშნულ საკითხებში ლრმად ჩახედულ ხარიტონ ახვლედიანს კი მოაქვს შემდეგი მონაცემები: გენერალ სტეფანოვის - 30.137 მუჟამირი, ა. ფრენკელის - 50.000. ასევე მხოლოდ 1879 წელს გასახლებულთა: „ქვემო აჭარიდან წასულა 800 ოჯახი, ხოლო ზემო აჭარიდან - 60 ოჯახი. და ა. შ. ერთ-ერთი ცნობით კი ბათუმის ოლქიდან მუჟამირად წასულა 10-15 ათასი კაცი“ (ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი 1978, გვ. 194). თედო სახოკია დაწვრილებით გაეცნო აჭარელთა ყოფას და გადმოგვცა, რომ „იმ სამი წლის განმავლობაში ბათუმის ოლქიდან 38.000 სული გადასახლდა“ (თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი 1985, გვ. 190). შამშე მეგრელიძის გარაუდით კი მუჟამირად წასულთა რაოდენობა 50.000ადამიანს შეადგენდა. (შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან, თბილისი 1964).

თვით აჭარაში ხალხის აყრა-გადასახლების პროცესს თავგამოდებული აგიტაციით უბასუხებდნენ გულო კაიკაციშვილი, შერიც ხიმშიაშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, ხუსეინ და იბრაიმ აბაშიძეები, აბდულ მიქელაძე, დედე ნიუარაძე, ნური ხიმშიაშვილი, ასლან თავდეგირიძე და სხვები. აღსანიშნავია სოფელ აჭყისთავის მამასახლისი იუსუფ კომახიძე, მაშინ როცა მეზობელი სოფლებიდან, საერთოდ ქობულეთის მიღმიღებიდან ძალზე ბევრმა მიატოვა მიწა-წყლი, აჭყისთავიდან ერთი ოჯახიც არ გადასახლებულა, რაშიც ლომის წილი ი. კომახიძეს მიუძღვის. ხულოს რაიონის სოფელ ოლადაურის მეკოდრი ლომიან-ეფვენდი ქარცივაძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც ისმალეთში გაემგზავრნენ იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც მუჟამირები უნდა დასახლებულიყვნენ, მან მოიწერა წერილი, სადაც აჭარლებს მოუწოდებს ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. ამ წერილმა დადებითი გვლენა იქნია და შეაჩერა მუჟამირად წამსვლელთა რიცხვი.

მუჟამირობის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდნენ აჭარელი ქალები. მუსლიმანურმა სარწმუნოებამ ქალი თითქმის სამუდაოდ ჩაკეტა სახლში, ამიტომ ისინი უფრო იცავდნენ ქართულ ენას, ზე-ჩვეულებებს, ასევე ზრდიდნენ მომავალ თაობას. მაჭახელის უბნის უფრისი დ. წერეთელი წერდა: „მთელი აჭაური ქალების სურვილი ის არის ახლა, რომ თავის ქმრებს ხელი შეუშალონ წასვლაზე, დიდი მოძრაობა არის მათში... რომ თავიანთი ქმრები არ გაუშვან, ამ კვეუნას არ მოშორდნენ. ზოგი იძღენ მხერებას იჩენს, პირდაპირ აცხადებს, რომ თუ წავიდა მე არ გავჟებიო. ბატონ მუდირთან მივალ და ვთხოვ, რომ ქმარს არ გააყოლოს ჩემი თავი. თუ ამან არ მიშველა, ბათუმს წავალ, იქ შევეხვეწები, ან ჭოროხში თავს დაგხირჩობო“ (ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი 1974 წ. გვ. 30).

როგორც ვხედავთ, მუჟამირობას სერიოზული საფუძველი გააჩნდა, რომელმაც იგი გარდაუვალ პროცესად აქცია. ეს იყო იდეოლოგიური ომი. (ძალადობითაც) თავისი მსხვერპლითა და გამარჯვებით.

დემოგრაფია

თემატიკური კომიტეტი

ქალაქ ბათუმის დემოგრაფია



აჭარის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში უდავოდ ღიდ როლს ასრულებს ქალაქის მოსახლეობა, რომელიც ღიეისათვის მთელი ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 40 პროცენტს უდრის. ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილი ქალაქ ბათუმში ცხოვრობს.

1807 წელს ბათუმში იმოგზაურა ფრანგმა მოგზაურმა აღრიან დიუპრემ, რომლის მონაცემების მიხედვით იმხნად ბათუმის მთელი მოსახლეობა უდრიდა 2 ათას კაცს, ხოლო მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენდნენ:

მოგზაური მაშინდელ ბათუმს ასეთ შეფასებას აძლევს: „აქა-იქ შიმოფანტული სახლებით იგი უფრო ვრცელ სოფელს წააგავს, ვიდრე ქალაქს, ბათუმი გაშენებულია ზღვის სანაპიროზე, აქვს ერთადერთი ღია ჩეიდი აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან. დასავლეთით იგი დაცულია ქვიშიანი კონცხით. ჩეიდი ღრმაა და ხომალდებისათვის ისევე უსაფრთხოა, როგორც საუკეთესო ნავსადგურები“. (ჟ. ფ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბილისი, 1887 წ. გვ. 262-263).

აღნიშნული პერიოდისათვის დღევანდელი ბათუმი მართლაც რომ ქალაქიდ ჩამოყალიბების სტადიაში გახლდათ. მისი განაშენიანების დაჩქარების მიზნით, თურქეთის ხელისუფლება, ბათუმში ჩამოსახლებას (მათი ეროვნების მიუხედავად) დიდად უწყობდა ხელს. ჩვენი კუთხის ცნობილი მკვლევარი ს. ანისიმოვა, აღნიშნულთან დაკავშირებით წერდა: „ბათუმის ახალი დასახლების ათვისების მიზნით, 1807 წელს ოსმალეთის ხელისუფლებამ ნება დართო თურქ და ბერძენ ემიგრანტებს, 1866 წელს კი აფხაზ მუჭაჭირებს, არენდით აელოთ მიწის ნაკვეთები ქალაქის ტერიტორიაზე“. (ბათუმის სანაპირო ს. ანისიმოვას რედაქციით 1911 წელი, გვ. რუს. ენაზე).

თურქეთის ხელისუფლების მსგავსმა გადაწყვეტილებამ საგრძნობლად დააჩქარა ქალაქის განაშენიანების პროცესები, რომლის პარალელურადაც ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა ბათუმში.

1872 წლისათვის ბათუმში მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 4970 სულს, აქედან ბერძენი იყო 350 სული, სომები - 120 სული, ქართველი კი 4500 სული.

ბათუმში აღნიშნული პერიოდისათვის ცხოვრობდნენ აგრეთვე თურქები, ჩერქეზები, აფხაზები და ზანგები.

1878 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა უდრიდა 3000 სულს. მოსახლეობის ასეთი შემცირება გამოწვეული გახლდათ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, რომლის ზეგავლენითაც ბერძი ადგილობრივი მოსახლე გადახვეწა თურქეთში მუჭაჭირად.

ბათუმის პორტ-ფრანკოდ გამოცხადებამ ბიძგი მისცა ქალაქში ვაჭრობისა და კუსტარული მრეწველობის განვითარებას, რომლის პარალელურადაც მდიდრდებოდა მოსახლეობის რაოდენობაც.

1882 წელს ქალაქ ბათუმში ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა და გამოვლინდა, რომ ქალაქში იმხნად ცხოვრობდა 8661 სული, მათ შორის 6921 მამაკაცი და 1740 ქალი.

ქალაქში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შემდეგი რაოდენობით:

ქართველები - 3156 სული, რუსები - 980 სული, თურქები - 603 სული, სომხები - 908 სული, აფხაზები - 377 სული, სპარსელები - 112 სული, ებრაელები - 179 სული, ბერძნები - 1106 სული, გერმანელები - 145 სული, ფრანგები - 24 სული, იტალიელები - 18 სული.

ინგლისელები - 10 სული, (ბათუმი და მათი შემოგარენი, 1906 წელი, გვ. 460).

* * *

1882 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა რელიგიური მრწამსის მიხნდვით ასეთ სურათს იძლეოდა:

მართლმადიდებლები - 3158 სული, სომხებ-გრიგორიანელები - 436 სული, სომხებ-კათოლიკები და კათოლიკები - 176 სული, პრტესტანტები - 101 სული, რუსი სექტანტები - 42 სული, იუდაველები - 179 სული, მუსლიმანები - 1282 სული.

* * *

მოსახლეობის კლასიფიკაცია დასაქმების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

ვაჭრები და ნოჭრები - 584 სული, შინა მოსამსახურეები - 582 სული, მუშები - 465 სული, მენავეები - 63 სული, ექიმები - 18 სული, მეაფთიაქენი - 7 სული, მასწავლებელი - 15 სული, მხატვრები - 1 სული, გაზეთის რედაქტორი - 1 სული, მკინძავი - 2 სული.

* * *

მკითხველისათვის ცნობილია, რომ ებრაელები საქართველოში უსოოვარი დროიდან ჩამოსახლდნენ და ცხოვრობდნენ, მაგრამ ჩვენს კუთხეში - აჭარაში, სახელდობრ კი ბათუმში, ისინი უმთავრესად რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ ჩამოსახლდნენ. სწორედ იმ ომის შემდგომ, როდესაც ოლქი რუსეთის იმპერიის შემადგრენლობაში შევიდა.

ბათუმში ჩამოსახლებულ ებრაელთა რაოდენობა ჩვენს ქალაქში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების პარალელურად იზრდებოდა.

1882 წელ თუკი ბათუმში სულ 179 ებრაელი ცხოვრობდა, 1890 წლის მონაცემებით მათი რიცხვი 882 -მდე გაიზარდა.

1897 წელს ბათუმში ირიცხებოდა 1182 ებრაელი. 1920 წელს - 1714, ხოლო 1992 წელს მათი რაოდენობა 3699-მდე გაიზარდა.

მოგვიანებით 1999 წლისათვის ბათუმში ებრაელთა რაოდენობა 714-მდე შემცირდა. ებრაელთა ასეთი შემცირება განაპირობა ბოლო პერიოდში საქართველოში არსებულმა ეკონომიკურმა სიღუბჭირემ, რის გამოც ებრაელთა დიდი ნაწილი თავიანთ აღქმულ ქვეყნაში - ისრაელში გადასახლდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოდან და აჭარიდან გადასახლებული ებრაელები დღემდე ინარჩუნებენ საუკუნეთა მანძილზე შეთვისებულ ქართულ ტრადიციებს და ქართულ წერა-კითხვას.

* * *

1451 და 1463 წლებში ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების დაცემისა და იქ ისმალიონთა გამატონების შემდეგ ამ ქვეყნაში ბერძენთა უმეტესი ნაწილი იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში მიმოიფანტა. ლტოლვილ ბერძენთა ერთმა ნაწილშიც აჭარაშიც დამკვიდრა ახალი საცხოვრისის.

ჩვენს კუთხეში ჩამოსახლებული ბერძენები უმთავრესად ვაჭრობას, ხელისწობასა და მეურნეობას მისდევდა.

ქალაქ ბათუმში ბერძენები პირველად 1846 წელს გამოჩნდნენ. 1850 წელს ბათუმში მუდმივ მცხოვრებლებად დამკვიდრდა ბერძენთა 20 ოჯახი და შექმნეს ბერძენთა პირველი სათვისტომა.

1872 წელს ბათუმში ცხოვრობდა 350 ბერძენი.

1882 წლისათვის კი ბერძენთა რაოდენობა ბათუმში უკვე 1106-ს უდრიდა.

1890 წლისათვის ბერძენთა სულადობამ ბათუმში 1895 სული შეაღვინა. მათი რაოდენობა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზარდა მომდევნო წლებში. მაგალითად, ორი წლის შემდეგ - 1897 წლისათვის ბათუმში უკვე 2764 ბერძენი ცხოვრობდა. ხოლო 1999 წლის მონაცემებით ბათუმში ბერძენთა რაოდენობა შეაღვენდა 2830 სულს.

* * *

ჯერ კიდევ 1877 წლიდე, რუსეთ-თურქეთის ბოლო ომის დაწყებამდე, ბათუმში საქმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სომხები. თავდაპირველად ისინი უმთავრესად დასაქმებული გახლდათ ვაჭრობაში, რასაც ჩინებულად ართმევდნენ თავს:

ბათუმში სომხეთი დიდ რიცხოვნებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სომხეთი მორწმუნებებმა ჯერ კიდევ ისმალთა ბატონობის პერიოდში, სახელდობრ 1877 წლის დასაწყისში, ბათუმში დააფუძნეს სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს და ემსახურება თავის მრეველს.

ბათუმში სომხური მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების (1878 წლის) შედეგა.

ბათუმში მცხოვრები სომხი მოსახლეობა აქტიურად ჩაება ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში. მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში და, შეიძლება ითქვას, დიდ შედეგებსაც მიაღწია.

* * *

1883 წლიდან ქალაქ ბათუმის ვარესამყროსთან სარეინიგზო ხაზით დაკავშირებამ კიდევ უფრო დააჩქარა ჩვენს ქალაქში მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობა-განვითარება. პარალელურად გაიზარდა მისი მოსახლეობაც. როგორც უკვე ზემოთ აღნიშნეთ, 1890 წლის 17 ივნისს ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, და გაირკვა რომ ქალაქში ცხოვრობდა 18123 კაცი, აქედან ძირითადი მოსახლეობა იყო 14674. ჯარისკაცები, რეიდზე მდგარ გემთა მეზღვაურები, მოსამსახურეები, მოსწავლეები, ე. ი. ჩვენი ქალაქის დროებით მცხოვრები შეაღვენდნენ 3449 სულს.

საინტერესოა, რომ მამაკაცთა რაოდენობა იყო 14180, ქალთა რაოდენობა კი - 3943.

ბათუმის მუდმივი მოსახლეობა ეროვნებათა მიხედვით იძლეოდა შემდეგ სურათს:
ქართველები - 35716 ანუ მთელი მოსახლეობის 9,72 პროცენტი.

რუსები - 416, ანუ 22,95 პროცენტი.

სომხები - 3128, ანუ 17,25 პროცენტი.

ბერძნები - 1995, ანუ 11,0 პროცენტი.

ებრაელები - 862, ანუ 4,76 პროცენტი.

თურქები - 1172, ანუ 6,48 პროცენტი.

* * *

1890 წლის აღწერის პერიოდში სოციალური მდგომარეობის მიხედვით ბათუმში ცხოვრობდნენ:

გლეხები - 6795 სული

გეშინები - 4240 სული

საზღვარგარეთელი ქვეშევრდომები - 2030 სული

გარკვეული წოდებისანი - 1514 სული

აზნაურები - 1404 სული

ბეგები და ოლები - 9 სული

თავადთა წოდებისანი - 116 სული

აზნაური მაძიებელი - 3 სული

შლიახტიჩი - 1 სული

მოქალაქეები - 1171 სული

ვაჭრები - 375 სული

დაბალი ჩინის პირები - 216 სული

სასულიერო წოდებისანი - 144 სული

თადარიჯის ჯარისკაცები - 44 სული

ძევლი მოსახლეობა - 24 სული

მაღალი ჩინის მოსახლეები - 36 სული

უკანონოდ შობილნი - 6 სული

სულ - 18123 სული.

* * *

აღნიშნული დროისათვის ბენურის მოსახლეობის 51,98 პროცენტი განლდათ წერა-კითხვის მცოდნე.

(1890 წლის 17 ივნისის აღწერა - ბათუმი და შისი მოსახლეობა, საქალაქო შმართველობის გამოცემა, 1891 წელი, გვ. 1-2, 19-66, რუს. ენაზე).

* * *

1897 წლის 28 იანვარს ჩატარდა სრულიად რუსეთის მაშტაბით მოსახლეობის აღწერა და დადგინდა, რომ ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა 28508 ადამიანი, მათ შორის 20439 მამაკაცი და 8169 ქალი.

ხოლო ქალაქში დროებით მცხოვრებთა რიცხვი 1714 სულს შეადგინდა.

ბათუმის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით იმართდა ასეთი ფო:

ქართველი - 6087 სული

რუსები - 7144 სული

სომხები - 6839 სული
 ბერძნები - 2762 სული
 ებრაელები - 1064 სული
 პოლონელები - 722 სული
 გერმანელები - 299 სული
 ჩერქეზები - 65 სული
 თურქები - 1652 სული
 (უნდა ავლინიშნოთ, რომ იქვე, თურქებთან მიწერილი გახლდათ აჭარლები) სხვა
 დანარჩენი ერისანი - 1870 სული

* * *

რელიგიური მრწამსის მიხედვით იმ დროისათვის ბათუმში ცხოვრობდნენ:

მართლმადიდებლები - 15495 სული.

სომეხ-გრიგორიანელები - 6150 სული

რასკოლიკები - 137 სული

სომეხ-კათოლიკები - 662 სული

რომაელ-კათოლიკები - 1385 სული

სხვადასხვა პროტესტანტები - 334 სული

მაჰმადიანები - 3156 სული

იუდაელები - 1179 სული

სხვა სარწმუნოებისანი - 10 სული.

* * *

ქალაქ ბათუმში მოსახლეობის ზრდას, როგორც ეს უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ, განაპირობებდა მრავალი სამრეწველო ობიექტის შექმნას, რომელთა ნარჩენალური ფუნქციონირებისათვის, ცხადია, საჭირო იყო და რაოდენობის მუშახელი. ჩვენ ზემოთ ასევე აღვნიშვნეთ, რომ ბათუმში ქალები მიმართებით გაცილებით მეტი იყო მაშაკაცები. ეს გამოწვეული გახლდათ იმით, რომ მაშაკაცთა რწმენით ქალებს ფაბრიკა-ქარხნებში არაფერი ესაქმებოდათ და იქ მხოლოდ მათ მაშაკაცებს უნდა ემუშავათ. ალბათ აშიტომაც იყო ქალებში მაშაკაცთა ასეთი რიცხობრივი უპირატესობა.

* * *

იმ დროისათვის ქალაქ ბათუმში ფუნქციონირებდა 1262 მსხვილი და წვრილი სამრეწველო ობიექტი, რომლებიც მეპატრონეთა ეროვნულობის მიხედვით ასეთ სურათს იძლეოდა:

ერთოვნება	შირველი ჯგუფი	მეორე ჯგუფი	მესამე ჯგუფი
რუსი	1	13	67
ქართველი	1	62	232
სომები	7	61	257
ბერძენი	4	54	184
თურქი	-	4	123
ეგრეთელი	5	22	51

დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ 12 პირები, 16 მეორე ჯგუფისა და 79 მესამე ჯგუფის წარმომადგენლები.

* * *

მთელი 25 წლის განმავლობაში, სახელდობრ 1897 წლიდან 1922 წლამდე ბათუმის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა და 1922 წლისათვის მიღწია 32302 სულ.

1878 წლიდან მოყოლებული 1922 წლამდე ქალაქ ბათუმში მოსახლეობის ზრდის დინამიკა იძლევა შემდეგ სურათს:

1878 წელს ბათუმში ცხოვრობდა 3000 კაცი, 1882 წელს - 8671, 1886 წელს - 14803, 1890 წელს - 18123, 1897 წელს - 28508, 1917 წელს - 35048, 1918 წელს - 15375, 1920 წელს - 45446, 1922 წელს - 60810.

ქალაქ ბათუმის მოსახლეობის საშუალო ზრდა პროცენტებში წლების მიხედვით გვაძლევს ასეთ სურათს: 1878 წლიდან 1882 წლამდე ქალაქის მოსახლეობის ზრდა შეადგნდა - 47,0 პროცენტს, 1882 წლიდან 1886 წლამდე - 17,7 პროცენტს, 1886 წლიდან 1890 წლამდე - 5,6 პროცენტს, 1890 წლიდან 1897 წლამდე - 8,2 პროცენტს, 1897 წლიდან 1917 წლამდე - 1,1 პროცენტს, 1917 წლიდან 1918 წლამდე ქალაქში მოსახლეობის კლებამ შეადგნა - 56,6 პროცენტი, რაც გამოწვეული იყო არსტატილური მდგომარეობით, 1918 წლიდან 1920 წლამდე მოსახლეობის ზრდა შეადგნდა - 97,8 პროცენტს, 1920 წლიდან 1922 წლამდე - 16,9 პროცენტს, 1992 წლისათვის ბათუმში სულ ცხოვრობდა 60810 სული.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ბათუმში სმოსახლეობის რაოდნობის ზრდა გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოსა და ასევე შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქებისა.

* * *

ამ ჩვენი განაცხადის დასაღასტურებლად, თუ საილუსტრაციოდ მკითხველს შევაწვდით მოსახლეობის ზრდის პროცენტებს სხვადასხვა ქალაქებში (ბათუმთან შეფარდებით) წლების მიხედვით:

	1897 წელი	1927 წელი	1922 წელი
სოსუმი	5,0	6,2	7,5
ფოთი	4,6	4,6	4,9
ბათუმი	17,9	15,2	26,1

ამრიგად, ბათუმში მოსახლეობის პროცენტული ზრდა მართლაც რომ გაცილებით დიდია.

* * *

1897, 1914 და 1922 წლებში ბათუმის მოსახლეობის მონაცემები სქესის მიხედვით, ასეთ სურათს იძლევა:

1897 წელი - მარტობითი - 20439 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 71,7 პროცენტი.

მდედრობითი - 8069 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 28,3 პროცენტი. იმ დროს ბათუმის მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა 28508 სულს.

1914 წელი - მამრობითი - 18260 სული, ანუ მოსახლეობის 53,6 მეათედი პროცენტი.

მდედრობითი - 15807 სული, ანუ მოსახლეობის 46,4 პროცენტი.

ქალაქის მთლიანი მოსახლეობა 34067 სული.

1922 წელი - მამრობითი - 32564 სული, ანუ 53,5 პროცენტი.

მდედრობითი - 28246 სული, ანუ 46,5 პროცენტი.

მთლიანი მოსახლეობა უდრიდა 60810 სულს.

... ალბათ საინტერესო იქნებოდა გავვეგო თუ როგორ სურათს იძლეობა ბათუმის მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა 1897, 1922 წლებში. გთავაზობთ ამ მონაცემებს:

1897 წლისათვის, როგორც ეს უკვე მოვისტენიეთ ზემოთ, ბათუმის მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა 28508 სულს, აქედან ქართველები - 6087 სული, ანუ მთლიანი მოსახლეობის 21,4 პროცენტი.

სომხები - 6839 სული, ანუ 23,9 პროცენტი

რუსები - 7144 სული, ანუ მოსახლეობის 3,7 პროცენტი.

ებრაელები - 1064 სული, ანუ 25,1 პროცენტი.

ბერძნები - 2764 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 9,7 პროცენტი.

1917 წლიდან ბათუმის მოსახლეობა უდრიდა 35048 სულს, 1918 წლისათვის - ბათუმის მოსახლეობა შეადგენდა 15875 სულს, აქედან ქართველები 2238 სულს, ანუ მთელი მოსახლეობის 14,6 პროცენტს,

სომხები - 288 სულს, ანუ 1,9 პროცენტს.

რუსები - 3669 სულს, ანუ 23,8 პროცენტს

გერმანელები - 4878 სულს, ანუ 31,7 პროცენტს

1922 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა მთლიანად შეადგენდა 60810 სულს, აქედან ქართველები - 18232 სული, ანუ 30,0 პროცენტი,

სომხები - 14969 სულს, ანუ 24,6 პროცენტს

რუსები - 3699 სულს, ანუ 6,1 პროცენტს

ბერძნები - 7629 სულს, ანუ 12,6 პროცენტს

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ბათუმში ასევე ცხოვრინდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა წლების მიხედვით უდრიდა შემდეგს:

1897 წელს - 4610 სულს, ანუ მთელი მოსახლეობის 16,2 პროცენტი.

1917 წელს - 9957 სულს, ანუ 8,4 პროცენტს

1918 წელს - 3352 სულს, ანუ 23,1 პროცენტს

1920 წელს - 4880 სული, ანუ 10,8 პროცენტი.

და ბოლოს - 1922 წელს - 5514 სულს, ანუ 9,1 პროცენტს.

* * *

1918 წელს ბათუმის მოსახლეობის რაოდენობის ასეთი შევეთრი, მთელი ორმოცდათი პროცენტით შემცირება განპირობებული გახლდათ თურქეთის ჭარის მიერ ბათუმის დაკავებით, რომლის დროსაც განსაკუთრებით შევეთრად შემცირდა სომხები მოსახლეობის რაოდენობა (26,6 პროცენტადან - 2 პროცენტამდე).

* * *

ქალაქ ბათუმში ინგლისელთა ბატონიბის პერიოდში (1918-1920 წლები) ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა სამჯერ. 3

1922 წლისათვის ბათუმის შემოქმედებითი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 61 პროცენტს, რაც გაცილებით მეტი გახლდათ საქართველოს სხვა ქალაქების მაჩვენებელზე.

1926 წლის დეკემბერში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის საფუძვლზედაც, ბათუმში მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 48475 სული.

1927 წლის პირველი იანვრის მონაცემების მიხედვით, ეროვნებათა და სქესის მხრივ ბათუმის მოსახლეობა გამოიყურებოდა ასე:

ეროვნება	მამრობითი	მდედრობითი	სულ	პროც.
ქართველები,	9849	7955	17804	36,8
სომხები,	5198	5035	10233	21,1
რუსები,	4102	4658	8760	18,1
ბერძნები,	1370	1474	2844	5,9
უგრადები,	1421	52	1473	3,0
ებრაელები,	969	948	1917	4,0
თურქები,	321	151	472	0,9
სარსელები,	459	284	743	1,5
აფხაზები,	220	203	423	0,9
ქურთები,	198	204	404	0,8
ზოლონელები,	134	178	312	0,6
გერმანელები,	82	126	208	0,4
სხვა ერისანი.	1654	1229	2883	6,0

* * *

1922 წელთან შედარებით 1927 წლისათვის ბათუმში მოსახლეობა შემცირდა მთელი 20 პროცენტით. აქედან ბერძნი - 62,7 პროცენტით, ებრაელები - 48,2 პროცენტით, სომხები - 31,6 პროცენტით, რუსები - 17,0 პროცენტით. ხოლო რაც შეეხება ქართველობას, იგი შემცირდა შემცირდა 448 სულით, რაც მთელი ქართველი მოსახლეობის მხოლოდა 2,5 პროცენტს უდრიდა. ყოველივე ეს ქართველი მოსახლეობის სტაბილურობაზე მიგვანიშნებს.

* * *

1927 წლის პირველი იანვრიდან 1931 წლის მარტიმდე ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა 6906 სულით, ანუ 14,25 პროცენტით. ქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობამ შეადგინა 55380 სული. მათ შორის მამაკაცთა რაოდ 50% გაიზარდა 1522 სულით, ანუ 5,8 პროცენტით, ქალაქებისა კი 5384 სულით, ანუ 23,9 პროცენტით.

* * *

1931 წლის პირველი აპრილის მონაცემებით ქალაქ ბათუმის შემოქმედებითი მოსახლეობის რაოდენობა ასე გამოიყურებოდა: მამრობითი 18780 სული, აქედან შემოქმედებითი მუშაობაში ჩართული იყო 17479 სული, ანუ 93,1 პროცენტი.

მდედრობითი - 16340 სული, აქედან შემოქმედებითი მუშაობაში ჩართული 5156 სული, ანუ 31,6 პროცენტი, სულ 35120 სული, ანუ 64,4 პროცენტი.

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, ბათუმის შემოქმედებითი მდედრობითი მოსახლეობის 11184 სული დაუსაჭირებელი გახდათ, რაც შემოქმედებითი მოსახლეობის დიდ რეზერვს შეაღენდა.

1927 წლის შემდევ მოსახლეობის აღწერის შედეგის მასშტაბით ჩატარდა 1939, 1959, 1970, 1979, 1985 და 1998 წლებში.

1939 წელს მოსახლეობის აღწერის მიხედვით ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა 70200 სული.

* * *

1959 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების მიხედვით ქალაქის ადგილებში ცხოვრობდა 55684 ქართველი ეროვნების მცხოვრებნი, რაც ქალაქის მოსახლეობის 50,2 პროცენტს, ხოლო რესპუბლიკის მთელი ქართველი მოსახლეობის 31,1 პროცენტს შეაღენდა.

ახლა ამისდა მიხედვით გავიგოთ, თუ რიცხოვნების მიხედვით როგორ ნაწილდებან სხვადასხვა ერის წარმომადგენლები და რამდენ პროცენტს შეაღენენ როგორც ქალაქის, ასევე მთელი ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით:

რუსები - 28,101 სული, ანუ 25,4 პროცენტი

სომხები - 14782 სული, ანუ 13,3 პროცენტი

ბერძენი - 2603 სული, ანუ 2,3 პროცენტი

უკრაინელები - 4775 სული, ანუ 43 პროცენტი

ებრაელები - 1430 სული, ანუ 1,3 პროცენტი

აფხაზი - 502 სული, ანუ 0,45 პროცენტი

აზერბაიჯანელი - 484 სული, ანუ 44 პროცენტი

თათარი - 248 სული, ანუ 0,2 პროცენტი

ოსი - 215 სული, ანუ 0,2 პროცენტი

პოლონელი - 248 სული, ანუ 0,21 პროცენტი

აისორი - 172 სული, ანუ 0,16 პროცენტი

ქურთი - 66 სული, ანუ 0,05 პროცენტი

და ბოლოს სხვა დანარჩენი ეროვნებისანი - 1434 სული, ანუ 1,3 პროცენტი პროცენტი

ჩატარებული აღწერის მიხედვით, 1959 წლისათვის ბათუმის მოსახლეობის წილადი რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 74 პროცენტი შოდის.

* * *

აღბათ შეიძლება მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმის გაგება თუ ჩვენს ქალაქში ქართველი მოსახლეობა სხვადასხვა წლებში საერთო მოსახლეობის რამდენ პროცენტს შეაღენდა. გთავაზობთ ამ მონაცემებს წლების მიხედვით:

1897 წელს - მთელი მოსახლეობის 23,4 პროცენტს

თვეიმურაშ კომანდე

- 1913 წელს - 25,6 პროცენტს
 1922 წელს - 30 პროცენტს
 1928 წელს - 37 პროცენტს
 1939 წელს - 41 პროცენტს
 1959 წელს - 49 პროცენტს

ამ მონაცემებიდან გვიშენდებით, რომ ქართველი მოსახლეობის ხველრითი წილი ქალაქ ბათუმში წლების შესაბამისად იზრდებოდა.

ასე შეეხება სხვა ეროვნებითა რაოდენობის, ზემოთხსენებულ წლებში ასეთი გახლდათ:

- რუსები - 25,4, 26,4, 18,21, 26 პროცენტი
 სომხები - 18,2, 18, 24,21, 17,6, 15 პროცენტი
 ხოლო სხვა დანარჩენი ეროვნებისანი ერთად აღებული, უდრიდა შემდეგს: 33,30, 28,21, 16,6, 10 პროცენტს.

* * *

გთავაზობთ ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობის 1998 წლის სტატისტიკურ მონაცემებს:

ბათუმის მთელი მოსახლეობა შეადგენს = 137922 სულს. ციფრის მიხედვის

აქტან:

- მამაკაცი 64890 სული, ანუ 47,0 პროცენტი
 ქალი - 73032 სული, ანუ 53, 0 პროცენტი
 ახალა გავეცნოთ მოსახლეობის რაოდენობას ეროვნებისადა მიხედვით:
 ქართველი - 90907 სული, ანუ 65,9 პროცენტი
 რუსი - 20955 სული, ანუ 15,2 პროცენტი
 სომები - 13451 სული, ანუ 9,8 პროცენტი
 აზერბაიჯანელი - 687 სული, ანუ 0,5 პროცენტი
 უკრაინელი - 4082 სული, ანუ 2,9 პროცენტი იურიული მიხედვის
 ბელორუსი - 471 სული, ანუ 0,3 პროცენტი
 აფხაზი - 982 სული, ანუ 0,7 პროცენტი
 ოსი - 652 სული, ანუ 0,47 პროცენტი
 თათარი - 216 სული, ანუ 0,15 პროცენტი
 ბერძენი - 2837 სული, ანუ 2,0 პროცენტი
 ებრაელი - 741 სული, ანუ 0,65 პროცენტი
 და ბოლოს სხვა ერისანი - 1887 სული, ანუ 1,37 პროცენტი

ბათუმში მცხოვრებ სხვა ეროვნებაში შედიან: უზბეკი, კაზაკი, ლიტველი, ლატვიელი, მოლდაველი, ყარგიზი, ტაჯიკი, თურქმენი, ესტონელი, ბალუარელი, ბაშკირი, გურიატი, ინგუში, ჩეჩენი, კარაკალმიკელი, კალმიკელი, კარელოელი, კომელი, მორდველი, ტუველი, ულმურტი, არაბი, ვიეტნამელი, კორეელი, ჩინელი, რუმინელი, სერბი, თურქი, ფინელი, ფრანგი, ჩეხი, პოლონელი, ესპანელი, იტალიელი, უნგრელი, ავღანელი, ბულგარელი და ასე შემდეგ. სულ 72 ერისა და ეროვნების წარმომადგენელი.

* * *

ახლა გავეცნოთ 1998 წლისათვის ქალაქ ბათუმის მოსახლეობის კოციალური დამოკიდებულების მონაცემებს:

ՑՈՒՍԱՑՈՒՅԹՆԵՐԻ - 37142

მათ შორის უმაღლესი განათლებით - 14550 სოფ. აქედან

ՀՀ ՀՀ ՀՀ
Քեդագոց - 3450 Եղվարդ

ინტერნეტი - 5400 სული

ეკონომისტი - 2750 სტული

Ագրարնոմի - 150 Ստղուր

950 - 950 სული

ପ୍ରକାଶକ - ୨୨୦ ମେଟ୍ରି

ଅନ୍ତର୍ଜାଲରେ = 50 ଲକ୍ଷ

სხვა სპეციალობისანი - 10

କ୍ଷେତ୍ରପାଦିତ କାନ୍ତିଶାଖା - 15832

ମୋଦ୍ଦା - 225

ມາຕ ພົນກົດ:

დასაქმებული სახელმწიფო სექტორში - 14100 სული

ქალაქის მოსახლეობის სტრუქტურა კი ასეთია:

ექვს წლამდე ასაკოვანი - 14055 სული

16 წლამდე ასაკოვანი - 22526 სული

16 ੴ ਲਿਗਦਾਰ 65 ੴ ਲਾਮਲ੍ਲੇ ਅਸਾਕਾਂਵਾਨੀ - 90077 ਸ਼੍ਰੀਗੁਰੂ

65 Ֆիլմ «Կապույտ ասաքողաբն» - 11271 Տպագործություն

* * * 80 अंडे ओवल [251] - एक्सेस

ახლა კი გაფუცნოთ ქალაქ ბათუმის შრომით, რესურსებს, საზოგადოებრივ თუ კურძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას და მის პროცენტულ მონაცემებს 1996, 1997 და 1998 წლებში:

- შრომითი რესურსები სულ - 81513, 81537 და 82000.
 - საზოგადოებრივ საქმიანობაში დასაქმებულნი - 59021, 58987, 59642.
 - დასაქმებულთა რაოდენობა პროცენტებში - 72,4, 37,7.
 - კერძო სექტორში დასაქმებულნი - 13968, 15946, 16076.

(პარაგ. ბათუმის პაპორტი, 1998 წ. გვ. 23).

六 六 六

ახლა კი გავეცნოთ ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობასა და მის ხვედრით წილს აჭარის მოსახლეობის მიმართებაში 1959-1998 წლებში.

1959 წლის აღწერის მიხედვით აჭარის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 245,3 ათას სულს, აქედან ბათუმში ცხოვრიობდა 82,3 ათასი, მცხოვრები და უდრიდა აჭარის მთელი მოსახლეობის 33,5 პროცენტს.

1970 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით აჭარის აგტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრიბდა 309,8 ათასი კაცი, აქედან ქალაქ ბათუმში - 100,6 ათასი კაცი და ორიდა მთელი აჭარის მოსახლეობის 32,5 პროცენტს.

კრონა: წლის შემთხვევა = 1979 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით გამოცვილი

მცხოვრებთა რაოდენობა უდრიდა 354,2 ათას სულ, აქედან ბათუმში ცხოვრობდა 122,8 ათასი სული, რომელიც უდრიდა მთელი მოსახლეობის 34,7 პროცენტს.

ქალაქ ბათუმის მოსახლეობის ზრდის ღინამიკა გვაძლევს შემდეგ სურათს:

1939 წლისათვეს ბათუმის მოსახლეობა შეადგინდა 70,0 ათას კაცს, პერიოდებს შორის წლიური ინტერვალი შეადგინდა 13 წელწადს, ხოლო რაც შექება მოსახლეობის აბსოლუტურ ზრდას, უდრიდა 21, 5 ათას სულ.

1959 წლისათვის ბათუმში ცხოვრობდა 82,3 ათასი მცხოვრები, წლიური ინტერვალი შეადგენდა 20 წელიწადს, ხოლო მოსახლეობის აბსოლუტური ზრდა 12,3 ათას სულს.

1970 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა უდრიდა 100,6 ათას სულ, ინტერგალი წლებს შორის - 11 წელიწადია, აბსოლუტური ზრდა - 18,3 ათასი სული.

1979 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა შეადგინდა 12,8 ათას სულს, ინტერგალი წლებს შორის - 9, ამონლუტური ზრდა 22,2 ათასი სული.

1985 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა შეადგინდა 131,5 ათას სულ, წლებს შორის ინტერვალი - 6, მოსახლეობის აბსოლუტური ზრდა კი 8,7 ათას სულ.

და ბოლოს, 1998 წლისათვის გათუმში ცხოვრობდა 137,922 სული, წლებს შორის ინტერვალი შეადგენდა 13 წელიწადს. მოსახლეობის აბსოლუტური ზრდა კი 6,4 ათას სულს.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაში, ღაჩქარებული ურბანიზაციის მიუხედავად, ქალაქის მოსახლეობის მატების ტემპი ზომიერია.

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ქალაქ ბათუმის ხელისა მიერთება მთლიანი მოსახლეობის მიმართ ზოლო წლებში თითქმის უცვლელია.

ქალაქ ბათუმის მოსახლეობის ასეთ ზომიერ ზრდას განაპირობებდა უპირველესად ის, რომ სოფლებიდან მუშახელის გამოთავისუფლება მეტად შეზღუდული გახლდათ, რაც განპირობებული იყო მათი ქალაქში ჩაწერის აკრძალვით.



କାର୍ଯ୍ୟବେଳୀ

ნუგზარ ზოსიები

**სისხლის აღმდეგ ფასი აშარავი და მისი ასახვა
დიტარატურაზე**

ქართული აზროვნების მაღალი კულტურა მეტ-ნაკლები სისრულით აისახა ქართულ ჩვეულებით სამართალში, რომლის ფესვები ჭერ კიდევ გვაროვნულ საზოგადოებაში უნდა ვეძიოთ. ვაუა-ფშაველა წერს: „ო, ჩვეულებავ, რა ხარ? შენა ხარ პირველი ბუნებითი კანონი, კაცის გულში იდგამ ხოლმე თავიდანვე ფესვებს და იმიტომაც გაქვს ეგრეთი ძალა. კაცმა აზრი თავისი ცხოვრებისა წინ გააქცია, დააწინაურა, შენ კი წინ მოიგდე კაცი და ზურგში მთრახის ცემით მიარბენინებ, შენზედ ძლიერი არა მოვლენა არ არს კაცის ცხოვრებაში“. (ვაუა ფშაველა, ტ. V, თბ., 1961, გვ. 353). ჩვეულება და კანონი ზოგჯერ შეუსაბამობაში იყო ერთმანეთთან, კანონი არ ითვალისწინებდა ქართველი კაცის გონში მტკიცედ შთანერგილ ჩვევას და ამ ნიადაგზე ხდებოდა დაპირისპირება. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვეულება ერისაოვის იგივ რჯულია, იგივ კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი. ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერის კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტის საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არს ამ საჭიროებისა“. (ილია ჭავჭავაძე, ტ. V, თბ., 1956, გვ. 154).

სისხლის აღების წესის წარმოშობის ფესვები პირველყოფილი თემური წყობილების დროს უნდა ვეძიოთ. მისი აღმოფხვრა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა. ასე იჭო უჭარაშიც.

1873 წელს აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ლიმიტრი

ბაქრაძემ და თავის უშუალო, ცოცხალ შთაბეჭდილებებს, მდიდარ ფაქტობრივ მასალებსა და ღოკუმენტებს თავი მოუყარა წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. დ. ბაქრაძე ადასტურებს აჭარაში ჩვეულებითი სამართლის აქ შავნე გაღმონაშოთის – სისხლის აღების არსებობას: „მთაში უაღრესად მდვინვარებს შურისძიება... სისხლის აღების ჩვეულება აქ ძალზე ფეხმოკიდებულია“ (დ. ბაქრაძე, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, თბ., 1973 წ., გვ. 43).

1897 წელს აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ეთნოგრაფმა და საზოგადო მოღვაწემ თელო სახოვიამ. იგი თავის „მოგზაურობაში“ ყურადღებას ამახვილებს აჭარაში არსებულ ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთ სახეზე - სისხლის აღებაზე, შურისძიებაზე: „უნდა ახლო გაიცნოს კაცმა აჭარელი, რომ მართლა დააფასო მისი რაინდული ხასიათი. თუ კარგი გული უჩვენეთ, თქვენთვის თავს დადებს ეს მთის შეილი. მაგრამ თუ, ერთი ბეჭიც არის, შუხანათობაც შეგატყო დაუნდობელია. შეურაცხყოფა, მისი აზრით, მარტო სისხლით მოიხანება“ (თ. სახოვია, „მოგზაურობანი“, ბათ., 1985, გვ. 167). თან ასე დასძენს: „აჭარელი მეტად თავისიანი, ზრდილი და პირად მთქმელია, აჭარელი ერიდება კაცის შეურაცხყოფას, მაგრამ ერიდება იმასაც, რომ სხვებმაც არ შეურაცხყოს იგი. შურისძიება და „სისხლის აღება“ ძველთაგან დარჩენილა. თუ კაცი შემოაკვდა, მოელის, რომ მოკლულს ნათესავთაგან ადრე თუ გვიან იმავე საწყოთი მიეწყვება. კაცის მკვლელი სისხლის აღების მოლოდინშია“. (იქვე, გვ. 200).

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში სპეციალური დაგალებით ჩამოვიდა ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე, რომელიც ჩვენს კუთხეშიც იმყოფებოდა და თავისი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები გაღმოგვცა ნაშრომში „ბათუმი და ჭოროხის აუზი“, როცა ეხება აჭარელი კაცის ტიპს და ხასიათს, წერს, რომ აჭარელი ყოველთვის შეიარაღებულია და უმცირეს შეურაცხყოფასაც არ ტოვებს უპასუხოდ, შურისმაძიებელია. სისხლის სამართლის სტატისტიკა ბათუმში საქსეა შურისძიების ნიაღაზე მომხდარი მკვლელობით. შურისძიება ამ მხარეში შემონახულა, როგორც ბუნებრივი სამართალი (ჟან მურიე, „ბათუმი და ჭოროხის აუზი“, ბთ., 1962, გვ. 38).

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად სისხლის აღების წესი აჭარაშიც ფართოდ იყო გავრცელებული. მკვლელის მოკვლა ლირსების საქმედ იყო მიჩნეული.

„მოკვდებოდა ერთი გვარის აჭარელი და მაშინვე იტენებოდა იარაღი და საშილოშვილოდ გადადიოდა სამაგიერო სისხლის აღების ანდერძი“ (ელ. ზედგენიძე, „იღვიძებენ მთები“, თბ., 1971, გვ. 233).

მამის მოკვლის შემთხვევაში სისხლის აღების პასუხისმგებლობა შეიღს ეკილს ეკილებოდა. სისხლ-მოსისხლეობაში წარმოდგენილი მამა-შვილების ვალდებულება ნათესაობის სისტემაში სიახლოვის პირველი საფეხურის დამადასტურებელი ერთ-ერთი ფაქტია (ნ. მგელაძე, „ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადამიტოვი ნორმების შუქზე“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1984, №3, გვ. 55).

დღედა ჯერ კიდევ მუცლით ატარებდა რამიზს, მამა რომ მოუკლეს, მოკლულს სხვა შეიღი ან მმა არ ჰყავდა, რომ სისხლი აეღო. სიკვდილის წინ დაიმედებული ისმანი მკვლელს ეუბნება: „ჩემს ცოლს შვილი დაებადება, ის გადაგიხდის სამაგიეროს, არ შეგარჩენს“. მამის სიკვდილის შემდეგ მართლაც დაიბადა ვაჟიშვილი. როცა რამიზი წამოიზარდა, მამის სისხლიანი პერანგი გამოიტანა დედამ და შეიღს შეახსენა, მამის სისხლი გაქვს ასაღებიო... „ახლა შენ ჰყავხარ ლსმანს ვაჟაცი, სიმარჯვეც გაქვს და ლონეცო“. ამით დედამ შვილს მინიშნა მოვალეობა მამისაღმი. რამიზი მზადაა

იღოს მამის სისხლი და მოიხადოს საგვარეულო ვალი მტრის წინაშე: „რომელ აჭარელს შეურჩენია ვისმესთვის სისხლი, რომ მე შეცარჩინო?“ აღრე თუ გვიან ის ჩემი ხელით უნდა მოკვდეს. ნეტავ ვიპოვიდე მამის მკვლელს, სიცოცხლეს შემოვაგლეჭ. სისხლის აღება ხომ დანაშაულს სპობს?“ (ელ. ზეღვანიძე, „იღვიძებენ მთები“, თბ., 1971, გვ. 257).

უცუცესთა გაღმოცემით მოკლულს სული ჩიტად გაღვეულევა და სულ ცხელრებთან დაფრინავს, მანამ ვერ მოისვენებს, სანამ სული არ იქნება აღებული. (მთემელი ო. აბუსელიძე, 85 წლის, სოფ. ჯაბნიძეები). ამ ფაქტს ადასტურებს რამაზ სურმანიძე თავის რომანში „ემრულა“. მეხიშიძეებს ოჯახის უფროსი მოუკლეს. ოჯახი აფორიაჟებულია, შვილი მზადაა, მამის სისხლი აიღოს და აი, ერთ დილას: „მეზობლის აივაზზე გაღმომდგარმა ცრემლგამშრალმა მეხიშიძის ქვრივმა შუა ნაფუძარზე ახალწვერწათლილი სარებზე წამოცმული ორი ხელის მტევანი დაინახა, მერე თვალები გაუნათდა და სახლში შებრუნდა. უმცროსმა მეხიშიძემ საყვარელი მამის სისხლი აიღო და პატარა დაიკოს დასაფლავებამდე სწამდა მოკლულის სული ჩიტად იქცევა და ნიადაგ ცხელრებთან დაფრინავს, სანამ სისხლი აუღებელიაო, ახლა სულმაც დაისვენა და სხეულმაც“ (რამაზ სურმანიძე, „ემრულა“, ბთ., 1985, გვ. 43).

ვაჟიშვილის მცირეწლოვნობის და არყოლის შემთხვევაში სისხლის აღება ძმას ეკისრება: „ - იგი ჩემი ძმის მკვლელი! - თქვა ემრულამ“ (რამაზ სურმანიძე, „ემრულა“, ბთ., 1985, გვ. 89) და ექვებდა შემთხვევას, რომ ძმის სისხლი აელო.

ასლან თიბაძემ მოკლა ბეჭირ-აღა. ბეჭირ-აღას ძმამ, ჯაფარაშ რომ ძმის მოკვლის ამბავი გაიგო, ვეოთხვით აღრიალდა, გადამალული იარალი მოძებნა, ჯიბეები ტყვიებით დაიტენა და თიბაძის საგვარეულოს ამოსაულეტად გაიჭრა: „ - სისხლი, ძმის სისხლი! - ღრიალებდა იგი“ (პარმენ ლორია, „შვილები“, წიგნი II, ბთ., 1960, გვ. 35).

აჭარაში ძმანდაფიცობას ერთობ ძლიერი და მყარი საფუძველი აქვა. მკვლელობის შემთხვევაში ძმობილი ვალდებულია მოკლული ძმობილის სისხლი აიღოს:

„გზად მიმავალმა ლისამ

ნახა, ხესთან კაცი ეგდო

და ცურავდა თავის სისხლში.

- ლისა, ძმაო! ეს რა ვნახე! -

მიანათა დაჭრილს კვასი.

- ბეგმა... თქვა და თვალს ვერ ახელს

ლისა უკვე წინ დევს მკვდარი.

წუხს ყადირი, ძმობილს უცემრს

და გულს უნთებს შურისგება“.

(ესტორ მალაზონია, ლექსები და პოემები, თბ., გვ. 235).

შურისძიების ობიექტის ასაკი ზუსტად არ დგინდება, მაგრამ საერთოდ აღიარებული იყო: 18 წელი უნდა შესრულებოდა ბავშვის, რომ იგი ესისხლათ. (ლ. ბოჭორიშვილი, აჭარაში 1974 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1976, გვ. 152). ცოლი თავის ავადმყოფ ქმარს ადგას თავზე. ბავშვი გარეთ თამაშობდა და ამ დროს მოტაცა იგი მოსისხლემ, სისხლის აღება ბავშვზე არ შეიძლებოდა და გასაზრდელად შორეულ სოფელში წაუყანია იგი: „გაიზრდება და მერე ავიღებ სისხლს“, - გადაუწყვეტია. ბავშვი გაზრდილა, მისი მოსისხლე კი სადღაც გადაკარგულა. ბავშვი

სიკვდილს გადაუტარდა. (პარმენ ლორია, „ჩია“, ბთ., 1938, გვ. 118).

აჭარელი კაცი სამართლიანია. ის უსამართლობას ვერ აიტანს. პატიოსნება მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. ეს თვისება კი მას სისხლის აღების დროსაც კი არ ავიწყდება და ცდილობს ვაჟაპურად გაუსწორდეს მკვლელს: „ამ გალლეტილ ხახუტას რომ მიდგომია მამაშენი, შვილის მკვლელს გაუსწორდეს, არ ურჩევნია? დიდია ლმერთმა მოვიმართოს ხელი, მტერსაც პატიოსნად უნდა მოქმედო, შვილო, შენი მმა ვერაგულად, უღმერთოდ მოკლეს, მოულოდნელად, უიარაღო, პერანგის ამარა“ (ჩ. სურმანიძე, „ემრულა“, ბთ., 1985, გვ. 7).

ნიშნობა აჭარაში საქორწინო ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია და მისი უარყოფა ვაჟის თუ ქალის მხრიდან დიდ სირცევილად ითვლებოდა და შეურაცხუფილი მხარე „სირცევილის ჩამოწმენდას“ შურისძიების გზით ცდილობდა. გაზეთი „ივერია“ წერდა: „აჭარაში (აჭარაში - ნ. ზ.) გაგრცელებულია ქალის მოტაცება, რომელიც ძალიან ხშირად მთავრდება ორისა და სამი კაცის სიკვდილით, მერე ბოლო არ ეღება სისხლის ძიებას“ (გაზ. „ივერია“, თბ., 1894, №4). დანიშნულის ქალის მოტაცება შულლის ჩამოვარდნის მიზეზი გამხდარა არ გვარს შორის: „თავი მომჭრა, შემარცხევინა გოგომ, - მოსოქვამდა გატაცებული ქალის მამა, - დანიშნული რომ არ ყოფილიყო, ცოტა მარც გაუძლებდა კაცი, ახლა მტრობაც ჩამოვარდება გვარში, რა ვუთხრა ბიჭის. სხვას რომ მოეტაცა, იძღვნს არაფრის ვიტყოდი, რამიზე ხაბაზის ბიჭმა არ წეიყვანა! გერ, სისხლი აღებული არც კი არის ჩვენში და... თავს შევაკლავ და გოგოს უკან წამოვიყან. აბა, მტერს რაფერ უნდა დუღმოყრდე“ (შ. რომანაძე, „ამ ქვეყნის კაცი“, უსრ. „ჭოროხი“, ბთ., 1972, №3).

სისხლის აღების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა კარლო კალაძის პოემა „ხატიჯე“. პოემაში ქველი ყოფის ერთგულია გულბათი, ახლისა კი - ახალგაზრდა აჭარელი ქალი - ხატიჯე. თურქთა სამასწლოვანება ბატონობამ აჭარაში ბევრი ცუდი წეს-ჩვეულება დანერგა. ერთ-ერთია ქალის აკვანში დანიშვნა, რაც სისხლის ღიზეზი გამხდარა ხშირად. აკვანში დანიშვნეს ხატიჯე, ხატიჯე გაიზარდა და სხვა შეუჯარდა. ქალის თავისუფალ არჩევანს არ შეურიგდა ძველი ტრადიცების ერთგული მამა და საკუთარი შვილიც გაიმეტა სასიცდილოდ. დედა მზადაა თავისი ქალიშვილის სისხლი აიღოს, შური იძიოს შვილის მკვლელ მამასა და ქამარზე: „მე სისხლი მინდა ავიღო! სისხლი! ალაპიც ვერ დაიცავს ბეტერ მამას, რომელმაც საფარელი შვილი მოჰკლა! ისეთი ვინ იქნება, ქვა არ ესროლოს, იმის ქვა გულა!“ (კარლო კალაძე, პოემები, თბ., 1964 წ.).

ფურტიოელი ილიასა ხელაძის უმცროს ძმას გლეხის ქალიშვილი დაუნიშნავს. ამ ღროს ცნობილი კაცი იყო ამ კუთხეში ნური-აღა. მისი შიში და მორიდება ჰქონდა ყველას, პოდა ხელაძეების დანიშნული ქალი თავისი შვილისათვის მიუჟანია. ამ ამბავით აღშფოთებულ ძმებს სამაგიეროს გადაუწყეტიათ, მაგრამ მეზობლებისა და გავლენიანი პირების ჩარევით გადაუფიქრებიათ. ხელაძეებმა ახლა იმ ოჯახში გაზრდილი მეორე ქალიშვილი დანიშვნეს, მაგრამ ნური-აღას ვაჟმა ახლა მისი მეორე ცოლად შერთვა გადაწყვიტა და ხელაძეებს შეუთვალა: ჩემი ცოლის და მე შეკუთვნის, მის შერთვას არავის დავანებებო. მაგრამ ხელაძეებმა ახლა აღარ დაუთმეს ნური-აღას და ქალი მაინც შეირთეს. გამხეცებულმა ნური-აღას ვაჟმა მოკლა ახალდაქორწინებული სასიძო და გაიქცა. ილიასა ხელაძემ შევიწი ეძება იგი და ისეთ ადგილას მიამწყვდია ბოლოს, რომ ხელიდან ვერ წაუვიდოდა. „ოჰ, რომ

იცოდეთ, როგორ ვიჩერე გული! არა მგონია უარესი წამებით სიკვდილი ვინმემ გამოიგონოს. ისე გამხეცდა ეს გული, მის წამებას რაც ვუყურებდი, სიამოენებას ვგრძნობდი, მეტად ძლიერი ყოფილი შურისძიების გრძნობა. ჩემი ძმა გაცოცხლდა მგონია, როცა მკვლელის სისხლი ხელებზე გადამევლო". (პარმენ ლორია, „მევლუდი“, ბთ., 1996, გვ. 73).

უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა ქალის გაუპატიურება. ამ დროს დამწერებულ შურს იძიებდა, არა მარტო ქალის უახლოესი პირი, არმედ მთელი სოფელი. ხალხის ოქმის მთელი სოფელია ამ დროს, „სირცხვილნაჭამი“ და „სირცხვილი მხოლოდ სისხლის აღებით ჩამოირეცხებოდა“. განაჩენი ხალხს გამოჰქონდა, „ქალზე მისულ კაცს“ სასჯელის უმაღლესი ფორმით სჯიდნენ. დასჯის ეს სახე აჭარაში ამოკირვის სახელწოდებით დასტურდება.

ქალისა და მამაკაცის ამოკირვის ჩვეულება ძველ საქართველოშიც საკმაოდ ცნობილი წესია (ნ. მგელაძე, ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1984, №3, გვ. 52). მევლუდ დიასამიძის თანამებრძოლი იყო ერმილე მამალაძე. მისი ცოლი ძალით გააუპატიურეს, მალე ქალი გარდაიცვალა. დანაშაულის ჩამდენი რამდენიმე თვით გაშორდნენ სოფელს, მოერიდნენ აზვირთებული ხალხის მრისხანებას, მაგრამ შემდეგ ძვლაც დაუბრუნდნენ თვითან საბუდარს. სოფლის სასამართლომ მამალაძის მიერ აღძრული საჩივარი განიხილა, მავრამ საქმე პირველ სხდომაზევე მოისპო. ორი წელიწადი უთვალოვალებდა ერმილე, როგორც იქნა შეხვდა ორივეს ერთად. ჰყრა ქუსლი ცხენს, გაშლილი ხელები ღონივრად ატაკა ერთსაც და მეორესაც და ორივე გაღმოყარა. ცხენიდან. გამძინვარებულმა ერთის მკერდიდან ამოლებული სისხლით გასვრილი მშისეული ყაბა მეორის გულში დაატრიალა: – ი, კანონი და სამართალი! – წამოიძახა, მათი მკერდიდნ შადრევნივით ამოხეთქილი სისხლის დანახვაზე (პარ. ლორია, „მევლუდი“, თბ., 1996, გვ. 99).

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში შედგენი სამართლის წიგნში „განჩინება ბარსა და მთიურთა ადგილთა“ დანიშნული საცოლ მოტაცებისათვის დაწესებულია მექქსედი სისხლის დაურვება. დანიშნული საცოლის მოტაცება მსუბუქ დანაშაულადაა მიჩნეული ზექას სამართალში. აქ მხარეები შუაცემების მეშვეობით უნდა წიგდნენ და სისხლის ნაცვლად დამნაშავემ მტრობის მოსასპობად მხოლოდ მცირედი რამ საზღაური გაიღოს. (ი. ფუტკარაძე, „ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის“, ბ., 1964, გვ. 57).

არ შეიძლებოდა შურისძიება ქალზე. ყოფილა შემთხვევა, როცა მკვლელი კაბაგადაცმული დაღიოდა, რადგან იმედი ჰქონდა, მტერი ქალს არ ესროდა. ცოლის შეკითხვაზე, შინ რომ მოდიხარ, არ გეშინია მტერმა რომ მოგვლისო? ქმარმა ასე უპასუხა: მე ისეთი ვაჟკაცი მტერი მყავს, ცოლის თვალწინ არ მესვრის. ეს გაუგონია ფანჯარასთან დაღარავებულ შურისმაძიებელს, ორი ტუფია დაუტოვებია ავისი იქ ყოფნის ნიშნად და წასული. თუნდაც, სწორედ ეს შემთხვევა გამოუყონებია რამაზ სურმანიძეს თავის რომანში „ემრულა“. (ქართული ჩვეულებითი სამართალი, III, თბ., 1991, გვ. 179). თურან-ბეგმა ემრულას ძმა მოკვლა. თურან-ბეგი თავის ოჯაშია და თავს იბაძს, ის ცოლს ეუბნება: „მე ისეთი მუხთალი მტერი არ მყავს, რომ შიშველს, უარაღოს, ყურში მესროლოს, ჩემი მოკვლა ემრულას დავალეს, ის სულ სხვანარი ბიჭია, შეიარაღებულს რომ შემხვდება ერთ-ორს შემომიძახებს, მაიძულებს

პირისპირ შექედო და შემდევ მესვრის, ზურგიდანაც კი არ იყადრებს სროლას". ემრულამაც მოისმინა ეს სიტყვები და შურისძიება სხვაღროისათვის გადასდო. „მაჭახელას“ ცარიელი ვაზნა ცარიელ რაფაზე დასტოვა და იქაურობას გაშორდა. (ჩ. სურმანიძე, „ემრულა“, ბთ., 1985, გვ. 20).

მოსისხლეებს შორის მორიგების ერთ-ერთი ფორმაა ძუძუზე კბილის დადგმა. უურნალში „ლიტერატურული აჭარა“ (1966, №6) გამოქვეყნებულია გ. ნოლაიდელის მიერ ჩაწერილი გაგონილი ამბავი: ძველად, დიდი ხნის წინათ, ქობულეთის მაზრის სოფ. გვარაში, ცხოვრობდა ორი ძმა გედევანიძე. ამ დროს მათ მეზობლად დასახლებულა ხინოს გზით გადმოსული ერთი ახალგაზრდა ჭვანელი, რომელსაც ერთი ძმა გედევანიძე შემთხვევით შემოკვდომია. ძმებიც მოსაკლავად ჭვანელს დასდევნებიან. ჭვანელმა მოახერხა გედევანიძეთა დედასთან მისვლა, ფეხებში ჩაუვარდა და სთხოვა შვილად ელიარებინა იგი და დანაშაული ეპატიებინა. იმასაც შებრალებისა ჭვანელი. შვილებთან თანდასწრებით მკვლელს მოაწოვა ძუძუ და ქიშპობაც ამით დასრულებულა ორ გვარს შორის.

მკვლელს „სისხლი არ დედება“ თუ ეს მკვლელობა აუცილებლობითაა გამოწვეული. ამ დროს მას საზოგადოება მხარს უჭერს. ე. დავითაძის პოემაში „ვაზის გახიზვნა“ მოქმედება ხდება სხალთის ხეობაში, თურქთა პირველი შემსვლის დროს. სხალთელი მზია ჰელას საკუთარ ქმარს, რომელმაც უღალატა ქრისტეს რწელს, აქება ვაზი და სარწმუნოების გამოცვლას აიძულებდა ცოლს. იგი თავშესაფარს თავის ძმებთან პოულობს:

„მოვკალი, გესმის, მოვკალი,
სისხლი დავიდე ვალადა,
ხელი ქმრის სისხლში გაგრიე,
ის მაწევს ცოდვა-ბრალადა“.

(ე. დავითაძე, „ვაზის გახიზვნა“, ბთ., 1985, გვ. 119).

უმძიმეს შეურაცხჭოფად ითვლებოდა „ქალზე შეხება“ და მანდილის მოხდა.

სოფ. მარადიდში კაცი იმიტომ დაჭრეს სასიკვდილოდ, რომ მან მანდილი მოხადა დასჯელის ქალიშვილს, რის გამოც, ეს ქალი სხვას ველარ მისთხოვდებოდა. (გაზეთი „ივერია“, 1894, №1).

მკვლელობა შეეძლო გამოეწვია მიწის საკუთრებასთან გამოწვეულ დავას. სოფ. დანდალოში ერთი არშინი მიწისათვის ძმამ ძმა მოჰკლა (გაზ. „ივერია“, თბ., 1900, №17).

მანც რა იყო მიზეზი აჭარაში სისხლის აღების ფაქტების ასეთი სიხშირისა? მიზეზები თვით საზოგადოებაში უნდა ვეძიოთ, კერძოდ, სასამართლო ორგანოების არასამართლიანი გადაწყვეტილებები. როცა დამნაშავე მართლდებოდა და დაზარალებული მხარე თვითონ ექტენდა სამართლის: „მართლა ისე ძლიერ არის თქვენში გავრცელებული კაცის კვლა და სისხლის აღება?“ - შეეკითხა თავადი მევლუდს.

- რასაკვირველია, აქ გასაკვირი არაფერია, თავადო, როცა აღამიანი სამართლისა და კანონის გამჩენს სხვას ვერავის ხედავს, თვითონ კისრულობს ამ მოვალეობის შესრულებას. სასჯელიც მას გამოაქვს და სისრულეშიც თვითონ მოჰყავს“ (პარ. ლორია, „მევლუდი“, ბთ., 1996, გვ. 209).

„ამ კუთხეში, - განაგრძო მევლუდის დამცველმა, - დიდი ხანია გავრცელებულია

სისხლის აღება. ეს ჩვეულება რომ დასაგმობია, ამას აქარი მცხოვრებლები კარგად გრძნობენ, იციან, რომ არ არის კარგი, როცა პიროვნება პიროვნების მიმართ თვითონ აჩენს სამართალს და სისრულეშიც მოჰყავს, მაგრამ სხვანაირად როგორ მოიქცნენ? ვის მიმართონ, რომ ორთა შორის წარმოშობილ დავას ბოლო მოულონ, საკითხი კეთილსინდისიერად გადაწყიტონ, სამართალი გააჩინონ? საჭას წელს თურქთა ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხი ვერ ხელვდა სამართალსა და მოსამართლეს, პრინციპი და გამკითხავს, ამიტომ იყი იძულებული იყო მკვლელი მოეკლა. ამ დროს ორივე მხარე ზარალდებოდა, ორ მოწინააღმდეგებს შორის დაღვრილი სისხლი საგვარეულოდ იქცეოდა და მტრობას საშვილიშვილოდ უმტკიცებდა ნიადაგი” (პარ. ლორია, „მეცნიერება”, ბათ., 1996, გვ. 205).

აქარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა აქარის მოსახლეობისათვის გამოსცა განკარგულება, რომლის პირველი პუნქტი კრძალავდა სისხლის აღებას: „ვერც მუსულმანურ სარწმუნოებას, ვერც მუსულმანის ოჯახს და იმათ ჩვეულებას ვერავინ ვერ შეეხება, მაგრამ „ფანი“ – სისხლის გადახდა უნდა მოიშალოს. კაცის მოკვდა დიდი ცოდვაა და არავის ნება არა აქვს მტრობაში კაცი მოჰკვდას. ვისაც დუშმანი ჰყავს, იმან სასამართლოში უნდა იჩივლოს და იმ დუშმანს სამართალი დასჭის დანაშაულობისათვის“. (თ. სახოკია, „მოგზაურობანი“, ბთ., 1885, გვ. 192).

„აჭარლები შეწუხებულნი არიან იმის გამო, რომ მთავრობის გინკარგულებით ყველას ჩამოერთვა მამა-პატური თოვლები“. (გაზ. „ივერია“, თბ., 1894, №37). იარაღის ჩამორთმებამ ძალიან დაალონა აჭარელი კაცი, რადგან აჭარლისათვის თოფ-იარაღი იგივეა, რაც თევზისათვის წყალი (გაზ. „ივერია“, თბ., 1894).

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ისტორიული სიმართლით აისახა აჭარაში სისხლის ოლების ეს მანკიერი წესი,მდგრად იყი დაგმაბილი და უარყოფილია ყველანა, როგორც ქართული ჩვეულებითი სამართლის კრა-ერთი მავნე გვაროვნული გადმონაშითი. „ეს რა უტემური წესი გვაქვს, ბაბ ვიღაც მოექლოს და აქ ბადიშს ჰელავენ, ეს რა საძაგლობაა, ნუთუ გონება ისე კიბელდა, რომ ავსა და კარგს ევლარ ვარჩევთ. სისხლის აღება რა ვაუკაცობაა, ეს ლიტრობაა, სიგლახეა. ლიტროთო ჩემო, ადამის წლიდან ეს სისხლის აღება არის და ერთი გრანიტი ცალი არ გამოჩნდა, რომ ასეთი საზიზღარი ჩვეულება მოსპოს. თუ კაცი ვარგიხარ კარგი საქმით ვამაგვირვე, თორებ კაცის მოკვლა რა ვაუკაცობაა“. (მაშია ვარპინქე, „ჩემი დედულებითი“, ბთ., 1980, გვ. 28). და ბოლოს: პარმენ ლორიას დავუსტური ისევ: „ნულარ თქმულიყოს აწ და მარადის „მეიკლას კაცი!“ წყლად ქცეულიყოს ურთიერთ - შორის შეუძნებლობით ნასროლი ტყია, დაბლაგვებულიყოს მოძმის წინააღმდეგ შემართული ხმალი და დანა, ყველა გვარისა და მოდგმის შვილებს ეცხოვროთ მშეინარეთ და ბერნიერად“.

გურამ ბაჟაძე

306 არის „გათავის სურათების“ ავტორი?

ცნობილია, რომ ქართველი მწერლობა უმთავრესად პუბლიცისტური წერილების საშუალებით შეიტანეს აჭარა მკითხველის ცნობიერებაში, მაგრამ გასული საუკუნის ჩევნა მწერლობამ, ამ თვალსაზრისით, საკმაოდ ფართოდ გამოიყნა საკუთვრივ მხატვრული ფანტაზია და არაერთი მხატვრული ნაწარმოებები - მოთხრობა, ღვევი თუ პიესა შექმნა, საღაც პოეტურად იქნა გაზრებული აჭარის პრობლემები, რომლებიც პარალელურად ქართულ პუბლიცისტიკაში შექმნებოდა.

მხატვრულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უცნობი ავტორის „ბათუმის სურათები“, რომელიც 1983 წლის „დროების“ 141, 144, 150, 153, 156, 171 ნომრებში დაიბეჭდა. „ბათუმის სურათები“ უსიუჟეტო მოთხრობაა. მასში ასახულია მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ბათუმის რეალური ყოფითი სურათები. მოთხრობაში მოცემული ქალაქის ცხოვრების ესა თუ ის სფერო ისეთი უშუალობით უკავშირდება ერთმანეთს, რომ მკითხველი ვერ გრძნობს ნაწარმოების უსიუჟეტობას და ცხვველი ინტერესით ეცნობა მას.

„ბათუმის სურათები“ საცხა ათასი ჯურის მოხელეთა, ვაჭართა, სამხედრო პირთა ლიტერატურული სახეებით. ავტორი ახერხებს, რამოდენიმე შტრიხით, სრულყოფილად დაგიხიატოს თითოეული მათგანი. გვაჩვენოს მათი მორალურ-ზნეობრივი სამყარო, მიგვანიშნოს მათი სოციალური წარმომავლობის შესახებ. ბათუმის სურათების ავტორი უდავოდ ნიჭიერი აღამიანია. მის შიერ მოკლედ, ლაკონურად ჩამოყალიბებული სახეები, თავინთო სოციალური წრისათვის დამახსიათებელი ტიპიური ნიშნების მატარებელი არიან და ზოგადის კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენენ.

საყურადღებოა ზოგიერთი მათვანის სახელიც. ავტორს ის ეროვნების მიმანიშნებელ ხერხად გამოუყენებია. მაგალითად ივან ივანიჩი, კარაპეტ გასპარიჩი, მარჯან-ალა და სხვ. ბათუმში „ჩამობრძანებულ“ ჩინოვნიკებსა თუ ვაჭრებს ერთი საერთო მიზანი „ანათესავებთ“, ყველა მათგანი ცდილობს რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოწვეოს აქაურობას. პერსონაჟთა უმრავლესობისათვის ავტორს სახელი არც შეურქევია, თუმცა ეს სახულიად არ ქმნის. სიძნელეს გავიგოთ: საზოგადოების რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნიან ისინი.

„ბათუმის სურათები“ მოცეულობით დაახლოებით 25 ნაბეჭდ გვერდს შეადგენს. მასში მოცემულია ბათუმის (გარეგნული) იერ-სახის, ნავსაღგურის, რკინიგზის სადგურის, შეჩეთის, ეკლესიის და ა. შ. მხატვრული სურათები: საქამაოდ დამაჯერებლად და შთამბეჭდავად ასახული საბაჟოს და მეტაურების სურათსაც პორტო-ფრანკოს პირობებში.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს „ბათუმის სურათებში“ ორი ჭარტვილ-კაცი. შტაცელური ტანისამოსით, ესპანიულკებით და პენსინებით“, აგრეთვე მათთვის გონივრული სჭა-ბასით ირკვევა, რომ ისინი განათლებული პირები, ინტელიგენციის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. მათი საუბარი ცხადყოფს, რომ ერთი მათგანი რუსეთის დიდი მოტრიფიალე და მხარდამჭერია, მეორე კი უფრო კრიტიკულად აცხადებს სინამდვილეს, მაგრამ თავისი პოზიციის აშკარა გამოკვეთას ერიდება,

რადგან იცის, რომ ამისათვის მას დასჭიან. ამიტომ უმჯობესად თვლის გაჩუქრებას. ეს ორი ყაწვილი ორი საწინააღმდეგო პოზიციის - ეროვნული და ლიტერალური ინტელიგენციის წარმომადგენელი არიან. ავტორის სიმპათია ეროვნული წარმომადგენლისაკენ არის მიმართული.

ასევე საინტერესო ეპიზოდს წარმოადგენს მოთხოვნაში აჭარელი გლეხის „საპერანგის“ განპაჟების სურათი. ავტორი შესაშური მხატვრული ოსტატობით გვაჩვენებს უკიდურეს მატერიალურ გასაჭიროში ჩავარდნილი აჭარელის სახეს და ხასიათს. რომელიც თუმცა წყარი, შემგუებელი და უწყინარია, მაგრამ თუ მას პიროვნული ღირსება შეულახეს, გული ატკინეს - ჯავრს აუცილებლად ამოყრის, სამაგიეროს აუცილებლად გადაუხდის.

„ბათუმის სურათებში“ ასევე აღწერილია ბათუმის მიწების შეფასებისათვის გამართული თათბირის სცენა, სადაც სხვადასხვა რჩულის მლიქნელებს მოუყრიათ თავი, რომ ათასგვარი ოინებით, ჩალის ფასად გაყიდვინონ მიწები აღგილობრივ მოსახლეობას. აღგილობრივ მიწათმფლობელის ტიპიური სახეა მარჯან-ალა. მას სრულებით არ ეწადა თავისი მამულების გაყიდვა, მაგრამ გარს შემოხვეულ „მგელთა ხროვას“ ვერაფერი მოუხერხა.

მოთხოვნაში ვხედავთ ქალაქის გულშემატკიგარ ინტელიგენტებს, რომლებიც განუსრელად იღვწიან აღამიანთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, საზოგადოებრივი წესრიგისათვის და ა. შ. მაგრამ მათი ძალა და შესაძლებლობები არ არის საკმარისი საერთო მიზნის მისაღწევად კერძოდ, მათ უპირისპირდებიან „ძალის მქონებელთა“ ხროვა, რომლებსაც მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებთ და ჯიუტად გაიძახიან: „ეშმაქმა წაგილოთ ოქვენც და ოქვენი ქალაქიც!“

„ბათუმის სურათები“ მთავრდება ოპტიმისტური განწყობით. რომ ბოლოს და ბოლოს ბათუმის ბატონ-პატრონი ქართველი შეიქმნება და „ყველა ქართველისათვის ძვირფას სახსოვარს წესიერად გაამშვენიერებს“. აქვე ავტორი მიგვითითებს ქვეწის კულტურული განვითარების პირდაპირ დამოკიდებულებას ეკონომიკურ განვითარებაზე. მისი აზრით, „როცა ქვეყნა ერთიანი, ძლიერი, გაბედნიერებული და გაბრწყნებულია, მაშინ ამ ქვეწის პოეტთა და შემოქმედთა ნიჭი მოელი შესაძლებლობებით იშლება, ლალობს და ნავარდობს“.

ამრიგად „ბათუმის სურათები“ საყურადღებო ნაწარმოებია, როგორც იდეურ-თემატიკური თვალსაზრისით, ასევე მხატვრული ღირსებითაც. (განსაკუთრებით საინტერესოა უანრობრივი თვალსაზრისით).

სამწუხაროდ ნაწარმოები ხელმოუწერელია. ჯერ-ჯერობით მისი ავტორის შესახებ არაფერი ვიცით. ჩვენ ვვარულდობთ: ამ მოთხოვნის ავტორი უნდა იყოს ეგნატე ნინოშვილი. რამდენად გამართლდება ეს მოსაზრება, ამას მომავალი კვლევა-ძიება დაადგენს. ამ მხრივ, გადამწევეტი სიტყვა ე. ნინოშვილის მხატვრულ-პუბლიცისტური მექმედრეობის შემდეგ შესწავლამ უნდა თქვას. აქ გვინდა მიმოვინილოთ ის არგუმენტები, რაც „ბათუმის სურათების“ ეგნატე ნინოშვილისეულობას გვაფიქრებინებს.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის სურათების ავტორი ძალიან კარგად იცნობს ქალაქ ბათუმს და იქ მცხოვრები (შეიძლება დროებით) უნდა იყოს სხვამხრივ, ასე დაწვრილებით ვერ აღწერდა აჭარობას. ცნობილია, რომ ქ. ბათუმში ცნობილ ქართველ მწერალთაგან გასული საუკუნის 80-იან წლებში ცხოვრობდა დავით კლდიაშვილი, (1882 წლიდან) გრიგოლ ვოლისკი აქაური იყო და ეგნატე

ნინოშვილი კი 1882-1883 წლებში ტელეგრაფისტად იწყებს მუშაობას ბათუმის რკინიგზის შტოზე, სადგურ სუფრაში „ქართ. ლიტ. ისტორია თბ. 1982, ტომი V, გვ. 62.“ (გიორგი კალანდაძე) რახან ზემოთ ხსენებულ მწერალთაგან „ბათუმის სურათები“ ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ მემკვიდრეობასთან უფრო ახლოს დგას, ვფიქრობთ, ლირს დაიძებოს პარალელები ე. ნინოშვილის სხვა ნაწარმოებებსა და „ბათუმის სურათების“ შორის. ამ მოსაზრებას საფუძველს უმყარებს ის ენობრივი, იდეურ-თემატური, სოციალ-საზოგადოებრივი აზროვნების სტილის მსგავსება ბათუმის სურათების - ეგ ნინოშვილის მხატვრულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობასთან, რაც თვალში ცეკვის (ამ საკითხით დაინტერესებულ) მეითხველს.

ე. ნინოშვილმა „ხუმარასა“ და „ბათუმელის“ ფსევდონიმებით ბათუმ-აჭარის თემაზე „დროებასა“ და „ივერიაში“ არა ერთი კორესპონდენცია გამოაქვეყნა. (იხ. ჟურნ. ცისკარი, 1988 წ. №5, გვ. 118-125). ასე, რომ „ბათუმის სურათების“ ძირითადი თემა - დამახასიათებელია ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტიკისათვის და არა მარტო პუბლიცისტიკისათვის. ბათუმ-აჭარის ცხოვრების მხატვრული ასახვა მისი შემოქმედებითი ინტერესის სფეროს წარმოაღვენდა. ამაზე მიგვითიერებს მწერლის ნაწარმოებები. „ბათუმის მუშათა თავშესაფარი“, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო დაკარგულა, ხოლო ჩვენამდე მოუღწევია ამ ნაწარმოების ნაწყვეტს, რომლის მიხედვითაც პროფ. სიმონ ხუნდაძემ პირობითად უწოდა დაკარგულ ნაწარმოებს ბათუმის მუშათა თავშესაფარი.

ჩვენი ვარაუდი ერთგვარად განამტკიცა, აგრეთვე, შალვა გოზალიშვილის წერილმა - „ეგნატე ნინოშვილის უცნობი პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან“, 1988 წლის „ცისკარში“, №5 დაიბეჭდა. ავტორი სათანადო არგუმენტით ამტკიცებს, რომ ე. ნინოშვილმა შემოქმედებითი მოღვაწეობა 1877-1878 წლებში დაიწყო. (იხ. შ. გოზალიშვილი, დასახ. სტატია ჟურნალი „ცისკარი“, 1988 წ. №5) და არა 1887 წელს, როგორც ეს მანამდე იყო მიღებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ჩვენი მოსაზრების მთავარი არგუმენტი ის ენობრივი და სტილური მსგავსებაა, რაც „ბათუმის სურათების“ ე. ნინოშვილის მხატვრულ მემკვიდრეობასთან ახლოებს. მოგოტან ერთი ავტორის მსჯელობისათვის დამახასიათებელ აღგილებს ნინოშვილის მოთხრობებიდან და „ბათუმის სურათებიდან“.

„გამოჩენა მატარებელიც, იმისი მოვარაყებული ვაგონები თვალის მოშერებულად ჭრიალებდა მთვარის შუქზე. აუარებელი სანთლების სინათლე უერთდებოდა ფანჯრებიდან მთვარის სინათლეს“ - („განკარგულება“).

„სიმონას თოფი ბრჭყალებდა მთვარის შუქზე“ - („განკარგულება“).

1. შ. გოზალიშვილი - „ეგ. ნინოშვილის უცნობი პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან“ ჟურნ. „ცისკარი“ 1988 წ. №5.

„ზლვა ისე ბრჭყალებდა, თითქოს ოქროს ტახტია“ („განკარგულება“), („იმათ შორის ბრჭყალებს ექსელბანტები“ - („ბათუმის სურათები“)). „ვაგონების თვლები ასე უხმაუროდ მოსრიალებდა, თითქოს არ უნდოდა კაცის ძილი დაუფრთხოსო“ - მოთხრობა „განკარგულება“. „აქმდე ნელა მოსრიალე მატერებელმა ეხლა გაუჩქარა, თითქოს უნდა დაამტკიცოს, რომ ძალ-ლონე არ მოჰკლებია“ - („ბათუმის სურათები“).

განსაკუთრებით თვალში საცემია მსგავსება ეგ. ნინოშვილის მიერ დახატული პორტრეტებისა და „ბათუმის სურათებში“ წარმოდგენილი პორტრეტების აღწერილობაში.

მაგალითად: სპირიდონი მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ - „ხმელ-ხმელი

ჩია ტანის, ბეჭებში ცოტა მოხრილი“, „ავადმყოფი პირისახისა“.

ივანე, მოთხრობიდან „პალიასტომის ტბა“ - „ბეჭებგანიერი, სწორი, სასიამოვნო შესახედავი პირისახისა“.

სიკო, მოთხრობიდან „არშიყნი“ - ოცი-ოცდაორი წლის ბეჭებში კარგა მოსული, ლამაზი პირი სახისა“.

ჯერან ტევრიძე, მოთხრობაში „პარტაზი“ - „ცოტათი მოშავგრიმანო ვაჟკაცური ლამაზი პირისახის“.

ქრისტინე მოთხრობაში „ქრისტინე“ - „სწორი, ცოტათი გამხდარი პირისახე.

მანუჩარ არწივაძე, მოთხრობაში „სოფლის გმირები“ - „მეღიდური მწყორმარე სახე“.

მანა, რომანში „ჯანყი გურიაში“ - „მის თეთრ-ყირმიზს, ცისფერი დიდრონი თვალებით გაბრწყნებულ პირისახეს“.

გულო იქვე - „შაქრისფერი სწორი პირისახე“.

ივანე, იქვე - „ხელებს ხშირად ისომდა პირისახეზე“.

ჰასან-ბეგი, იქვე - „გამჭრიათვალებიანი პირისახე“.

დესპინე, მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ - ცოტათი ფერნაკლული სწორი პირისახე“.

ტარიელი, მოთხრობაში „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ - „ცოტათი ფერნაკლული, საესე ლამაზი პირისახე“.

გოგია, მოთხრობაში „გოგია უიშვილი“ - „ულამაზო პირისახე მეტად მოლუშული ჰქონდა“.

დარია, მოთხრობაში „სიმონა“ - „სწორი ლამაზი მოყვანილი, ცოტათი მოშავგრიმანო პირისახე“.

„შიგ ჩარევიათ ჩვენებური ქუდები და პოეზიით სავსე ყაბალახები, რომლებიც ისე აშშევნებს გურულების ფერმკრთალს, მაგრამ სიცოცხლით სავსე პირისახეს“ - „ბათუმის სურათები“.

„პირისახეზედ ეტყობა, რომ მის გულში ღრმად ჩაბეჭდა“... „ბათუმის სურათები“.

„მოჩანს საწყალი გაყითლებული, დაღალული და დაღონებული მუშა კაცის სახე“ - „ბათუმის სურათები“.

„მოდის გედსავით, პირისახეზედ ღიმილი უთმაშებს“ - „ბათუმის სურათები“ (ამ ფრაზაშიც გამოსჭვივის ეგნატე ნინოშვილის სტილი).

კვლავ დავუბრუნდეთ „ბათუმის სურათებში“ გამოკვეთილ „საწყალი, გაყითლებული, დაღლილი მუშა კაცის სახეს“, რომელიც ბათუმში მიდის, რათა შრალის მჭადის ლუკმით სული მოიბრუნოს. (იგი დარწმუნებულია, მეტს მანც ვერ იშოვის, მაგრამ „ზოგისთვის მჭადიც ღვთის წყალობა!“ - (ავტორი). ეს ცხოვრებისაგან განაწამები, ლუკმა-პურის მქებნელი მუშა კაცი, ვფიქრობთ, ჩამოკ გავს სპირიდონ მცირიშვილს. (სახსებით) შესაძლებელია, რომ ეს (ალნიშნული გარევნობის) ახალგაზრდა ეგნატე ნინოშვილის ორეულიც იყოს, მან ხომ მთელი თავისი ენერგია, ახალგაზრდული ჯანი ბათუმში დაშრიტა, ლუკმა-პურის მოპოვებისათვის. ამასვე გვათიქრებინებს „ბათუმის სურათებში“ შენიშნული უცნობი გამხდარი ქამწვილის სახე, რომელიც პროგრესიული ფრთის წარმომადგენლად მიგვაჩნია.

„ბათუმის სურათებში“ უცნობ პირთა შორის გამართული დიალოგი გამოყენებულია საზოგადოებრივი აზრის გამოკვეთისათვის, ასეთ ხერხს ხშირად მიმართავს ეგნატე ნინოშვილი თავის მოთხრობებში.

„ბათუმის სურათებში“ მკიონხველს ოვალში სცემს ლუქმა-პურის შოგნისათვის გაწამებული მშრომელი ხალხის ცხოვრება, რასაც ეგნატე ნინოშვილმა მოელი თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი მიუძღვნა.


ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით სიტყა-გამოთქმებს: „ძლიერი ამა ქვეჭისა“, „ძალის მქონებელი“, „მედიდური მწყრომარე სახე“, „ბაჟ“, „საპერანგე“, და სხვ. რომლებიც გარევეულად იდეურ შინაარს ატარებენ და ამა თუ იმ მოთხრობის მიზანდასახულობის ჩვენებას ემსახურებიან. აღნიშნული სიტყა-გამოთქმები რამოდენიმეჯერ მეორდება „ბათუმის სურათებში“.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ გეოგრაფიული აღგილმდებარეობის ან პიროვნების სახელის აღსანიშნავად () ან №, ანალოგიურ შემოხვევებს ვხვდებით 2ბათუმის სურათებშიც“.

აქვე გვანდა მოვიშველიოთ ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებითი ფანტაზიის ქალბატონ ლეილა სულხანიშვილისეული შეფასება:

„ცალკეული სურათების ხატვისას ეგნატე ნინოშვილი ზოგჯერ მოვლენათა უალრესად საინტერესოდ აღქმის უნარს ავლენს და სრულიად მოულოდნელად ორიგინალურ პლასტიკურ ხატებს ქმნის“ („კლდიაშვილი ნინოშვილი“ ვბ. 1988 წ. ლ. სულხანიშვილისეული წინასიტუაციით. გვ. 7“). ამგვარი შეფასება შეეფერება „ბათუმის სურათების“ ავტორსაც...

ამჩინავ, საკმაოდ მტკიცე საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ვითიქროთ: 1883 წლის „დროებაში“ გამოქვეწებული, „ბათუმის სურათები“, რომელიც XIX საუკუნის 80-ანი წლების ჩვენი ქალაქის ცხოვრებას ასახავს, ეგნატე ნინოშვილს ეკუთვნის.





რეზენტა

ქართველი მასობრივი და კულტურული მეცნიერებების განვითარებისა და მოწვევის მინისტრის მიერ გამოცემული ჟურნალი

მუსამახ დაგითამავ, ოთარ შაინიძე

ახალი სახელმძღვანელო თანამედროვე ეკოლუციარ თეორიაში

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ანზორ ღიასამიძის მიერ ახლახან გამოცემული სახელმძღვანელო „ეკოლუციური მოძღვრების საფუძვლები“ უმაღლესი სასწავლებლებისათვის უკანასკნელ წლებში მშობლიურ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოების მნიშვნელოვან შევსებად შეიძლება ჩაითვალოს.

სახელმძღვანელო შედგება შესავლის, ათი თავისა და ძირითადი ლიტერატურისაგან.

ავტორი წიგნის პირველ თავიდანვე - „ეკოლუციური მოძღვრების საგანი და ამოცანები“, ნათლად წარმოგვიღებულ ეკოლუციური მოძღვრების მყარ აღგილს მრავალდარგოვან ბიოლოგიურ მეცნიერებაში. შკვერტადაა ხაზგასმული ცოცხალი სამყაროს ისტორიული განვითარების იმ ზოგად კანონებსა და კანონზომიერებებზე, რომლებიც განაპირობებენ დედამიწაზე სიცოცხლის მრავალფეროვნებასა და ცოცხალისათვის დამახასიათებელ მიზან შექმნილ ორგანიზებულობას, რაც ეკოლუციური მოძღვრების კვლევის ქვეყნებიდა.

ავტორი სიტყვა ეკოლუციის მეცნიერებაში პირველად გამოქვეყნდან მოყოლებული, მიმოიხილავს მისი მნიშვნელობის თანდათან ცვლას და აღნიშნავს, რომ ეკოლუცია ცოცხალი სამყაროს ისტორიული ადაპტოგნენზის პროცესია. ასეთი განმარტების აღიარებამდე ავტორი მიიყვანა მისმა მრავალწლიანმა ექსპერიმენტმა ცოცხალ ორგანიზმთა (მცენარეების) აღაპტაციის რთული მექანიზმის შესწავლისათვის, რომელთა განზოგადება ბოლო წლებში მის მიერ გამოცემულ მონოგრაფიებშია გამდოცემული. ამავე თავში ასახულია ეკოლუციის შესწავლის პრინციპები და მეთოდები, ეკოლუციური მოძღვრების ადგილი ბიოლოგიურ მეცნიერებათა სისტემაში, მისი მნიშვნელობა, თანამედროვე პრინციპები და ამოცანები.

მეორე თავში, „ეკოლუციური შეხედულებების განვითარების ისტორია“, ვრცლადაა წარმოდგენილი საბუნებისმეტცელო აზროვნების თანდათანობითი განვითარება-ჩამოყალიბების ხანგრძლივი გზა, მოკლედ, მაგრამ ამომწურავადაა მოცემული ზოგადბიოლოგიური აზროვნების ფორმირება ანტიკურ პერიოდში. ცალკეა გამოყოფილი შეტაფიზიკური პერიოდის თავისებურებები ბიოლოგის განვითარებაში და სისტემატიკის მდგომარეობა მე-16-18 საუკუნეებში. საინტერესოდაა აღწერილი პრეფორმიზმი და მისი კავშირი კრეაციონიზმთან. ამავე თავში ავტორი დაწვრილებით გადმოსცემს ტრანსფორმისტული იდეების წარმოშობას და ბატონობას ბიოლოგიაში, რომლებმაც სათანადო განვითარება პპოვეს ცნობილი ფრანგი ბიოლოგის ლამარკის მეცნიერულ შემოქმედებაში; ლამარკის მეცნიერული მიღწევების არცთუ ისე მცირე მიმოხილვის შემდეგ მითითებულია, რომ ამ გამოკვლევებში პირველადაა მოცემული ეკოლუციური განვითარება უმარტივესებიდან დაწყებული ადამიანის წარმოშობით დამთავრებული. მიუხედავად ლამარკის შეცდომებისა, მინიშნებულია წიგნში, რომ

მან ევოლუციური მოძღვრებით ზოგადიოლოგიური აზროვნება ახალ საფეხურზე აიყვანა და ამით მას განსაკუთრებული ადგილი დაუმტკიდრა ბიოლოგიის ისტორიაში.

სახელმძღვანელოში დარგინის ევოლუციური მოძღვრების თეორიის მიმოხილვას კანონზომიერად ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი: „საინტერესოდ იკითხება ქვეთავი „დარგინიზმის გავლენა სხვა ბიოლოგიურ მეცნიერებაზე“. ამ გავლენის საფუძველს ის წარმოადგენს, რომ ბუნების მოვლენების დარგინისეულმა ანალიზმა და ახალი დამასაბუთებელი ფაქტების ძიებამ სულ უფრო ნათელი გახადა ევოლუციის ჩეალობ. ყოველივე ამის შედეგად უკვე ყალიბდება ევოლუციური ბიოლოგია, რომელმაც ჟელა მისი დარგი მოიცავა.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღებითაა გადმოცემული ევოლუციური ემბრიოლოგიისა და მორფოლოგიის განვითარება-ჩამოყალიბება. ანიშნული დარგების განვითარება ბიოლოგიის ისტორიაში ფილოგენეტური მიმართულების პერიოდად არის ალიარებული, რაც იმ დროისათვის ევოლუციის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენდა.

დარგინიზმისა და თანამედროვე ევოლუციური მოძღვრების ქვაკუთხედი ცოცხალ ორგანიზმთა საარსებო გარემოსთან ადაპტაციის (შეგუების) მექანიზმის გარკვევაა; ამიტომაც სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევოლოგიური კვლევების როლს ევოლუციური თეორიის ჩამოყალიბებაში. ავტორი, ზოგადი ბიოლოგიის დარგებიდან შედარებით ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ მეტად საინტერესო დარგის - ეკოლოგიის განვითარების ისტორიისა და ევოლუციური თეორიის ჩამოყალიბებაში მისი როლის მიმოხილვის შემდეგ აღნიშნავს, რომ ევოლუციური ფაქტორების მოქმედებით მყარდება მიზანშეწონილი დამოკიდებულება ორგანიზმსა და საარსებო გარემოს (პაბიტატს) შორის.

ამავე თავში გადმოცემულია ძირითადი დარგინისტული მიმართულებანი - კლასიკური დარვინიზმი, ლამარკო-დარგინიზმი და ნეოდარვინიზმი, რომლებიც ევოლუციური მოძღვრების ცალკეული საკითხებისადმი კრიტიკულად გადახედვას წარმოადგენს. პირველი ევოლუციურ მოძღვრებაში წამყან როლს ბუნებრივ გადარჩევას აკუთვნებს, მეორე კი თანაბარ როლს ანიჭებდა ბუნებრივ გადარჩევასა და პირდაპირ შეგუებას. ნეოდარვინიზმი გარემოსთან უშუალო ურთიერთობაში შექნილი ნიშან-თვისებების მეტვიდრეობით გადაცემას უარყოფს, ამასთანავე, დაბეჭითებით იცავს ბუნებრივ გადარჩევის პრინციპს, როგორც ევოლუციური თეორიის მეცნიერულ ფუნდამენტს. ამით ნეოდარვინიზმი, აღნიშნავს ავტორი, საფუძველს უმარებს ევოლუციურ თეორიას. არანაკლები ინტერესით იკითხება ევოლუციური თეორიის კრიზისი და მისი ძირითადი მიზეზები. გასაგებად არის აღწერილი გენეტიკასა და დარგინის ევოლუციურ მოძღვრებას შორის დამოკიდებულება XX საუკუნის უდიდესი გენეტიკური აღმოჩენების და ევოლუციური მოძღვრების ფონზე, რაც ამ აღმოჩენათა განზოგადებისა და გამოყენების ხასიათს შორის დაპირისპირებით წარმოიშვა. აქვეა განხილული გენეტიკური ანტიდარვინიზმის მიმღინარეობა და ამის შედეგად ბიოლოგიაში შექმნილი კრიზისული სიტუაციით ნეოლამარკიზმის განვითარება.

ბიოლოგიურ მეცნიერებაში გაჩენილმა კრიზისმა ევოლუციური მოძღვრებაც მოიცავა. XX საუკუნის პირველი ათწლეულიდანვე იწყება კრიზისული სიტუაციების დაღვევის მცდელობა და მისწრაფება ევოლუციის სინთეზური თეორიის შექმნისათვის. ეს თავი ევოლუციის სინთეზური თეორიის შექმნისა და მისი ზოგადი დახასიათებით იწყება და ამ თეორიის ძირითადი მიმართულებების სრულყოფილი აღწერით მთავრდება.

მომდევნო თავში ეკოლუციური მოძღვრების თანამედროვე პროტოტიპებია განხილული. მიკრო-მაკროეკოლუციის, როგორც ერთიანი ეკოლუციური პროცესის ორი მხარე მკლევარ-გენეტიკოსის თვალითაა დანახული და მკაფიო აზრებითა და გამართული ქართულითაა გადმოცემული. ამ თავში წარმოდგენილი საკითხები - პოპულაცია, როგორც ეკოლუციური სტრუქტურა, მემკვიდრეობითი ცვალებადობა, როგორც ეკოლუციის ფაქტორი, მუტაციური ცვალებადობა და მისი ეკოლუციური როლი, კორელაციური და არამემკვიდრული ცვალებადობის როლი ეკოლუციაში, ბუნებრივი გადარჩევა, როგორც ეკოლუციის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი და ა. შ. მკაფიოდაა განალიზებული. მათი თანმიმდევრული გაცნობა კი ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ბუნებაში მიმდინარე ეკოლუციურ გარდაქმნებზე. ეს უკანასკნელი კი ხელს უწყობს ახალი ადაპტაციების ჩამოყალიბებას და ახალი სხეობების ჩამოყალიბებას, რომლებსაც ცოცხლი სამყაროს პროგრესული განვითარება მოსდევს.

შემდეგ თავში მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ბალანსის ბიოლოგიური რეგულაცია ცოცხალ სამყაროში, განხილულია ცოცხალისათვის დამახსიათებელი ორი თვისების - მემკვიდრეობის და ცვალებადობის ურთიერდამოკიდებულების თანაფარდობის პრობლემა ეკოლუციურ განვითარებაში. აქ ხაზგასმითაა მინიჭებული, რომ ეკოლუციის განვითარების შედეგად ცოცხალ სამყაროში მყრდება მაქსიმალური მიზანშეწონილება (მოწესრიგებულობა); მემკვიდრეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სასიცოცხლო პროცესისა და თაობათა მდგრადობა დროში. ცვალებადობა იწვევს ცოცხალში მემკვიდრეობის მიერ დაპროგრამებული ორგანიზებულობის დარღვევას, ე. ი. ეკოლუციურად ჩამოყალიბებული მემკვიდრული მდგრადობის ან უორგანიზებულობის დეზორგანიზაციას. ბოლოს კი ცვალებადობა ახალი ორგანიზებულობის ჩამოყალიბების პირობად ხდება, რაც აუცილებელია ცოცხალის არსებობისათვის. ცოცხალის არსებობა დროში შეუძლებელია მემკვიდრეობისა და ცვალებადობის გარეშე, რადგან აუცილებლად მოითხოვს მის ორგანიზებულობის გარდაქმნას გარემოს ცვლილებების შესაბამისად. ასეთი გარდაქმნა (ადაპტოგენეზი) ცოცხალში შეუძლებელია მემკვიდრეობითი ცვალებადობის გარეშე. ამგვარი განხილვის შემდეგ ავტორი გასაგები ენით ასკვნის, რომ ორი თითქოსდა ურთიერთობამომრიცხავი მოვლენა (ცვალებადობა და მემკვიდრეობა) განაპირობებს და სრულყოფს ერთმანეთს. საბოლოოდ კი უზრუნველყოფს ერთ ფენომენს - სიცოცხლის არსებობას დროში. მოცემულ თავში სხვა საკითხებთან ერთად მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ბალანსის ბიოლოგიური რეგულაციის თვისებურებებია გაღმოცემული. ავტორი თავის და სხვა მეცნიერთა გამოკვლევებზე დაყრდნობით აღნიშვნას მცენარეებში (ციტრუსებში) ავტომუტაგენური მოქმედების ფაქტს და საერთოდ მიუთითებს მუტაციური ცვალებადობის ბიოლოგიური რეგულარების თავისებურ გამოვლენაზე. აღნიშვნულ მოვლენას კი განიხილავს იმ მექანიზმად, რომლითაც ბალანსირდება ცოცხალ სამყაროში მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ბიოლოგიური სასარგებლო თანაფარდობა. ცოცხალ სამყაროში მიმდინარე ასეთი რთული მექანიზმის ახსნა და მკითხველამდე აღვილი გზით მიტანა ალბათ შესაძლებელი ხდება საკუთარი კვლევა-ძიების შედეგების განზოგადოებით. სახელმძღვანელოს ავტორი ამას ადვილად აღწევს თავისი გამოკვლევების განზოგადოების საფუძველზე. მისეული გაგებითაა წარმოდგენილი გენოტიპის ადაპტური ლირებულების და ორგანიზმებში ადაპტური ნორმა, და შესაბამისად მემკვიდრული მდგრადობის სტაბილურობაც. აქვეა განხილული

სპონტანული მუტაგენეზის ავტომუტაგენური მექანიზმის სქემა, რაც ნათლად ხსნის იმ სისტემას, რაც უზრუნველყოფს მცენარეებში (ციტრუსებში) ბუნებრივი მუტაციების წარმოქმნის ძლიერ დონეს. ბოლოს დასკვნის სახითაა მოცემული, რომ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მემკვიდრეობასა და ცვალებადობას შორის მუდმივი ბიოლოგიური სასარგებლო ბალანსის შენარჩუნება.

მყითხველისათვის ამ საკითხების გაშლისთანავე გასაგები ხდება, რომ ცოცხალის აღაპტურობის ხარისხის მდგრადობის შენარჩუნება, ტიპიურ გარემოში მისი ზრდა-განვითარების თავისებურებათა უნარით განისაზღვრება. ასეთ შემთხვევაში ორგანიზმის აღაპტური ნორმა სტაბილურ თანაფარდობაშია საარსებო პირობებთან და მექანიზმის რეაგირებს მუტაციების მაღეზორგანიზებულ მოქმედებაზე. კონკრეტუნარიანია ორგანიზმი, რომელიც საარსებო პირობებში მოიპოვებს უპირატესობას არსებობისათვის ბრძოლაში. ფერტილობა გამრავლების სტაბილობასა და შთამომავლობის დატოვების უნარში გამოიხატება. აღაპტაციის სამივე მაჩვნებელი, ხაზგასმულია სახელმძღვანელოში, განსაზღვრავს გადარჩენისა და თაობის დატოვების ხარისხს, რაც ისტორიულად ყალიბდება ბუნებრივი გადარჩევის შედეგად. წიგნში ამ საკითხზე გამართულ დიალოგს ლოგიკურ დასკვნამდე მივყავართ, რომ კონკრეტულად საარსებო გარემოში ჩამოყალიბებული აღაპტური ნორმა ევოლუციური განვითარების ერთ-ერთ მთავარ შედეგს წარმოადგენს.

ბუნებაში მიმდინარე აღაპტოგენეზის საბოლოო შედეგი სახეობისა და სახეობათა წარმოშობაა. მომდევნო თავში აღნიშნული პრობლემებია განხილული. ყოველთვის და ღლესაც ბიოლოგიაში სახეობის გაების პრობლემა პრობლემად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმთა მსგავსი და განსხვავებული ნიშან-თვისების საფუძველზე დაფუფუქება უძველესი ღრუიდან მომდინარეობს. სახელმძღვანელოში ეს საკითხები ისტორიული თანმიმდევრობით და გასაფეხადაა აღწერილი. ამავე თავში თავისებური გააზრებითაა გადმოცემული სახეობის კრიტერიუმები, სტრუქტურა და ტიპოლოგია, ბოლოს კი სახეობის წარმოშობის გზები. მიუხედავად იმისა, რომ ჭერ კიდევ ბიოლოგიაში სახეობის წარმოშობის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს, ავტორს ეს პრობლემა ნათლად და საკმაოდ დამაჯერებლად აქვს გადმოცემული, მატერიალური სამყაროს ისტორიული განვითარების თვალსაზრისის გათვალისწინებით. წიგნის მოდევნო თავში, ახალი სახეობის ფორმირების (მიკროევოლუციური) კანონზომიერებები განხილულია გენეტიკურ-ევოლუციური თვალსაზრისით.

თავი „ევოლუციის ძირითადი მიმართულებები და ტემპები“ იწყება ევოლუციონისტებს შორის საკამათო საკითხებით, როგორიცაა: პროგრესი და რევრესი, მკითხველი ადგრლად წვდება ევოლუციის პროცესის არსში, რომ იგი ცოცხალი სამყაროს ორგანიზაციული ღონის ამაღლებაა. ევოლუციური რეგრესი კი ორგანიზაციური ღონის გამარტივება, სტრუქტურული და ფუნქციური ღონის დატვირთებაა. სახელმძღვანელოში დასკვნის სახითაა მოცემული, რომ პროგრესი და რევრესი ორგანული სამყაროს განვითარებაში შეფარდებითი მნიშვნელობით უნდა იყოს გაგებული. ამავე თავშია ევოლუციის მიმართულებანი და გზები, სადაც სახეობათა გეოლოგიურ წარსულში ამოწყვეტის ბუნებრივი მიზეზების გვერდით, შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ მეტად ძლიერი ანთოროპოგენური ფაქტორებია განხილული, მოყანილი ფაქტორები და არგუმენტები ამის ნათელ და სრულ დადასტურებას წარმოადგენს. კარგი იქნებოდა აქვე სახეობის გეოლოგიური ასაკის შემცირების მიზეზებიც რომ იყოს გადმოცემული, მასზე აღმიანის უარყოფითი ზემოქმედების

აღწერით, რაც უთუოდ ჩაიფიქრებდა თანამედროვე Homo sapiens-ს. ეს თავი მთავრდება ონტოგენეზის და ფილოგენეზის განხილვით. ეკოლუციური თეორიის საფუძვლებში წარმოდგენილი ონტოგენეზისა და ფილოგენეზის ამდაგვარი გაგებით წარმოქმნა და ახსნა დაეხმარება ბიოლოგიის სხვა მეცნიერულ დისციპლინებში ამ საკითხების სწავლებას.

შემდეგი თავი ბიოლოგიური მეცნიერების მთავარი პრობლემების - სიცოცხლის წარმოშობისა და მისი არსის გაგებას ეძღვნება. განხილულია სხვადასხვა შეხედულებები სიცოცხლის წარმოშობაზე. სიცოცხლის წარმოშობის თანამედროვე თეორიების განხილვის შემდეგ ცალკე მოცემულია უჭრედული სტრუქტურის ჩამოყალიბება და მოსაზრებები სხვა პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის შესახებ.

საინტერესოდ იქითხება თავი „სიცოცხლის განვითარება დედამიწაზე“. ტექსტი მდიდარია (სხვა თავებთან შედარებით) ილუსტრაციებით და სქემებით. თავი იწყება მრავალუჯრედინი წარმოშობის ახსნით. გასაგებადაა გადმოცემული მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს განვითარების ეტაპები და თავისებურებანი. მიუხედავად იმისა, რომ ბუნების ქმნილებათა გვირგვინის - ადამიანის წარმოშობის საკითხი ბიოლოგიურ და მსოფლიშედველობითი მნიშვნელობით თანამედროვეობის მწვავე პრობლემად ჩამოჰყოფილი ცხოველთა სამყაროში, ცხოველთა სამყაროსთან ადამიანის ნათესაობის დამატების საბუთები, ანთროპოგენეზის საკითხები.

სიცოცხლის ორგანიზაციულ დონეთა მაღალ გამოვლინებას - ეკოსისტემასა და ბიოსფეროს ეძღვნება თავი - ეკოსისტემათა ევოლუცია და ბიოსფერო. აღწერილია ეკოსისტემათა ევოლუციური ჩამოყალიბება, მასში მიმდინარე რთულ პროცესთა არსი და ბიოსფერო, როგორც დედამიწის სპეციფიკური სფეროს მოკლე მიმოხილვა.

ჩვენ ექვსასგვერდიან წიგნში მოცემული ათივის ირგვლივ ამომწურავი რეცენზიის პრეტენზია არ გვაქვს, აზრი მოგახსენეთ მხოლოდ ნაწილზე. წიგნში საუნივერსიტეტო პროგრამების შესაბამისად ჯელა საკითხია გაშუქებული. თუმცა მკითხველს აქა-იქ ალბათ გაუჩნდება უფრო მეტი მოთხოვნილება. სწორედ ამის გათვალისწინებით გვინდა შევნიშნოთ შემდეგი:

1. სახეობის წარმოშობის განხილვას, იქვე რომ მოსდევდეს საპირისპირო თეორიები და მოსაზრებები;

2. ამა თუ იმ პრობლემებისა და თეორიის დამადასტურებელი ფაქტების, თეორიების, არგუმენტების, მტკიცებების და სხვათა სიმრავლე სახელმძღვანელოსათვის დატვირთვად მიგვაწინა;

3. წიგნში პირველი თავის განხილვის შემდეგ რომ იწყებოდეს, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობით, ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა მისი ეკოლუციის შესახებ მოსაზრებების, არგუმენტების, თეორიებისა და სხვადასხვა პრობლემების განსახილველად, რაც შემდგომ თავში ესოდენ ფართოდაა გადმოცემული.

მაღალ ესთეტიკურ-პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულ ამ სახელმძღვანელოს შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ნური ვერაძეს. რექტორის ამ თანადგომაზე წიგნის ავტორი მაღლიერებას მოკრძალებული წარწერით აღნიშნავს თავთურცელზე. წიგნის „ეკოლუციური თეორიის საფუძვლები“, როგორც დასაწყისში აღვინიშნეთ, უაღრესად საჭირო და აუცილებელია უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

შინაარსი

„ლიტერატურული აჭარა“, №11
 2000 წელი

პროგა. პრეზის

1. ჯემალ ჯაყელი — ქაფშის ღამის სანთელი	3
(რომანი, გავრცელება)	
2. ამირან ხაბაში — ლექსები	29
3. ლადო სეიდიშვილი — ლექსები	35
4. გონერ ჭეშვილი — ექვემდებარებული	39
5. გივი ბერაძა — ლექსები	45
6. ია სულაბერიძე — ლექსები	50

კრიტიკა. ჟურლისტიკა

7. გრიგოლ რობაქიძე — განილ როჩანოვი	56
8. გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე — საინტერესო და არაორდინარული წიგნი ადამიანის ოფიციალური „გასაღების“ შესახებ	61
9. რამაზ სურმანიძე — იუნუს ზეირუქს ჩასუბს შირველ რიგში თურქი ხალხი მოსთხოვს	71
10. ზურაბ ზოიძე — მზაანი იეროგლიფები	82

განათლება

11. ნანი გუგუნავა — ახალი სახწავლო წელი ხიახლება მიკნაზე	88
12. ემენ დავითაძე — კიდევ ცოტა რამ ეღიას ციხე-ბასტიონზე	97
13. ალექსანდრე ჩხაიძე — კიდევ ერთწელი მუქალიობის შესახებ	102

დემოგრაფია

14. თეიმურაზ კომახიძე — ქალაქ ბათუმის დემოგრაფია	106
--	-----

წერილები

15. ნუგზარ ზოსიძე — სისხლის აღების წესი აჭარაში და მისი ახახვა ლიტერატურაში	118
16. გურამ ბახტაძე — კინ არის „ბათუმის სურათების“ ავტორი?	125

რეცეზია

17. მურმან დავითაძე, ოთარ შაინიძე — ახალი სახელმძღვანელო თანამედროვე ექოლუციურ თეორიაში	130
---	-----

კომპიუტერული უზრუნველყოფა – გენადი კომპიიძე

ოპერატორი - ლიანა გოგაძე

კორექტორები – მარინე ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 03. 11. 2000.

სელმოწერილია დასახელდა 25, 11. 2000.

ପ୍ରାଚୀନ କବିତା । ୧୯୫୮ । ୧୫୩

საათობრივი ხანები და მათ მიზანი 8.75.

ଶିରକଥିତ ସାହେବାଙ୍ଗଳାରୀ ୨.

ঢাক্কায় নথি পত্র - স্বেচ্ছাচার মুক্তি।

ଓର୍ଦ୍ଧବିହାର ପରିଷଦ୍ କାନ୍ତିକାଳୀଙ୍ଗ ମାତ୍ରମେ ପରିଷଦ୍ କାନ୍ତିକାଳୀଙ୍ଗ ମାତ୍ରମେ

შურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება „სტამბა“-ში

დ. თავდაღებულის ქ. №16

06 09 78118

